N9 (560) 3/III-9/III-2011 ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საგანძური

ტომი №53
ოთარ ჩხეიძე

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
ანტონ ფურცელაძე

# გზა



1168
2011

ქართველი სტილისტი, რომელმაც დემი მურს თავი გადაპარსა

„სამწუხაროდ, ახლა არავინ მყავს“

ვის აღიარებს ანრი ჯოხაძე ყველაზე სექსუალურ ქალბატონად

„ლამაზი რომ არ ყოფილიყო, მინისტრად ვინ დანიშნავდა?“

ექსკლუზიური ფოტოები, რომელიც ქართულ პრესაში პირველად ქვეყნდება



ლავრენტიმ საწადელს მაინც მიაღწია და ლაკობას ცოლი ლოგინში ჩაიგორა

ქართულ-ჩინური ოჯახი



„მომავალ მეუღლეს „ვანით“ მივმართავდი. ერთი თვის შემდეგ გავიგე, რომ შიბინი ჰქვია, გვარი კი ვანი ყოფილა“

ISSN 1987-5029

„გზა“ – ყველაზე მაღალტირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!

დე-ნოლი® უშუალოდ მოქმედებს წყლულოვანი დაავადები

ბისმუტის ტრიკალიუმის დიციტრატი

და გასტრიტის წარმომშობ მიზეზებზე




ანადგურებს ჰელიკობაქტერიას

ხელს უწყობს კუჭის ლორწოვანი გარსის შეხორცებას

astellas
Leading Light for Life

მოზრდილებსა და ბავშვებში 12 წლის ზემოთ ინიშნება 1 ტაბ. 120 მგ 4-ჯერ დღეში ან 2 ტაბ. 2-ჯერ დღეში. 4-დან 12 წლამდე ინიშნება დოზით 8 მგ/კგ-ზე, გაყოფილი ორ მიღებაზე. პრეპარატი მიიღება ჭამამდე 30 წთ-ით ადრე. ხანგრძლივობა - 4-8 კვირა. შემდეგი 8 კვირის განმავლობაში არ არის რეკომენდებული ბისმუტის პრეპარატების მიღება. შესაძლებელია განავლის შავად შეფერვა, რაც არ საჭიროებს პრეპარატის მოხსნას. გვერდითი ეფექტები: შესაძლებელია გამოვლინდეს გულისრევა, ღებინება, დიარეა, ყაბზობა, კანის გამონაყარი, ქავილი. არ გამოიყენება თირკმელების მძიმე უკმარისობის, ორსულობის, ლაქტაციის და პრეპარატის ინდივიდუალური აუტანლობის დროს.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

დისტრიბუტორი " ავერსი ფარმა" აღმაშენებლის 148/2

## რა იმალება გასტრიტის დიაგნოზის მიღმა?

გასტრიტი – კუჭ–ნაწლავის ტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. გამოკითხული 10 რესპოდენტიდან სავარაუდოდ ათივე გვიპასუხებს, რომ გასტრიტის მიზეზია არასწორი კვება, განსაკუთრებით კი ჩვენი „გასტრონომიული სისუსტეები"–მშრალი, მჟავე და მწარე საკვები. მე–20 საუკუნის 80–იანი წლების დასაწყისში მეცნიერულად დადასტურდა, რომ გასტრიტის ძირითადი გამომწვევია ბაქტერია ჰელიკობაქტერ პილორი (Helicobacter pylori). ავსტრალიელი მეცნიერების ამ აღმოჩენამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა გასტროენტეროლოგიაში. H.P. აზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, იწვევს მარილმჟავას დიდი რაოდენობით გამომუშავებას, რაც ნეგატიურად მოქმედებს კუჭზე. შედეგად ვითარდება ანთებითი პროცესი –ქრონიკული გასტრიტი.

კიდევ ერთი არასასიამოვნო „სიახლე"– H.P.–ით ინფიცირება ხდება პირადი ჰიგიენის საგნებით და ნერწყვით, რაც ავადმყოფობის ოჯახური კერების ფორმირებას უწყობს ხელს.

ამავე დროს, ქრონიკული გასტრიტი შეიძლება სიმსივნის განვითარების მიზეზი გახდეს. ხანგრძლივად მიმდინარე H.P.–სთან ასოცირებული ქრონიკული გასტრიტის დროს 6–ჯერ იზრდება კიბოს განვითარების რისკი. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ „გასტრიტის" დიაგნოზის შემთხვევაში პაციენტები ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას მჟავიანობის დამწევი პრეპარატებით. თავიდან ეს მართლაც „შველის", მაგრამ დაქვეითებული მჟავიანობის პირობებში H.P. აქტიურად ვრცელდება კუჭის მთელ ლორწოვან გარსზე, რაც პროცესის გაქრონიკულებას იწვევს.

გასტრიტის სწორი მკურნალობა 2 მიმართულებით უნდა წარიმართოს: გამომწვევის, ანუ H.P. –ის განადგურება და კუჭის დაზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენა. ამ მხრივ პრეპარატი **დე-ნოლი** თავისი უნიკალური თვისებების გამო შეუცვლელი კომპონენტია გასტრიტის მკურნალობის თანამედროვე სქემებში. **დე-ნოლი** წარმატებით ებრძვის H.P.-ს და ანადგურებს მას, აფერხებს მის გავრცელებას კუჭის ლორწოვანზე, ამავდროულად ხელს უწყობს დაზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენასა და შეხორცებას. H.P.-ს არ გააჩნია მდგრადობა **დე-ნოლის** მიმართ. **დე-ნოლი** არ მიეკუთვნება ანტიბიოტიკების ჯგუფს, არ ახდენს გავლენას ნაწლავის ნორმალურ მიკროფლორაზე. სწორედ ამ უნიკალური თვისებების გამო, გასტრიტის გამწვავების დროს, ექიმები რეკომენდაციას უწევენ **დე-ნოლს**.


franco fontana
italy
გილოცავთ
8 მარტს!
franco fontana იყავი
გამორჩეული!
იტალიური საიუველირო
ბრენდი franco fontana
გთავაზობთ გრანდიოზულ
ფასდაკლებას 15%-30%
1-დან 8 მარტის ჩათვლით!
ოქროს და ვერცხლის ორიგინალურ და ექსკლუზიურ ნაკეთობებზე
მობრძანდით franco fontana-ში და შეიძინეთ ძვირფასი სამკაული
თქვენთვის ძვირფასი ადამიანისთვის -
რუსთაველის 26 18-10-47; პეკინის 7 30-65-56; ჭავჭავაძის 21 18-10-46;
დადიანის 7 18-14-15(ქარვასლა I სართული)

www.britishcentre.g

# BRITISH CENTRE



**ირინა ონაშვილი:**

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭიროიყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები."



**ნიკო კეჟერაშვილი:**

"ბრიტანულ ცენტრში" მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერომ და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, დარგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერტიფიკატიავილო და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე ტესტირებაზე.

ქ. თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
ადმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915ჭავჭავაძის 9; ტელ: 332 557; 514 143
ქ. ბათუმი: იმნაძის ქ. №2 (ყოფილი ბლაგოევგრადი)
ტელ: 7 31 22

www.britishcentre.ge

## ექიმთან პირველი ვიზიტი უფასოა!



### ELOS ეპილაცია

- ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება სწრაფად და უმტკივნეულოდ;
- XX1 საუკუნის უახლესი ტექნოლოგია;
- თანამედროვე, უსაფრთხო და ეფექტური მეთოდი.

### ELOS გაახალგაზრდავება

- დაივიწყეთ ნაოჭები, პიგმენტური და სისხლძარღვოვანი ლაქები;
- აღიდგინეთ კანის ბუნებრივი სილამაზე;
- გალამაზდით ქირურგიული დანის და ინექციების გამოუყენებლად.

**ELOS ყოველი მესამე პროცედუ საჩუქრა**

- მეზო-თერაპია სახესა და სხეულზე: ბიორევიტალიზაცია, ლიფტინგი, ლიპოდისტროფია, თმის სტრუქტურის აღდგენა და მკურნალობა;
- ჰომეოთერაპია და აუტოჰომოთერაპია;
- კონტურული პლასტიკა ჰიალურონის გელით;
- აკნეს მკურნალობა;
- კანის გაახალგაზრდავება ნატურალური პრ დუქციის გამოყენებით;
- ბოტულოქსინის მეთოდით ნაოჭების გასწორება.



Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS
მილეგაზე 29 00 66

ELOS ეპილაცია – თმის მოცილე სწრაფად და ხარისხიანად
ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მეთოდი

# პანცი ლიონი PANTSI LION

უმაღლესი ხარისხის ავეჯის ფართო არჩევანი
კლასიკური და მოდერნის სტილში გადაწყვეტილი
უახლესი მოდელები

გილოცავთ 3 და 8 მარტს ქალბატონებო!

## რბილი ავეჯი





## კედლები





## საბავშვო



## შემოსასვლელები



## საძინებლები





## სამზარეულო






**ოფისი**
ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ.№1
ტელ. (995 32) 664-458
ფაქსი. (995 32) 664-522

**მაღაზია სალონი პანცილიონი**
1.თბილისი, ერისთავის ქ. №2
(მე-2სართული)
ტელ: 66-41-90

2. თბილისი, ერისთავის ქ №5
(ავეჯის სავაჭრო ცენტრი საბა)
ტელ: 69-29-20

3. ლილოს სავაჭრო ცენტრი
(ლილოს საბითუმო ბაზრობა)
ტელ: 14-36-41

E-mail: ccpp@inbox.ru
www.senator-panci.ge


სენალექსი
იგრძენი სიამოვნება
წარმოუდგენელი შვებისაგან!
СЕНАЛЕКС
20 X 25 таблеток
Наброс фарма пвт. лтд.
ობიექტური არჩევანი:
ატონიური შეკრულობისას
ბუასილის დროს, პროქტიტებისა და უკანატანის ბზარებისას
არარაციონალური კვებასთან დაკავშირებული შეკრულობა
სიტუაციის შეკრულობა
აძლიერებს ნაწლავის მოძრაობის ფუნქციას, განსაკუთრებით მსხვილი ნაწლავისა.
მოქმედებს რბილად, უმტკივნეულოდ, ნელა.
ხანგრძლივი მოხმარებისას არ ახორციელებს ტოქსიკურ ზემოქმედებას ორგანიზმზე.
არ იწვევს შემდგომ შეკრულობას.
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს
Nabros
Pharma Pvt. Ltd.

ფლუკოლდი
ფლუკოლდი თქვენი ოჯახის მეგობარი-
გაციების სადარაჯოზე!
გრიპი
სიცხე
თავის ტკივილი
სისუსტე
სურდო
ФЛЮКОЛД
ФЛЮКОЛД-N
გამოცდილი საშუალება,
თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში!
Nabros
Pharma Pvt. Ltd.
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

პირველი კლასის სამთო სასტუმრო
„ვერე პალასი"
გთავაზობთ
ყველა პირობას ზამთრისა თუ ზაფხულის სეზონის სასიამოვნოდ და აქტიურად გატარებისთვის.
სასტუმროში:
43 კომფორტული და კეთილმოწყობილი ნომერი,
მათ შორის 7 ნახევრად ლუქსი;
ორი რესტორანი,სადაც დააგემოვნებთ ქართულ და ევროპულ კერძებს. ;
მწვანე ბარი და ღამის კლუბი;
ბილიარდი
საცურაო აუზი;
საუნა და მასაჟი;
ფიტნეს დარბაზი;
საკონფერენციო დარბაზი;
თხილამურების ქირაობა
www.verepalacebak
E-mail verepalacehotelbakuriani@gmail.c
თითოეულ ნომერშია ინდივიდუალ
გათბობა, ფერადი ტელევიზორი საკაბე
არხებით, ტელეფონი ოთახში და საავაზანო
მინი ბარი, ფენი და უსაფრთხოების სისტემ
ბიზნეს ცენტრში თქვენ ისარგებლებთ ფაქსი
ქსეროქსით, კომპიუტერითა და ინტერნეტ
თბილისი, კოსტავას ქ. №47
ტელ: (995 32) 98 35 65
ფაქსი: (995 32) 99 68 67
მობ: (995 95) 15 84 48
ბაკურიანი, წაქაძის ქ. №12
ტელ: (995 26) 74 00 49
ფაქსი: (995 26) 74 00 50
მობ: (995 99) 11 60 45 (995 95) 30 06 40

№9 (560)
3 – 9 მარტი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



# პატარა გოგონას დიდი ტკივილი

თიკო 11 წლისაა. მუხლებში ბოლომდე ვერ იმართება. ერთი ხელი დედისთვის ჰქონდა ჩაჭიდებული, მეორით კი კედელს ეყრდნობოდა. ჩემ წინ დაჯდა, ახლობელივით გამიღიმა და ჩამეხუტა, — გამარჯობა, მე თიკო მქვია... — მეტყველება უჭირდა და ბგერებს დაძაბული წარმოთქვამდა... ვიცოდი ამ ოჯახის გასაჭირის შესახებ, თითქოს შინაგანად მოვემზადე კიდეც, მაგრამ მაინც დავიბენი...

10

27885

## სახე



# ყველაზე ძვირფასი საჩუქარი სიყვარული და ყურადღებაა

„ყოველთვის ვცდილობ, 3 მარტი დედასთან ერთად აღვნიშნო. თუ ვერ ვახერხებ, საჩუქარი მაინც მიმაქვს. ტკბილეულის მოყვარულია და კარგი უცხოური შოკოლადით შემოვიფარგლები ხოლმე.“.

21

■ მინიატიურები 5
და თქვენ მოიგეთ... ბუს კვერცხები!!!
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ პოლიტიკა 7
იშლება თუ არა „ეროვნული ფორუმი“
■ გასაჭირი 10
პატარა გოგონას დიდი ტკივილი
■ საზოგადოება 12
„არა“ და მისი 10 „მცნება“
■ საგანძური 16
■ ნომინანტები 18
მამაკაცების თვალით დანახული პოლიტიკოსი ქალბატონები
■ დღესასწაული 21
მანდილოსნებისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი სიყვარული და ყურადღებაა
■ თემა 24
სიხარბე — უკურნებელი სენი
■ ოსტატი 27
თბილისელი, რომელმაც ლუჟკოვისა და პუტინის ცოლებს „გადაუარა“
■ შერეული ოჯახი 30
ქართველი „ცოლიკოს“ და ჩინელი „ვანიჩკას“ 15-წლიანი ოჯახური იდილია

## ცხოვრება

# სიხარბე — უკურნებელი სენი



„სხვა რა უნდა უწოდო, თუ არა ხარბი ისეთ ადამიანს, როგორიც აწ უკვე ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი — ჰოსნი მუბარაქია?! ამბობენ, ის ოქროში კი არა, პლატინაში „ბანაობდაო“. გავრცელებული ინფორმაციით, ფლობს პლატინის ზოდებს, რომელთა საერთო ღირებულება 15 მილიარდ დოლარს აღწევს“.

24

# „შურისძიებაზე ფიქრი თავადვე გავნებს“



„გენაცვალე, ყოჩაღი გოგო ჩანხარ და გთხოვ, ყოფილ შეყვარებულს არ შეურიგდე. მას არ უყვარხ-არ, ახლაც გატყუებს. და კიდევ, გირჩევ, სამაგიეროს გადახდაზე ფიქრს შეეშვა. მისი განსჯა უფალს მიანდევე, შენ კი სული არ დაიმძიმო. წარმატებები!“

64

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ თინეიჯერული პონტები 32
„წამალზე“ დამოკიდებული მოზარდები და
მათი შეყვარებულების აღსარება

■ თამაში 34
მხიარულთა და საზრიანთა კლუბი

■ ტაძარი 37
იგავი ორ შვილზე

■ ეს სამყაროა 38

■ ისტორიის ლაბირინთები 40
როგორ გააქრო ლავრენტი ბერიამ
აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი

■ ავტო 43

■ საკითხავი ქალებისათვის 44

■ წვეთი პოეზია 48

■ რეალური 49
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ ქართული დეტექტივი 52
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)

■ რომანი 56
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი
ენძელები (გაგრძელება)

■ გზავნილები 60
დანაშაული, რომელიც მოსვენებას მიკარგავს

■ ყველა ერთისათვის 64

■ მობილი-ზაცია 66

■ მოზაიკა 74

■ ერუდიტი 76
„წიგნს უნდა ვეხებოდე,
ფურცლის სუნს უნდა ვგრძნობდე“

■ გასართობი 78

■ ასტროლოგია 80

■ სკანვორდი 81

■ საფირმო კროსვორდი 82


## სამყარო



### როგორ გააქრო ლავრენტი ბერიამ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი

რასაკვირველია, ნესტორ ლაკობასა და მისი ახლობლების ასეთი აქტიურობა ლავრენტი ბერიას თვალში არ მოსდიოდა — „დიდ ჩეკისტს“ ეჭვი ჰქონდა, რომ აფხაზური სეპარატიზმის მამა უპირატესად, მის სკამს უმიზნებდა და კრემლში გავლენის მოპოვებასაც ცდილობდა.

40

## ბიბლუსი






— მაშ, სად უნდა გამქრალიყო ის წერილი?
— აბა, რა გითხრა? — მხრები აიჩეჩა ლელამ.
— არადა, ძალიან დასანანია, რადგან დარწმუნებული ვარ, ყველაზე საინტერესო და არსებითი იქ ეწერებოდა. აბა, ასე გაშმაგებით ტყუილად ხომ არ ნადირობენ იაშვილის ნამუშევრებზე?

52

## ტაიმ-აუტი



### „წიგნს უნდა ვეხებოდე, ფურცლის სუნს უნდა ვგრძნობდე“

„წიგნთან თავისებური დამოკიდებულება მაქვს, მას უნდა ვეხებოდე, ფურცლების სუნს უნდა ვგრძნობდე, ეს სხვა ინტიმია. ბავშვობაში, როცა რაჭაში ჩავდიოდი, წიგნები თან მიმქონდა. ფურცელზე წაკითხული სხვაგვარად აღიქმება. ელექტრონულ წიგნებს ვერ ვეგუები ანუ კომპიუტერში ვერ ვკითხულობ.“

76


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.



მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი



მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge


რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

# და თქვენ მოიგეთ... ბუს კვერცხები!!!



**შესავლის ნაცვლად** ყოველთვის ვიცოდი, რომ თურქები გოიმები იყვნენ და მაგათი ევროპელობა მითი იყო!

ჰმ, თან ევროკავშირში შესვლის პრეტენზიაც რომ აქვთ?!

ა, ბატონო: ჩავიდა მაგათი პრემიერ-მინისტრი რეჯებ ერდოღანი გერმანიაში, შეკრიბა 10 ათასი იქაური თურქი (სულ გერმანიის მოქალაქეობა 2,5 მილიონ ეთნიკურ თურქს აქვს) და გამოუცხადა, — არავითარ შემთხვევაში არ დაივიწყოთ თურქული ენა და საერთოდ, ბავშვებს ჯერ მშობლიური ენა ასწავლეთ და მერე — გერმანულიო!

წარმოგიდგენიათ?! იმის მაგივრად, რომ პირიქით — თავის ქვეყანაში „პაჩკა-პაჩკა“ ჩაიყვანოს უცხო ენის „მასწავლებლები“, უკვე ძლივს გაგერმანელებულ თურქებს უჩიჩინებს, ბავშვებს მშობლიური ენა არ დაავიწყოთო!

რა უნდა თქვა კაცმა... „ო, მაი გად“, რაა!..



გასულ კვირაზე კაცი მართლა ვერ დაიწუწუნებს, — ისეთი არაფერი მომხდარა, რომ „საპროვოკაციოდ“ ღირდესო.

არ მომხდარა კი არა, მთელი არაბული სამყარო გადაბრუნების პირასაა, ხოლო თბილისში, როგორც იქნა, ერთი წესიერი და ყველა რომ მონაწილეობდა, ისეთი გაფიცვა მოეწყო („ყველა“-ში, ცხადია, „მარშრუტკის“ ყველა მძღოლს ვგულისხმობ)!

აგერ, ჩვენმა პრეზიდენტმა კი, — ბათუმის ამბავი უკვე მოგვარებულია, ახლა ფოთი უნდა დაეწიოს და გაასწროს ბათუმსო!

ცოტა ჩრდილოეთით ანუ — ჩეჩნეთსა და დაღესტანში დიდი ფეხბურთი „გაიჩითა“ — რონალდომ და რობერტო კარლოსმა იქაურ „ანჟისა“ და „ტერეკში“ გადაწყვიტეს ბებერი ძვლების საბოლოოდ დამსხვრევა...

მაგრამ იმათი სიბერე და სიძველე რას მოვა მშობლიურ, დემოკრატიულ და ნოვატორულ „რუსთავი 2“-ზე რომ „ახალთახალი“ გადაცემა დაიწყო, იმის ასაკთან — ხვალ (ხვალ რა, ოთხშაბათს ანუ მკითხველისთვის უკვე გუშინ) „იღბლიანი ბორბლის“ პირველი გადაცემა იქნება, რომელსაც რუსული „პოლე ჩუდესიდან“ ვიცნობთ, ერთ ულვაშიან კაცს რომ მიჰყავდა.

აქაც დაატრიალებენ და იქ მონაწილეები მოიგებენ ფენს ან უთოს, ტელემაყურებლები კი — გადებილების მორიგ ულუფას და... ბუს კვერცხებს!

საერთოდ, ქართული ტელევიზიები ამ ბოლო დროს „რეტროს აწვებიან“ — აგერ, ნანუკა ჟორჟოლიანი თავისი „ვიზავის“ გაკვალულ გზას გაუდგა და მარიო ჩიმარო მოინახულა!

მართალია, არაფერი ჩაუტანია (ის ბაზრობა აღარ არსებობს, საიდანაც მაია ასათიანს „ძღვენი“ გაატანეს), მაგრამ სამაგიეროდ, ქართულად ათქმევინა — „ნანუკას შოუს“ უყურეთო...

მე კი ჩვენი მედიასახლის ინტერნეტტელევიზიას ვსტუმრობდი შალვა რამიშვილის გადაცემა „ცენტრში“ და ამის წინა ხუთშაბათს რომ „ვიპროვოკატორე“, იმაზე „ვიღლაბუცეთ“. მომეწონა, სხვათა შორის — დაჯექი და ილაპარაკე, რაც გინდა, კაციშვილი არ გაკონტროლებს.

თქვენც გირჩევთ, palitratv.ge-ს ეწვიოთ და გაიხსენოთ, რომ ეკრანიდანაც შეიძლება ამ ქვეყანაში სიმართლის ლაპარაკი და არა მხოლოდ მარიო ჩიმაროს „ნასკების“ ზომის გაგება და „იღბლიანი ბორბლის“ ტრიალი.

**P.S.** შესავალში, თურქებისა და გერმანელების ამბავი რომ ვახსენე, თქვენ გგონიათ, ასე მარტივად დამთავრდა?!

არა, ბატონებო — ერდოღანის გამოსვლას ოპერატიულად უპასუხა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვიდო ვესტერველემ (ამისთვის მამამისს სახელი რაღაც „უკუღმა“ დაურქმევია — ეს, შარშან რო „ცისფრად გათხოვდა“, ის კაცია და კიდევ ამან „გვიდო“?..) ბრძანა: ეს ადამიანები უკვე ჩვენი მოქალაქეები არიან და რას ჰქვია, თურქული?! ჯერ გერმანული ისწავლონ და მერე, თუ დრო დარჩებათ, უნდათ, თურქული ისწავლონ და უნდათ — ქურთულიო...

ჩვენ კი არსად წასვლა არ გვჭირდება — სანამ ფოთი „რაზგონს“ აიღებს და ბათუმს დაეწევა, ინგლისურის სწავლისა არ ვიცი და, ჩვენს ბავშვებს ქართული ნამდვილად დაავიწყდებათ...

ისე, ამათ მაინც მუნჯები ურჩევნიათ...

P.S.S. **რა მაგის პასუხია და, ნახეთ, რა ნაშები ჰყოლია კადაფის თავის დაცვაში?! ახლა ამანაც რო მოინდომოს...**

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# მოსკოვში „პუტინი-ფართი“ გაიმართა




მოსკოვის ღამის კლუბ Ðàé-ში („სამოთხე“) „პუტინი-ფართი“ გაიმართა. წვეულების გმირად, რუსეთის პრემიერ-მინისტრი კლუბის სტუმარმა ქალებმა შეარჩიეს. მანამდე, ღონისძიების ორგანიზატორებმა ქალთა შორის ასეთი გამოკითხვა ჩაატარეს: ვის მიიჩნევთ ნამდვილ მამაკაცად? ხმათა უმრავლესობა ვლადიმირ პუტინს ერგო. ახალ არბატზე და მოსკოვის სხვა ცენტრალურ ქუჩებზე „პუტინი-ფართის“ რეკლამა უკვე განათავსეს.

პრემიერ-მინისტრს კონკურენციას ბრიუს უილისი, დევიდ ბექჰემი და ჩე გევარა უწევდნენ.

# იანუკოვიჩი პირდაპირ ეთერში ამღერდა

გადაცემის — „საუბარი ქვეყანასთან“ პირდაპირ ეთერში, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა სტუდენტ გოგონას უმღერა. ოდესელმა სტუდენტმა იანუკოვიჩს შესჩივლა, რომ უნივერსიტეტში უკრაინულ ენაზე სწავლას აძალებენ, რაზედაც პრეზიდენტმა უპასუხა: „გირჩევთ, უკრაინული ენა შეისწავლოთ. ახალი უცხო ენა გეცოდინებათ, ამას რა სჯობია?! რადგან უკრაინულ მიწაზე ვცხოვრობთ, მის ენასაც პატივი უნდა ვცეთ“. შემდეგ კი ყველასთვის მოულოდნელად, მარკ ბერნესის „საყვარელ ქალაქს შეუძლია, მშვიდად ეძინოს“ სიმღერა წაიღიღინა.



# იაპონელებმა ადამიანის საბანაო მანქანა შექმნეს



„სანიომ“ ადამიანის საბანაო მანქანა შექმნა. კომპანიას ეს პროექტი ჯერ კიდევ 40 წლის წინ ჰქონდა შემუშავებული, მაგრამ ჩანაფიქრის ხორცშესხმა მხოლოდ ახლა მოახერხა. ე.წ. „ავტომატური აბაზანა“ ადამიანის სხეულს ბანს. ადამიანი კიბის საშუალებით, კაბინაში უნდა ავიდეს და მისთვის სასურველი წყლის ტემპერატურა აირჩიოს, რის შემდეგაც „რეცხვის“ რეჟიმი ჩაირთვება. 5 წუთის განმავლობაში წყლის ძლიერი ჭავლის ქვეშ დგომა მოგიწევთ, მერე მასაჟის რეჟიმი ჩაირთვება, პროცედურის დასასრულს კი საპნის ბუშტებით პილინგი ჩაგიტარდებათ. აპარატს გაშრობის ფუნქციაც აქვს, ამიტომ პირსახოცის გამოყენება აღარ მოგიწევთ.

# ინგლისელები იური გაგარინს ძეგლს უდგამენ

ინგლისელები ლონდონის ცენტრში პირველი კოსმონავტისთვის ძეგლის დადგმას გეგმავენ. ბრიტანეთის განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ გაგარინის ქანდაკება ჯეიმს კუკის ძეგლის პირდაპირ დაიდგმება. გაერთიანებულ სამეფოში „კოსმოსური მოგზაურობის“ იუბილეს განსაკუთრებულად აღნიშნავენ. ცოტა ხნის წინ მანჩესტერში სპეციალური გამოფენაც კი მოეწყო. ამ ქალაქში გაგარინი 1961 წელს იყო ჩასული. მაშინ ის პრემიერ-მინისტრ ჰაროლდ მაკმილანს და დედოფალ ელისაბედ მეორესაც შეხვდა. დედოფალს გაგარინთან სამახსოვრო ფოტოც აქვს გადაღებული.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები



რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ



# ქვეყანა

## იშლება თუ არა „ეროვნული ფორუმი“

### „ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონე იმ ზღვარს უახლოვდება, როცა ადამიანებს დასაკარგავი არაფერი აქვთ“

**ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად საუბრობენ „ეროვნულ ფორუმში“ არსებულ შიდა დაპირისპირებაზე. ამას წინათ ისიც კი ითქვა — „ფორუმი“ იშლებაო. თუმცა მისი ერთ-ერთი ლიდერი, რეზო შავიშვილი აცხადებს, რომ ეს ჭორი უსაფუძვლოა და ახალი წევრიც შეემატა — საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ხელმძღვანელი ანი მიროტაძე... კიდევ რა სიახლეებია „ფორუმში“, როგორია მის მესვეურთა პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე — ამ ყველაფრის შესახებ ბატონ რეზოს ვესაუბრეთ.**

*ლალი პაპასკირი*

— ანი მიროტაძე მართლაც გახდა „ფორუმის“ წევრი, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი შენაძენია. წარმატებული კარიერის მქონე ადამიანები დაშლის პირას მყოფ ორგანიზაციებში არ შედიან. ანი პარტიული დაგეგმვის ბიუროს ჩაუდგა სათავეში... რაც შეეხება „ფორუმის“ დაშლის თემას, ეს ჭორი ირაკლი მელაშვილის წასვლის შემდეგ გავრცელდა, — არადა, თავად ირაკლიმაც განაცხადა, რომ ეს უსაფუძვლოა. უბრალოდ, ამ პოლიტიკურ სიტუაციაში, მასა და „ფორუმის“ პოლიტსაბჭოს დანარჩენ წევრებს შორის განსხვავება იმდენად დიდი იყო, რომ პარტიიდან წასვლა არჩია. მაგრამ ჩვენთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. ხშირად გვსტუმრობს და პოლიტიკურ თუ ყოფით საკითხებზე ვმსჯელობთ... ცხადია, ჭორებს არაკეთილმოსურნეები გვივრცელებენ, მათ შორის — ალბათ ხელისუფლების წარმომადგენლებიც. მათ ძალზე აწუხებთ ის ფაქტი, რომ ჩვენს ფორუმს ვერაფერი მოუხერხეს; იმის გამო, რომ არავინ გვაფინანსებს, „უპატრონო ძალაც“ კი დაგვარქვეს.

— **ეს რაში დასჭირდათ? ყველაზე ძლიერ კონკურენტად აღგიქვამენ?**

— რა თქმა უნდა. ახალი ვთქვი რამე?.. ეს ამდენი ხნის განმავლობაში არ გამოხატულა თუ რაშია საქმე?!

— **კონკრეტულად რაში გამოიხატა დანარჩენ პოლიტიკურ ძალებთან შედარებით, თქვენი უპირატესობა?**

— თუნდაც იმაში, რომ მრავალრიცხოვანი აქციის დროს „ფორუმი“ წამყვანი ძალა იყო და ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავდა.

— **დანარჩენი პოლიტიკური ძალებიც ამავე აზრის არიან...**

— იცით, არ მინდა ცალკეული პარტიების რეიტინგები მიმოვიხილო, მაგრამ საკუთარი მხარდამჭერების მრავალრიცხოვნობაში ეჭვი არც მე და არც ქართველ საზოგადოებას არ ეპარება. 2008 წლის 9 აპრილის აქციაზე გახსოვთ, რამდენი ადამიანი მოვიდა? არადა, ამ აქციის გამართვის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ წინაღამეს გავავრცელეთ. არაორგანიზებული ძალა ამას ვერ მოახერხებდა. მას შემდეგ, ჩვენი შესაძლებლობები კიდევ უფრო გაიზარდა.

— **სხვა აქტუალურ თემებზე ვისაუბროთ... ქვეყანაში ყოველდღიურად მძიმდება სოციალური ფონი. ხელისუფლების თქმით, ქვეყანაში ყველაფერი კარგად არ არის, თუმცა უკეთესობისკენ მივდივართ. თქვენი კოლეგები, კონკრეტულად კი „ქართული პარტია“ „მშიერ“ ბუნტზე და „არაბული პროცესების“ დაწყებაზე საუბრობს. ამ შემთხვევაში „ფორუმის“ ხედვა და როლი როგორი იქნება?**

— მგონი, ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ხვდება, რომ ეს ხელისუფლება სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს. ამისთვის კი ორი ვარიანტი



არსებობს: პირველი, შედარებით „რბილია“ — სამართლიანი არჩევნების გზით; თუ პირველი გამოირიცხა, „არაბული პროცესი“ გარდაუვალი იქნება. ცხადია, რომ ქვეყნისთვის სასურველია პირველი ვარიანტი. „ეროვნული ფორუმი“ არჩევნების ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი იყო, რასაც ე.წ. „რვიანის“ ფორმატში ჩვენი აქტიური მუშაობითაც ვადასტურებთ, მაგრამ ნათელია, რომ ხელისუფლება რეალური ცვლილებების განხორციელებას არ აპირებს. ბიომეტრიული პარამეტრების გამოყენებით ამომრჩეველთა სიების დადგენაზე უარიც კი თქვეს, თუმცა იმედი მაქვს, ეს მათი საბოლოო პოზიცია არ იქნება. სხვა შემთხვევაში, გამოდის, რომ მათ მიერ აქამდე ჩატარებული არჩევნები სამართლიანი არ ყოფილა და მომავალში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასაც არ აპირებენ. ამიტომაც გვაქვს საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი. იქიდან საკმაოდ სერიოზულ თანადგომას ვგრძნობთ და თუ ხელისუფლება ამასაც არ გაუწევს ანგარიშს, მაშინ იმას მიიღებს, რაც სხვა ქვეყნებში ხდება.

**— რას გულისხმობთ — რევოლუციას?**

— დიახ... ყველანი ვხედავთ, რა ხდება არაბულ სამყაროში. საერთოდ, სახელმწიფოს დემოკრატიულობის ნიშანი — ხელისუფლების ხშირი ცვლაა, ჩვენში კი ყველა მმართველი 30-40 წლით მოდიოდა. როცა ხელისუფლება დემოკრატიული განვითარების გზას კეტავს, აჯანყება გარდაუვალი ხდება.

**— იმ შემთხვევაშიც, როცა ოპოზიცია სუსტია?**

— ოპოზიციის რეიტინგს რაიმე მნიშვნელობა აქვს არაბულ სამყაროში?! არეულობები იქ ოპოზიციის ინიციატივით არ დაწყებულა. ლიბიაში სამოქალაქო ომია, მაგრამ იქ ოპოზიციური პარტია საერთოდ არ არსებობს; ეგვიპტესა და ტუნისში საზოგადოებას ეყო ძალა, პროტესტი გამოეხატა და ხელისუფლებისთვის დაენახვებინა, თუ რისი გაკეთება შეეძლო.

**— იმედი გაქვთ, რომ ჩვენში რევოლუცია მშვიდობიან ფარგლებს არ გასცდება?**

— ამას უკვე მოვლენების განვითარება გვიჩვენებს. თუკი ხელისუფლება ხალხის ხოცვას დაიწყებს, ხალხი ამას არ შეეგუება და თავს კი არ დაუხრის, არამედ ეცდება, საკადრისი პასუხი გასცეს. ხალხის წინააღმდეგ მოქმედება ხელისუფლების გამარჯვებით არასდროს დამთავდება. მართალია, ისიც საკითხავია, ეს როდის მოხდება, მაგრამ როცა იქნება, მმართველ გუნდს პასუხი აუცილებლად მოეთხოვება.



**— ქვეყანაში პრობლემები ადრეც არსებობდა. აუცილებლად სხვა ქვეყნებში უნდა მომხდარიყო რევოლუციები, რომ ოპოზიციას ხელისუფლებისგან ცვილებები მოეთხოვა?**

— იცით, დროთა განმავლობაში, სიტუაცია უფრო დაიძაბა, თუმცა ჭკვიანი ადამიანები ამას ადრეც წინასწარმეტყველებდნენ. ქვეყნის პრეზიდენტი ცრუობს, როცა ამბობს, — ჩვენი ქვეყანა ბიზნესის კეთების სიმარტივით, პირველ ადგილზეაო: ეკონომიკური კვლევის ერთ-ერთი ორგანიზაციის მონაცემებით, მხოლოდ 152-ე ადგილზე ვართ! ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ჩამონათვალში ჩვენ წინ პოზიციებს იკავებენ: ბალტიისპირეთი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი. საქართველო მხოლოდ ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთსა და მოლდოვას უსწრებს. ამგვარად, ჩვენში ბიზნესის კეთება არ ყოფილა მარტივი. კიდევ ერთი ორგანიზაციის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით ჩვენზე წინ არიან: შრი-ლანკა, ნაურუ, სამოა... არადა, ყოველდღე ჩაგვძახიან, დემოკრატიის შუქურა ვართო!.. ის 4,5-მილიარდიანი დახმარება რომ არ გვქონოდა, კაცმა არ იცის, რა დღეში ჩავცვივდებოდით... სოციალური ფონი თანდათან დამძიმდა. ამას დაერთო ინფლაციის მაღალი დონე და საქართველოს ერთ სულ მოსახლეს წელს შარშანდელზე მეტად უჭირს.

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ ეკონომიკური კრიზისი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა...**

— ნუთუ?! ახლა რომ „აღმოაჩინა“, სოფლის მეურნეობის განვითარება პრიორიტეტული ყოფილა, ეს არაფერს გეუბნებათ?!. დეკემბერში დამტკიცებულ ბიუჯეტს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, იანვარში 200 მილიონი ლარი დაამატეს ანუ — ჯერ კიდევ დეკემბერში ეს თანხა გათვალისწინებული არ ჰქონდათ და უცებ რატომ გაუჩნდათ ეს აზრი?! მანამდე არ იცოდნენ, ქართველი გლეხი რა პირობებში ცხოვრობდა?!. ისე, ჭკუა რომ ჰქონდეთ, იმასაც უნდა ხვდებოდნენ — 200-მილიონიანი ერთჯერადი ინვესტიცია ქართულ ეკონომიკას ვერ უშველის... რამდენიმე წლის წინ საერთაშორისო ორგანიზაციები ყველა ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც, ურჩევდნენ, — სასურსათო საკითხს მიხედეთ, დეფიციტი გარდაუვალიაო... შარშან 25 ივლისს, „ეროვნულმა ფორუმმა“ სწორედ ამ საკითხზე ჩაატარა დიდი კონფერენცია, საიდანაც ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტი — სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია — გამოვიტანეთ. ამაზე წლების განმავლობაში ვმუშაობდით და, ჩვენი აზრი რომ გაეთვალისწინებინათ, 7 წელიწადში ქართულ სოფლის მეურნეობას ავაყვავებდით და აღარც სასურსათო პრობლემები შეგვექმნებოდა.

**— თუ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციები არ ჩაებმებიან, ხელისუფლება ოპოზიციას ანგარიშს თითქმის არასდროს უწევს. რატომ? ოპოზიცია სუსტია და ხელისუფლებაზე ზეწოლის მექანიზმი არა აქვს?.. და კიდევ: ახლა, როცა სოციალურ ბუნტზე ბევრს ლაპარაკობენ, პრეზიდენტმა განაცხადა, — ისეთი ოპოზიცია გვჭირდება, რომლის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაშიც ქვეყანა კატასტროფამდე არ მივაო...**

— სააკაშვილის გადასაწყვეტი არ არის, ქვეყანას რომელი ოპოზიციური პარტია მიიყვანს კატასტროფამდე. უკვე ცხადია, რომ ვითარება თავად მიიყვანა აქამდე. ფაქტების მოყვანითაც კი დავიღალე... ოღონდ სააკაშვილი წავიდეს და მე ვაძლევ გარანტიას, რომ ქვეყანა კი არ დაიღუპება, არამედ აღმასვლისა და განვითარებისკენ წავა... ამ საკითხს ქართველი საზოგადოება გადაწყვეტს, ოღონდ — მის გარეშე.

**— ვის მიიჩნევთ რეალურ პოლიტიკურ ძალად?**

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ეროვნულ ფორუმს“ ძალზე დიდი მხარდაჭერა აქვს. ასეთი კიდევ რამდენიმე პარტიაა. როგორც ქართველი ერი გადაწყვეტს, ისე იქნება. მოვლენათა ლოგიკური განვითარების წინააღმდეგ მოძრაობა დამღუპველია. მდიდარი საზოგადოება ხელისუფლებას არ ცვლის. საქართველოს მოსახლეობა იმ ზღვარს უახლოვდება, როცა ადამიანებს დასაკარგავი არაფერი აქვთ...

■


28 თებერვლიდან —
7 მარტამდე
ტომი 8
ოსკარ უაილდი
მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის
წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

# პატარა გოგონას დიდი ტკივილი

## როცა იმედი ჯერ კიდევ არსებობს

**როცა გაყინულ-გათოშილი, ჩემი რესპონდენტის ბინას მივადექი, ბინიდან გამოსულმა, ბავშვების მხიარულმა ჟივილ-ხივილმა გამათბო. ერთი წუთით დამავიწყდა კიდეც, თუ რისთვის მივდიოდი ამ ოჯახში... კარი თბილი და ლამაზი სახის მქონე ახალგაზრდა ქალბატონმა გამიღო; მომესალმა, — ქეთი ვარო და სასტუმრო ოთახში შემიძღვა... 2 პატარა გოგონა ფეხდაფეხ მოგვყვა და ბავშვური ცნობისმოყვარეობით მომაცქერდა...**

ლალი პაპასკირი



*— მე თამარი ვარ, — გამეცნო ლამაზი, შავგვრემანი გოგონა, პატარა თითები კეკლუცად მოკეცა და ასაკიც „გამიმხილა“, — 4 წლის ვარო... შორიახლოს პატარა მარიამიც ტრიალებდა, მაგრამ არ მომეკარა. სასტუმრო ოთახისკენ მიმავალმა, სამზარეულოში, მაგიდასთან მჯდომ გოგონასაც მოვკარი თვალი. მან დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შემათვალიერა და დედას ოთახში გამოყვანა სთხოვა... თიკო 11 წლისაა. მუხლებში ბოლომდე ვერ იმართება. ერთი ხელი დედისთვის ჰქონდა ჩაჭიდებული, მეორით კი კედელს ეყრდნობოდა. ჩემ წინ დაჯდა, ახლობელივით გამიღიმა და ჩამეხუტა, — გამარჯობა, მე თიკო მქვია... — მეტყველება უჭირდა და ბგერებს დაძაბული წარმოთქვამდა... ვიცოდი ამ ოჯახის გასაჭირის შესახებ, თითქოს შინაგანად მოვემზადე კიდეც, მაგრამ მაინც დავიბენი... ვცდილობდი, ისეთი შეკითხვები დამესვა, რომ ახალგაზრდა დედისთვის გული არ მეტკინა...*

*ქეთი მოსიაშვილი პროფესიით ექიმია — სტომატოლოგიური ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. პირველ შვილზე ფეხმძიმობისას, როგორც ყველა დედა, ისიც განსაკუთრებულად ფრთხილობდა, ექიმის ყველა რჩევას ითვალისწინებდა, მაგრამ...*

**ქეთი მოსიაშვილი:**

— თიკო დღენაკლული დაიბადა, თუმცა, ექიმების სწორი ჩარევის შემთხვევაში, ასეთი ჩვილები ჩვეულებრივ, ჯანმრთელები იზრდებიან... შვიდთვე-ნახევრის ფეხმძიმე ვიყავი, ნაადრევი მშობიარობის საფრთხის წინაშე რომ აღმოვჩნდი. ჩემს ექიმთან მივედი და ყველაფერი ავუხსენი. მიპასუხა, — საგანგაშო არაფერია, უბრალოდ, ვიდრე ნაყოფი 9 თვის გახდება, წოლითი რეჟიმი დაგჭირდებაო... მშვიდად ვიყავი, ვინაიდან ექიმი, რომელიც ავიყვანე, იმ კლინიკაში წამყვან სპეციალისტად იყო მიჩნეული. თან ნაცნობი იყო და ბრმად ვენდობოდი, იმედი მქონდა, რომ ყურადღებას არ მომაკლებდა... წოლითი რეჟიმის პარალელურად, მის ყველა მითითებას ზუსტად ვასრულებდი; მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, მშობიარობა მაინც დამეწყო. გართულებების გარეშე ვიმშობიარე. როგორც კი დაიბადა, ჩვეულებრივად წამოიტირა, ანუ მგრძნობელობის რეფლექსები ჰქონდა... რამდენიმე საათის შემდეგ შემომიყვანეს, — დედამ რძე უნდა მისცესო. გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, რომ დღენაკლული ბავშვი სანამ არ მოძლიერდებოდა, ინკუბატორში უნდა ჰყოლოდათ, თან წონითაც საკმაოდ პატარა — 2300 გ დაიბადა, მაგრამ დამამშვიდეს, — პედიატრმა გასინჯა და ყველაფერი ნორმალურად არის; ბავშვი ჰიპოქსიაში არ დაბადებულა, ჯანმრთელია და დედას შეუყვანეთო — უთქვამს... ორჯერ ისე ღონივრად მოქაჩა ძუძუს, გამიხარდა, ძლიერი ბავშვი ყოფილა-მეთქი. მაგრამ უეცრად სახე გაუწითლდა და თავი უკან გადაუვარდა... თავიდან ვერ მივხვდი, რა უნდა დამართვოდა. მოგვიანებით კი ნევროპათოლოგებმა ამიხსნეს, — ჩვილი ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო და თავს ძალა რომ დაატანა, ტვინში გაჟონვა მოხდაო. მათ მშობიარობამდე შექმნილი პრობლემის შესახებაც ვუამბე; ამიხსნეს, — როცა სანაყოფე წყლებს ღვრიდით, ბავშვს ჟანგბადი აკლდებოდა და მისი ტვინი შიმშილობდა, რის გამოც რამდენიმე მთავარი უჯრედი მოკვდაო... ერთი სიტყვით, ბავშვი იმ დღესვე გაითიშა. რეაქცია არაფერზე ჰქონდა, არ ტიროდა, არ იცინოდა, არც თვალს გვაყოლებდა, ხელ-ფეხსაც კი არ ამოძრავებდა. ყველანაირი რეფლექსი გაეთიშა. მხოლოდ სუნთქვაზე ვხვდებოდი, რომ ცოცხალი იყო. მერე კი გადაიყვანეს ინკუბატორში (დღენაკლულ ბავშვთა სტაციონარში) და ზონდით კვებავდნენ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო... სამშობიაროდან რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაგვწერეს. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი უბედურება. კლინიკიდან კლინიკაში, ოდნავ უკეთესი დიაგნოზის იმედით დავდიოდით... როცა 6 თვის გახდა, შევამჩნიე, რომ ვერ ჯდებოდა, თავიც უვარდებოდა. ვხვდებოდით, რომ ჩვენს თავს კარგი არაფერი ხდებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ სამედიცინო განათლების მიუხედავად, ასეთი დიაგნოზის მქონე ბავშვი ნანახი არასდროს მყავდა.

— **რატომ?**

— არ ვიცი, მათ შესახებ რაღაც კი გამეგონა, მაგრამ ფიზიკურად არასდროს მინახავს. რამდენიმე წლის წინ მშობლები ასეთი ბავშვების არსებობას რატომღაც მალავდნენ. ახლა სხვანაირი მიდგომაა მათ მიმართ, სკოლებში ინკლუზიური სწავლების მეთოდია დანერგილი და ასეთი დაავადების მქონე მოზარდები, ჯანმრთელი თანატოლების გარემოცვაში იმყოფებიან.

— **თიკო სკოლაში დაგყავდათ?**

— დიახ, ჩვეულებრივ სკოლაში დაგვყავდა. სხვათა შორის, ძალიან კარგი მეხსიერება აქვს, მაგრამ ერთსა და იმავე ფაქტზე დიდხანს ყურადღების კონცენტრირება უჭირს. როცა გარშემო მყოფები მისთვის რთულ თემაზე საუბრობენ ან მისთვის რთულად აღსაქმელი მოვლენა ხდება, აგრესია ეძალება და ამას საქციელითაც გამოხატავს: ყვირის, ხელებს სხეულზე გამეტებით იშენს ან გარშემო მყოფებს ჩქმეტს... როცა სკოლაში დაგვყავდა, რომ დაიღლებოდა, შესვენებების დროს ფსიქოლოგთან შემყავდა. თუკი მის დაინტერესებას მოახერხებდა, ჩუმდებოდა, თუ არა და — სახლში უნდა წამომეყვანა. ამიტომაც დავანებე თავი და ფსიქოლოგს სახლში ვიბარებდი, რომელიც თან წერა-კითხვასაც ასწავლიდა. წერა უჭირს, თითებს ვერ იმორჩილებს, მაგრამ 2 წლიდან უკვე ასოების გარჩევა ისწავლა... მეტყველება ძალიან უჭირს, მაგრამ მაინც უამრავი ლექსი იცის. ზოგი მასწავლებელმა ასწავლა, ზოგი — ბებიებმა, რაღაცებს მე და ჩემი მეუღლეც ვასწავლით... კარგად მღერის, საოცრად კარგი ხმა და სმენა აქვს...

*თიკო ხვდებოდა, რომ მასზე ვსაუბრობდით; როცა დედა აქებდა, თვალს ჩემკენ გამოაპარებდა, თითქოს ჩემს რეაქციას აკვირდებოდა... ჩვენ მიერ გამოხატულ სითბოს თავისი გულწრფელი და მადლიერი ღიმილით პასუხობდა. თან მორცხვობდა. მერე კი მუხრან მაჭავარიანის „ყაყაჩო“ წამიკითხა. როცა საბოლოოდ გამიშინაურდა, ჯანსულ ჩარკვიანის ლექსზე დაწერილი, ცნობილი და რთულად სამღერი — „ჩუმად გაგიყვან მინდორში“ იმღერა. გაოცებული შევცქეროდი ამ პატარა, ექიმების შეცდომის მსხვერპლად ქცეულ შავთვალება გოგონას, რომელიც დროდადრო, ნაღვლიან მზერას მომაპყრობდა, ზოგჯერ კი არაბუნებრივად გაიცინებდა... მერე დედამ დაუყვავა და სთხოვა, — ნუ ცელქობ, საუბარი გვაცადეო. თიკოსაც სახე წამში შეეცვალა და სერიოზული გახდა.*

**ქეთი:**

— საერთოდ, უცხო გარემოში ყოფნა არ უყვარს. ზოგჯერ ეზოში ჩავიყვან, სუფთა ჰაერზე და რამდენიმე წუთში სახლში აყვანას მთხოვს. აქ თავისი პატარა სამყარო აქვს შექმნილი. ხშირად, რამდენიმე ნივთს ამოიჩემებს და ხელიდან არ უშვებს. ცვლილებას ვერ იტანს. თუ ოთახში ნივთების განლაგებას შევცვლი, მაშინვე გააპროტესტებს და უამრავჯერ მკითხავს, — ის მაგიდა ან სავარძელი იქ რატომ დადგითო?.. სიხარულსაც თავისებურად გამოხატავს... თუ ერთხელ მოჰკრა ადამიანს თვალი, არასდროს ავიწყდება. ისეთი კარგი სმენა აქვს, ოჯახის წევრებს ფეხის ნაბიჯებზე გვცნობს... ვიდრე მამამისი სამსახურიდან არ დაბრუნდება, არ იძინებს, — ჯერ მამიკო უნდა ჩამეხუტოს და მერე დავიძინებო... ერთი პერიოდი ჩემზე იყო დამოკიდებული, ერთ ნაბიჯზე არსად მიშვებდა, არ მშორდებოდა, თითქოს რაღაცის ეშინოდა. მერე, როცა სამსახურში გავედი, დედაჩემს მიეკედლა. ახლა მას შესცქერის იმედიანი თვალებით. კარის გაღებისთანავე ხვდება, რომ მოვიდა და მაშინვე დაუძახებს, — ბებო, ჩამეხუტეო...

— **ქეთი, ტკივილიც აწუხებს?**

— ადრე არასდროს დაუწუწუნია, მტკივაო; ბოლო დროს რამდენჯერმე თქვა, — აქ მტკივაო და ფეხებზე გვანიშნა... მისი დაბადების შემდეგ იმდენად ვიყავი მის პრობლემებზე გადართული, რომ 6 წელი მეორე შვილის გაჩენაზე აღარც მიფიქრია... 3 წელი ახტალის ტალახებზე ვატარეთ. მერე ტარება რომ ველარ შევძელით, მამამისს ბიდონებით ჩამოჰქონდა ტალახი. ახლაც მამას დაჰყავს ექიმებთან ხელში აყვანილი... ამ უბედურებას თითქოს შევეგუე, მაგრამ ზოგჯერ მაინც მღალატობს ნერვები. როცა პირველად მივიყვანეთ რეაბილიტაციის ცენტრში, ექიმის კაბინეტიდან ჯოხებზე დაყრდნობილი, მუხლებში მოხრილი ბიჭი გამოიყვანეს. ექიმმა მითხრა, — თუ არ დამიჯერებთ, თქვენი შვილიც ასეთ მდგომარეობაში ჩავარდებაო... მე და ჩემს მეუღლეს ისტერიკა დაგვემართა. მერე კი ვინ იცის, რამდენჯერ მინახავს მსგავსი დიაგნოზის მქონე (ოღონდ სხვადასხვაგვარი გამოვლინებით), სხვადასხვა ასაკის ბავშვი, ზოგი — ასაკით უფროსი; ყველას ვაკვირდებოდი, ვფიქრობდი, — ამ ასაკში ჩემი შვილიც ასეთი იქნება-მეთქი... ცხოვრების გასაგრძელებლად ძალა არ მქონდა და დეპრესიაში ვიყავი, მაგრამ მეუღლე დამიდგა გვერდში, როგორც მორალურად, ისე — ფსიქოლოგიურად; მუდმივად მამხნევებდა, — თუ ძლიერები ვიქნებით, უფლის წყალობით, ყველაფერს გადავლახავთ და შვილს ფეხზე დავაყენებთო... ამიტომაც ვცდილობ, სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდე. იმედი არ დამიკარგავს, რომ ოდესმე ჩემი შვილი ფეხზე დადგება. არაფერი მინდა, ოღონდ მან დამოუკიდებლად გავლა და თავის მოვლა შეძლოს. როცა მშობლებს მისი მოვლის თავი აღარ გვექნება, არ მინდა, თავის დებს ტვირთად დააწვეს... თან, თიკოს გონებრივი პრობლემებიც აქვს. აღარც კი ვიცი, როგორ გითხრათ, ძნელია ასეთი ავადმყოფის მოვლა.

— **ვიცი, რომ ბავშვს ერთი ოპერაცია უკვე გაუკეთეთ...**

— დიახ, ოპერაცია 6 წლის წინ ერევანში გავუკეთეთ და შედეგიც გამოილო. ოპერაცია იქაურმა ქირურგმა, კარენ კალოიანმა ჩაატარა და ქვედა კიდურების სახსრებში, იქ, სადაც მყესები იხრება, კრისტალები ჩაუდგა. ექიმმა მაშინ ისიც გვითხრა, — როცა წამოიზრდება, მეორე ოპერაციაც აუცილებლად დასჭირდებაო. თიკომ უცებ აიყარა ტანი, სიმაღლეში წავიდა და ალბათ იმიტომაც დაეწყო ტკივილები... ამ რამდენიმე დღის წინაც ვესაუბრეთ ჩვენს ექიმს; გვითხრა, ოპერაცია სასწრაფოდ უნდა გაკეთდესო. მარტში თუ არ წავედით, შეიძლება, დაგვიანებულიც კი იყოს... თიკოს მუხლის ძვლები უნდა დაუმტვრიონ და თავიდან აუწყონ... დასავლეთში, უსახსრობის გამო ვერ წავალთ, თორემ ოპერაციას იქ ბევრად უკეთესი შედეგი ექნებოდა.

— **რა თანხაა საჭირო ოპერაციისთვის?**

— ოპერაციამდე, ბავშვის გარკვეული მომზადებაა საჭირო, ოპერაციის შემდეგ კი 3-კვირიანი რეაბილიტაციის კურსი და სპეციალური მასაჟი დასჭირდება... გარდა ამისა, უნდა შევიძინოთ ორტეზები — ეს არის სპეციალური ფეხსაცმელი, რომელიც ოპერაციის შემდეგ უნდა ჩავაცვათ... ეს ყველაფერი კი სულ, 6 ათასი დოლარი ჯდება... ამას წინათ ვნახე ბიჭი, რომელსაც თიკოსნაირი დიაგნოზი ჰქონდა. რამდენიმე ხნის წინ ასეთი ოპერაცია მასაც ერევანში გაუკეთებია და ჯოხებზე დაყრდნობით, მაგრამ მაინც დადის... იმედი გამიჩნდა, იქნებ ჩემს შვილსაც ეშველოს-მეთქი?! არ ვიცი, შეიძლება, ეს დედობრივი ეგოიზმის გამოვლინებაც იყო, და თუ ასეა, უფალი შემინდობს ამ „ცოდვილ ოცნებას“... რაც შეეხება მის გონებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ასეთი დიაგნოზის მქონე ბავშვებს უკრაინასა და გერმანიაში უკეთებენ ურთულეს, მაგრამ შედეგიან ოპერაციას, რომელსაც ღეროვანი უჯრედის გადანერგვა ჰქვია — ანუ ადამიანის ზურგის ტვინიდან იღებენ სითხეს, რომელიც ღეროვან უჯრედებს შეიცავს და მკვდარი უჯრედების აღდგენის უნარი აქვს. ეს სითხე ვენიდან





სისხლში შეჰყავთ, იქიდან კი ტვინს მიეწოდება. ამის შედეგად, ადამიანი გონებრივად ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ნორმალურად ვითარდება. ჩვენ მანამდე ჯერ შორი და ძნელი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ მე და ჩემს მეუღლეს იმედი არ დაგვიკარგავს. თუ ამ დღეს მოვესწარი, ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი დედა ვიქნები... თიკოს ძალიან დიდი ტკივილის ატანა შეუძლია უსიტყვოდ, მაგრამ ბოლო დროს ისე გაწვალდა, ექიმის დანახვაზე უკვე ისტერიკა ემართება. ასეთ დროს უფალი აძლიერებს ადამიანს, თორემ მშობლებისთვის, ასეთ მდგომარეობაში შვილის ყურება საკმაოდ ძნელია. ბავშვი იზრდება და დღითი დღე ძნელი მოსავლელი ხდება...

*მოსიაშვილების ოჯახიდან გამოსული, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი: თუ უფალი ჯანმრთელობას მოგმადლებს, ყოფითი პრობლემების გამო ნაკლებად უნდა იწუწუნო... და კიდევ — ადამიანურ სითბოსა და თანაგრძნობას, მორალურ თუ მატერიალურ მხარდაჭერას განსაცდელში მყოფი ადამიანი არაერთხელ დაუყენებია ფეხზე. იმ იმედით, რომ პატარა თიკოს გასაჭირს მკითხველი გულთან ახლოს მიიტანს, მისი ანგარიშის ნომერს ვაქვეყნებთ, — იქნებ ერთად შევძლოთ ამ პატარა გოგონას ფეხზე დაყენება...*

**„ტაოპრივატბანკი“ — ანგარიშის ნომერი:**
*GE48TP0036080040000819*
**ბანკის კოდი:**
CAVOGE22
**სატელეფონო ზარი (ზარის ღირებულება — 1 ლარი):**
**„მაგთი“, „ჯეოსელი“, „ბილაინი“ — 700-580**

■



# „არა“ და მისი 10 „მცნება“

## „სასამართლოში რომ ვიჩივლო, აქეთ დამდებენ რაიმეში ბრალს“

**„არა“ ხელისუფლების წარმომადგენლებს ახალ სიურპრიზს უმზადებს. როგორც უკვე ცნობილია, მოძრაობამ კინოს სახლში თანამდებობის პირთა მშენებარე და აშენებული სახლების ფოტოგამოფენა მოაწყო. მოძრაობის წევრები დიღომში, კოჯორსა და თბილისის ცენტრალურ უბნებში განთავსებულ სასახლეებს 6 თვის განმავლობაში უღებდნენ სურათებს. მათი თქმით, ჩინოვნიკებმა — ვანო მერაბიშვილმა, ცეზარ ჩოჩელმა, ძმებმა ბეჟუაშვილებმა, კოტე კუბლაშვილმა, დავით ბაქრაძემ, დავით კეზერაშვილმა, პეტრე ცისკარიშვილმა, გიორგი ბარამიძემ მდიდრული სახლები უკანონოდ ნაშოვნი ფულით აიშენეს. „არას“ ხელმძღვანელი, ლევან ჩიტაძე ამბობს, რომ უახლოეს მომავალში სხვა თანამდებობის პირთა მშენებარე სასახლეების ფოტოგამოფენასაც მოაწყობს და საზოგადოებას იმ კორუმპირებული ჩინოვნიკების ვინაობასაც გაუმხელს, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს სჩადიან.**

*ხათუნა ბახტურიძე*

*კიდევ ვისი ქონების გამომზეურებას აპირებენ „არას“ წარმომადგენლები და კიდევ რაში ხედავენ საკუთარ დანიშნულებას ამ მოძრაობის მესვეურები? — ამ და სხვა კითხვებით მოძრაობის ხელმძღვანელს ლევან ჩიტაძეს მივმართე.*

— **ლევან, კიდევ რა სიურპრიზს უმზადებთ ხელისუფლებას?**

— ხელისუფლებისთვის ძალიან ბევრ სიურპრიზს ვამზადებთ. უახლოეს მომავალში მოვაწყობთ გიგი უგულავას, ლადო გურგენიძის, გიგა ბოკერიას, დავით კირკიტაძისა და ვანო მერაბიშვილის ვილებისა და სასახლეების გამოფენას. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ხელისუფლება, რომელიც მოქალაქეებს 20 და 30-ლარიან ვაუჩერებს სამადლოდ ურიგებს, თავად ფუფუნებაში ცხოვრობს.

— **ვანო მერაბიშვილის სახლის ფოტოები უკვე ხომ გამოფინეთ?**

— კი, მაგრამ მას სხვა ვილებიც აქვს. ადრეც გვქონდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარი მოქალაქეების ხარჯზე მდიდრდებოდნენ და სასახლეებს იშენებდნენ, მაგრამ ამის გამომზეურებას ჯერ არ ვაპირებდით. პარლამენტში გამართულმა დებატებმა აზრი შეგვაცვლევინა. ოპოზიციის წარმომადგენლები ელიტურ კორუფციაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ პრეზიდენტმა მოსთხოვა თუ არა კონკრეტული კორუმპირებული პირების დასახელება, მაშინვე უკან დაიხიეს და ბოდიში მოიხადეს. სააკაშვილი მართალი იყო, როდესაც თქვა, რომ ის თავის დროზე, კორუმპირებულ პირებს კონკრეტული ფაქტებისა და დოკუმენტების საფუძველზე ამხელდა. დღევანდელმა ოპოზიციამ ეს ვერ შეძლო, პრეზიდენტის კითხვას პასუხი ჩვენ გავეცით.



— **გიორგი ბარამიძის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ კოჯორში მდებარე სახლი, რომელიც მოძრაობის წარმომადგენლებმა ბარამიძის საკუთრებად გაასაღეს, ვიცე-პრემიერს არ ეკუთვნის...**

— ვიცი. მსგავსი ინფორმაცია ვანო მერაბიშვილის პრესცენტრმაც გაავრცელა. მათ თავიანთი ქონება ნათესავებზე აქვთ გაფორმებული. ტელეკომპანია „მაესტროს“ შენახული აქვს ჩანაწერი, რომელშიც მერაბიშვილის სახლის მშენებლობაზე მომუშავე მუშა ამბობს, — ეს სახლი ვანოს ბიძაშვილზეა გაფორმებული და ნეტავ როგორ დაამტკიცებენ, მისი რომ არისო? საკუთარი ქონების ახლო ნათესავებზე გადაფორმება აპრობირებული მეთოდია. სააკაშვილი „დიღომი 8“-ში თავისი კერძო სახლიდან 200 მეტრის მოშორებით, სანდრა რულოვსს შუშისგუმბათიან სასახლეს უშენებს. სააკაშვილებს არც ეს ქონება აქვთ გატარებული დეკლარაციაში, მაგრამ ჩვენ მათი მეზობლებისგან შევიტყვეთ, რომ რულოვსი სასახლის მშენებლობაზე ხშირად დადის და მუშებს მითითებებს აძლევს. სამწუხაროდ, ამ სასახლის სურათები ვერ გადავიღეთ, იმიტომ, რომ შლაგბაუმებით არის გარშემორტყმული და 15 თუ 20 კაცი სდარაჯობს. როდესაც სურათის გადაღება დავაპირე, დაცვამ ალყაში მომაქცია და ფოტოაპარატი წამართვა. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც ჯერ გიორგიდ გამეცნო, შემდეგ — შალვად, გარიგება შემომთავაზა: ან ერთ ადგილზე უნდა ვმდგარიყავი, ვიდრე არ მომბეზრდებოდა, ან ავტომობილში ჩავმჯდარიყავი და მას დილმის გადასახვევამდე გავეცილებინე. თავიდან კი ვიფიქრე, ავტომო-

ბილში არ ჩავჯდები-მეთქი, მაგრამ ძალიან შემცივდა, ერთ ადგილზე გაუნძრევლად დგომა ვეღარ შევძელი და „გიორგი-შოთამ" თავისი ავტომობილით ქალაქამდე მომიყვანა. სხვათა შორის, ფოტოაპარატიც დამიბრუნა. გიგი უგულავას, ლადო გურგენიძის, გიგა ბოკერიას და დავით კირკიტაძის სახლების ფოტოების გამოფენა ხელისუფლებისთვის ერთადერთი სიურპრიზი არ იქნება. გვაქვს ინფორმაცია, რომ ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსულ ჩეჩნებს იტაცებენ და რუსეთის ხელისუფლებას ფარულად გადასცემენ.

**— ამ ბრალდებას როგორ დაამტკიცებთ?**

— ყველაფერს დოკუმენტური მასალებით დავამტკიცებთ. სხვათა შორის, ამ საკითხზე ჩვენ გარდა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც მუშაობენ.

**— იქნებ თქვენი მოძრაობის შესახებაც გაგვიმხილოთ რაიმე? მაგალითად — ვინ დგას თქვენ უკან, ვინ გაფინანსებთ, რა მიზნები და ამოცანები გაქვთ?..**

— მოძრაობა „არას" წევრები 2-3 წლის წინ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში ვიყავით გაერთიანებული. ერთმანეთი სხვადასხვა კონფერენციასა და საპროტესტო აქციაზე გავიცანით (მე ერთხანს მოძრაობის — „1978-ქართული ენის დაცვისთვის" წევრი ვიყავი, შემდეგ — „კულტურულ-დემოკრატიული" კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უფრო მოგვიანებით მოძრაობის — „შემოგვიერთდი" ხელმძღვანელი). ძირითადად, სტუდენტების უფლებებს ვიცავდი, ზოგი — პოლიტპატიმრების უფლებებისთვის იბრძოდა... საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ ერთიანი ორგანიზაცია შეგვექმნა და ნებისმიერი უსამართლობის წინააღმდეგ გვებრძოლა.

**— თქვენს მოძრაობას ვინ აფინანსებს?**

— მოძრაობა „არას" ოფისი განთავსებულია წინამძღვრიშვილის ქუჩის №65-ში. ეს არის ჩვენი მეგობრისა და მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის საცხოვრებელი ბინა. მისმა მშობლებმა სახლის მეორე სართული მთლიანად დაგვითმეს და არც კომუნალურ გადასახადებს გვახდევინებენ. გზის ხარჯებს თავადვე ვცისრულობთ. გრანტი ჯერჯერობით არ გვაქვს მიღებული, მაგრამ ახლახან მოძრაობის რამდენიმე წევრმა გარკვეულ პროექტებზე დავიწყეთ მუშაობა. პირადად მე სოციოლოგიური ცენტრის ჩამოყალიბებას ვფიქრობ. პოლიტიკური პარტიები ხშირად უნდობლობას უცხადებენ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელისუფლების დაკვეთით ატარებენ კვლევებს. ჩვენ ყველა პოლიტიკურ პარტიას, მათ შორის სახელისუფლებოსაც შევთავაზებთ, მონაწილეობა მიიღონ ჩვენ მიერ პარალელურ რეჟიმში ჩატარებულ კვლევაში.

**— მოძრაობას „არა" რატომ დაარქვით?**

— „არა" ასე იშიფრება: ახალგაზრდა რეფორმატორთა ალიანსი. გარდა ამისა, ეს არის საპროტესტო სიტყვა. ჩვენს მოძრაობას აქვს თავისი 10 (პოლიტიკური) „მცნება" — არა, პოლიტიკურ პოლიციას, არა უსამართლო სასამართლოს, არა პოლიტპატიმრებს, არა დიქტატურას, არა შიმშილს, არა ომს...

**— ომზე უარი მაშინაც უნდა ვთქვათ, როდესაც ქვეყანას აგრესიული მეზობლისგან თავის დაცვა სჭირდება?**

— ალბათ, 2008 წლის მოვლენებს გულისხმობთ. ვფიქრობ, რომ ომზე უარი მაშინაც უნდა გვეთქვა. მაქვს ინფორმაცია, რომ აგვისტოს ომი ჩვენი მხრიდანაც იყო პროვოცირებული. ქართული მხარე აქტიურად ბომბავდა ოსურ სოფლებს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ახლა ანტისახელმწიფოებრივი განცხადება გააკეთეთ?**

— ნახევრად ოსი ვარ, დედაჩემი გვარად ბესტაევაა, ჩემი ნათესავები ჯავისა და ახალგორის რაიონებში ცხოვრობენ და ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ ხსნიდა ცეცხლს ქართული მხარე ოსური სოფლების მიმართულებით.

**— ის არა გაქვთ ნანახი, როგორ ხსნიდნენ ცეცხლს ოსი სეპარატისტები ქართული სოფლების მიმართულებით, ან ქართველ მშვიდობიან მოსახლეობას როგორ იტაცებდნენ ოსური ბანდფორმირებები?**

— კი, ესეც ნანახი მაქვს. კონფლიქტის ზონაში ყოველდღე 11, 12 საათისთვის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართულებით ხან ოსური მხარე ხსნიდა ცეცხლს და ხან — ქართული. ამ



ყველაფერს ხალხი ისე შეეჩვია, რომ დაღამებისთანავე მშვიდად და აუღელვებლად ჩადიოდა სარდაფში. მიხეილ სააკაშვილს იმის პრეტენზია აქვს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს პრეზიდენტია, რომელსაც კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება სურს, ამიტომ მოსკოვის მარიონეტი კოკოითივით არ უნდა იქცეოდეს.

**— სეპარატისტების სურვილი — ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება მართებულად ხომ არ მიგაჩნია?**

— არა, რას ამბობთ?! მე ტერმინსაც — „სამხრეთი ოსეთი" არ ვაღიარებ. სამხრეთი ოსეთი არ არსებობს, ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელსაც კოკოითის რეჟიმი აკონტროლებს, „ქართლი" ჰქვია. ე.წ. სამხრეთი ოსეთის „სამაჩაბლოდ" მოხსენიებაც არასწორია: სამაჩაბლო მხოლოდ ერთი პატარა კუთხეა. ეს იგივეა, თბილისს „ისანი" რომ დავარქვათ. ქართლი მთლიანად საქართველოს კუთვნილებაა, იქ არსებული კონფლიქტები კი რუსეთის იმპერიის მიერ ხელოვნურადაა შექმნილი.

**— როგორ ფიქრობ — არის თუ არა ხელისუფლება ვალდებული, საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება უზრუნველყოს?**

— ვალდებულია. სააკაშვილს ამის სურვილი რომ ჰქონოდა, უზრუნველყოფდა კიდეც. ჩემი აზრით, მან რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი, როდესაც კონფრონტაციაში ჩაერთო. 2006 წელს თბილისში შამბა ჩამოვიდა, შარდენზეც კი ისადილა — ეს ცნობილი ფაქტია. სწორედ მან ჩამოიტანა ძალიან სერიოზული დოკუმენტი, რომელსაც „მომავლის გასაღები" ერქვა და ითვალისწინებდა: თავისუფალი ეკონომიკური ზონების გახსნას, შეცდომების აღიარებას, შავი ზღვის ევროკავშირთან ინტეგრაციას, რკინიგზის გახსნას, „ენგურჰესის" უფრო ეფექტურ ექსპლუატაციასა და კიდევ უამრავი სხვა საკითხის გადაჭრას. იქ მიუღებელი პუნქტებიც იყო, მაგრამ ამ დოკუმენტის საფუძველზე დიალოგის დაწყება მაინც შეიძლებოდა. სააკაშვილი არ შეხვდა შამბას, უფრო მეტიც — იმ დღეს, მაშინდელ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად, სენაკის ბაზაზე წავიდა. საინტერესოა, რატომ წავიდა მაინცდამაინც იმ ბაზაზე, რომელიც ყველაზე ახლოს არის აფხაზეთთან?!. მას აშკარად, საომარი რიტორიკა ჰქონდა არჩეული და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე არც კი ფიქრობდა. 2008 წლის ომის შედეგებით ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა კარგად ისარგებლეს.

**— რას გულისხმობ?**

— როდესაც ომი დასრულდა მრავალ მსხვილ კომპანიას ხელისუფლებამ უამრავი ფული „შეაწერა" იმისთვის, რომ წეროვანში დევნილებისთვის ბარაკები აეშენებინა. ზოგიერთ კომპანიას 6 სახლის აშენება დააკისრეს, ზოგს — 5, ზოგსაც — 7. ოფიციალური მონაცემებით, თითოეული კოტეჯის აშენება 35-დან 38 ათას დოლარამდე დაჯდა. ჩვენ ექსპერტებს დავათვლევინეთ, რეალურად, რა თანხა დაიხარჯებოდა. გაირკვა, რომ მსგავსი კონსტრუქციის სახლის აშენება დღესაც კი (უკვე გაზრდილი ფასების გათვალისწინებით) 7 ათასი დოლარი ჯდება. აღსანიშნავია ისიც, რომ აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში, განსაკუთრებით რეგიონებში კერძო სახლების ფასები კატასტროფულად დაეცა. თქვენ შეგიძლიათ, არქივში მოიძიოთ იმ პერიოდში გამოსული გაზეთის — „სიტყვა და საქმე" რამდენიმე ეგზემპლარი და ნახოთ, რომ კახეთში, მარნეულში, წალკაში, ჯავახეთში კერძო სახლები, თავისი კარმიდამოთი, 2, 3 ან 4 ათასი დოლარი ღირდა. ძალიან მაინტერესებს, რატომ არ უყიდა ხელისუფლებამ დევნილებს 2-დან 4 ათას დოლარამდე ღირებულების ორსართულიანი, ბაღვენახიანი სახლები და რატომ შეყარა ეს გამწარებული ხალხი ძვირად ღირებულ „ბარაკებში"?! გასათვალისწინებელია ისიც, რომ წეროვანში დევნილებს ძალიან პატარა მიწა აქვთ და ისიც ხრიოკი და მოუსავლიანია. ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ ომამდე რამდენიმე თვით ადრე, ცეზარ ჩოჩელმა მიწა, სადაც ახლა დევნილების „ბარაკებია", სახელმწიფოსგან მილიონნახევარ დოლარად იყიდა, ომის შემდეგ კი 25 მილიონად უკანვე მიჰყიდა.

**— ეი. ფიქრობ, რომ ხელისუფლებამ ომი გამდიდრების მიზნით წამოიწყო?**

— დიახ, თუმცა ეს ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი არ არის. ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ქართულ ოპოზიციაში შემოპარულ რუსეთის აგენტებზე; ოპოზიციაში აგენტების არსებობას არც მე ვუარყოფ, ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერი ლიდერი კრემლის დავალებებს ღიად ასრულებს, მაგრამ რა ვქნა — მე სააკაშვილიც რუსეთის აგენტად მიმაჩნია.

**— პრეზიდენტს მეზობელი სახელმწიფოს აგენტობაში ადანაშაულებ, ჩინოვნიკთა უმრავლესობას კორუფციაში სდებ ბრალს — ამ ყველაფრის ფონზე იმის მტკიცება, რომ ჩვენს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება არ არის, ლოგიკურად მიგაჩნია?**

— არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც შორიდან ჩანს. არაერთხელ უცდიათ ჩემი დაშინება. ტელეფონით, საკმაოდ ხშირად მემუქრებიან შსს-ს მაღალჩინოსნები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვანო მერაბიშვილის სასახლის ფოტოები გამოვაქვეყნეთ. ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, პოლიციის განყოფილებაშიც არაერთი ღამე გამიტარებია, სრულიად უსაფუძვლო ბრალდებით. იარაღსა და წამალს ვერ ჩამიდებენ, ამიტომ ხშირად, პოლიციის დაუმორჩილებლობას მაბრალებენ. ვიცი, უსამართლოდ დაკავების გამო სასამართლოში რომ ვიჩივლო, აქეთ დამდებენ რაიმეში ბრალს, ამიტომ ასეთ ფაქტებს „ჰიუმან რაიტს ვოტჩს" ვაცნობებ ხოლმე.

**— იარაღს ან ნარკოტიკს რატომ ვერ ჩაგიდებენ?**

— იმიტომ, რომ ნარკოლოგიურში სისტემატურად დავდივარ და სისხლის ანალიზს ვიტარებ. ცნობილი ფაქტია, რომ პოლიციელები „გასაფუჭებელ" პირებს 2 ან 3 დღის განმავლობაში მწყურვალს ამყოფებენ, მერე ასმევენ წყალს, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერებაა ჩაყრილი, და ამის შემდეგ მიჰყავთ ნარკოლოგიურში. მე ასეთი შემთხვევისგან დაზღვეული ვარ. იარაღსაც ვერ ჩამიდებენ, იმიტომ რომ მარტო, მეგობრების გარეშე არასდროს დავდივარ და შესაბამისად, მოწმეც ყოველთვის მყავს. სხვათა შორის, უკვე რამდენიმე თვეა, რაც საკუთარ სახლში არ მძინავს. ყოველღამე სხვადასხვა მეგობართან ვრჩები. ამ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია ნამდვილად არ არის: ადამიანები, რომლებიც ჩემსავით, საჯაროდ ამხელდნენ ჩინოვნიკებს, დღეს პოლიტპატიმრები არიან. ამჟამად 405 ადამიანი მხოლოდ იმიტომ ზის ციხეში, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება აქვს, ან უბრალოდ, ხელისუფლებისგან ფული არ „შეიწერა".

**— ოფიციალურად, რამდენი პოლიტპატიმარია დარეგისტრირებული?**

— ამჟამად, სულ 54 პოლიტპატიმარია დარეგისტრირებული, რომელთა საქმეებიც უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა შეისწავლეს. შარშან გამართული აქციების დროს დაპატიმრებული ადამიანებიდან 7 უკვე გათავისუფლებულია. იმედი მაქვს, მათი რიცხვი კიდევ გაიზრდება. მელორ ვაჩნაძე, ლევან გოგიჩაიშვილი, შაკო გოგინაშვილი, მამუკა შენგელია, ვახტანგ მაისაია... სრულიად უდანაშაულონი არიან.

**— ვახტანგ მაისაია რუსეთის აგენტობაშია დადანაშაულებული...**

— კი, მაგრამ „ჰიუმან რაიტს ვოტჩმა" მის შესახებ გამოძიება უკვე ჩაატარა და დაასკვნა, რომ რუსეთის აგენტი კი არა, პოლიტპატიმარია. ის ძალიან ჭკვიანი სამხედრო ექსპერტია, რომელმაც აგვისტოს ომთან დაკავშირებით, ერთობ საინტერესო კვლევები ჩაატარა. სწორედ ამის გამო დაიჭირეს. სააკაშვილის ხელისუფლებას ეშინია ჭკვიანი ადამიანების, რომლებსაც ვერ აკონტროლებს. ■

# „ბომონდის“ მარტის ნომერი



# „წიგნის ბუმი“ და „საგანძურთან“ დაკავშირებით გაჩენილი კითხვები

**პროექტი — „ქართული პროზის საგანძური“, რომლის დაწყებიდანაც 4 მარტს ერთი წელიწადი შესრულდა, იმთავითვე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. პირველ რიგში იმით, რომ ჟურნალთან ერთად, ყოველკვირა, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშის შეძენის შესაძლებლობა მისცა მკითხველს, ამასთან, დღევანდელი ბაზრისთვის უჩვეულოდ ხელმისაწვდომი ფასით გაახარა წიგნის მოყვარულები. დღემდე 53 ტომია გამოცემული და მადლიერი მკითხველები ხშირად გვეხმიანებიან — თუ ტელეფონით, თუ ელექტრონული ფოსტით და თუ რედაქციაში მობრძანებით. უმეტესად, მადლობას გვეუბნებიან, ხშირად შეკითხვას გვისვამენ, არ დავმალავთ — საყვედურებიც მოგვისმენია, პირველად — მაშინ, როცა წიგნი ყველა მსურველს არ შეხვდა და ტირაჟი უპრეცედენტოდ გავზარდეთ... ახლა ბევრი იმას გვეკითხება — როდის დასრულდება პროექტი და სულ რამდენი ტომი გამოვა. ამ შეკითხვებზე „პროზის“ სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი, ზურაბ აბაშიძე გიპასუხებთ:**




*ნათია ჟივიძე*

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, მადლობა მოვახსენო მკითხველ საზოგადოებას პროექტის მხარდაჭერისთვის, შენიშვნებისთვისაც და სურვილებისთვისაც. აქვე გავცემ პასუხს შეკითხვას, რომელსაც ბოლო დროს ყველაზე ხშირად გვისვამენ: „ქართული პროზის საგანძურის“ გამოცემა აპრილ-მაისის მიჯნაზე დასრულდება, ხოლო ტომების საერთო რაოდენობა 60-ს ან მაქსიმუმ, 62-ს მიაღწევს. ამჯერად ზუსტ ციფრს იმიტომ ვერ ვასახელებ, რომ ერთ-ორ მწერალთან (ან მემკვიდრესთან) საბოლოო შეთანხმებას დღე-დღეზე ველოდებით. „საგანძურში“ მათი ნაწარმოებების მოხვედრა ჩვენც ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია და მკითხველსაც გაახარებს... ესეც რომ არ იყოს, ვფიქრობ, დასაწყისში გამოთქმული დანაპირები (რომელიც პროექტის ერთ-ერთ სლოგანადაა გამოხატული: „ყოველკვირა ერთი წიგნი, წლის ბოლოს — მთელი ბიბლიოთეკა“) შევასრულეთ. ამდენად, შეგვიძლია, თამამად ვთქვათ: „პალიტრის“ მედიასახლის წამოწყებამ — არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ფასად შეგვეთავაზებინა თანამედროვე დიზაინის, რბილყდიანი და სპეციალურ, საწიგნე ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნები, მართლაც შეუფასებელი ქართული ლიტერატურა პრესასთან ერთად — ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ამ წამოწყების წარმატებაზე ისიც თვალნათლივ მოწმობს, რომ როგორც ხდება ხოლმე, ჩვენს გამოცემებს ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა... სხვათა შორის, ბევრი მყიდველისგან მსმენია, რომ „საგანძურის“ ორ კომპლექტს აგროვებს: თავისთვის და დაოჯახებული თუ უბრალოდ, ზრდასრული შვილისთვის. ახალგაზრდა ოჯახებმა ფაქტობრივად, ჩვენი „საგანძურით“ დაიწყეს საკუთარი ბიბლიოთეკის შექმნა.

**— კიდევ რა შეკითხვებით მოგმართავენ მკითხველები?**

— არიან ავტორები, რომლებიც, საყოველთაო აზრით, „ქართული პროზის საგანძურში“ აუცილებლად უნდა გვეხვილა, მაგალითად — ჭაბუა ამირეჯიბი, ჯემალ ქარჩხაძე. ამ საკითხში ჩვენ — სარედაქციო კოლეგია — და მკითხველები ერთსულოვანნი ვართ, მაგრამ ბატონი ჭაბუაც და ბატონი ჯემალის შვილიც თავად გამოსცემენ წიგნებს და სამწუხაროდ, ჩვენს პროექტში მონაწილეობა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს...

**— ცნობილია, რომ ბევრმა მკითხველმა ზოგიერთი ნაწარმოების ორ ან სამ ტომად გამოცემა გააპროტესტა...**

— მართალია. მაგრამ ბევრი ვერ ითვალისწინებს ფორმატის სპეციფიკას: როგორც უკვე აღვნიშნე, ამჯერად ავირჩიეთ რბილყდიანი წიგნის ფორმატი, რომელსაც გარკვეული შეზღუდვა ახლავს გვერდების რაოდენობის მხრივ: მკითხველს ხომ წიგნის კითხვა უნდა სიამოვნებდეს?! გარდა ამისა, არ გვინდოდა, შეუფერებელი სისქის გამო, ცოტა ხანში დაზიანებულიყო. სწორედ ამ მიზეზით, გრიგოლ აბაშიძის „ცოტნე“ და ლევან სანიკიძის „წიგნი მოწამეთა“ 2-2 ტომად დავყავით. რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებასა“ და ოთარ ჭილაძის რომანს — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ — ორივე მათგანი მოცულობით თითქმის თანაბარი 3 ნაწილისგან შედგება და ამ დიდი ნაწარმოებების ორად გახლეჩა გაუმართლებელი იქნებოდა.

**— ასე და ამგვარად, „ქართული პროზის საგანძური“ აპრილის ბოლოს დასრულდება. კვლავაც თუ შესთავაზებს „გზა“ მკითხველს წიგნებს?**

— დიახ, ჟურნალთან ერთად, კვლავ ვაპირებთ მხატვრული ლიტერატურის გამოცემას. ამჯერად მხოლოდ ერთი ცნობით შემოვიფარგლები: პროექტი, რომელიც „საგანძურის“ შემდგომ ჩვენს ჟურნალთან ერთად განხორციელდება, ასევე ძალზე ღირებული, უფრო მრავალფეროვანი ლიტერატურის ნიმუშებს შესთავაზებს საზოგადოებას და იმედია, მკითხველი კვლავაც ხშირად გამოგვეხმაურება, რათა გაგვიზიაროს საკუთარი შეხედულება და გვირჩიოს, რა გზით ვიაროთ ერთად. ■

რადიო თავისუფლება
radiotavisupleba.ge
უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!
რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!
ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.




გთხოვთ დარეკოთ



# სახე

# მამაკაცების თვალით დანახული პოლიტიკოსი ქალბატონები

## ანუ ყველაზე ლამაზი, სექსუალური, სკანდალური

**ქართული პოლიტიკური სპექტრი ქალბატონების სიმრავლით ნამდვილად არ გამოირჩევა. მაგალითად, მინისტრთა კაბინეტის 19 წევრისგან, ქალბატონი მხოლოდ სამია, ხოლო საკანონმდებლო ორგანოში 9 ქალი პარლამენტარია. ამ მხრივ სიმცირეა ოპოზიციაშიც.**

**ვერა ქობალია, ხათუნა კალმახელიძე, ნინო კალანდაძე, ნინო ბურჯანაძე, რუსუდან კერვალიშვილი, ეკა ტყეშელაშვილი, მაგდა ანიკაშვილი, ინგა გრიგოლია, მარიკა ვერულაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, ეკა ზღულაძე, ეკა ხერხეულიძე, თინა ხიდაშელი — ეს ქართველ პოლიტიკოს ქალბატონთა არასრული ჩამონათვალია. ზოგიერთი მათგანი საზოგადოების სიმპათიით სარგებლობს, ზოგიერთი — პირიქით. ჩვენ მათთვის ნომინაციები დავაწესეთ და გამოკითხვა ჩავატარეთ. გაინტერესებთ, ვინ არის ყველაზე ლამაზი, განათლებული, გემოვნებიანი, არაორდინარული, ტრადიციული, სკანდალური, სექსუალური? ჩემი რესპონდენტები მხოლოდ მამაკაცები არიან. ვნახოთ, როგორები არიან მათი თვალით დანახული პოლიტიკოსი ქალბატონები.**

*თამუნა კვინიკაძე*

*თავდაპირველად ცნობილ მამაკაცებს დავუკავშირდი, მაგრამ რამდენიმე მათგანმა გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარი მითხრა. ყოველთვის ენაწყლიანმა თენგო გოგოტიშვილმა, — ოღონდ ქალებს ნუ გადამკიდებ და სხვა თემაზე რაც გინდა, ის მკითხეო. დახმარება შევთავაზე, თუ გინდა, სავარაუდო კანდიდატებს ჩამოგითვლი-მეთქი. დამთანხმდა, მაგრამ როცა ვკითხე, მათ შორის ყველაზე ლამაზი რომელია-მეთქი? — კითხვა უპასუხოდ დატოვა. გემოვნებიან ქალბატონად ნინო ბურჯანაძე დაასახელა. ახსნა კიდეც — მის ჩაცმულობას არასდროს გავულიზიანებივარო. ყველაზე არაორდინარულ პოლიტიკოსად ირინა სარიშვილი დაასახელა, განათლებულად — ფიქრია ჩიხრაძე. ყველაზე მეტად სექსუალური ქალბატონის დასახელება გაუჭირდა. ბევრი იფიქრა, მაგრამ ასეთი ვერც მინისტრთა კაბინეტში იპოვა, ვერც — პარლამენტსა და ვერც — საკრებულოში. ბოლოს დაასკვნა, ვერა ქობალიაა „მიახლოებული ვარიანტი“, ისე კი სექსი და პოლიტიკა ერთმანეთისგან ძალიან შორს დგასო. თენგოს რა უჭირდა, „ქალების გადაკიდებისგან“ თავი კობა ხაბაზმა უფრო შეიკავა, ყველანი კარგები და მშვენიერები არიან, 3 და 8 მარტის დღესასწაულებს, მათთან ერთად თქვენი რედაქციის ქალბატონებსაც გილოცავთ, სიხარული და სიკეთე არ მოგკლებოდეთ, ყველას წარმატებას გისურვებთო, მითხრა და ბოდიშის მოხდით დამემშვიდობა. ნიკა არაბიძე, ანრი ჯოხაძე და მამუკა ლომაშვილი კი აი, რას ფიქრობენ:*





### „მის სილამაზე“

**ნიკა არაბიძე,** *„კომედი-შოუს“ მსახიობი:*

— ამ ნომინაციას ინგა გრიგოლიას მივაკუთვნებ (იმიტომ არა, რომ ვმეგობრობთ), ინგა ქარიზმატული ადამიანია. დარწმუნებული ვარ, მას ჩემ გარდა ბევრი დაასახელებს.

**ანრი ჯოხაძე,** *მომღერალი:*

— რა ვიცი აბა, ვინ დავასახელო? კლიპი რომ გადავიღე, ნინო ბურჯანაძეზე ლამაზი „ბურჯანაძე“ მე ვიყავი (*იცინის*). მინდა, ობიექტური ვიყო (*პაუზის შემდეგ*): მაგდა ანიკაშვილს დავასახელებ. მშვენიერი ქალია.

**მამუკა ლომაშვილი,** *იუმორისტი:*

— „მის სილამაზე“ მარიკა ვერულაშვილია. არა მხოლოდ ლამაზი, ის კარგი ადამიანია, სიმპათიით ვარ განწყობილი.

### „მის გემოვნება“

**ნიკა არაბიძე:**

— ხათუნა გოგორიშვილი. საერთოდ მიმაჩნია, რომ კარგი პიროვნებაა.

— **ყველაზე უგემოვნო?**

— ძალიან გთხოვ, ახლა ყველაფერს ნუ მათქმევინებ (*იცინის*).



**ანრი ჯოხაძე:**

— გემოვნება მხოლოდ კარგად ჩაცმით არ განისაზღვრება. ლაპარაკის მანერა, სტილი, ქცევები... მოკლედ, რუსუდან კერვალიშვილს დავასახელებ. უგემოვნობას ვერავის ვაკადრებ.

**მამუკა ლომაშვილი:**

— ვერა ქობალია, ნინო ბურჯანაძე.

— **რა ნიშნით შეარჩიე?**

— ნინოს ყოველთვის კლასიკურად აცვია, სერიოზული პოლიტიკოსის იმიჯი აქვს. გვახსოვს დღევანდელისგან სრულიად სხვანაირი ნინო ბურჯანაძე. ვერა ქობალიაზე მგონი, განმარტება საჭირო არ არის.

## „მის სკანდალი"

**ნიკა არაბიძე:**

— ინგა გრიგოლია. პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე, ნინო ბურჯანაძეც სკანდალური ფიგურაა.

**ანრი ჯოხაძე:**

— პოლიტიკოსი ქალებიდან სკანდალური არც ერთი არ არის, მაგრამ სკანდალური მდგომარეობა ალბათ უფრო ვერა ქობალიას ჰქონდა, როცა მინისტრად დანიშნეს. მის გარშემო დიდი ხმაური ატყდა. ბევრმა გააპროტესტა.

**მამუკა ლომაშვილი:**

— ეკა ხერხეულიძე.

## „მის იუმორი"

**ნიკა არაბიძე:**

— ხათუნა გოგორიშვილს აქვს გადასარევი იუმორი.

**ანრი ჯოხაძე:**

— ხათუნა გოგორიშვილის იუმორი საქვეყნოდ ცნობილია. ინგა გრიგოლიასაც თავისებური იუმორი აქვს, „წახნაგებიანი", ხოლო ელენე თევდორაძეს — რუსულნარევი, რაც ძალიან მომწონს.

**მამუკა ლომაშვილი:**

— ხათუნა გოგორიშვილი გამორჩეულია. ელენე თევდორაძესაც კარგი იუმორი აქვს.

## „მის სექსუალურობა"

**ნიკა არაბიძე:**

— ინგა გრიგოლია.



**ანრი ჯოხაძე:**

— ინგა გრიგოლია. მას ძალიან სექსუალური იმპულსები აქვს. ამიტომ არის მამაკაცებში ასეთი პოპულარული.

**მამუკა ლომაშვილი:**

— ინგუშკა, აბა, რაა! სხვა ვინ, თუ არა — გრიგოლია?



## „მის ტრადიცია"

**ნიკა არაბიძე:**

— უკვე რთული შეკითხვა დამისვი. ფიქრია ჩიხრაძეს დავასახელებ. თინა ხიდაშელს „მის ოპოზიციის" ნომინაცია „მოუხდება".

**ანრი ჯოხაძე:**

— საქართველოს პარლამენტში ტრადიციული ჩემი ხათუნა გოგორიშვილია.

## „მის ინტელექტი"

**ნიკა არაბიძე:**

— ხათუნა გოგორიშვილი.

**ანრი ჯოხაძე:**

— „მის ინტელექტის" წოდებასაც ხათუნა გოგორიშვილს ვაჩუქებ.

**მამუკა ლომაშვილი:**

— ხათუნა გოგორიშვილი და ინგა გრიგოლია.

## „მის „ამას აქ რა უნდოდა?"

**ნიკა არაბიძე:**

— ეს მაგარი მოგიფიქრებიათ (*იცინის*), ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ.

**მამუკა ლომაშვილი:**

— ამ ნომინაციაში ვერც ერთს დავასახელებ. ყველა ადამიანს შეუძლია, რაღაც გააკეთოს. ბევრს გაუკვირდა, როცა მინისტრებად ვერა ქობალია და ხათუნა კალმახელიძე დანიშნეს. ვფიქრობ, რომ ქართული პოლიტიკა გადასახალისებელია. ახალი კადრების დანიშვნის მომხრე ვარ.

## „მის არაორდინარულობა"

**ანრი ჯოხაძე:**

— არაორდინარული ელენე თევდორაძეა. ლაპარაკითაც კი განსხვავებულია, ბევრ ქართულ სიტყვას სასაცილოდ ამბობს. პოლიტიკოსი ქალბატონებიდან გამორჩეულად მკვეთრი ფიგურაა. ბევრი მის მიმართ კეთილგანწყობილია.

**მამუკა ლომაშვილი:**

— ელენე თევდორაძე და ინგა გრიგოლია.

— **რას ურჩევთ ჩვენს პოლიტიკოს ქალბატონებს?**



**ნიკა არაბიძე:**

— პირველ რიგში, მივულოცავ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს. ღმერთმა ყველა ჯანმრთელად და ბედნიერად ამყოფოს.

**ანრი ჯოხაძე:**

— ვულოცავ ამ ლამაზ დღესასწაულებს და ვუსურვებ, რომ ქალურობა არასდროს დაეკარგოთ, მიუხედავად თავიანთი მძიმე სამსახურისა, სადაც მამაკაცური ტვირთის ზიდვა უწევთ.

**მამუკა ლომაშვილი:**

— ქალბატონებს ვუსურვებ, რომ მეტი იუმორის გრძნობა ჰქონდეთ, ყოველთვის ლამაზები და კარგები იყვნენ.

*ცნობილი მამაკაცებისგან განსხვავებით, ცნობილი ქალბატონების შეფასების დროს უფრო თავისუფალნი ჩემი უცნობი რესპონდენტები აღმოჩნდნენ.*

## ნომინაცია — „მის სილამაზე"

**გურამი,** *36 წლის:*

— არჩევნებს ატარებთ?

— **ასე გამოდის.**

— „მის სილამაზის" ნომინაციაში ხათუნა კალმახელიძეს დავასახელებ.

— **რით მოგწონს იგი?**

— „ბარბის“ თოჯინას ჰგავს. თქვენ გეცოდინებათ, კალმახელიძე შორენა ბეგაშვილის ნათესავი ხომ არ არის?

— **ასეთი რამ არ გამიგონია.**

— მას ძალიან ჰგავს. მეორე პოლიტიკოსის დასახელებაც შეიძლება?

— **გულს არ დაგწყვეტთ.**

— ვერა ქობალიაც მომწონს. ძალიან ლამაზი თვალები აქვს.

**ნუგზარი,** *54 წლის:*

— ნინო კალანდაძე მომწონს. ყოველთვის მოწესრიგებულია და ლამაზად გამოიყურება. გული მწყდება, რომ დღემდე ოჯახის შექმნა ვერ მოახერხა. მას წარმატებებს ვუსურვებ.

**დავითი,** *48 წლის:*

— „მის სილამაზე“? ამაზე არ დავფიქრებულვარ. ვერა ქობალია მშვენიერი გოგოა, ლამაზი რომ არ ყოფილიყო, მანდ ვინ დანიშნავდა?!

— **თანამდებობაზე სილამაზის მიხედვით ნიშნავენ?**

— საქართველოში ასეა. „იმას“ თუ მოეწონები, გზა ხსნილი გაქვს.

— **„ის“ ვინ არის?**

— ძალიან კარგად იცით, ვინც არის.

**ოთო,** *31 წლის.*

— ინგა გრიგოლია „გემრიელი“ ქალია. ცხოვრებაში რამდენჯერმე მყავს ნანახი და უფრო კარგი ყოფილა, ვიდრე ეკრანიდან ჩანდა. როცა გადაცემა მიჰყავდა, აგრესიული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა — ყვიროდა და მაშინ ნაკლებად მომწონდა.

## ნომინაცია — „მის ინტელექტი“

**თენგო,** *18 წლის:*

— მიუხედავად იმისა, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებები ჩემთვის მისაღები არ არის, მსმენია, რომ ხათუნა გოგორიშვილი ძალიან განათლებული ადამიანია.

**გოჩა,** *44 წლის:*

— ნინო ბურჯანაძე. ეს ადამიანი თავისი საქმის პროფესიონალია. ბევრ კაცზე მეტის გაკეთება შეუძლია.

**დავითი:**

— რუსუდან კერვალიშვილი, მაგრამ შეცდომა დაუშვა, როცა პოლიტიკაში წავიდა.

**ზურა,** *32 წლის:*

— ხათუნა გოგორიშვილი. კონკურენციას მას ამ მხრივ ვერც ერთი პოლიტიკოსი ქალი ვერ გაუწევს.

## ნომინაცია — „მის „ამას აქ რა უნდოდა?“

**გიორგი,** *20 წლის:*

— ვერა ქობალია მინისტრად რა „პონტში“ დაინიშნა, ვერ ვხვდები. ლტოლვილი იყო, რამდენიმე წელი საზღვარგარეთ ცხოვრობდა და უცებ მინისტრად გაიჩითა.

**როსტომი,** *67 წლის:*

— (*იცინის*) ამას კი არა, ამათ აქ რა უნდათ? პოლიტიკოსი ქალებიდან კეთილგანწყობილი არც ერთის მიმართ არ ვარ. სამზარეულოში თუ იტრიალებდნენ, უკეთესი იქნებოდა.

— **როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი ქალბატონი, თქვენი სიმპათია რომ დაიმსახუროს?**

— კარგად აღზრდილი, პატიოსანი, განათლებული, საზოგადოების წინაშე თავს ვარცხნილობით, ძვირფასი სამოსითა და სამკაულებით კი არა, ქვეყნისთვის გაკეთებული საქმეებით უნდა იწონებდეს.

**ვატო,** *28 წლის:*

— ძალიან გამიკვირდა, როცა ინგა გრიგოლია პოლიტიკაში წავიდა. მას, როგორც პოლიტიკოსს, ვერ აღვიქვამ. ისევ ჟურნალისტი მგონია. ასევე მოულოდნელი იყო, როცა ხათუნა კალმახელიძე დანიშნეს მინისტრად, სად ის და სად მისი თანამდებობა? საერთოდ არ შეეფერება.

— **კალმახელიძეს, როგორც მინისტრს, რას უწუნებთ?**

— თავი დამანებე, არავინ დამიჭიროს, მერე მაგის ხელში მოვხვდები და შენ მიშველი?

— **რატომ უნდა დაგიჭირონ?**

— კარგად იყავი (*ტელეფონს თიშავს*).

**ნიკა,** *18 წლის:*

— „ციხეების უფროსი“ რომ არის, რა გვარია?

— **ხათუნა კალმახელიძე.**

— ამ ნომინაციაში მას დავასახელებ.

## „მის სექსუალურობა“

**ნიკა:**

— ვერა ქობალია. პოლიტიკოსი ქალებიდან მასზე სექსუალური არც ერთი არ არის.

**სერგო,** *50 წლის:*

— ია ფარულავა და ლალი მოროშკინა.

— **მე პოლიტიკოს ქალებზე გეკითხებით.**

— კარგით, რა, აქაც პოლიტიკა შეიძლება? გაიგეთ ჟურნალისტებმა, ამდენი პოლიტიკით ხალხი დაიღალა.

— **პოლიტიკაზე არ გელაპარაკებით, გთხოვთ, ყველაზე სექსუალური პოლიტიკოსი დამისახელოთ.**

— არც ერთი არ არის. ქართველი პოლიტიკოსების შემხედვარეს, აღარც ქალი მინდა და აღარც სექსი.

**მათე,** *39 წლის:*

— ინგა გრიგოლია. სხვებს მიმზიდველობა აკლიათ.

— **ინგა რით მოგწონთ?**

— ვიზუალურად ინგასნაირი ქალები მომწონს. ენერგიული, სიცოცხლით სავსე ადამიანია. საოცარი შარმი აქვს. კიდევ რატომ? დაკონკრეტება არ მინდა, უხერხულია.

**მახო,** *43 წლის:*

— ელენე თევდორაძე.

— **კარგი იუმორი გქონიათ.**

— (*იცინის*) ან — ცუდი გემოვნება. ეს ხუმრობით. სერიოზულად კი ვერა ქობალიას დავასახელებ.

## ნომინაცია — „მის სკანდალი“

**რამაზი,** *29 წლის:*

— მიჭირს პასუხის გაცემა. მგონი, ამ მხრივ გამოკვეთილი, სკანდალური ფიგურა არც გვყავს. ახლა მხოლოდ პარლამენტის წევრი, ეკა ხერხეულიძე მახსენდება. მაგრამ ეგ აუტანელი ქალი უფროა, ვიდრე სკანდალური.

**ინკოგნიტო:**

— ჩემს სახელს არ გეტყვით, საჭირო არ არის. „მის სკანდალის“ ნომინაციაში ხათუნა გოგორიშვილს დავასახელებ. რაც მაგას არჩევნები უყალბებია, მეტი სკანდალი რაღა გინდა? ინგა გრიგოლია სკანდალური ჟურნალისტი უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკოსი.

**იაგო,** *21 წლის:*

— პოლიტიკით ნაკლებად ვარ დაინტერესებული. შეიძლება ვცდები, მაგრამ ყველაზე სკანდალურ პოლიტიკოსად ნინო ბურჯანაძე მიმაჩნია.

— **რატომ?**

— ის ღიად უპირისპირდება ხელისუფლებას და დანაშაულში ამხელს ოპოზიციის წევრებსაც.

## ნომინაცია — „მის გემოვნება“

**ემზარი,** *34 წლის:*

— თუ გემოვნებაში ჩაცმის სტილს გულისხმობთ, ნინო ბურჯანაძეს დავასახელებ, მაგრამ მისი ვარცხნილობა არ მომწონს. ინგა გრიგოლია უფრო გემოვნებიანი ქალია. ყველაზე უგემოვნოდ თინა ხიდაშელს მივიჩნევ. მაპატიოს, მაგრამ მან თავისი სტილი ვერ იპოვა. მიტინგებზე დავდიოდი და რამდენჯერმე ძალიან ახლოს მომიწია ყოფნამ. განსაკუთრებულად არ უხდება შარვალი.

**ოთარი,** *57 წლის:*

— ყველაზე გემოვნებიან პოლიტიკოსად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ნინო კალანდაძეს მივიჩნევ. დახვეწილი და მოწესრიგებული ადამიანია. ყოველ ორშაბათს ბრიფინგს ატარებს და თვალს ვადევნებ.

— **მისი ვარცხნილობაც მოგწონთ?**

— რა თქმა უნდა. ერთი პერიოდი ძალიან მაღიზიანებდა ეკა ტყეშელაშვილი. მისი არც ჩაცმულობა მომწონდა და არც ვარცხნილობა. საზღვარგარეთ მოლაპარაკებებზე ისე მიდიოდა, გეგონებოდა, ბაზარში უნდა შეირბინოსო. საერთოდ, პოლიტიკაში მეტი ქალბატონის ჩაბმის მომხრე ვარ.

*აი, ასეთია ჩვენი გამოკითხვის შედეგები. იმედია, არავინ გაგვინაწყენდებით, ჩვენც ყველას გილოცავთ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს და საუკეთესო სურვილებით გემშვიდობებით.* ■

# მანდილოსნებისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი სიყვარული და ყურადღებაა

## „შენი ყურადღებით ქალს ქალობა უნდა აგრძნობინო“

**უკვე 10 წელია, საქართველოში 3 მარტი, როგორც დედის დღე, ისე აღინიშნება. 1991 წელს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით, უზენაესმა საბჭომ დაადგინა, რომ დედის დღეს ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი უნდა შეეცვალა. თუმცა ამჟამად ორივე დღესასწაული ცალ-ცალკე მაინც აღინიშნება. „8 მარტს“ საფუძველი XX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნავენ. რა თქმა უნდა — საქართველოშიც, ოღონდ, ყველა სხვადასხვაგვარად...**

*თამთა დადეშელი*







**ავთო ცქვიტინიძე,** *დიზაინერი:*

— 3 მარტი არაჩვეულებრივი დღეა. ყველა დედა თავისებურად ღელავს და ზრუნავს შვილებზე, მეუღლეზე და ეს დასაფასებელია. საერთოდ, დედა განსაკუთრებული ადამიანია და ყოველთვის სათუთად უნდა მოექცე. შეიძლება ბანალურია, მაგრამ ამ დღეს დედისთვის ყვავილების მირთმევა ერთგვარი მადლობაა იმისთვის, რომ ამქვეყნად არსებობ. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, პატარა ანასტასიამ უკვე გაუკეთა ლამაზი მისალოცი ბარათი, რომელზეც აწერია — „დედა, მე შენ მიყვარხარ“. ზედ ბევრი ყვავილი დაახატა და გულები დააწება. რა თქმა უნდა, ჩვენც მივეხმარეთ. ყველაზე დიდი საჩუქარი ალბათ ეს იქნება. 8 მარტს კი ჩემს მეუღლეს ყოველთვის სხვადასხვანაირ სიურპრიზს ვუკეთებ. ამ დღეს მაია დარსმელიძის დაბადების დღეცაა და ხშირად, იქ მივდივართ.

**ახი სოლოღაშვილი,** *მსახიობი:*

— ყოველთვის ვცდილობ, 3 მარტი დედასთან ერთად აღვნიშნო. თუ ვერ ვახერხებ, საჩუქარი მაინც მიმაქვს. ტკბილეულის მოყვარულია და კარგი უცხოური შოკოლადით შემოვიფარგლები ხოლმე. აუცილებლად ვულოცავ ჩემი მეგობრების დედებს, ჩემი ბავშვობის მეგობარს, რომელიც ასევე დედაა და დაბადების დღეც აქვს. 8 მარტს კი, რომ გითხრათ, გამორჩეულად ვულოცავ ვინმეს-მეთქი, მოგატყუებთ. ალბათ, მეგობრებთან ერთად ვიქნები, თუ ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ამ დღესაა დაგეგმილი, ეთერში არ გავა. მიმაჩნია, რომ ყოველი დღე ქალებისაა. პირველ რიგში, თქვენ, ქალბატონები უნდა იყოთ კარგად, რომ კაცებმაც კარგად ვიგრძნოთ თავი.

**ლიზა ბაგრატიონი,** *მომღერალი:*

— **როგორ აღნიშნავთ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს?**

— ორიგინალურობით არ გამოვირჩევი. იმედი მაქვს, რომ 3 მარტს შვილი მომილოცავს, 8 მარტს კი — მეუღლე. საერთოდ, ბანალური ფრაზაა, მაგრამ ვეთანხმები, რომ კარგი იქნება, ეს დღესასწაულები ყოველდღე გვქონდეს ქალებს. თუმცა, თავისთავად იმ ფაქტს, რომ დღესასწაულია და მამაკაცები და შვილები ცდილობენ რაღაცით გაგვახარონ, მხოლოდ მივესალმები. დიდი სიამოვნებით შევიფერებ საჩუქრებს და მადლობას ვეტყვი ოჯახის წევრებს.

— **რას გჩუქნიან უფრო ხშირად?**

— ჩემი შვილი უმეტესად ყვავილებს მჩუქნის ხოლმე, თავის დახატულ მისალოც ბარათებსაც. ჯერ იმ ასაკშია, როდესაც თვითშემოქმედებითაა დაკავებული და მსგავსი ტიპის ბევრი ბარათი მაქვს შენახული, რაც ჯერჯერობით ყველა საჩუქარზე უფრო ძვირფასია. საერთოდ კი, ყველაზე ძვირფასი საჩუქარი სიყვარულია. როდესაც მუდმივად გრძნობ, რომ ადამიანს უყვარხარ, ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა. შემდეგ, უკვე შესაძლებლობების ფარგლებში, რასაც გისახსოვრებენ, ყველაფერი კარგია. ვიღა-



ცისთვის საუკეთესო საჩუქარი კერძო თვითმფრინავი და უმაღლესი კლასის ავტომობილია, ვიღაცისთვის კი ყვავილი და უბრალო ბეჭედი. ყველა ქალბატონს ვუსურვებ, რომ მათი სურვილები ყოველთვის მათი მეუღლეების შესაძლებლობებს ემთხვეოდეს.

**ნიკა წულუკიძე,** *თეატრმცოდნე, ტელეწამყვანი:*

— შემირცხვენია ის კაცი, რომლისთვისაც 3 და 8 მარტი დანარჩენი 364 დღისგან განსხვავებულია. როგორ შეიძლება ქალს და მით უმეტეს — დედას, თუ ის ცოცხალი გყავს, ყოველდღე არ დაანახვო ის მადლიერება და ყველაფერი კარგი, რასაც მის მიმართ გრძნობ. რასაკვირველია, ყოველთვის ვემზადები ამ დღისთვის და ვცდილობ, დედას განსაკუთრებულად მივულოცო. წესით, სპეციალური თარიღი არ უნდა გვჭირდებოდეს და ისედაც უნდა ვხვდებოდეთ, რომ დედა ყოველთვის პატივსაცემია, მაგრამ რადგან ვერ მივხვდით, ვიღაც ჭკვიანმა მოიფიქრა, რომ 3 მარტი დაეწესებინა. ეს დღე ყველასთვის მნიშვნელოვანია, რადგან დედაზე ძვირფასი არა მგონია, ამქვეყნად ვინმე არსებობდეს. ყველა ხელოვანი უძღვნის დედას ლექსს, მოთხრობას, სიმღერას და ა.შ.

— **თქვენ თუ დაგიწერიათ რაიმე დედაზე?**

— დიახ, ჩემი ერთ-ერთი წიგნი მივუძღვენი; შარშან კი ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში უგრძესი გრაგნილით მივულოცე, სადაც ვწერდი, თუ როგორ მიყვარს, რაოდენ ძვირფასია და რას ნიშნავს ჩემთვის. როდესაც საზღვარგარეთ მივდივარ, თითო საჩუქარი ყველასთვის ჩამომაქვს, დედაჩემისთვის კი — ყველაზე მეტი. ამჯერად დედას პირდაპირი ეთერის მეშვეობით მივულოცავ, საღამოს კი მთელი ოჯახი სავახშმოდ წავალთ. საერთოდ, ბებიას და ყველა ქალს ვულოცავ ხოლმე, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება, დედა გამხდარიყო. 8 მარტს განსაკუთრებულად იმ ადამიანებს ვულოცავ, ვინც დედა არ არის, რადგან მისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია ეს დღე. შენი ყურადღებით ქალს ქალობა უნდა აგრძნობინო. ნათქვამია, ოჯახისთავი კაცია, ქალი კი კისერი და ამ თავს საითაც უნდა, იქით მიატრიალებს და მოატრიალებსო. მართლაც, ჭკვიანი ქალი ისე მოაწყობს, რომ კაცს ეგონება, თვითონაა ყველაფერი, ამ დროს კი ქალი წინდახედულად მართავს სიტუაციას.

**რატი დურგლიშვილი,** *მომღერალი:*

— მიყვარს, როდესაც მანდილოსანს ყვავილს ვჩუქნი. 3 და 8 მარტის გამომხატველი ყვავილი ჩემთვის ია და ენძელაა. ბევრს ვყიდულობ და ვცდილობ, ყველა მეგობარს მივართვა. რაც



შეეხება დედის დღეს, ყოველთვის ვულოცავ, იმას ვყიდულობ, რაც სჭირდება. მაგალითად, საყოფაცხოვრებო ტექნიკას... სუნამოს ჩუქება არ მიყვარს, რადგან თავისებური შერჩევა უნდა და შეიძლება ადამიანს არ მოეწონოს.

— **თქვენი აზრით, რა მოსწონთ ქალებს ყველაზე მეტად?**

— ვფიქრობ — ყვავილი.

— **ამ ეტაპზე რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში?**

— სამწუხაროდ, ახლა არავინ მყავს... ჩნდებიან და ქრებიან ხოლმე...

**ნანუკა ხაზარაძე,** *ტელეწამყვანი:*

— 3 მარტს არ აღვნიშნავ ხოლმე. სანამ ჩემი შვილი პატარა იყო, ბაღში რაღაცებს ახატვინებდნენ და მჩუქნიდა. რაც შეეხება 8 მარტს, ძალიან მიყვარდა, რადგან ყოველთვის სიურპრიზებს მიკეთებდნენ, ყვავილებს ან საჩუქრებს მიძღვნიდნენ. ყვავილებს ახლაც ხშირად მჩუქნიან და ამიტომ არ მივიჩნევ, რომ განსაკუთრებული საჩუქარია.

— **ამჯერად რას ისურვებდით, რომ გაჩუქონ და ვისგან ელით?**

— არის ერთი კონკრეტული პიროვნება. რასაც თვითონ მოისურვებს, ის მაჩუქოს, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ იმას მაჩუქებს, რაც მე მგონია.

**კახა აბუაშვილი (კაბუ),** *მომღერალი:*

— ჩემთვის მისასალმებელია, რომ ქალთა დღესასწაულები არსებობს და ჩემ ირგვლივ მყოფ ქალბატონებს ყოველთვის ვულოცავ. განსაკუთრებით



მათ, ვინც ძალიან მიყვარს. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ყოველი დღე ქალების უნდა იყოს. გეკუთვნით და იმიტომ.

**გია ცინაძე (მჭედრო),** *მსახიობი:*

— ჩემი აზრით, თუ საყვარელი ქალბატონი გვერდით გყავს, ყოველი დღე მსგავსი დღესასწაულია და აღნიშვნა არ სჭირდება. დილა რომ თენდება, გიხარია და ფიქრობ, როგორ ასიამოვნო. რაც შეეხება დედაჩემს და სხვა ქალბატონებს, რომლებიც დედები არიან, სიტყვიერად ვულოცავ ხოლმე.

— **როგორ ფიქრობთ, 8 მარტი კომუნისტური გადმონაშთია თუ უბრალოდ, კიდევ ერთი სასიამოვნო დღესასწაული?**

— მთავარია, რომ ადამიანებს მისი აღნიშვნა უხარიათ და საიდანაა შემორჩენილი, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. იყოს, როგორც არის, რაც მეტი კარგი დღესასწაული იქნება, მით უკეთესია.

— **გოგონებს ყვავილებს თუ უძღვნით ხოლმე?**

— არა, ჩემს სტილში არ ზის. მხოლოდ ერთი-ორჯერ მიჩუქნია ადრე. ორიგინალური საჩუქრები კი ხშირად გამიკეთებია — ისეთი, რაც იმ ადამიანს მოსწონს.

— **ახლა ვინ არის თქვენი ყურადღების ობიექტი?**

— სიმართლე გითხრათ, ახლა არავინ. 8 მარტამდე დრო კიდევაა და ვნახოთ.

— **მსმენია, რომ ზოგმა 23 თებერვალი „კაცების დღედ“ მონათლა. ამაზე რა აზრის ხართ? თუ მოგილოცათ ვინმემ?**

— კი, სხვათა შორის, „ფეისბუქზე“ მილოცავდნენ, მაგრამ ზოგადად „კაცების დღე“ არ მომწონს. კაცს რომ კაცების დღეს მიულოცავ, ცოტა უხერხულია; მანამდე რა, ქალები ვართ?! ქალებისთვის კი აუცილებლად უნდა არსებობდეს და ყველა თქვენგანს ვულოცავ.

**თამთა გოგუაძე,** *მომღერალი:*

— უკვე მეშვიდე წელია, რაც 3 მარტი ჩემთვისაც დღესასწაულად იქცა და შვილთან ერთად აღვნიშნავ. რა თქმა უნდა, მიხარია, როცა ლუკა ამ დღეს მილოცავს ხოლმე, მე კი დედას ვულოცავ. საერთოდ, ყოველი დღე



ისეთი უნდა იყოს, რომ ერთმანეთს დღესასწაული მოვუწყოთ, თუმცა რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა გილოცავენ და ადამიანებს ახსოვხარ.

— **8 მარტს მეგობრები თუ აღნიშნავთ ხოლმე სადმე?**

— განსაკუთრებულად არა. ამჯერად კონცერტი მექნება 8 მარტს და თუ დრო დამრჩება, შეიძლება სადმე წავიდე მეგობრებთან ერთად. საერთოდ, სხვა დღესასწაულებზე ყოველთვის მივდივართ სადმე გასართობად.

— **ყველაზე მეტად რა საჩუქარი გაგიხარდებოდათ 8 მარტს?**

— ყველაზე ძვირფასი ყურადღებაა; შემდეგ — ფასეული საჩუქრები. ვერ ვიტყვი, კონკრეტულად რას ვისურვებდი. ნებისმიერი საჩუქარი უკვე ყურადღების გამომხატველია.

— **რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში?**

— რა გითხრათ, არაფერი ხდება. ჩემი პირადი ცხოვრება — მე და ჩემი შვილი ვართ, ჯერჯერობით. ძირითადად, პროფესიული საქმიანობით ვარ დაკავებული. ახლახან ჩამოვედი არაბეთიდან, სადაც კონცერტები მქონდა. უკვე მესამე წელია, რაც სულ გასტროლები მაქვს. პირადი ცხოვრების დრო ყოველთვისაა, მაგრამ არ მოხერხდა...

**თენგო გოგოტიშვილი,** *ჟურნალისტი:*

— რატომღაც არ მიყვარს დღესასწაულები, არავის ვულოცავ, კომპლექსი მაქვს. მაგალითად, ვინმე ისეთი თვალებით რომ შემომხედავს, ჩანს — მილოცვას ელოდება, მოვუბოდიშებ ხოლმე, ასეთ დღესასწაულებს არ ვაღიარებ და ვერ გილოცავ-მეთქი.

**ნინო შერმადინი,** *მომღერალი:*

— პატარაობისას, სკოლაში სწავლისას უფრო აღვნიშნავდი ხოლმე ამ დღესასწაულებს, დედას რაღაცებს ვუხატავდი და იებით ვულოცავდი. 8 მარტს კი ბიჭები საჩუქრებს გვჩუქნიდნენ და ძალიან გვიხაროდა. ამ ბოლო დროს, აღარ აღმინიშნავს, თუმცა სიტყვიერად, რა თქმა უნდა, დედას ვულოცავ ხოლმე, მესიჯით, სატელეფონო საუბრით თუ — პირადად. საერთოდ, საეკლესიო დღესასწაულებს უფრო აღვნიშნავ ხოლმე.





**მიშა მშვილდაძე,** *პროდიუსერი:*

— მარტის დღესასწაულებს საკმაოდ ბანალურად აღვნიშნავ. გამოკვეთილი აზრი არ გამაჩნია ამასთან დაკავშირებით. თუ გამახსენდა, რომ 3 მარტია, ვულოცავ დედაჩემს, თუ არა და — არა.

— **რაიმე საჩუქარს უკეთებთ?**



— გააჩნია, ხან ისე, ხან — ასე.

— **რაც შეეხება ქალბატონებს, თუ გყავთ საყვარელი ადამიანი?**

— დიახ, მყავს და მასაც ჩვეულებრივად ვულოცავ ხოლმე, მესიჯით, სუნამოთი ან სხვა რამით, ყვავილების ჩუქება არ მიყვარს. თქვენი მეშვეობით, ყველა ქალბატონს მივულოცავ ამ დღესასწაულებს. ■



ცხოვრება

# სიხარბე — უკურნებელი სენი

**სიხარბემ რა ნახა — ყველა დაკარგაო... ზოგჯერ ადამიანს სიხარბე აბრმავებს და უმსგავსო საქციელისკენ უბიძგებს. ერთხელ ინდოეთის სულიერ და პოლიტიკურ ლიდერს, მაჰათმა განდის უთქვამს: მსოფლიო საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ ნებისმიერი ადამიანის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, მაგრამ ძალიან პატარაა საიმისოდ, რომ ადამიანთა სიხარბე დაამარცხოსო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მსოფლიო შეიცვალა, მაგრამ სიხარბეს რა დაამარცხებს?! ის კვლავაც იჩენს თავს და სხვადასხვა ფორმით ვლინდება...**

ემა ტუხიაშვილი

*სხვა რა უნდა უწოდო, თუ არა ხარბი ისეთ ადამიანს, როგორიც აწ უკვე ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი — ჰოსნი მუბარაქია?! ამბობენ, ის ოქროში კი არა, პლატინაში „ბანაობდაო“. გავრცელებული ინფორმაციით, ფლობს პლატინის ზოდებს, რომელთა საერთო ღირებულება 15 მილიარდ დოლარს აღწევს. როგორც ეგვიპტის ადამიანის უფლებათა დამცველი ერთ-ერთი ორგანიზაცია ირწმუნება, 1982 წლის 11 დეკემბერს მუბარაქს 19 ტონა პლატინის ზოდები შვეიცარიის ერთ-ერთი ბანკში, პირად სეიფში შეუნახავს. ანალიტიკოსებმა და ექსპერტებმა, მუბარაქისა და მისი ოჯახის ქონების შეფასება, მხოლოდ მისი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ გაბედეს და დაახლოებით 70 მილიარდი დოლარის საერთო ქონება დაითვალეს. იგი 30 წლის განმავლობაში ერთპიროვნულად მართავდა ეგვიპტეს და ფაქტობრივად, ქონების მოხვეჭით იყო დაკავებული, შემდეგ კი ამ ფულს შვეიცარიის, ბრიტანეთის, ამერიკისა და გერმანიის კომერციული ბანკების ანგარიშებზე ინახავდა. პრეზიდენტობის დროს ნაშოვნი ფულის ნაწილი მუბარაქს უძრავ ქონებაშიც დაუბანდებია, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ყველა წერტილში ფლობს: ლონდონში, ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში, პარიზში, მადრიდში, დუბაიში, ფრანკფურტში, ვაშინგტონში, მანჰეტენზე, ლონდონსა და ბევერლი-ჰილზში. თუ ყველა ეს გავრცელებული ცნობა გამართლდა, აღმოჩნდება, რომ ჰოსნი მუბარაქი მილიარდერ ბილ გეიტსზე მდიდარია, რომლის ქონებაც 53 მილიარდ დოლარად არის შეფასებული და მექსიკელ მაგნატ კარლოს სლიმზეც, რომელიც ამჟამად* Forbes*-ის რეიტინგის ლიდერია 53,3 მილიარდით. არადა, მუბარაქი მრავალი წლის განმავლობაში ისეთი ქვეყნის მეთაური იყო, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებულია, დღეში 2 დოლარად გაიტანოს თავი. ეგვიპტეში თურმე ბიზნესს ვერავინ დაიწყებდა მუბარაქის ოჯახის წევრის ჩაურევლად. ყველა კომპანიას, რომელსაც ეგვიპტეში საქმის წამოწყება სურდა, სასტარტო პაკეტი მუბარაქის შვილებისგან უნდა შეეძინა — ჩვენებური სლენგით რომ ვთქვათ, „კრიშა“ უნდა ეყიდა. ალბათ სწორედ მის მიერ დაგროვებული ქონების დაცვის აუცილებლობა იყო იმის მიზეზი, რომ მუბარაქი თანამდებობიდან წასვლას არ ჩქარობდა. კარგად იცოდა, რა ელოდა მის ქონებას მას შემდეგ, რაც ეგვიპტის ხელისუფლებაში ახალი ძალები მოვიდოდნენ. ამიტომ, ვიდრე პოსტს დატოვებდა, იზრუნა იმაზე, რომ მისი ფული ახალ საბანკო ანგარიშებზე განეთავსებინათ, რადგან იქ მათი კვალის პოვნა გაჭირდებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მუბარაქმა ფული სპარსეთის ყურის ქვეყნებში გადამალა. ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც მუბარაქის საბანკო ანგარიშები გაყინა, შვეიცარიაა. მისი ხანგრძლივი მმართველობისა და აურაცხელი ქონების გამო ეგვიპტელი ხალხი ჰოსნი მუბარაქს ფარაონსაც ეძახდა. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ კაიროს აეროპორტის თანამშრომლებმა ნახეს, როგორ გარბოდა ქვეყნიდან მუბარაქის ცოლი — სუზანა და კერძო თვითმფრინავით 97 ჩემოდანი მიჰქონდა!..*



ამბობენ, ის ოქროში კი არა, პლატინაში „ბანაობდაო“

*მუბარაქის სიხარბეს რას დავეძებ, როდესაც საბჭოური ფულის ანუ რუბლის გაუქმებას საქართველოში უამრავი „მანეთიანი მილიონერი“ გადაჰყვა. როდესაც თემაზე ვმუშაობდი, ჩემმა კოლეგამ მითხრა: პაპაჩემს საბანკო ანგარიშზე 50 მილიონი მანეთი გაუფუჭდა და მისი ანდერძის თანახმად, იქიდან 5 მილიონი მე უნდა მრგებოდაო. ამის გამგონეს, ერთი ამბავიც გამახსენდა, რომელიც ბევრისთვის ალბათ ჭკუის სასწავლებელი იქნება. ქართლი ხილით მდიდარი მხარეა. მაგალითად, გორის რაიონში წინათ იმდენი ვაშლი მოჰყავდათ, რომ გასაყიდად მეზობელ ქვეყნებშიც კი მიჰქონდათ და ქართულ ხილს უცხოურ ვალუტაზე ყიდდნენ. მოკლედ, გორელები ვაშლით კარგ ფულს შოულობდნენ. ოჯახს, რომელზეც მინდა გიამბოთ, ვაშლის ბაღები რამდენიმე ჰექტარზე ჰქონდა გაშენებული და კარგ შემოსავალსაც იღებდა, მაგრამ რასაც შოულობდნენ, სარდაფში ამოთხრილ ორმო-*

*ში ინახავდნენ. მიზნად ჰქონდათ, იმდენი ფული დაეგროვებინათ, რომ ორმო მთლიანად ამოევსოთ. როდესაც საწადელს მიაღწიეს, ნახეს, რომ ფულის დიდ ნაწილს ობი მოჰკიდებოდა...*

*ახლა ჩემს რესპონდენტებს მოვუსმინოთ, რომლებიც პრაქტიკულად, ხარბი ადამიანების ნამოქმედარის მსხვერპლნი შეიქნენ.*

**თემურ ჩიმშიაშვილი:**

— ვფიქრობ, სიხარბეც სენია, რომელიც ადამიანს ზომიერების გრძნობას აკარგვინებს. ვის არ უნახავს ხარბი ბავშვი, რომელსაც 10 სათამაშოდან სხვისთვის ერთიც არ ემეტება, ან ერთდროულად უამრავ ტკბილეულს შთანთქავს, რათა არავინ დაასწროს?!. სწორი აღზრდის შემთხვევაში, ამ ნაკლის გამოსწორება კიდევ შესაძლებელია, მაგრამ თუ ხარბი ადამიანი ზრდასრულია, მისი საშველი აღარ არსებობს. ეს ისეთი მანიაა, რომელმაც შესაძლოა, დანაშაულის ჩადენისკენ ან უსინდისობისკენ გიბიძგოს. რამდენიმე წლის წინ დედა გარდამეცვალა. ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, დარბაზი ვიქირავე და ქელეხის სუფრა იქ გავშალე. ხომ იცით, ქართული წესი და ტრადიცია — ჭირისუფალს შესაწირს რომ უგროვებენ ხოლმე. წინ კიდევ ბევრი ხარჯი მელოდა: ორმოცი, წლისთავი, საფლავის ხარჯები და შესაწირზე უარი არ მითქვამს. ფულის შეგროვება მეზობელს ვანდე. მეგონა, მას კარგად ვიცნობდი, მაგრამ თურმე მწარედ ვცდებოდი... ყველაფერი რომ დამთავრდა და ქელეხის შემდეგ შინ დავბრუნდით, მეზობელმა სია შემომიტანა და შეგროვებული თანხაც გადმომცა. სიისთვის არ გადამიხედავს, მაგრამ თანხის სიმცირემ გამაოცა, თუმცა მეზობელთან არ შევიმჩნიე და როდესაც წავიდა, მხოლოდ მაშინ გადავხედე. გაოცებული დავრჩი, რადგან სიაში 200-მდე კაცი ეწერა და ისეთი მცირე თანხები იყო მიწერილი მათ გასწვრივ, რომ საერთო ჯამში 1.000 ლარამდე ძლივს შეგროვილიყო. რა დაგიმალოთ და, ბევრ ახლობელზე ნაწყენიც კი დავრჩი, ვისთვისაც, ჭირსა თუ ლხინში, 50 ლარზე ნაკლები არასდროს შემიწევია, მათი გვარ-სახელის გასწვრივ კი 10-10 ლარი ეწერა. ცოტა ვინერვიულე, მაგრამ მალე გადამიარა. ვფიქრობდი: ცუდი დროა, შესაძლოა, ხალხს ფული არა აქვს და ამის გამო ახლობლებს როგორ დავემდურო-მეთქი?!. მოკლედ, ყველაფერი ასე დამთავრდებოდა, რომ არა ჩემი ცოლის დეიდის კუდაბზიკა ხასიათი, რომელმაც დისშვილს ვითომდა დაამადლა: შენი დედამთილის ქელეხში 100 ლარი შეგაწიეთო, — არადა, ჩემს ცოლს ზუსტად ახსოვდა, რომ მის შეძლებულ დეიდას, სიის მიხედვით, სულ რაღაც 20 ლარი ჰქონდა შემოწირული... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, პირველი ეჭვი სწორედ მაშინ გაჩნდა და ამაზე კიდევ ერთ მეზობელთან დავიჩივლე. შოთა ხარბი კაცია, დღენიადაგ იმაზე ფიქრობს, ვისგან რა სარგებელს გამორჩეს, მაგრამ ასეთ სიმდაბლეზე არ წავიდოდაო, — მითხრა. ძალიან მეუხერხულებოდა ამის გაკეთება, მაგრამ გადავწყვიტე, გადამემოწმებინა. სიაში მითითებული ადამიანებიდან ყველაზე ახლობლებს დავურეკე და ვთხოვე, იმ თანხის ოდენობა დაესახელებინათ, რაც დედაჩემის ქელეხში შესაწირის სახით მოიტანეს. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცებაც, გაბრაზებაც, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ყველა მითითებული თანხა მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. მაშინვე იმ მეზობლის კარს მივადექი და სხვაგვარად რომ მოქცეულიყო, ალბათ ვერ გადამირჩებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მელოდა, რადგან კარი თავად გამიღო და ხელში სწორედ ის თანხა ეჭირა, რაც შესაწირიდან მომაკლო. თავჩაღუნული იდგა და რაღაცას თავისთვის ლუღლუღებდა: ამდენი ფული ერთად დიდი ხანია, არ მინახავს და რას ვაკეთებდი, თვითონაც არ ვიცოდიო...



**როდესაც საწადელს მიაღწიეს, ნახეს, რომ ფულის დიდ ნაწილს ობი მოჰკიდებოდა...**

**ლიკა გოგოჭური,** *მედდა:*

— ბევრი ვიფიქრე, ეს ამბავი საჯაროდ მომეყოლა თუ არა, მაგრამ გული აღარ მითმენს და მინდა, გაგანდოთ ის, რამაც ცოტა ხნის წინ ძალიან მატკინა გული. უკვე რამდენიმე წელია, ერთ-ერთი კლინიკის მედდა ვარ. ხშირად მიწევს სამსახურში ღამით მორიგეობა. როდესაც ამდენ დროს ატარებ თანამშრომლებთან, ურთიერთობა ხშირად დიდ მეგობრობაშიც გადაიზრდება. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა — მე და თამუნა ძალიან დავახლოვდით. ჯერ მეგობრობა შევფიცეთ ერთმანეთს, შემდეგ კი ნათელმირონობითაც დავუკავშირდით — თამუნამ მთხოვა, მისთვის შვილი მომენათლა. მეგობრისთვის უარის თქმა არც მიფიქრია. ნათესაობამ ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო განამტკიცა... მოგეხსენებათ, ღამისთევა ძნელი და დამღლელია, ამიტომ მე და თამუნა ვცდილობდით, როცა ეს შესაძლებელი იყო, ერთმანეთისთვის საქმე შეგვემსუბუქებინა. ღამით მორიგეობა დავაწესეთ: როცა მე მეძინა, თამუნა ფხიზლობდა და პალატებში შემოვლაზე ის დადიოდა; მერე მას ვაძლევდი დასვენების საშუალებას და ორივეს გასაკეთებელს მე ვაკეთებდი. ერთმანეთისგან დამალული არაფერი გვქონდა. ცოტა ხანში მეც მეწვია ბედნიერება და ცხოვრება საყვარელ მამაკაცს დავუკავშირე. თამუნა ქორწილში მთელი ოჯახით დავპატიჟე, რომ ნათესავებსაც გაეცნოთ ჩემი საუკეთესო კოლეგა და მეგობარი. მეუღლის და ჩემი ნათესავებისგან ბევრი საჩუქარი მივიღე, მაგრამ ყველაზე ლამაზი და განსაკუთრებული მაინც დედაჩემის მორთმეული საყურე აღმოჩნდა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, თურმე შეკვეთით დაამზადებინა. ის გარშემო მყოფების ყურადღებას უმალ იპყრობდა. თამუნასაც მოსწონდა. გეფიცებით, დედაჩემის მიერ მორთმეული საქორწინო საჩუქარი რომ არ ყოფილიყო, ალბათ არ დავიშურებდი და ვაჩუქებდი. არადა, თამუნას არაფერი აკლდა, ქმარიც ანებივრებდა და მეუღლის მშობლებიც, მაგრამ ჩემი სამკაული თვალს სჭრიდა და, როგორც ჩანს, არც სიხარბე აძლევდა მოსვენებას... მოკლედ, ერთ დღესაც მე და ჩემი მეგობარი საავადმყოფოში ვმორიგეობდით. ბევრი მძიმე პაციენტი გვყავდა განყოფილებაში და თუ ერთმანეთს არ შევენაცვლებოდით, დილით ალბათ ფეხზე დადგომასაც ვერ შევძლებდით. ღამის 2 საათი იქნებოდა, როდესაც თამუნამ შემომთავაზა: ცოტა ხნით დაიძინე, დაისვენე და დილით ადრე შემცვალეო. ასეც მოვიქეცი, ნახევრად ხმელ საწოლზე წამოვწექი, პლედში გავეხვიე და თავი ბალიშში უკეთ რომ ჩამერგო, საყურე მოვიხსენი და მობილურ ტელეფონთან ერთად სკამზე დავდე. თამუნა, როგორც წესი, მედდების ოთახს უყურადღებოდ არ ტოვებდა, ამიტომ შიშიც არ მქონდა, რომ ჩემს ნივთებს ვინმე მოიპარავდა. დილის 5 საათისთვის გამაღვიძა და მე შევუდექი მოვალეობის შესრულებას. მობილური ტელეფონი ავიღე და მექანიკურად ჩავაცურე ხალათის ჯიბეში, საყურე კი არც გამხსენებია. სამკაული რომ აღარ მქონდა, მაშინ მივხვდი, როცა სახლში დავბრუნდი და აბაზანაში შესულმა, სარკეში დაღლილობისგან შეშუპებული სახე და თვალის ქუთუთოები შევათვალიერე.

სად არ ვეძებე საყურე — ხალათისა და შარვლის ჯიბეში, ჩანთაში; საავადმყოფოშიც დავრეკე და მორიგე ექთანებს გადავატრიალებინე იქაურობა, მაგრამ ვერსად მივაგენი. ძალიან განვიცადე, მაგრამ ეს ამბავი არავისთვის მითქვამს, იმედი მქონდა, სადმე მსგავსს ვიყიდდი და ვერავინ შენიშნავდა, რომ სამკაული დაუდევრობით დავკარგე. ვეჭვობდი, ნეტავ რომელიმე პაციენტის მშობელს ხომ არ წაუცდა ხელი ან ოთახში შემოსულმა სანიტარმა ხომ არ გააყოლა, რომ გაეყიდა-მეთქი? — მაგრამ ეჭვი საკმარის საფუძველს არ მაძლევდა საიმისოდ, რომ ვილაცისთვის ქურდობა დამებრალებინა. თამუნაც, როგორც ჩემი საუკეთესო მეგობარი, მომხდარის გამო ძალიან წუხდა. თითქმის ერთი თვის განმავლობაში, ყოველდღე დავდიოდი „ოქროს ბირჟაზე“ იმ იმედით, რომ მსგავს საყურეს წავაწყდებოდი, მაგრამ — სულ ტყუილად. მერე თავი დავანებე ძებნას და ბედს მივენდე. დედამ და დამ რამდენჯერმე მკითხეს, — საყურეს რატომ არ იკეთებო? მე ათასგვარ რამეს ვიმიზეზებდი. ამასობაში რამდენიმე თვე გავიდა. ერთხელ ნათესავმა მთელი ოჯახი ქორწილში დაგვპატიჟა. საგანგებოდ ვარჩევდით სამოსს, ჩემი უმცროსი და შემომიჩნდა: დედას ნაყიდ საყურეს შენ თუ არ იკეთებ, მე მათხოვეო. არ მომეშვა. დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და ყველაფერი ვუთხარი. მან კი ასე მიპასუხა: — ის საყურე დედამ შეკვეთით დაამზადებინა; თუ ახლობელმა მოგპარა, მის ტარებას ვერასდროს შეძლებს, რადგან შესაძლოა, შენიშნო, ამიტომ გარკვეული პერიოდის შემდეგ აუცილებლად გაყიდის და თავიდან მოიცილებსო. მეორე ვერსიით კი, — თუ უცხოს მოპარული იყო, გარკვეული ხნის შემდეგ ის მაინც გაყიდდა ნაქურდალს და, ჩემი დის ვარაუდით, სწორედ დროული იყო, კიდევ ერთხელ შეგვევლო თვალი ე.წ. „ოქროს ბირჟებისთვის“. ერთი კვირის განმავლობაში მე და ჩემს დას იქ დახლი არ დაგვიტოვებია, მაგრამ საყურეს ვერსად მივაკვლიეთ. ერთ დღესაც, ჩემმა დამ დამირეკა და მითხრა, რომ შემთხვევით, ვაგზალის მოედანზე იმყოფებოდა, ოქროულობის სავაჭრო ცენტრში შეიარა და იქ ჩემს საყურეს მოჰკრა თვალი! გამყიდველს ჯერ შეევაჭრა, შემდეგ კი პირდაპირ უკითხავს: საიდან გაქვთო? გამყიდველი დაეჭვებულა, ვინმემ ხომ არ მომიგზავნაო და აღარ გააგრძელა მასთან ლაპარაკი. ჩემს დას უმარჯვია და დედაჩემისთვის დაურეკავს, ისიც სასწრაფოდ იქ გაჩნდა... გამყიდველს სხვა გზა აღარ ჰქონდა — საპატრულო პოლიციასთან საქმის გარჩევას, ორ ქალბატონთან მოლაპარაკება ერჩივნა. იმ ადამიანის პირადობის მოწმობის მონაცემებიც უჩვენა, ვისგანაც ნივთი შეიძინა. წარმოიდგინეთ დედაჩემისა და ჩემი დის რეაქცია, როდესაც ეს ჩემი საუკეთესო მეგობარი — თამუნა აღმოჩნდა. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ისეთი გაოგნებული ვიყავი, ალბათ ვერც ვერაფერს ვიტყოდი, რადგან სიბრაზეც და წყენაც მახრჩობდა. არ მესმოდა, რას ეუბნებოდნენ დედაჩემი და ჩემი და. თამუნას მხოლოდ 2 სიტყვა გავიგონე: სიხარბემ მძლიაო. მალევე ინანა თურმე ჩადენილი და საყურე ჩალის ფასად თავიდან მოიცილა. შემდეგ კი სამკაული გამოისყიდა და დამიბრუნა, მაგრამ ვერაფრით დაიბრუნებს ჩემს ნდობას, რადგან არ ვიცი, კიდევ როდის დააბრმავებს სიხარბე და რას მოიმოქმედებს.

**გოგი ქასრაშვილი,** *პენსიონერი:*

— ოჯახში 4 დედმამიშვილი (ძმები) ვიყავით. სამწუხაროდ, უფროსი ძმა რამდენიმე წლის წინ გარდაგვეცვალა და სწორედ მის მეუღლეზე მინდა გიამბოთ. ძმებს შორის პირველი ის დაქორწინდა. რძალი ოჯახში საკუთარი დასავით მივიღეთ, მაგრამ საშინლად ხარბი აღმოჩნდა. ოჯახში შემოსვლის დღიდან სულ იმაზე ფიქრობდა, რა მიესაკუთრებინა. ხარბად ითვისებდა ყველაფერს: ოთახებს, ავეჯს, სხვის ნივთებს... საჭმლის ჭამაც კი ხარბად იცოდა, ღამღამობით კი მაცივრიდან სანოვაგე გამოჰქონდა და თავის ოთახში საწოლის ქვეშ ინახავდა; მერე ავიწყდებოდა ან ვერ ერეოდა ამდენ საჭმელს და რომ გაფუჭდებოდა, ჩუმად ყრიდა, რომ არავის დაენახა. საწყალი დედაჩემი გადარეული იყო მისი საქციელით, მაგრამ ძალიან წყნარი და უთქმელი ქალი იყო, ამიტომ საყვედურსაც კი არ ეუბნებოდა. დედა თავადის ქალი გახლდათ, ამიტომ საუცხოო მზითევი ჰქონდა: ძველებური ავეჯი, სპარსული ხალიჩები, ოქროს სამკაულები. უნდოდა, ქონება შვილებისთვის თანაბრად გაეყო. ჩემს ძმასა და რძალს მათი წილი ყველაფერი მისცა, მაგრამ რძალს მაინც ჩვენს წილზე ეჭირა თვალი. ზოგი რამ ხვეწნა-მუდარით გამოგვართვა, ზოგიც — წაგვართვა: თქვენ ცოლები არა გყავთ და რომ მოიყვანთ, დაგიბრუნებთო, — მაგრამ რაღას დააბრუნებინებდი?!. როდესაც მე და ჩემმა ძმებმა ცოლები შევირთეთ, დედის მზითვიდან თითქმის აღარაფერი შეგვრჩენოდა. დედა ჩვენს ბედნიერებას ვეღარ მოესწრო, მაგრამ მისი ანდერძის თანახმად, ოქროს სამკაულები დანარჩენ ძმებს თანაბრად უნდა გაგვენაწილებინა, რადგან უფროსისთვის თავისი წილი უკვე მიცემული ჰქონდა. მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ დედაჩემის ოქროს სამკაულები დაიკარგა. მთელი სახლი გადავაბრუნეთ, მაგრამ ოქროს კვალს ვერსად მივაგენით. რა არ ვიფიქრეთ, რამდენიმე ადამიანზე ეჭვი გაგვიჩნდა, მათ შორის — ჩემს რძალზეც, მაგრამ როდესაც არანაირი მტკიცებულება არა გაქვს, ძნელია, ვინმე დაადანაშაულო. მოკლედ, ამ ეჭვებში მთელი 20 წელი გავიდა და ერთხელაც დედაჩემი მესიზმრა. საერთოდ, სიზმრების მჯერა, რადგან ხშირად მიხდება, მაგრამ ასეთი უცნაური სიზმარი არასდროს მინახავს. დედაჩემმა თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: ჩემი ოქროულობა ნარგიზას აქვს კამოდის მარჯვენა უჯრაში შენახულიო... როგორც კი გათენდა, მამაპაპისეულ სახლს მივადექი, სადაც ჩემი ძმა და რძალი ცხოვრობდნენ. ნარგიზა ჭიშკართან ვიხმე და პირდაპირ ვუთხარი: დედაჩემის ოქრო გამოიტანე, კამოდის უჯრაში რომ გაქვს-მეთქი. თავიდან ყვირილი დაიწყო: ვის უბედავ მაგასო, მაგრამ რომ შემატყო, დანებებას არ ვაპირებდი და პირდაპირ იმ ოთახისკენ გავემართე, სადაც დაკარგული სამკაულები მეგულებოდა, უკან გამომყვა. თავისი ხელით გამოაღო კამოდის უჯრა და მთელი ძალ-ღონით ჩაებღაუჭა სამკაულებს. თვალებს ისე ხარბად აცეცებდა აქეთ-იქით, რომ უნდა ვაღიარო — შემეშინდა კიდეც. ასეთი მზერა ჯერ არასდროს მინახავს. მივხვდი, რომ ჩემი რძალი უბრალოდ დაავადებული იყო და მის სენს სიხარბე ერქვა, რომლის დასაკმაყოფილებლად, ალბათ კაცსაც მოკლავდა... არაფერი მითქვამს, მოვტრიალდი და სახლში წამოვედი. შემდეგ გავიგე, რომ ჩემი რძალი ნაპარავ თუ მითვისებულ ოქროულობას ღამღამობით, ყველასგან მალულად იკეთებდა და კმაყოფილებით ათვალიერებდა საკუთარ თავს სარკეში. ფაქტია, რომ ეს უმსგავსობა სიხარბემ ჩაადენინა, სხვა მიზანი რომ ჰქონოდა, ოქროს გაყიდდა ან გააჩუქებდა.

*P.S. ამ თემასთან დაკავშირებით, გამახსენდა სულხან-საბას იგავი „ქურდი მკერავი“, რომელიც ცოტა-ცოტას ყველა ქსოვილიდან იპარავდა; მართალია, ამ ქსოვილს ვერაფერში იყენებდა, მაგრამ სიხარბეს ვერ უმკლავდებოდა. ერთხელ სიზმარი ნახა — რომ პირიდან ხე ამოსვლოდა და ყველა ნაპარავი ნაჭერი ზედ ეკიდა. შვილს უთხრა, — როდესაც შეამჩნევ, რომ ქსოვილის მოპარვას ვაპირებ, ხე მომაგონეო. შვილი ასეც მოიქცა. ეწყინა მკერავს და შვილს მაკრატელი ჩასცა პირში, თან დააყოლა: — ამისთანა ქსოვილი როდის ეკიდა მაგ ხეზეო?!.* ■

# თბილისელი, რომელმაც ლუჟკოვისა და პუტინის ცოლებს „გადაუარა“

# ანუ დედოფალი 100 ევროდ

*ნინო ჯავახიშვილი*

*ევროპის საუკეთესო დიზაინერი, სტილისტი, იმიჯმეიკერი და შოუმენი* ***ჯორჯ როვალსი*** *ორიოდე კვირაა, რაც საქართველოშია და ქართველების გაოცებას აპირებს. თმის შეჭრასთან ერთად შოუს მოწყობასა და ხალხის გაოცებას კი მართლაც კარგად ახერხებს. როდესაც საკუთარი თვალით ვუყურე, როგორ ჭრიდა ჩემი რესპონდენტი თმას, პირველი, რაც კლიენტზე გავიფიქრე, ის იყო, ამ საცოდავმა საკუთარი თავი ამას როგორ ჩაუგდო ხელში-მეთქი. ჯორჯი თან ცეკვავდა, თან მღეროდა, თან ლაპარაკობდა, თან სკამზე მჯდომს აქეთ-იქით აბზრიალებდა და მაკრატელს ისე სწრაფად ატრიალებდა წაღმა-უკუღმა, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ „შოუს“ შედეგი მართლაც საოცარი იქნებოდა. როდესაც თმის შეჭრა დაამთავრა, სხვა რაღა დამრჩენოდა? გაოცებულს წამომცდა: რომელი ქალიც ამას ნახავს, ვინ არ ინატრებს, ნეტავ, შენს ხელში ჩემი „თავი“ ჩააგდოო?! ჯორჯი ერთადერთია ყოფილ საბჭოთა კავშირში, ვინც ჰოლივუდში „ოქროს მაკრატელი“ მოიპოვა. არაერთი ჯილდო აქვს მიღებული მოდის სხვადასხვა ფესტივალზეც და არც არის გასაკვირი, რადგან მის კლიენტთა შორის* ***დემი მური, ტინა ტერნერი*** *და ძალიან ბევრი რუსი თუ ქართველი ვარსკვლავია. გარდა ამისა, ჯორჯი პოლიტიკურ ელიტასაც „მიადგა“ და თავის დროზე საკუთარი მაკრატლით* ***ელცინის, ლუჟკოვისა*** *და* ***პუტინის ცოლებსაც*** *„გადაუარა“. ასე რომ, ჩვენი ექსკლუზიური ინტერვიუდან საქართველოში ჯორჯის გეგმების შესახებაც შეიტყობთ და იმასაც, თუ რატომ არის მისი ტანსაცმელი პრეზიდენტ სააკაშვილის ფოტოთი „დამშვენებული“ ან რა სკანდალში გახვია რუსეთში პუტინის სიყვარულმა და მისი გამოსახულებიანი მაისურით სიარულმა... როგორც მივხვდი, ჯორჯს საქართველოში ცხოვრების დროს ერთი კარგი ანდაზა მეტისმეტად გაუთავისებია — სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო. თუ რატომ, თვითონაც მიხვდებით.*

**— ჯორჯ, საფრანგეთში, გერმანიაში, ჩეხეთში, სინგაპურსა თუ რუსეთში, ყველგან დიდი წარმატება გქონდა, თუმცა 20-წლიანი განშორების შემდეგ მაინც საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტე. გეგმებზე მოგვიანებით ვისაუბროთ, ახლა კი შენი თბილისელობის შესახებ მიამბე — აქ ბევრი ნათესავი გყავს?**



ერთადერთია ყოფილ საბჭოთა კავშირში, ვინც ჰოლივუდში „ოქროს მაკრატელი“ მოიპოვა

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მთელი ჩემი ბავშვობა აქ გავატარე, მამაჩემის დედა ქართველი, თავადის ქალი გახლდათ, დედაჩემი ფრანგი იყო, მაგრამ ჩემს ნათესავებსა და წარმომავლობაზე საერთოდ არ მინდა საუბარი. მათთან დღემდე ურთიერთობა არც მაქვს. ბებიაჩემი მზრდიდა, 147-ე სკოლა დავამთავრე. სწავლა მაინცდამაინც არ მომწონდა, განსაკუთრებით ქიმიას და ფიზიკას ვერ ვიტანდი და „სამიანის“ გულისთვის, მასწავლებლები კაბინეტებს მალაგებინებდნენ ხოლმე. თავიდანვე მაინტერესებდა თმის შეჭრის ხელოვნება. იცით, რატომ? ყოველთვის, როდესაც საპარიკმახეროდან გამოვდიოდი, გული მწყდებოდა, რომ ისეთ „პრიჩოსკას“ ვერ მიკეთებდნენ, როგორიც მინდოდა, ეს კი გუნებას მიფუჭებდა. რაკი ინტერესი მქონდა, თვითონ ვისწავლე. გამოვიჭერდი ჩემს მეგობრებს — უფასო კლიენტებს და ვჭრიდი თმას. თან ვთხოვდი, რამე თუ ისე არ გამომივიდა, არ გეწყინოთ-მეთქი, მაგრამ როდესაც ტალანტი გაქვს, ყველაფერი გამოგივა. სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში, თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე, მაგრამ სწავლას მალევე დავანებე თავი და ქუთაისში სილამაზის სალონი გავხსენი. იქაური ნათლია მყავს და ძალიან დამეხმარა. აქედან დაიწყო ჩემი კარიერული წინსვლაც. მალევე გავითქვი სახელი და კლიენტები უკვე თბილისიდანაც ჩამოდიოდნენ. მერე გაჭირვებისა და ომიანობის




წლები დაიწყო და მივხვდი, ბარგი-ბარხანა უნდა შემეკრა და სადმე წავსულიყავი. მოსკოვში ჩავედი.

— **ალბათ ძნელი იყო უცხო ქვეყანაში გზის გაკვლევა. არ გაგიჭირდა?**

— რა თქმა უნდა, ძნელი იყო. მე ხომ არავის ვიცნობდი იქ. თუ წევხარ და ოცნებობ, ხვალ ვარსკვლავი გავხდები და უკვე მილიონი მექნებაო, ასე არაფერი გამოვა. ბევრი უნდა იშრომო, რამეს რომ მიაღწიო. ერთ სალონში მივედი, არ მიმიღეს; მეორიდანაც უარით გამომისტუმრეს, მესამიდანაც და ბოლოს გამიმართლა, ერთ-ერთ სალონში დავიწყე მუშაობა. პირველი ვარსკვლავიც გამოჩნდა — ტატიანა სუდეცი. ვეუბნებოდი, ტანიჩკა, მთელი ცხოვრება უფასოდ გაგიკეთებ ვარცხნილობებს, ოღონდ ვარსკვლავები მომიყვანე-მეთქი. მართლაც, მან მოიყვანა ალექსანდრ პისკოვი, მერე მოვიდა ლოლიტა, შემდეგ კი ვალერია, დოლინა, თამარ გვერდწითელი, სოსო პავლიაშვილი, დიანა ღურწკაია, კირკოროვი და პუგაჩოვაც გამოჩნდნენ და ჩემი ამბიცია — ვარსკვლავებთან მემუშავა, ნაწილობრივ დავიკმაყოფილე, თუმცა ამ ყველაფერს წლები დასჭირდა.

— **როგორც ვიცი, კირკოროვმა „რეაქტიული პარიკმახერი" გიწოდა. რატომ?**

— ზუსტად 45 წამში შევჭერი თმა და შემაქო: „რეაქტიული პარიკმახერი" ხარო, მითხრა. 5-10 წუთში შემიძლია, კლიენტს მოვემსახურო, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის, ვისთვისაც დრო ფასობს.

— **ამის შემდეგ შენი ამბიცია კიდევ უფრო შორს წავიდა, ხომ?**

— ჩემი ოცნება იყო, პირველი ლედისთვის შემეჭრა თმა და მართლაც, მას საკუთარ სახლში მოვემსახურე, მაგრამ ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი მაინც ბორის ელცინთან შეხვედრა იყო. მისი პარიკმახერი შვებულებაში იყო და მე გამომიძახეს. დაცვამ ღამის სამ საათზე მომაკითხა. მითხრეს, არაფერი თქვათ, თქვენი ინსტრუმენტები წამოიღეთ და მანქანაში ჩაჯექითო. თავიდან, ცოტა არ იყოს, შემეშინდა, მაგრამ ინსტრუმენტები რომ ახსენეს, მივხვდი, რაშიც იყო საქმე. მკაცრად გამაფრთხილეს, რომ ელცინისთვის არაფერი მეკითხა, ალბათ უსაფრთხოების მიზნით, მაგრამ თვითონ მელაპარაკებოდა.

— **საინტერესოა, მაინც რა გითხრა?**

— ძალიან მოკლედ არ შემჭრაო, თავიდანვე გამაფრთხილა და დაამატა, — ერთი-ორჯერ ნაინამ გნახა (მისმა ცოლმა) და ამიტომ გადავწყვიტე შენი მოყვანაო. მერე მაცივარი გამოაღო, 100 გრამი დაისხა და მეც



ის ხომ კლასიკური, დახვეწილი ქალია...

დამისხა. მოვუბოდიშე, არ ვსვამ-მეთქი და შემაქო, „მალადეც", დასაფასებელიაო, მითხრა. კარგად გადამიხადეს და გამომიშვეს.

— **მომიყევი, როგორ გახდი ჰოლივუდში „ოქროს მაკრატლის" მფლობელი?**

— ინტერნეტით გავიგე, რომ არაპროფესიონალების კონკურსი ტარდებოდა, რომელშიც მსოფლიოს 150 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. არ მაკმაყოფილებდა ის, რასაც რუსეთში მივაღწიე და მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ უფრო მაგარი ვიყავი. სპონსორი არ მყავდა, გადავიხადე 5.000 დოლარი მონაწილეობისთვის და გავემგზავრე დასასწრებად. გამარჯვების იმედი არც მქონდა. ისეთი სპონსორები ჰყავდათ, ვიფიქრე, აქ ვინ გამამარჯვებინებს-მეთქი? საათ-ნახევარში კლასიკური, ექსტრავაგანტური ან თავისუფალი სტილის ვარცხნილობა უნდა გაგვეკეთებინა. მე „თავისუფალი სტილი" შემხვდა. ჩემი ჯერი რომ მოვიდა, ყურსასმენები გავიკეთე — მუსიკის გარეშე მუშაობა არ მიყვარს და დავიწყე... თავიდან ყურადღებას რომ არავინ მაქცევდა და მგონი, არც ერთი კამერა არ იყო მომართული ჩემკენ, მაშინ დავაფიქსირე, როცა წინა რიგებიდან ხალხი ფეხზე წამოდგა და ისე მიყურებდა. მივხვდი, მოეწონათ შოუ, რომელიც მათ შევთავაზე. 20 წუთში მოვრჩი ჩემს საქმეს. გამოაცხადეს მეხუთე ადგილი — მაყურებლის სიმპათია, მერე ხელოსნების სიმპათია, მერე მესამე, მეორე ადგილი და აი, მაშინ კი უკვე ხელი ჩავიქნიე, იმედი გადამეწურა და სწორედ მაშინ გავიგე: — პირველი ადგილი, რუსეთი, ჯორჯ როვალსი. ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვდა. თარჯიმანი ხელს მკრავდა, რა მოგივიდა, გამოფხიზლდი და სცენაზე გადიო. მოულოდნელობისგან გავითიშე, თითქოს ბურანში ვიყავი. რუსულად ვიკითხე, არ ვიცი, სად უნდა წავიდე-მეთქი. ხელოსნებმა და ხალხმა დერეფანი გააკეთეს და დავინახე ქაღალდის დიდი ჩეკი, რომელზეც ეწერა — 500 ათასი დოლარი. მეორედ შოკი სწორედ მაშინ მივიღე. იმ დროს სხვა არაფერი მახსოვდა, ლიმუზინისა და კარგი ცხოვრების გარდა. რაღაცებს კი მეუბნებოდნენ, მაგრამ არ მესმოდა. გამომიყვეს ადვოკატი და მენეჯერი, თუ დამჭირდებოდა. მოგებული თანხიდან ხელზე 355 ათასი მომცეს. ამდენი ფული რომ მქონდა, ესეც ხომ ძალიან მაგარი იყო, მაგრამ უფრო კარგი ის იყო, რომ ამ გამარჯვებით ყველას დავუმტკიცე, რაც შემეძლო.

— **დემი მურს თავი რომ გადაჰპარსე, ეგეც მომიყევი.**

— კონკურსიდან წამიყვანეს გადასაღებ მოედანზე და მითხრეს, რომ თმა უნდა შემეჭრა. ვის ვჭრიდი თმას, ვერ მივხვდი, ისევ ეიფორიაში ვიყავი და ლიმუზინის მეტს ვერაფერს ვხედავდი. გვიან მივხვდი, რომ ქალი, რომელსაც თმა გადავპარსე, დემი მური იყო. ჯულია რობერტსი კი თავიდანვე ვიცანი, მეგობარს გვერდით ედგა და გულშემატკივრობდა. კმაყოფილი დავრჩი, რადგან მაშინაც კარგად გადამიხადეს, ოღონდ არ მკითხოთ, რამდენი. დღემდე ვნანობ, რომ უარი ვთქვი კონტრაქტებზე, რომლებსაც მთავაზობდნენ და უკან, რუსეთში დავბრუნდი. მეგონა, რუსეთში უფრო დამაფასებდნენ, მაგრამ შევცდი.

— **რატომ? შენ ხომ ორჯერ მიიღე „რუსეთის პროფესიონალის" წოდება, რომლითაც თავად ლუჟკოვმა დაგაჯილდოვა და გაღიარა? ეს არაფერს ნიშნავს?**

— დიდი რამე, მაგის ცოლს რომ შევჭერი თმა, ბანკეტი გადამიხადა და მაგ წოდებითაც მაშინ დამაჯილდოვა, მაგრამ ბანკეტის გადახდას არ სჯობდა, ფული გადაეხადა?



**— ამიტომაც წამოხვედი რუსეთიდან? განაწყენებული ხარ?**

— 20 წლის მანძილზე მოსკოვში ერთი დღეც არ დამისვენია... აქაურობა კი მართლაც საოცრებაა. ალბათ ეს ჰაერი მაკლდა, ეს მზე მაკლდა, სითბო, ზღვისპირი და ახლა ვაპირებ დაკარგული წლების ანაზღაურებას.

**— ახლა რა გეგმები გაქვს?**

— ერთ თვეში უკვე საკუთარ სალონს გავხსნი, სადაც პოდიუმიც იქნება და ჩვენებებს მოვაწყობთ. გარდა ამისა, ვაპირებ ფასიანი საპარიკმახერო სკოლა და უფასო კურსები გავხსნა და ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს ხელობა შევასწავლო. როდესაც ისინი სრულწლოვნები ხდებიან, მათზე ხომ აღარავინ ზრუნავს. ამით ჩემს პატარა წვლილს შევიტან ქველმოქმედებაში.

**— შენი მომსახურება ძალიან ძვირი სიამოვნება იქნება...**

— ქართული ბაზარი შევისწავლე და გამიკვირდა, რომ მაღაზიებში, მაგალითად, სათვალე 200-300 დოლარი ღირს. არ სჯობს, 100 ევრო გადაიხადო და მთელი თვე დედოფალივით ლამაზმა იარო? ასე რომ, ქალებმა ფული გაამზადონ...

**— ჩაცმის ასეთი ექსტრავაგანტური სტილი ხალხის ყურადღების მისაქცევად გაქვს არჩეული? როგორც ვიცი, ტანსაცმელსა და სხვადასხვა აქსესუარსაც ასევე დიდი წარმატებით ქმნი...**

— დიახ, მოდის ერთ-ერთ ფესტივალზე მივიღე პრიზი ტანსაცმლის საუკეთესო კოლექციისთვის. ქუდები, ჩანთები და სხვა აქსესუარები ქალს ქალურობას ანიჭებს და მივხვდი, რომ სწორედ ეს აკლდათ ქალებს. ამან მიკარნახა კოლექციის შექმნაც. ქუჩაში მართლაც ხშირად ვგრძნობ ცნობისმოყვარე მზერას. ზოგჯერ, ჩემთან მოსული კლიენტების თვალებშიც წამიკითხავს: ვაიმე, ეს რა გიჟია, რა უცნაურად აცვია, ამას როგორ გავაკეთებინებ „პრიჩოსკასო"?! რა ვიცი, ჯერ არავის უნანია ჩემს ხელში ჩავარდნა (*იცინის*)... შეიძლება, უცნაურად მეცვას, მაგრამ სინამდვილეში „კლასიკა" ვარ. მიყვარს ყველაფერი კლასიკური, შავ-თეთრი. არ ვარ ისეთი გიჟი, როგორადაც ჩემი მანქანები გამოიყურებიან... ჩემი საყვარელი კომპოზიტორები ჯემალ სეფიაშვილი და ბუთხუზი ბასილაია არიან. ახლა მითხარი, როგორი ტიპი ვიქნები? თამრიკო გვერდწითელი ჩემთან რატომ გაიკეთებდა ვარცხნილობას, თუ რამე გიჟურს გავუკეთებდი? ის ხომ კლასიკური, დახვეწილი ქალია... ასე რომ, ძალიან დახვეწილი გემოვნების მქონე კლიენტები მყავს და ვიცი, მათ რა სჭირდებათ. ვიღაც „ტატუშკები" და „პიდარასტები" არ მაინტერესებს!

**— ასეთი „კლასიკა" თუ ხარ, რატომ შეღებე შენი მანქანები ასე ჭრელაჭრულად? მოსკოვში დატოვე შენი ყველა ავტომობილი?**

— იმიტომ შევღებე, რომ ხალხს ზეიმი ვაჩუქო, კარგ ხასიათზე დავაყენო. ჩემი მეგობარი, ია ფარულავა მეუბნება, რომ ვარ კაცი ზეიმი და რომ ჩემი ეს განწყობილება სხვებისთვისაც გადამდებია. თუ მართლა ასეა, მომწონს.

**— კარგი. შენი ექსტრავაგანტურობით უნდა ავხსნათ ისიც, რომ ჩვენი პრეზიდენტის სურათი გიკიდია ოთახშიც და გულზეც? ასე ძალიან გიყვარს?**

— (*კითხვის დამთავრებას არ აცდის*) დიახ, მიყვარს და არ მესმის, რატომ არ უნდა დავკიდო მისი სურათი, ან რატომ არ უნდა მიყვარდეს?

**— რა ვიცი, მთელი საქართველო გაიძახის, გადადექიო და შენ რატომ უნდა გიყვარდეს?**

— პოლიტიკაში არ ვერევი, მაგრამ ამ ორ კვირაში საკუთარი თვალით ვნახე, რომ ყველაფერი ძალიან შეცვლილი და გალამაზებულია. შუქი გაქვთ, წყალი გაქვთ, კარგი შენობები, გზები და სხვა რაღა გინდათ? ჯერ ის რად ღირს, რომ მშვიდად გძინავს, არ გეშინია, რომ რამეს მოგპარავენ. მოსკოვში ორი დაცვა მყავდა, მანქანებს სიგნალიზაციები ეყენა და მაინც მქურდავდნენ. აქ რომ ჩამოვედი, აჩიკო მეფარიძეს ვკითხე, დაცვა ავიყვანო-მეთქი? ასე მითხრა, იმნაირ ქვეყანაში მოხვდი, რომ არ გჭირდებაო.

**— კარგი, დავიჯერე, რომ გიყვარს ჩვენი პრეზიდენტი, მაგრამ როგორც გავიგე, მოსკოვში პუტინისსურათიანი მაისურით რომ მიხვედი ერთ-ერთი გადაცემის ჩაწერაზე, ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. აღშფოთებულს წერილიც კი მიგიწერია პუტინისთვის და გითხოვია, რომ ზომები მიეღო... ისე, საინტერესოა, პასუხი თუ მიიღე?**

— ეგ ამბავი 28 აგვისტოს იყო და პირველ სექტემბერს ბესლანის ტრაგედია მოხდა. ჩემთვის ნამდვილად არ ეცალა, თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ ჩემი წერილი მიიღო და წაიკითხა კიდეც. ტელევიზიაში რომ გამომიცხადეს, მონაწილეობას ვერ მიიღებ, თუ მაგ სურათს არ მოიშორებო, რა თქმა უნდა, გავბრაზდი. ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, სურვილის შემთხვევაში, ატარებდეს პრეზიდენტის სურათს. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

**— როგორც იტყვიან, გემოვნებაზე არ დაობენ. საუბრის ბოლოს, შენს პირად ცხოვრებაზეც მინდა გკითხო. ყოფილი ცოლი „მის ჩეხეთი 2005" იყო. როგორ გაიცანი?**

— ყოფილი არ არის, ჯერ არ დავშორებულვართ, დღემდე მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. 2005 წლის სილამაზის კონკურსზე ჟიურის წევრად მიმიწვიეს და მაშინ ვნახე პირველად. ძალიან მომეწონა. გადამწყვეტი სიტყვა ჩემზე იყო — თუ მივცემდი ხმას, გაიმარჯვებდა. საბოლოო გადაწყვეტილებამდე ცოტა ხნით კაფეში გავედით და მაშინ ვუთხარი, იცი, შენი ბედი ჩემს ხელშია-მეთქი. ვაიმე, მომეხმარე, რა, ჯორჯოო, მთხოვა. კარგი, ოღონდ ცოლად გამომყევი-მეთქი, „ნაგლად" ვაჯახე.



45 წამში შევჭერი თმა და შემაქო: „რეაქტიული პარიკმახერი" ხარო

ტელეფონის ნომერიც გამოვართვი და მალევე გადავიხადეთ მოკრძალებული ქორწილი ჩეხეთში.

**— შვილი გყავს მასთან?**

— მასთან არა, სხვასთან მყავს, მაგრამ ამაზე არ გვინდა საუბარი...

**— ნება შენია, ახალ ცხოვრებას იწყებ და როგორც ვატყობ, ახალი ურთიერთობებისთვისაც მზად ხარ...**

— რატომაც არა?! გამორიცხული არაფერია. ქართველი ქალები ძალიან ლამაზები და ეშხიანები არიან. თუმცა ცოტა ხელის შევლება კი უნდათ. ვარდი ხომ ლამაზია, მაგრამ თუ არ მოუვლი, დაჭკნება. ასეა ქალიც. ამიტომაც ვამბობ, რომ კაცები „მებაღეები" ვართ, უნდა მოვუაროთ ქალებს. საქართველოს მამაკაცებსაც ვურჩევ: გაუფრთხილდით საქართველოს დედოფლებს და მაშინ დაიწყებენ ისინი ღიმილს...

**— წარმატებებს გისურვებ!**

■

# ქართველი „ცოლიკოს“ და ჩინელი „ვანიჩკას“ 15-წლიანი ოჯახური იდილია

**ქართველების უმეტესობა ახალი წლის დღესასწაულს ორჯერ აღვნიშნავთ, ნონა სუხაშვილი კი — სამჯერ. ეს მას შემდეგ ხდება, რაც ის ჩინელ შიბინ ვანს გაჰყვა ცოლად და მანამდე მისთვის ეგზოტიკური სამყარო გაითავისა... ქართულ-ჩინური ოჯახი უკვე 15 წელია, შეხმატკბილებულად ცხოვრობს.**



ნონა სუხიშვილი მეუღლესთან ერთად

*ეთო ყორღანაშვილი*

**ნონა სუხაშვილი:**

— ჩინეთში ერთმანეთს გვარით მიმართავენ. ეს მე არ ვიცოდი. როგორც ყველა, ჩემს მომავალ მეუღლეს მეც „ვანით“ მივმართავდი. გაცნობიდან ერთი თვის შემდეგ გავიგე, რომ მისი სახელი შიბინია, გვარი კი ვანი ყოფილა (*იცინის*)...

**— რამდენი წლის იყავით, როცა ვანი გაიცანით?**

— 23-ის. ჩემი ბიძაშვილი ჩინურ რესტორანში დაპატიჟეს, მეუღლესთან ერთად. რადგან მანამდე ჩინურ რესტორანში არასოდეს ვიყავი ნამყოფი, ბიძაშვილმა მეც წამიყვანა. მაშინ თბილისში მხოლოდ ერთი ჩინური რესტორანი იყო, სადაც ვანი დაგვხვდა; გაგვიმასპინძლდა. იქაურობით ძალიან მოვიხიბლეთ — განსხვავებული კერძები, ინტერიერი, ჩინელების ფუსფუსი... მაშინ ეს ჩემთვის ეგზოტიკა იყო, ახლა კი ყველაფერი გავითავისე.

**— ერთმანეთს თავიდანვე „სხვა თვალით“ შეხედეთ?**

— უბრალოდ, მის მიმართ სიმპათიით განვეწყვე. ვანი ჩემით მოიხიბლა და ჩემთან დაკავშირებას აქტიურად ცდილობდა — მირეკავდა, სასეირნოდ მეპატიჟებოდა... უარს ვეუბნებოდი. ბოლოს ამდენი უარის თქმის მომერიდა და შეხვედრაზე დავთანხმდი. ჩვენი ურთიერთობა ნელ-ნელა განვითარდა. ისეთი დადებითი ადამიანია, რომ წარმოუდგენელია, მისთვის ხელი მეკრა.

**— თქვენს მოხიბვლას როგორ ცდილობდა?**

— ალბათ ყველაფერი ბუნებრივად მოხდა... ვანს სიურპრიზების გაკეთება ძალიან უყვარს, რაც ყველა ქალისთვის სასიამოვნოა. ძალიან ყურადღებიანი, თბილი ადამიანია. სულ თვალებში მიყურებდა და ჩემი სურვილების ახდენას ცდილობდა. დღემდე ასე იქცევა. ჩვენი ურთიერთობა რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მივხვდი, რომ ეს ის ადამიანი იყო, ვისთან ერთადაც უნდა მეცხოვრა. ოჯახის შექმნა გადავწყვიტეთ. მის მიმართ ახლაც ზუსტად ისეთი გრძნობა მაქვს, როგორიც შეყვარებულობის პერიოდში.

**— გაცნობიდან რამდენ ხანში გამოგიტყდათ სიყვარულში?**

— ერთ თვეში. მაშინ ბუნების წიაღში ვსეირნობდით...

**— „მიყვარხარ“ რა ენაზე გითხრათ?**

— ჩინურად.

**— იცოდით, რას ნიშნავდა?**

— კი, უკვე ვიცოდი. ჩინური ძალიან ლამაზი და მუსიკალური ენაა. შეიძლება ითქვას, რომ „მიმღერა“, მე შენ მიყვარხარო (*იცინის*).

**— ქართულად არ გიხსნით სიყვარულს?**

— კი, როგორ არა! ქართულად ახლაც ხშირად მეუბნება, რომ ვუყვარვარ. სიყვარულს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოხატავს. ჩინელი მამაკაცები ქალს ძალიან დიდ პატივს სცემენ. ვანი ხშირად ამბობს, სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლებაო. ამ გრძნობას ძალიან უფრთხილდება.

**— როცა ისეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტეთ, როგორიც ოჯახის შექმნაა, თქვენი მშობლები ამ ამბავს როგორ შეხვდნენ? ალბათ, ვანი ბუდისტია, არა?**

— ჩემი მეუღლე ბუდიზმის მიმდევარი არ არის. ამბობს, ღმერთი ჩემს გულშიაო. მას ღმერთის სწამს... ვანი საკმაოდ სერიოზული ადამიანია და სიყვარულთან თამაში არ შეუძლია. მას პირველი მეუღლისგან გოგონა ჰყავს. სისი 3 წლის იყო, როცა ვანი და მისი პირველი ცოლი ერთმანეთს დაშორდნენ. ჩემმა მეუღლემ გოგონა თავისთან დაიტოვა და გაზარდა. შვილით ძალიან ამაყობს, მასზე ზრუნავს. სისისთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს... მე და ვანი დაქორწინებამდე სერიოზულად დავფიქრდით, რათა ოჯახი კიდევ არ დანგრეოდა. ჩემს მშობლებს რაც შეეხებათ, ისინი ცივილიზებული ადამიანები არიან და მათგან პრობლემა არ შემქმნია. ყველა ახლობელი აღნიშნავდა, შენ ვინც გეყვარება, ჩვენთვისაც მისაღებიაო.

**— სისი საქართველოში ნამყოფია?**

— არა, მაგრამ აქ სტუმრობის დიდი სურვილი აქვს. ამჟამად სწავლობს. 22 წლის, ულამაზესი გოგონაა.

**— ნონა, ვანს საქართველოში ჩამოსვლა რამ გადააწყვეტინა?**

— ის დამოუკიდებელი ადამიანია. ახალგაზრდა ასაკიდან საკუთარი ბიზნესი აქვს. ბიზნესის გამო, სხვადასხვა ქვეყანაში გამგზავრება მოუხდა, ერთ-ერთი საქართველო იყო. 1 წლის განმავლობაში ბათუმში ცხოვრობდა. შემდეგ თბილისში გამოემგზავრა, სადაც მე გამიცნო და მისი მარშრუტიც გაჩერდა (*იცინის*). ვანი საქართველოში დაფუძნდა. სამწუხაროდ, მე სხვა ქვეყანაში დიდხანს ვერ ვძლებ.

**— რას საქმიანობთ?**

— ჩინური რესტორანი გვაქვს. ვანი მზარეულია. ამ სფეროში მას უმაღლესი, 7-წლიანი განათლება აქვს მიღებული. ის საქართველოში საუკეთესო მზარეულია.

**— რესტორანში კერძების მომზადებას ვინმეს ანდობს?**

— არა. შეუძლებელია, ქართველმა ჩინური კერძი სრულყოფილად მოამზადოს.

**— ჩინურ სამზარეულოსთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— ძალიან მიყვარს! მრავალფეროვანი სამზარეულო აქვთ. კერძები მა-

ღალ ცეცხლზე (ჩინეთიდან სპეციალური გაზქურები გვაქვს ჩამოტანილი) მზადდება. შესაბამისად, ბოსტნეული ვიტამინებს არ კარგავს, რაც ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ კერძი შეკვეთიდან 2 წუთში მზადდება. ეს ჯანმრთელობის გარანტიაა (თავად სამედიცინო სფეროში ვმუშაობ). ჩინელები საკვებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მდიდარი და კარგი სამზარეულო ამიტომაც აქვთ. სწორი კვება ჩინელების „კანონია“. დღის განმავლობაში 7 სახის ბოსტნეულს მიირთმევენ. ხორცს დიდი რაოდენობით არ ჭამენ. ჯანმრთელობისთვის სასარგებლო სხვადასხვა სახის ჩინური ჩაი არსებობს...

— **ვანს ქართული სამზარეულო თუ მოსწონს?**

— დიახ. თავისი საყვარელი კერძები აქვს. ჩვენებურად შეკაზმული კიტრისა და პომიდვრის სალათა ძალიან მოსწონს. ჩინეთში რეჰანი არ იყიდება, სალათაში ჩაჭრილი რეჰანი კი ვანს ძალიან უყვარს. ასევე — მწვადი, ხინკალი, საცივი...

— **ჩინელ მზარეულს ქართული კერძების მომზადება არ უცდია?**

— ჩინელი ხაჭაპურს ვერ გამოაცხობს, თუმცა ჩინური „ხაჭაპური“ არსებობს, რომელსაც სხვაგვარი შიგთავსი აქვს. ვანს ვეუბნები ხოლმე, ყველის შიგთავსი გავუკეთოთ და ქართული ხაჭაპური გამოვა-მეთქი. ჩინეთში, ერთხელ მეზობელმა თეფშით კერძი მოგვიტანა, რაც ჩვეულებრივი, ქართული მჭადი აღმოჩნდა.

— **ჩინურ „მჭადს“ რა ჰქვია?**

— პინ ძა.

— **ვანის მშობლებზეც გვიამბეთ...**

— მას არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავს. ენის ბარიერის მიუხედავად, მე და ჩემი დედამთილი ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ. ასეთი კარგი ურთიერთობა ბევრ ქართველ რძალ-დედამთილს არა აქვს. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ერთმანეთს თვალებით ვესაუბრებით.

— **ვანის ოჯახი რას საქმიანობს?**

— მას ასაკოვანი მშობლები ჰყავს — პენსიონერები არიან. ძმა მსახიობია, ფილმებში მონაწილეობს.

— **ჩინელებსა და ქართველებს შორის რა მკვეთრი სხვაობაა?**

— ჩვენს დაოჯახებამდე ვანი ჩინეთში 8 წლის მანძილზე არ ყოფილა. პეკინში გამგზავრება გადავწყვიტეთ, რათა მისი მშობლები, ნათესავები გამეცნო. 8-წლიანი განშორების შემდეგ, ვანისა და დედამისის შეხვედრისას ისეთ ემოციებს ველოდი, როგორიც ქართველი დედა-შვილის შეხვედრისას იქნებოდა მოსალოდნელი, მაგრამ ასეთ სცენას შევესწარი: დედამთილმა გაიღიმა და შორიდან მოგვესალმა. ეს ჩემთვის შოკი იყო (*იცინის*)!.. ჩინელებს ხმაური, სხვა ადამიანების შეწუხება არ უყვართ. იქ ბავშვის კულტი აქვთ; რა თქმა უნდა, ყველაფრის უფლებას არ აძლევენ, მაგრამ „ყველაფერი



**„ვანიჩკას“ შვილი, პირველ მეუღლესთან**

საუკეთესო — ბავშვებს“ — სწორედ ჩინელებზეა ნათქვამი. ყველა საცხოვრებელი კორპუსის წინ სათამაშო მოედანია, სადაც კაუჩუკია დაგებული — ბავშვი რომ დაეცეს, არაფერი იტკინოს. სახლთან ახლოს საბავშვო ბაღი იყო, რომელშიც პატარებისათვის საოცარი კომფორტი იყო შექმნილი. ჩინელები ძალიან პრაქტიკული ხალხია: ზედმეტად არ იხარჯებიან არც ფინანსურად და არც ემოციურად. დროის ყადრი კარგად იციან. ჩინელები და ქართველები ერთმანეთს ნათესავებს შორის ურთიერთდამოკიდებულებით ჰგვანან... ერთხელ, ნათესავთან სტუმრობისას, ვახშმის შემდეგ სუფრა მასპინძელმა მამაკაცმა აალაგა და ჭურჭლის რეცხვა დაიწყო, ქალები კი ტელევიზორის საყურებლად გავიდნენ. გავოგნდი. თურმე ეს ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა: ჩინეთში ოჯახის საქმე ქალსა და მამაკაცს შორის თანაბრად ნაწილდება.

— **ამ მხრივ, თქვენს ოჯახში როგორაა საქმე?**

— ჩვენს ოჯახშიც თანხმობა სუფევს: თუ დაღლილი ვარ, საოჯახო საქმეებს ვანი კისრულობს — ამაში დასაძრახი არაფერია. ჩვენთან საოჯახო საქმე ისე ნაწილდება, როგორც ტრადიციულ ჩინურ ოჯახში, თუმცა „ქართული ხაზიც“ არსებობს: სუფრა, სადღეგრძელოები...

— **ვანს ქართული სუფრის ტრადიციები მოსწონს?**

— რა თქმა უნდა, ვის არ მოსწონს?!

— **თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— განტვირთვისთვის, ქართულ რესტორანს ვსტუმრობთ, ვსეირნობთ, მეგობრებთან მივდივართ ან დასასვენებლად საზღვარგარეთ მივემგზავრებით.

— **რა ენაზე ურთიერთობთ?**

— რუსულად. ქართული ენა ჩინელებისთვის რთულია. ვანი რამდენიმე ქართულ სიტყვას ძალიან სასაცილოდ ამბობს. მაგალითად — კომბოსტოს „კამბუსტას“ ეძახის, მე „ცოლიკოთი“ მომმართავს, მას კი — „ვანიჩკას“ ვეძახი (*იცინის*)...

— **მოკლედ, საბოლოოდ, საქართველოში დარჩენას აპირებთ?**

— წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ სხვა ქვეყანაში დიდხანს ვერ ვჩერდები, ჩემი ბედკრული საქართველო მიყვარს (*იღიმის*)... ■



**ჩვენს ოჯახში თანხმობა სუფევს**

# „წამალზე“ დამოკიდებული მოზარდები და მათი შეყვარებულების აღსარება

## „მინდა, ჯანმრთელი შვილები მყავდეს...“

**„ჩემი შეყვარებულიც ნარკომანია, მაგრამ ის სულაც არაა ისეთი ცუდი, როგორი წარმოდგენაც საზოგადოებას წამალდამოკიდებულ ადამიანებზე აქვს“, — მომწერა 18 წლის ქეთიმ, რომელიც თურმე, უგონოდაა შეყვარებული 10 წლით უფროს მამაკაცზე და სულაც არ ნანობს, რომ ნარკომანი შეუყვარდა. „გზის“ №7-ში გამოქვეყნებულმა კნოპკას მესიჯმა, რომელიც ჩვენი ჟურნალის მკითხველებისგან რჩევას ითხოვდა, როგორც ჩანს, ბევრი დააყენა გულახდილობის ხასიათზე და ისინიც, მთელი კვირის განმავლობაში მიკავშირდებოდნენ.**

*ლიკა ქაჯაია*



**ქეთი,** *18 წლის:*

— დიახ, ჩემი შეყვარებული ნარკომანია და მე ამის თქმის არ მრცხვენია.

**— დავიჯერო, ეს გეამაყება?**

— არა, არც მეამაყება, მაგრამ ამაში სამარცხვინოსაც ვერაფერს ვხედავ. ხომ უყვარდებათ გოგონებს ისეთი ბიჭები, რომლებსაც ვთქვათ, გული ან კუჭი აწუხებთ? ჰოდა, რა პრობლემაა, მეც თუ შემიყვარდა წამალდამოკიდებული ადამიანი?..

**— სანამ შეგიყვარდებოდა, მანამდეც იცოდი, ნარკომანი რომ იყო?**

— ის ჩემს უბანში ცხოვრობს და ცხადია, მასზე რაღაც-რაღაცები ვიცოდი, მაგრამ მაინც შემიყვარდა, თანაც — უზომოდ. მასზე არა მარტო მე, არამედ ნახევარი უბანი იყო შეყვარებული, მასთან ურთიერთობის გაბმას ყველა ცდილობდა, მან კი რატომღაც, მე ამირჩია. როგორც ამბობს, პატარაობიდანვე მოვწონდი, მაგრამ ვიდრე არ დარწმუნდა, რომ კარგი გოგო ვიყავი, არ გამეცნო.

**— საინტერესოა, როგორ დაახლოვდით?**

— სკოლიდან რომ მოვდიოდი, ის „ბირჟაზე“ იდგა და შორიდან მაკვირდებოდა ხოლმე; ამას ყოველთვის ვგრძნობდი და სურვილიც მქონდა, ჩემთან მოსულიყო, გზა გადაეღობა და ეთქვა: გოგონი, მოდი, ერთმანეთი გავიცნოთო, მაგრამ ჩემი ოცნების ახდენას საშველი არ დაადგა... ერთხელაც მის კორპუსში მცხოვრები გოგონა გავიცანი და დავუმეგობრდი. მან დაბადების დღეზე მიმიწვია და სწორედ იქ გავიცანი დათო. ის არ სვამდა, მე კი „ნაყლაპში“ ვიყავი და გავუთამამდი კიდეც. პირველად ცეკვა თავად შევთავაზე. მითხრა, — არ მეხერხებაო, მაგრამ არ მოვასვენე და მერე იკადრა ფეხზე ადგომა. სხვათა შორის, მშვენივრად ცეკვავს და ამითაც მომხიბლა (*იცინის*)... მერე დათომ სახლამდე მიმაცილა და სწორედ მაშინ ვაკოცე პირველად. მას შემდეგ თანდათან დავუახლოვდით ერთმანეთს და ახლა შეყვარებულები ვართ; ჩვენი ამბავი ყველამ იცის და მალე ოჯახის შექმნასაც ვაპირებთ.

**— ამ ამბავს შენი მშობლები როგორ ეგუებიან?**

— მართალია, ნარკომანი სასიძო არ მოსწონთ, მაგრამ ჩემი სიჯიუტის ამბავიც რომ იციან, შემეშვნენ, აღარ მებუზღუნებიან და მსაყვედურობენ. რა მნიშვნელობა აქვს მშობლების აზრს, როცა ჩვენ შორის ნამდვილი სიყვარულია?

**— ოდესმე, მას შენთვის „წამლის“ საყიდლად ფული თუ უთხოვია?**

— არა, ასეთი რამ არ მახსოვს, მეტიც — ჩემი თანდასწრებით „წამალს“ არასდროს ახსენებს და სხვათა შორის, სხვების მსგავსად, არც ის შემოუთავაზებია, — თუ გინდა, „გაგიჩხერო“.

**— მისთვის არასდროს გითხოვია, „წამალს“ რომ შეეშვას?**

— ამ თემაზე ერთხელ ვისაუბრეთ და მას მერე, ამაზე აღარ ვლაპარაკობთ. მაშინ ურთიერთობა ახალი დაწყებული გვქონდა. დათო გამომიტყდა: ნარკომანი ვარ და იცოდე, ჩემ გვერდით თუ იქნები, შეიძლება, ცხოვრება გაგიმწარო, მაგრამ ისიც ადვილი მოსალოდნელია, რომ ამ სენისგან გავთავისუფლდე, თუმცა საამისოდ დრო მჭირდებაო. ვუთხარი: მე მიყვარხარ და ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, ნარკომანი ხარ თუ არა, მაგრამ თავს თუ დაანებებ, გამახარებ-მეთქი. მართალია, მკურნალობა არ დაუწყია, მაგრამ მჯერა, ადრე თუ გვიან, როცა შვილების ყოლას გადაწყვეტს, თავისი პრობლემების მოგვარებაზეც იზრუნებს.

**— თუ იცი, ნარკოტიკის შესაძენად ფული საიდან მოაქვს? მუშაობს?**

— არა, არ მუშაობს. დიდი სამეგობრო წრე ჰყავს და ისინი ეპატიჟებიან ხოლმე; ზოგჯერ ისიც შოულობს „წამალს“ და მეგობრებს ძმურად უყოფს. ხომ გაგიგონია, — ხელი ხელს ბანს და ორივე ერთად, პირსო.

**— მე ისიც გამიგონია, რომ ნარკომანის ცოლობა ჯოჯოხეთში ცხოვრებას ჰგავს...**

— ზოგჯერ ადამიანი წამალზე დამოკიდებული არ არის, მაგრამ მის გვერდით ცხოვრება უფრო ჰგავს ჯოჯოხეთურ ყოფას, ვიდრე ნარკომანის გვერდით ყოფნა. ასე რომ, მე არაფრის მეშინია, ამისთვისაც მზად ვარ... როცა მისი ცოლობის გადაწყვეტილება მივიღე, უკვე ყველაფერი გაანალიზებული მქონდა. მე მიყვარს დათო და მას ვერ დავთმობ.

**— საინტერესოა, ასე რით მოგხიბლა?**

— ჯერ ერთი, საოცარი გარეგნობა აქვს: დიდი, ლურჯი, წყლიანი თვალები, აპრეხილი ცხვირი, ულამაზესი ტუჩები და დაკუნთული ტანი. მოკლედ ისეთია, „ჟურნალებიდან გადმოსულს“ რომ ეძახიან; მეორეც, არაჩვეულებრივი ხასიათი აქვს, ჯენტლმენია. მან იცის, სად როგორ უნდა მოიქცეს, ქალს თავი როგორ მოაწონოს, დახვეწილი მანერები აქვს და კიდევ, არაჩვეულებრივად მღერის.

**— შენთვის სერენადა თუ უმღერია?**

— ერთხელ მიმღერა და მამაჩემმა

ისეთი დღე აყარა მასაც და მის დამქაშებსაც, რომ ამას მტერსაც არ ვუსურვებ, ბიჭებს კუდით ქვა ასროლინა, მერე კი მეც მომწვდა, — შენი ბრალია, თორემ აქ მოსვლას და ღრიალს ვერ გაბედავდნენო. მაგრამ რამდენიმე ხნის მერე იცით, რა მკითხა? — ის ბიჭი ვინ იყო, არაჩვეულებრივად რომ მღეროდაო?.. იმ გოგონებს, რომლებსაც ნარკომანები უყვართ, მოვუწოდებ, შეყვარებულები არ მიატოვონ! პირიქით — მათ მხარში უნდა ამოუდგნენ და თუ შეძლებენ, ცხოვრების სტილის შეცვლაში, გამოჯანმრთელებაში დაეხმარონ, თუ არა და, მათ გვერდით იყვნენ და თავადაც ისე ეწამონ, როგორც მათი საყვარელი ადამიანი ეწამება. ქართველისთვის მეგობრის გაჭირვებაში მიტოვება წესი არასდროს ყოფილა, ეს შეუფერებელი საქციელია!

**ეკა,** *18 წლის:*

— ჩემი შეყვარებულიც ნარკომანია. სამწუხაროდ, ეს სენი ვერაფრით დაძლია. რამდენიმე თვე მონასტერშიც იყო, მაგრამ „წამლის“ გადასაგდებად ნებისყოფა არ ეყო.

**— და მიუხედავად ამისა, მზად ხარ, მთელი ცხოვრება მის გვერდით გაატარო?**

— არა, ამისთვის მზად ნამდვილად არა ვარ და ცოლად ამიტომაც არ მივყვები. უკვე 3 წელია, ერთად ვართ, მაგრამ დაოჯახებას ვერ ვრისკავ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მინდა, ჯანმრთელი შვილები მყავდეს, ნარკომანის ცოლობის შემთხვევაში კი ადვილი მოსალოდნელია, რომ ბავშვი ან საერთოდ არ მეყოლოს, ან ნაკლით დაიბადოს და მეორეც, ნარკომანისგან ხომ ყველაფერი მოსალოდნელია!

**— ეს იცი და მაინც შეგიყვარდა?**

— როცა გავიცანი, ნამდვილად არ ვიცოდი, „წამალზე“ თუ „იჯდა“; ეს მხოლოდ მას მერე გავიგე, რაც უგონოდ შემიყვარდა. დღემდე ვსაყვედურობ, — სანამ თავი არ შემაყვარე, სიმართლე რატომ არ მითხარი-მეთქი? — ვიცოდი, სიმართლის თქმა დამღუპავდა, ამით სამუდამოდ დაგკარგავდი და სულელი ხომ არა ვარ, დანა საკუთარი ხელით რომ გამომესვა კისერშიო?!. ახლა არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე. მასთან დაშორებაც არ მინდა, მაგრამ თუ არ გამოსწორდება, მომიწევს დიდი ტკივილის ატანა და მასთან განშორება. არ შემიძლია, მთელი ცხოვრება იმის შიშით ვიცხოვრო, რომ შეიძლება, დღეს თუ არა ხვალ დაიჭირონ, მოკლან ან მეტიც, შესაძლოა ნარკომანმა „წამლის“ გამო ცოლშვილიც კი გაყიდოს. ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომელიც „ლომკაში“ იყო, „წამლის“ გამო ცოლი გააქირავა და მერე, უკვე შეურაცხყოფილ ქალს პატიებას სთხოვდა, ეხვეწებოდა, — დამიბრუნდიო, მაგრამ ქალი გაშორდა... ერთმა ჩემმა ახლობელმა კიდევ, „წამალი“ რომ ეყიდა, დედამისს სთხოვა ფული და ვინაიდან მან არ მისცა, — გადასაყრელი თანხა არა მაქვსო, დანით უამრავი ჭრილობა მიაყენა. ასე რომ, ზუსტად ვიცი, ნარკომანის გვერდით ცხოვრება სახიფათოა არა მარტო ჩემთვის, არამედ ჩემი მომავალი შვილებისთვისაც, რომლებსაც შესაძლოა, გარეგნული ნაკლი არ ჰქონდეთ, შეიძლება ნორმალურები მოევლინონ ამ ქვეყანას, მაგრამ მერე, ნარკომანი მამის წყალობით აუცილებლად დაუმახინჯდებათ სული. ჰოდა, ამას მირჩევნია, უსიყვარულოდ გავთხოვდე პატიოსან, არაწამალდამოკიდებულ ადამიანზე და ნორმალური შვილები მყავდეს. ასე რომ, ყველა გოგოს, ვინც ჩემსავით, ნარკომანზეა შეყვარებული, ვთხოვ: შეეცადეთ, თქვენი მომავალი მეორე ნახევარი გამოსწორების გზაზე დააყენოთ, მაგრამ თუ არაფერი გამოგივათ, მას უნდა დაშორდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, საყვარელი ადამიანი აუცილებლად, სიცოცხლეს გაგიმწარებთ და მერე გვიან იქნება თითზე კბენანი. წარმატებები!

**ტინკი,** *20 წლის:*

— რამდენიმე თვეა, რაც შეყვარებულს დავშორდი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის ნარკომანი გახლდათ. მართალია, ვიდრე შემიყვარდებოდა მანამდეც ვიცოდი, „წამალს“ რომ იკეთებდა, მაგრამ ამის გამო მასთან ურთიერთობის სურვილი არ დამიკარგავს, პირიქით — მომინდა მის გვერდით ვყოფილიყავი და ამ სენის დაძლევაში დავხმარებოდი. საერთოდ, რაღაც ასაკში გოგონებს გვგონია, რომ თუ ბიჭი ნარკომანია, 24 საათი ქუჩაში დგას და „ვილკებს“ იყრის, „საქმეებს არჩევს“, თუ მას სხვების დაჩაგვრა ცალი ხელითაც შეუძლია და მკლავზე კუნთები ბატიბუტივით აყრია, ე.ი. მაგარი ტიპია და ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ მას თავი მოვაწონოთ, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება და ღვინდები, ხვდები, რომ ასეთი ადამიანის შეყვარება სისულელეა და შეცდომა დაუშვი, მასთან ურთიერთობა რომ გააბი...

**— როგორც გატყობ, შენმა ყოფილმა შეყვარებულმა გული ძალიან გატკინა.**

— ჰო, ასეა! სანამ მის ამ მდგომარეობას ვეგუებოდი, კარგი გოგო ვიყავი, მაგრამ როცა მივხვდი, რომ ეს საშინელება იყო და ვურჩიე, ამ სენისგან განკურნებულიყო, შემიძულა; ისე შემიძულა, რომ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც ხშირად მაყენებდა... ერთხელ ქუჩაში ვიღაც ბარიგა შეხვდა, მეც მასთან ერთად ვიყავი. იმან უთხრა, — მაგარი „ვეში“ ჩამომივიდაო. ეს ფასით დაინტერესდა და როცა გაიგო, რომ ძალიან ძვირი ღირდა, ამოიოხრა: ამდენი ფული არა მაქვსო. როცა იმ ტიპს დავშორდით, მთხოვა: ფული მიშოვე და 2 დღეში დაგიბრუნებო. ვუპასუხე: საიდან მოვიტანო? მშობლებს ფულს ვერ ვთხოვ, მაინც არ მომცემენ-მეთქი. — მაშინ შინიდან ოქრო მოიტანე, დავალომბარდებ და მერე გამოვიტანო. უარი ვუთხარი. დამემუქრა, — იცოდე, დაგშორდები, შენისთანა გაუგებარი ადამიანი ცოლად არ მჭირდება. ახლა არ მიდგახარ მხარში და რომ შეგირთო, მერე თავზე დამაჯდებიო... იცით, დახმარებაზე უარი რატომ ვუთხარი? — ერთხელ მამას „კალცო“ მოვიპარე, ვითომ 2 დღით უნდა დაელომბარდებინა, მაგრამ ის ბეჭედი დაიკარგა. მშობლებმა ბეჭედი რომ მოიძიეს და ვერ იპოვეს, ჩემს ძმას მიადგნენ და მაგრად გამოლანძღეს — ის ტოტალიზატორში თამაშობს და იფიქრეს, — ეტყობა, დასჭირდა და წაიღოო... ჰოდა, ვიცოდი, როგორც ის „კალცო“ დავკარგე, ისე დავკარგავდი სხვა ნივთებსაც და ამიტომაც ვუთხარი უარი. ვფიქრობ, „ლომკაში“ მყოფი ნარკომანი ყველაფერზე წამსვლელია;

გაგრძელება იხ. გვ. 73





# სამყარო

## კალიგრაფია — მომავლის ეგზოტიკური ხელოვნება

**ევროპისა და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში კალიგრაფების ხელით გადაწერილი ტექსტები განსაკუთრებული ღირებულების ხელოვნების ნიმუშებად არის აღიარებული. ჩვენს ქვეყანაში უმრავლესობას ამის ფასი კარგად არა აქვს გააზრებული, ამიტომ მათ საქმიანობას ანუ კალიგრაფების შრომას უფრო გატაცებას და უბრალოდ ნიჭიერებას უკავშირებენ, ვიდრე სამომავლო, ძვირად ღირებულ და ეგზოტიკურ ხელოვნების სფეროში მოღვაწეობას. მოვა დრო, როცა კალიგრაფიის ნიმუშებსაც ისეთივე დიდი ფასი დაედება, როგორიც დღეს ცნობილი მხატვრების ნამუშევრებს აქვს...**



გიორგი XI-სთვის გადაწერილი ვეფხისტყაოსანი

*ლელა ჯიყაშვილი*

*ჩვენ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, რომელთათვისაც კალიგრაფობა მართლაც შეიძლება ძირითად და მაღალანაზღაურებად საქმიანობად იქცეს. არიან ბავშვები, რომლებიც ძველი კალიგრაფების მსგავსად წერენ, ზოგიერთი კი სრულიად ახლებურ, საინტერესო ნიმუშებს გვთავაზობს... საბედნიეროდ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დაინტერესდა და ყველაფერს აკეთებს, რომ კალიგრაფიის ხელოვნება დავიწყებას არ მიეცეს. კალიგრაფებისა და ამ საქმიანობით დაინტერესებული ადამიანების წასახალისებლად და ინტერესის გასაღვივებლად, წლეულს კონკურსია დაგეგმილი.*

**შორენა მურუსიძე**, *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი:*

— ხელით წერა მსოფლიოში ძალიან დაფასებულია. არსებობს კალიგრაფიული სკოლები, ჰყავთ ცნობილი კალიგრაფები, ადგენენ სახელმძღვანელოებსა და ვიდეოგაკვეთილებს — როგორ ისწავლონ კალიგრაფიული წერა.

**— რატომ შეიძლება დასჭირდეს კალიგრაფიის სწავლა XXI საუკუნის ადამიანს, რომელსაც აქვს სტამბები, კომპიუტერი...**

— კალიგრაფიული ნამუშევარი ძალიან ძვირია, საქართველოში როგორც მინანქარია ძვირად ღირებული, ასევეა უცხოეთში კალიგრაფიული ნიმუშებიც. შარშან გამოვაცხადეთ კონკურსი, რათა ქართული კალიგრაფიის აღორძინება და პოპულარიზაცია მოხდეს. გვაქვს მოსწავლეთა კალიგრაფიის ნიმუშები. ამ ბავშვებმა დახვეწილად წერა თავად ისწავლეს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ისე წერს, როგორც შუა საუკუნეების ცნობილი გადამწერები. ეს რაღაც გენეტიკური ცოდნა და ნიჭია, რომელიც ცოცხალია ჩვენს ეპოქაში, ოღონდ წახალისება და ყურადღება ესაჭიროება... „არტ-გენის“ ფესტივალზე ამ ბავშვების ნამუშევრები იყიდებოდა, ზოგი შეიძინეს... ვინც იცის, რა ღირს კალიგრაფიის ნიმუშები, მიხვდება, რომ ეს ერთ-ერთი შემოსავლიანი საქმეა, რომლითაც ადამიანს საკუთარი თავის მატერიალური უზრუნველყოფაც შეუძლია...

**— მაინც რა ღირს კალიგრაფიულად შესრულებული ნამუშევრის ერთი გვერდი?**

— ძალიან ძვირია. იუნესკოს აქვს კალიგრაფიის მოძრავი გამოფენა, რომელშიც ცნობილი კალიგრაფების ნამუშევრებია წარმოდგენილი; ჩართული არიან ცნობილი ქართველი კალიგრაფებიც: ლევან ჩაგანავა და ლაშა კინწურაშვილი. გაისად ეს ექსპოზიცია საფრანგეთში გამოიფინება... კალიგრაფის მიერ შესრულებული ერთი გვერდის ფასი ამ გამოფენაზე 1.000 ევროდან იწყება. ეს ლოგიკურია — კალიგრაფიული ნამუშევარი მოიცავს დეკორს, მინიატიურას... უცხოეთში ახლა უკვეთენ წიგნის ხელით გადაწერას, მერე კინძავენ და ყდაში სვამენ ასევე ხელით. გადაწერის დროს კამარებსა და მინიატიურებში იყენებენ ძვირფას მასალას, ფურცლოვან და თხევად ოქროს... ასეთი წიგნის ფასი ათიათასობით დოლარი ღირს. დავანებოთ თავი მატერიალურ ღირებულებას — ეს ხომ სულიერ ასპექტშიც ძალზე მნიშვნელოვანია...

**— მაგრამ კალიგრაფობა სერიოზული ხელოვნებაა და სწავლა სჭირდება; როგორ ისწავლიან საქართველოში, თუკი სკოლა არ არსებობს...**

— არ არსებობს სკოლა, მაგრამ არსებობს ცოდნა, გვყავს ადამიანები, რომლებსაც ეს შეუძლიათ. ჩვენ ზუსტად გამოვიანგარიშეთ, რამდენი საგანია საჭირო და ვინ ასწავლის. გვყავს მეცნიერი, რომელმაც იცის კინძვა, მეცნიერი, რომელიც კალიგრაფიის ხელოვნებაში ერკვევა... მოვიწვევთ პედაგოგებს... პოპულარიზაციის მიზნით, კონკურსს ყოველწლიურად ჩავატარებთ. გავგზავნეთ ინფორმაცია სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ნელ-ნელა გამოიკვეთება ის ჯგუფიც, რომელიც კალიგრაფიის შესწავლას თავის ძირითად საქმიანობად გაიხდის. ეს ჩვენთვის — ქვეყნისთვის, რომელსაც თავისი დამწერლობა აქვს, ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

# მხიარულთა და საზრიანთა კლუბი

## ანუ „მთელი ცხოვრება „კავეენი“ არ არის?!“

**25 თებერვალს პროფკავშირების სახლში, „კავეენის“ ფედერაციის ორგანიზებითა და კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ გუნდების ფესტივალი გაიმართა. მართალია, ბოლო დროს მსგავსი სახეობის თამაშები საქართველოში დიდი პოპულარობით აღარ სარგებლობს, მაგრამ „კავეენის“ ფესტივალები და ჩემპიონატები მაინც ყოველწლიურად იმართება. მოთამაშეებსა და მათ ხელმძღვანელებს ინტერვიუსთვის გენერალურ რეპეტიციაზე ვეწვიეთ. აღმოჩნდა, რომ შორენა ბეგაშვილი კვლავაც ინარჩუნებს პოპულარობას და ქუთაისის გუნდის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი სწორედ ამ მსახიობზე შეთხზული ასეთი ხუმრობა გახლდათ: შორენას ქურდი დაესხა თავს და დაყაჩაღების მიზნით ეუბნება, — ხელები მაღლაო! მსახიობს ეს ფრაზა ძალიან გაუკვირდა და თავდამსხმელს თხოვნის გამეორება მოსთხოვა. ხელები მაღლაო! — კვლავ დაუღრიალა მძარცველმა. ეს ახალია რამე?!. — გაოგნებულია მსახიობი...**



ნათია ჟივიძე

*თავდაპირველად „კავეენის“ ფედერაციის პრეზიდენტსა და მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ყოფილ მოთამაშეს,* ***ნიკა მახვილაძეს*** *ვესაუბრეთ.*

— ფესტივალი უკვე ჩავატარეთ. მასში, თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების გუნდებთან ერთად, სხვადასხვა ქალაქიდან: ბათუმიდან, რუსთავიდან და ქუთაისიდან ჩამოსული გუნდებიც მონაწილეობდნენ. ეს ფესტივალი ერთდღიანი იყო, მარტიდან კი საქართველოს ჩემპიონატს ვიწყებთ, რომლის გაზაფხულის სეზონიც 3 ივნისს დასრულდება და საქართველოს ჩემპიონს გამოავლენს.

**— ჩემპიონს რა პერსპექტივები ექნება? ალბათ რუსეთში სათამაშოდ ვეღარ გაუშვებთ...**

— პერსპექტივაზე რა გითხრათ?.. გამარჯვებულ გუნდს უბრალოდ, საქართველოს ჩემპიონის ტიტული ექნება. რუსეთში მათი გაგზავნა კი — პოლიტიკური საკითხია. საერთოდ, „კავეენი“ რუსული თამაშია. მათ ფედერაციასთან დღემდე ვურთიერთობთ, მათთან თამაშის ლიცენზია და ნებართვაც გვაქვს, მაგრამ ჩვენი გუნდი გაემგზავრება თუ არა რუსეთში სათა-



მაშოდ, ეს ნამდვილად პოლიტიკაზეა დამოკიდებული. ასეთი საკითხები ჩვენს დონეზე არ წყდება. იმის საშუალება კი გვაქვს, რომ ჩვენმა გამარჯვებულმა გუნდმა უკრაინაში ან ბელორუსიაში ითამაშოს, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, ამ საკითხზე ჯერჯერობით არ მიფიქრია.

— **მოდი, ფესტივალს დავუბრუნდეთ. ასეთ ღონისძიებას ყოველწლიურად მართავთ?**

— ვცდილობთ, რომ ფესტივალი ყოველწლიურად არ ჩავატაროთ, რადგან გუნდი ამ დროს ტყუილად „ხარჯავს" პროგრამას. ამჯერად კი 18 გუნდი დაგროვდა... გარდა ამისა, ფესტივალი ტელეკომპანია „იმედმა" გადაიღო, რომელსაც ეთერში გადაცემის სახით გაუშვეს. სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ ფესტივალის ჩატარება.

— **ფესტივალს გამარჯვებული რატომ არ ჰყავდა?**

— რუსეთში საკმაოდ ბევრი — 532 გუნდი ჰყავთ და ფესტივალსაც ყოველწლიურად ატარებენ, თუმცა გამარჯვებული არც მათ ჰყავთ. უბრალოდ, არჩევენ გუნდებს, რომელთაგანაც ნაწილს უმაღლეს ლიგაში უშვებენ, ნაწილს კი — სხვადასხვა ლიგაში. სამწუხაროდ, „კავეენი" თბილისში ასე განვითარებული ჯერჯერობით არ არის. ეს ყველაფერი ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ვთქვათ, რომელიმე თბილისის გუნდი აქ რომ დავიწუნო, ის ბათუმში სათამაშოდ ველარ წავა და საერთოდ დაიკარგება. ქართველი ადამიანი „კავეენის" თამაშის სურვილს რომ გამოთქვამს, ცოტა ძნელია, მას ეს აუკრძალო. ამის გამო, ჩვენს ფესტივალს უფრო გუნდების გაცნობის ხასიათი აქვს.

— **ეი. ის თვრამეტივე გუნდი, რომელიც ფესტივალზე მაყურებლის წინაშე წარდგა, საქართველოს ჩემპიონატშიც მიიღებს მონაწილეობას?**

— რა თქმა უნდა. შესაძლოა, ვისაც დიდი პროგრამა აქვს, ცოტათი შევუკვეცოთ, მაგრამ ჩემპიონატში მონაწილეობას აბსოლუტურად ყველა გუნდი მიიღებს.

— **ჩემპიონატს ყოველწლიურად მართავთ?**

— დიახ, ყოველ წელს ვმართავთ, მაგრამ წელს გაცილებით გრანდიოზულად ჩატარდება ეს ყველაფერი. ვოცნებობდი, რომ „კავეენისთვის" სახელმწიფოს მიეხედა. შარშან მაისში დავამთავრეთ სეზონი და ახალი სეზონის დაწყებაზე ვერც ვფიქრობდით, რადგან მოგეხსენებათ, ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული. ამასობაში მინისტრმა, ლადო ვარძელაშვილმა დამირეკა და შემომთავაზა, რომ შემდეგი სეზონი სამინისტროს დაეფინანსებინა. ლადოსთან მანამდეც მქონია ურთიერთობა. მაშინ მინისტრის მოადგილე იყო და ხშირად მეხმარებოდა, ნაკრებსაც აფინანსებდა. ახლა კი მთელი ძალებით ჩაერთო „კავეენში".

— **თვითონაც ყოფილი „კავეენელი" ხომ არ არის?**

— არა. მაგრამ თუ თვითონ მოინდომებს, სამინისტროებს შორის შეიძლება ჩატარდეს თამაში და ბატონმა ლადომაც ითამაშოს.

— **ისე, თუ გქონიათ შემთხვევა, რომელიღაც კომპანიებსა და ორგანიზაციებს შორის ჩაგეტარებინოთ მსგავსი თამაში?**

— ამის იდეა მეც არაერთხელ გამჩენია, მაგრამ ვერ ვრისკავ, რადგან რომელიმე კომპანიის ხელმძღვანელთან რომ მივსულვართ და გვითხოვია, „კავეენი" დაეფინანსებინათ, გვპასუხობენ, — რა დროს „კავეენია", ისედაც მთელი ცხოვრება „კავეენი" არ არისო?! — ან მსგავსი რამ. მოკლედ, ისეთ პასუხებს გვაძლევენ, რომ ვერ წარმომიდგენია, იმ ადამიანმა ან სახუმარო სცენარი დაწეროს, ან სცენაზე იხუმროს. თუმცა, როცა რომელიმე ორგანიზაციას რაღაც ივენთი აქვს, „კავეენის" მოთამაშეს დაიქირავებენ და ამ საღამოს მოწყობისთვის ფულს უხდიან. მოკლედ, „შიგნით" უნდათ ეს ყველაფერი და „გარეთ" გამოსვლისგან თავს იკავებენ.

— **იმ წლებში, როცა თავად თამაშობდით, „კავეენი" საქართველოში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. დამეთანხმებით ალბათ, რომ ახლა ასე აღარ არის. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია თამაშისადმი ინტერესის დაკარგვა?**

— მე 1992 წლიდან ვთამაშობდი. მაშინ, შესაძლოა, საქართველოში სხვა არც არაფერი ხდებოდა და ამიტომ გახლდათ ეს თამაში ასეთი პოპულარული. ახლა გაცილებით მეტი შოუ არსებობს და მათ შორის კონკურენციაც მეტია. მიმაჩნია, რომ „კავეენის" თამაში არის სკოლა, სადაც მოთამაშეები გარკვეულ რაღაცებს სწავლობენ. შემდეგ საფეხურს ანუ იუმორისტულ შოუებს, სადაც ეს მოთამაშეები მიდიან, უმაღლეს სასწავლებელს ვეძახი. ყველა იუმორისტული გადაცემის მონაწილე თუ სცენარისტი, რომელსაც თქვენ ეკრანზე ხედავთ, ან ჩემი, ან შემდგომი თაობის „კავეენის" მოთამაშეა...

— **ანუ „კავეენის" თამაში ერთგვარი წარმატების ფორმულაა...**

— რა თქმა უნდა. თუმცა მონაწილესაც გააჩნია — რამდენად ნიჭიერი და კარგია.

— **ფესტივალზე წარმოდგენილი გუნდების თამაში მოგეწონათ?**

— არასოდეს არაფერი მომწონს. ძალზე კრიტიკული ადამიანი ვარ და მოთამაშისგან ყოველთვის მაქსიმუმს ვითხოვ, რადგან მიმაჩნია, რომ კიდევ უფრო მეტის გაკეთებაა შესაძლებელი.

— **თქვენი თაობის გუნდებსა და ახლანდელ თაობებს თუ შეადარებთ ერთმანეთს?**

— შედარება არ მიყვარს, რადგან ყველა თაობას განსხვავებული რაღაც აქვს დასაცინი და გასაცინი. ჩემი თაობა, ვთქვათ, უშუქობასა და უგაზობაზე თუ ხუმრობდა, ამ თაობას ეს პრობლემები აღარ აწუხებს და ინტერნეტსა და სხვა, უფრო აქტუალურ რამეზე ხუმრობს; შესაძლოა, მხოლოდ მოთამაშეები შევადაროთ. მაგალითად, მე და ოთარ ტატიშვილი ერთად ვთამაშობდით. ის მართლაც, ძალიან მაგარი იყო და შეიძლება, ოთარის მსგავსი მოთამაშე 15 წლის განმავლობაში აღარც გამოჩნდეს.

— **თქვენ რამდენად გადმოგყვათ სცენიდან იუმორი ცხოვრებაში?**

— ჯანდაცვის სამინისტროში, სოციალური უსაფრთხოების სააგენტოში ვმუშაობ. იქ პირველად რომ მივედი, თანამშრომლები საერთოდ ვერ მიგებდნენ: როდის ვამბობდი სიმართლეს და როდის ვხუმრობდი, ვერ ხვდებოდნენ. იუმორი ჩემი ცხოვრების სტილია... ■



# იგავი ორ შვილზე

შორენა მერკვილაძე

**იგავი ორ შვილზე, რომელსაც „ორი ძის იგავსაც“ უწოდებენ, მოთხრობილია მათეს სახარების 21-ე თავში: ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. მივიდა პირველთან და უთხრა: შვილო, წადი დღეს და იმუშავე ვენახშიო. მან კი უპასუხა, არ მინდაო. ბოლოს ინანა, წავიდა და იმუშავა. მამა მეორე შვილთანაც მივიდა და იგივე უთხრა. მან უპასუხა, წავალ, ბატონოო, მაგრამ არ წავიდა... როდესაც იგავის თხრობა დაასრულა, მაცხოვარმა მიმართა ფარისევლებს: ამ ორთაგან რომელმა შეასრულა მამის ნებაო? — პირველმაო, მიუგეს მათ. იესომ უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მებაჟეები და მეძავები თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველშიო...**

**იგავს განგვიმარტავს მამა ბესარიონი (მშვილდაძე):**

— მაცხოვრის იგავებს უპირველესად ის ადამიანები ისმენდნენ, რომლებიც განკაცებული უფლის დედამიწაზე ყოფნის ჟამს ცხოვრობდნენ. მაცხოვარიც უპირველეს ყოვლისა, მათ მოუთხრობდა, იგავების მეშვეობით ამხილებდა ფარისევლებს, მწიგნობრებს და სჯულის მცოდნეებს და მათ, ვისაც უპირველესად ევალებოდათ მხსნელის მიღება და მისი სიტყვების, ქადაგების გააზრება, თუმცა, როგორც ვიცით, იმ პერიოდში ყველაზე მეტად, რჩეული ერის სწორედ ეს ნაწილი ეწინააღმდეგებოდა განკაცებულ მაცხოვარს, რამეთუ მიწიერებას მიჯაჭვულს დახშული ჰქონდა სულიერი თვალთახედვა... იგავში მოხსენიებულ მამაში, რომელმაც თავის შვილებს ვენახში მუშაობა სთხოვა, უნდა ვიგულისხმოთ უფალი, რომელიც ყველა ადამიანს — თავის შვილებს ღვთისმსახურებით, ღვთის ნების მიხედვით ცხოვრებისკენ მოუწოდებს. იმ შვილში, რომელმაც მამას დაუქნია თავი, მაგრამ შემდეგ თავისი სიტყვა არ შეასრულა, უნდა შევიცნოთ ის ფარისევლები, მწიგნობრები და სჯულის მოძღვრები, რომლებმაც ზედმიწევნით იცოდნენ წმინდა წერილის წიგნები, გარეგნულადაც აღასრულებდნენ სჯულის წესებს, მაგრამ საქმე არ ჩანდა მათი. ასევე უნდა ვიგულისხმოთ ფარისევლები და სჯულის მცოდნენი — უფლის ნების, უფლის მცნებების მხოლოდ გარეგნულად აღმსრულებელი ადამიანები. დღესაც ბევრი მიიჩნევს თავს ქრისტიანად, სჯულის მცოდნედ და ღვთისთვის მომუშავე ადამიანად, მაგრამ შინაგანად, ქმედებით, საქმით არ აღასრულებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ღვთის წინაშე მოგვეთხოვება. ამგვარად, მხოლოდ ეკლესიის წიაღში ყოფნა და უფლის მცნებების, საეკლესიო წესების აღსრულება არ არის საკმარისი იმისათვის, რათა ღვთის ნება აღვასრულოთ. ღვთის ჭეშმარიტი შვილობა უპირველესად, ჩვენი ქრისტიანული საქმეებით უნდა დავამტკიცოთ.

მეორე ძეში კი, რომელმაც უარი უთხრა მამას მუშაობაზე, მაგრამ შემ-



დეგ წავიდა და იშრომა, იგულისხმებიან იმ მეზვერეთა და მეძავთა მსგავსი ცოდვილნი, რომლებმაც შეისმინეს უფლის სიტყვა, სინანული გაუჩნდათ, ღვთის გულისათვის მიატოვეს ცოდვილი ცხოვრება და კეთილად აღასრულეს ღვთის ნება. ამიტომაც ბრძანებს მაცხოვარი ფარისეველთა და მის მსგავს ადამიანთა მიმართ: მებაჟეები და მეძავნი — ე.ი. ცოდვილნი, მაგრამ მონანულნი, უფრო მეტად შევლენ სასუფეველში, დაიმკვიდრებენ ღვთის სიახლოვეს, ვიდრე თქვენო.

განკაცებულმა უფალმა უპირველესად თვითონ, საკუთარი მიწიერი ცხოვრებით გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა განვლოს ადამიანმა მიწიერი ცხოვრება, რათა ღვთის ნება აღასრულოს და სასუფეველი დაიმკვიდროს, — თავმდაბლობით, მორჩილებით, უპოვარებით... დაითმინოს ჯვარცმა — შეურაცხყოფა, განსაცდელი...

ადამიანმა უფლის ნება რომ აღასრულოს, ამას უდიდესი ძალისხმევა და სულიერი სიმტკიცე, უფალთან მყოფობა სჭირდება — გულით, გონებით... როგორც კი უფალს მოშორდები და მიწიერებას მიაპყრობ თვალს, ჩაძირვას იწყებ. გავიხსენოთ სახარებიდან ის ეპიზოდი, სადაც უფალი წყალზე სვლით ეცხადება მოციქულებს, როდესაც მათ ნავს ძლიერი ქარის გამო გასაჭირი ადგას. „გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ!“ — მიმართავს მაცხოვარი შეშინებულ მოციქულებს, პასუხად კი პეტრე მიუგებს: უფალო, თუ შენ ხარ, მიბრძანე, წყალდაწყალ მოვიდე შენთანო. მართლაც, პეტრე წყალზე სვლით მიდის უფლისკენ, მაგრამ როგორც კი ქარი ამოვარდება და ღელვა გაძლიერდება, ყურადღება გაეფანტება და ჩაძირვას დაიწყებს; მაშინვე მაცხოვარს მიუბრუნდება: უფალო, მიხსენო! — შეევედრება. იესო მივა, ამოიყვანს და ნავში ჩასვამს. რას ნიშნავს ეს? — პეტრე მოციქულს უფლისკენ სვლამ, მისმა რწმენამ მისცა ძალა წყალზე სვლისა, მაგრამ როგორც კი ქარიშხლის ხმას მიაპყრო ყური — მიწიერებისკენ გაექცა გონება და ჩაძირვა დაიწყო; მალევე მოეგო გონს და კვლავ უფალს უხმო შემწეობისთვის და უფალიც დაეხმარა. როდესაც უფალს ვუსმენთ, მუდამ მასთან ყოფნისკენ ვისწრაფვით — მისი მცნებებით ვცხოვრობთ; სასწაულებრივად გავდივართ მისკენ მიმავალ რთულ გზას; როგორც კი მზერას მოვწყვეტთ და მიწიერ საზრუნავში გავეხვევით, ცოდვებში ვიძირებით... უფალმა ისიც უწყის, რომ ეს გზა საცდურებითაა სავსე, ბოროტის ხრიკებს ვერ ავცდებით, არაერთგზის მოგვიხდება დაცემა; მაგრამ დავეცემით თუ არა, მაშინვე წამოდგომაზე უნდა ვიფიქროთ, უფლისკენ მივმართოთ მზერა და სინანულით შევთხოვოთ შემწეობა...

ღვთის ნების აღსრულებას ვერც მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით მოვახერხებთ. ადამიანს უფლის მადლი და შეწევნა გააძლიერებს. გავიხსენოთ პეტრე მოციქული, რომლის ღვთის მიმართ მტკიცე რწმენას მაცხოვარმა კლდე უწოდა. მიუხედავად ამგვარი რწმენისა, ვიცით, რომ მასაც მოუხდა უფლის უარყოფა, იმ მომენტში ვერ გამოიჩინა სულიერი სიმტკიცე და ძლიერება: როდესაც უფლის ჯვარცმის დრო მოახლოვდა, უფალმა მიმართა პეტრე მოციქულს: „სვიმონ, სვიმონ! აჰა, სატანამ ითხოვა, რომ ხორბალივით გაგცხრილოს“... პეტრემ კი მიუგო: „დალათუ ყოველნი დაბრკოლდნენ შენდა მიმართ, ხოლო მე არასოდეს დავბრკოლდე“. მამები ბრძანებენ: პეტრე იმ წუთში მართლაც ასე ფიქრობდა, და ეგონა, ამას საკუთარი ძალისხმევით შეძლებდა, მა-

გრამ უფლის სიტყვისამებრ, მამლის ყივილამდე სამგზის უარყო ღმერთი (როგორც ვიცით, პეტრე შემდეგ უდიდესმა სინანულმა შეიპყრო და სინანულის სანაცვლოდ უფალმაც მიუტევა). უფალმა დაუშვა ეს, რათა პეტრესთვისაც და თითოეული ადამიანისთვისაც ეჩვენებინა, რომ მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით კაცს არავითარი სიკეთის ქმნა არ შეუძლია; უფლის შეწევნისა და დახმარების გარეშე, არათუ კეთილი საქმის ჩადენას, ნაბიჯის გადადგმას და ამოსუნთქვასაც ვერ მოახერხებს. პეტრეს მაგალითით უფალმა გვასწავლა, რომ არ შეიძლება, ვიყოთ მხოლოდ საკუთარი თავის იმედად, და უჩვენებს ყველა გზასა და საშუალებას, რათა აღასრულოს უფლის ნება და ცხონდეს, ოღონდ ეს უპირველესად, თვითონ ადამიანს უნდა სურდეს. ადამიანმა ღვთის სიყვარული უნდა დაამტკიცოს თავისი ცხოვრებით. რამდენიც უნდა ამტკიცოს სიტყვით, მე ღმერთი მიყვარსო, თუ ღვთის სიყვარულს საქმითაც არ გამოხატავს, მისი ქრისტიანობა ფუჭი და ამაოა. სწორედ ეს არის უფლის ერთ-ერთი მთავარი სათქმელი, ორი ძის იგავის თანახმად.

მამები ბრძანებენ: ქრისტიანის ცხოვრება — ბრძოლაა და ვაი მას, ვინც ამ ბრძოლიდან წაგებული გამოვაო!.. ამქვეყნად ყოფნის ჟამს ადამიანს განუწყვეტლივ უხდება ბრძოლა და ჭიდილი სიკეთესა და ბოროტებას შორის, ბოროტი ყველანაირი ძალითა და ხერხით ცდილობს ადამიანის დაცემას, მაგრამ, როგორც ვთქვით, ცოდვაში ჩავარდნას წამოდგომა უნდა მოჰყვეს; დავეცემით თუ არა, მაშინვე წამოდგომაზე უნდა ვიფიქროთ. ბრძოლის ველზე გასვლისა და მტერზე გამარჯვების გარეშე, ჯილდოს ვერავინ მიიღებს. ასევეა ქრისტიანი — ქრისტეს მეომარი, წუთისოფელი კი — ბრძოლის ველია. მან წუთისოფელში ყოფნის ჟამს განუწყვეტლივ უნდა იბრძოლოს ბოროტის წინააღმდეგ, დაამარცხოს, უფლის ნების აღსრულებით, რათა ჯილდოდ სასუფეველი მიიღოს.

როდესაც იგავის თხრობა დაასრულა, მაცხოვარმა კითხვით მიმართა ფარისევლებს: ამ ორთაგან რომელმა აღასრულა მამის ნებაი? — პირველმაო, მიუგეს მათ. ეს ფარისეველთა მსგავსი სულიერი მდგომარეობის ადამიანთა სამხილებლადაა თქმული, რომლებმაც კარგად იციან, რა არის ჭეშმარიტება, მაგრამ არ აღასრულებენ... შემდეგ მაცხოვარი ბრძანებს: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მებაჟეები და მეძავეები თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველშიო... უფალმა უწყის, რა ხდება ადამიანის გულში და ჩვენგან ერთგულ და მონანულ ცხოვრებას ითხოვს. ■

# დედამიწელები ანუ დაკარგული ტომები

მეცნიერებმა ფილიპინების ერთ-ერთ კუნძულზე, ჩამქრალი ვულკანის კრატერში ერთ ტომს მიაგნეს. ტომი 30 ოჯახისგან შედგება. მათ არანაირი წარმოდგენა არა აქვთ თანამედროვე ცხოვრებაზე და პირველყოფილი ადამიანებივით ცხოვრობენ.





XIX საუკუნეში პაპუა-ახალი გვინეის ტყეებში აღმოაჩინეს ტომი, რომელიც ოთხ ენაზე: ინგლისურ, ინგლისურ-ჩინურის ნაზავსა და ორ ადგილობრივ დიალექტზე საუბრობდა. ტომში დაახლოებით 120 უფროსი იყო და მათ პირველად იხილეს უცხოელები. ეთნოგრაფ მერილინ სტრატერნის აზრით, პაპუა-ახალ გვინეაში უამრავი ამოუცნობი ტომი ცხოვრობს.

კოლუმბიელმა ჟურნალისტებმა ვენესუელისა და კოლუმბიის საზღვართან მცხოვრებ ტომს მიაგნეს. ისინი სიმინდითა და ველური ცხოველების ხორცით იკვებებიან. ტომელები 1 მეტრამდე სიმაღლისანი არიან.

ლინგვისტებმა და ეთნოგრაფებმა ეთიოპიაში დღემდე უცნობი ტომი — ბირალე აღმოაჩინეს. 180 კაცისგან შემდგარი ტომი თევზჭერით ირჩენს თავს და ყველასგან განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს.

ამაზონიის ტერიტორიაზე იდუმალი და საკმაოდ განვითარებული — იანომანიელების ტომი ცხოვრობს. ისინი მზეს, მთვარეს, წყალსა და ტყეს ეთაყვანებიან. გარდაცვლილებს კოცონზე წვავენ. ფერფლს ქოთნებში ინახავენ, დღესასწაულებზე კერძებში ურევენ და ჭამენ. ტომის ბელადი ერთდროულად ჯადოქარიც არის და მკურნალიც. ხალხს ბალახებით და მაგიური რიტუალებით კურნავს. იანომანიელებმა უამრავი შხამის დამზადება იციან. კურარეს გარდა შხამებს გველების, ობობებისა და ბაყაყებისგანაც ამზადებენ. ძირითადად, ნადირობითა და თევზაობით ირჩენენ თავს. დღესასწაულებზე ნარკოტიკულ ნივთიერებებს ეწევიან. თეთრკანიანების მიმართ საკმაოდ აგრესიულები არიან.

ინდოეთის შტატ კერალას მაღალმთიან რაიონში ველური სპილოებისა და ვეფხვების გვერდით ჩოლანაიკენების ტომი ცხოვრობს. მათი არსებობა არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის დაფიქსირებული, მაგრამ ისინი დღემდე ცხოვრობენ. რამდენიმე წლის წინ ტომის შესახებ ინფორმაცია ორმა ინდოელმა მეცნიერმა გაავრცელა, რომლებიც ერთი პერიოდი ჩოლანაიკენების ყოფას აკვირდებოდნენ. თეთრკანიანთა ტომის 100-მდე კაცი 5 კლანადაა დაყოფილი. მამაკაცები ნადირობენ ან თევზაობენ. ქალები კენკრას, ტყის ნაყოფსა და ველურ თაფლს აგროვებენ. ყველა კლანს ნადირობისთვის საკუთარი ტერიტორია აქვს. თითოეული ოჯახი გამოქვაბულში ცხოვრობს. ცხოველებისგან თავდასაცავად, საღამოს შესასვლელს ქვებით ქოლავენ. ტომში ერთი უცნაური წესი არსებობს: ვეფხვის ან ველური სპილოსგან თავდასაცავად, მამაკაცს ხეზე აძრომის უფლება აქვს, ქალს — არა. კლანებს შორის დაპირისპირება არ არსებობს. დაქორწინება მხოლოდ სხვადასხვა კლანის წარმომადგენლებს შეუძლიათ.

მადაგასკარის მიუვალ ტყეებში ცხოვრობს მიკეს ტომი. მათ წარმოდგენა არა აქვთ, რა არის ფული. ველურ თაფლს საჭრელ და სანადირო იარაღებსა და საოჯახო ნივთებში ცვლიან. ნადირისგან დასაცავად, ქოხების გარშემო ეკლიანი ბუჩქების ღობეებს აკეთებენ. ძირითადად, ჩიტებითა და კუებით იკვებებიან. ცეცხლს კი პირველყოფილი ადამიანებივით მოიპოვებენ.

დაბოლოს, ინდოელი სამხედროები, რომლებიც ნეპალის საზღვართან მსახურობდნენ, ირწმუნებიან, რომ იმ ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანები ბინადრობენ. ისინი გამოქვაბულებში ცხოვრობენ. უცნაურ ბგერებს წარმოთქვამენ. წარმოდგენა არა აქვთ, რა არის ტანსაცმელი, არ იციან ცეცხლის დანთება და პირველყოფილი ადამიანებივით ცხოვრობენ. ■

# ეროვნული სამოსი



**დირნდლი** გერმანელი, ავსტრიელი და ლიხტენშტეინელი მანდილოსნის სამოსია. ფართო კაბას წინსაფარი ამშვენებს. სამოსის სახელი გერმანული სიტყვიდან — დირნე — მსახური ქალი წარმოიშვა. დირნდლის ძირითადად ალპებში მცხოვრები გერმანულენოვანი გლეხი გოგონები იცვამდნენ. ახლა დირნდლიში გამოწყობილ გოგონებს ნაციონალურ დღესასწაულებსა და მიუნხენის „ოქტობერფესტზე“ შეხვდებით.

შოტლანდიელი მთიელი მამაკაცის ნაციონალური სამოსია **კილტი** (შალის ნაჭერს — ტარტანს შოტლანდიური ორნამეტები, ხაზები და კვადრატები ამშვენებს. მას ჩვენში „შოტლანდკას“ ეძახიან). კილტის აუცილებელი ატრიბუტია სპორანი — წვრილწვრილი ნივთებისთვის განკუთვნილი, წელზე დასამაგრებელი პატარა ჩანთა. დღეს კილტი — ოფიციალური საქორწინო სამოსია. ბრიტანეთის არმიაში კილტი სამხედრო ფორმად მიიჩნევა. მას ძირითადად, აღლუმებზე იცვამენ.

**ყუფია** მუსლიმანი მამაკაცის თავსაბურავია. მას მზის, ქვიშისა და სიცივისგან დასაცავად იყენებენ. არაბი მამაკაცები ყუფიას შავ ნაჭრის რგოლთან ერთად ატარებენ. თეთრი ნაჭრის თავსაბურავს ძირითადად შავი და წითელი ორნამენტები აქვს, მაგრამ იემენში ადამიანის წარმომავლობას ყუფიაზე არსებული ორნამენტების ფერებით განსაზღვრავთ.

ინდოელ მანდილოსანს **სარი** აცვია. ეს არის სიგრძით 4,5-დან 9 მ-მდე და სიგანით 1,2 მ ქსოვილი რომელსაც ინდოელი ქალები ტანზე იხვევენ. ქალები სარის მაისურის („ჩოლი“, „რავიკა“) და ვიწრო ქვედაბოლოს („პავადა“, „შაია“) ზემოდან იხვევენ. ინდოელი ქალები სარის დღესაც ატარებენ.

**ციპაო** და **ჩანშანი** ჩინური ნაციონალური სამოსია. ხანბოკი — კორეული.

ვიეტნამის ტრადიციულ სამოსს, რომელიც დღესაც აცვიათ ქალებს, **აო დაი** ჰქვია. სხვათა შორის, აო დაი ვიეტნამის უმაღლესი სასწავლებლის უნიფორმაა. თანაც, მრავალ კომპანიაში ქალები ნაციონალური სამოსით უნდა ცხადდებოდნენ. კიდევ ერთი ტრადიციული სამოსია ა ო ბა ბა.

ძველად ყველა იაპონელ მანდილოსანს **კიმონო** (წინათ მას კოსოდეს ეძახდნენ) ეცვა. ახლა იგი გეიშებისა და მაიკოების (დამწყები გეიშები) სამუშაო ტანსაცმელია. კიმონოს აუცილებელი ატრიბუტია ქამარი — ობი. ქალისა და მამაკაცის კიმონოს გარჩევა მარტივია: მამაკაცისას ოთხკუთხედი სახელო აქვს, ქალისას — მრგვალი.

**სომბრერო** მექსიკელი მამაკაცის ქუდია. გლეხებს ჩალის, ხოლო მდიდრებს — ფეტრის სომბრეროები ახურავთ. **პონჩო** ლათინურ ამერიკაში ცნობილი ტრადიციული სამოსია. ორნამენტებით გაფორმებულ შალის მართკუთხა ნაჭერს თავის არე აქვს ამოჭრილი.



ინდიელთა ეროვნული ფეხსაცმელია **მოკასინი** (ტყავის ფეხსამოსი) ან **მუკლუკი** (ტყავის ჩექმა). ძველად ყველა ტომს თავისი ეროვნული სამოსი ჰქონდა. ინდიელთა დამახასიათებელი ატრიბუტია ბუმბულიანი თავსაბურავი. ის აუცილებლად არწივის ბუმბულისგან უნდა დამზადდეს, მაგრამ ფრინველის მოკვლა აკრძალულია. ვინც კანონს დაარღვევს, სიკვდილით დასჯიან. თავსაბურავს დაჭრილი ან მკვდარი არწივის ბუმბულისგან ამზადებენ. ძველად ბუმბულებს ინით წითელ-ყვითლად ღებავდნენ და მას მზის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. მისი ტარების უფლება მხოლოდ შამანს, ბელადსა და მეომარს ჰქონდა.

ირანელი მანდილოსნები დღესაც ატარებენ **ჩადრს**. სუნიტი ქალები **ჯილბაბსა** (ფართო სამოსი, რომელიც ხელებსა და ფეხებს ფარავს) და **ხუმურს** (შარფი, კაპიუშონი, რომელიც სახის გარდა ყველაფერს მალავს) იცვამენ. სხვადასხვა ქვეყნის მუსლიმან ქალებს სხვადასხვა სამოსი აცვიათ, მაგრამ ყველას საერთო სახელია ხიჯაბი — ის, რაც ქალის სხეულს ფარავს.



■

## ბუნების საოცრება

მიჩიგანის ტბას (ჩრდილოეთ ამერიკა) ინდიელები „მიშიგამის“ (დიდ წყალს) ეძახდნენ. ტბა სიდიდით ხორვატიის ზომისაა. რამდენიმე ხნის წინ ტბის სანაპიროზე მოხვედრილი ადამიანები უჩვეულო სანახაობის მომსწრენი გახდნენ — წყლის ზედაპირზე აბსოლუტურად მრგვალი ფორმის ათასობით თოვლის გუნდას მოეყარა თავი. ■



# როგორ გააქრო ლავრენტი ბერიამ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი

მიხეილ ლაბაძე

**ზუსტად 90 წლის წინ — 1921 წლის 4 მარტს, წითელი არმიის მე-9 ქვედანაყოფის 31-ე მსროლელმა დივიზიამ, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის არმიასთან ბრძოლას თებერვლის ბოლოდან ეწეოდა, ქალაქი სოხუმი დაიკავა. იმავე საღამოს აფხაზმა ბოლშევიკებმა, რომლებიც ოკუპანტთა არმიის შემადგენლობაში იბრძოდნენ, „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ შექმნის თაობაზე განცხადება გააკეთეს. ეს იყო სრულიად არალეგიტიმური აქტი, რამდენადაც თვით ბოლშევიკური ინტერვენციაც უკანონო გახლდათ. ახალშექმნილი „საბჭოთა რესპუბლიკის“ მეთაურად ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ — სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ წითელი არმიის მაღალჩინოსნებმა ცნობილი აფხაზი ბოლშევიკი, აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი მამამთავარი და ყოფილი ბანდიტი — ნესტორ ლაკობა დანიშნეს.**


ნესტორ ლაკობა და სარიე ჯიხ-ოღლი. 1921 წლის აპრილი

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1920 წლის დამლევს, როცა კრემლში საქართველოს „გასაბჭოების“ გეგმის დეტალებს აზუსტებდნენ, „აფხაზეთის გამოყოფის“ მთავარი მომხრე იოსებ სტალინი გახლდათ; შესაბამისად, ნესტორ ლაკობას წინ წამოწევის ინიციატივაც მას ეკუთვნოდა. ამ საკითხის თაობაზე განსხვავებული შეხედულება ჰქონდა ლავრენტი ბერიას: ის ფიქრობდა, რომ უმჯობესი იყო, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილიყო. ამავდროულად, ბერია კატეგორიული წინააღმდეგი იყო ნესტორ ლაკობას დაწინაურებისა, რადგანაც ჯერ ერთი, კარგად ხვდებოდა, თუ რა ზიანის მოტანა შეეძლო აფხაზურ სეპარატიზმს საქართველოსთვის, და მეორეც — ლაკობა მისი დაუძინებელი მტერი იყო. ამ მტრობის საბაბი, ერთი შეხედვით, უბრალო და ბანალური გახლდათ: ლავრენტი ბერია და ნესტორ ლაკობას მეუღლე, წარმოშობით ლაზი სარიე ჯიხ-ოღლი უწინ შეყვარებულები იყვნენ, მერე რაღაცაზე წაკინკლავდნენ და სარიეც, „შურისძიების“ მიზნით, ნესტორს გაჰყვა ცოლად. ლაკობამ იცოდა, რომ სარიესა და ლავრენტის ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ქალი იმდენად უყვარდა, რომ ამას ყურადღება არ მიაქცია, რაც შემდეგ მწარედ ინანა.

სარიე ჯიხ-ოღლი 1904 წელს ბათუმში დაიბადა. მამამისი — აჰმედ ჯიხ-ოღლი ვიწელი ლაზი იყო, ხოლო დედა — მელიქა ფატლანძია — მუჰაჯირთა შთამომავალი. მათ, სარიეს გარდა, კიდევ 6 შვილი ჰყავდათ. აჰმედ ჯიხ-ოღლი წარმატებული საქმოსანი იყო — ბათუმში რამდენიმე მაღაზია და პურის საცხობი, ხოლო გონიოში — პატარა სასტუმრო ჰქონდა. სარიესა და მის დაძმებს მშობლები ბავშვობიდანვე მკაცრად ზრდიდნენ, მაგრამ ამან საბოლოოდ, საპირისპირო შედეგი გამოიღო: 1919 წელს აჰმედის უფროსი ვაჟი, აკია ბოლშევიკი გახდა და პარტიულ საქმიანობაში თავისი დაც ჩააბა. 1920 წლის აპრილში, 16 წლის სარიემ სწორედ ბოლშევიკთა არალეგალურ კრებაზე გაიცნო ბაქოდან ახალჩამოსული საბჭოთა რეზიდენტი — ლავრენტი ბერია, რომელიც ბათუმში ყალბი პასპორტით ცხოვრობდა. ულამაზესი ლაზი გოგო ბერიას დანახვისთანავე გულში ჩაუვარდა და მისი მოხიბვლა სულაც არ გასჭირვებია.

სარიეს ლავრენტი მართლაც გულწრფელად შეუყვარდა და პარტიულ მუშაობაშიც ერთგულად გვერდში ამოუდგა. ახალგაზრდები დაქორწინებასაც კი აპირებდნენ, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ, საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით, ლავრენტი მოულოდნელად ქუთაისში დააპატიმრა. სარიეს ციხეშიც არ მიუტოვებია მიჯნური — ხშირად ჩადიოდა და ნახულობდა. სწორედ იმხანად, ბათუმში არალეგალურად ჩავიდა ნესტორ ლაკობა, რომელიც აჰმედ ჯიხ-ოღლის იმთავითვე კარგად იცნობდა. საბჭოთა ისტორიკოსთა ცნობით, აფხაზი რევოლუციონერი ბათუმში თითქოსდა პარტიული დავალებით იყო წარგზავნილი, მაგრამ სინამდვილეში ლაკობა ჩვეულებრივი რეკეტიორი გახლდათ — ბათუმელ ლაზ ვაჭრებს ფულს სძალავდა და მისი „პარტიული საქმიანობაც“ სწორედ ეს იყო. აფხაზ ყმაწვილს სარიე პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა, მაგრამ ქალმა ცივი უარი სტკიცა. ლაკობას სიძეობა არც აჰმედ ჯიხ-ოღლის ხიბლავდა.

ამასობაში, მთავრობამ დაპატიმრებული ბოლშევიკები საზღვარგარეთ — რუსეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გაასახლა; მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ლავრენტი ბერიაც იყო. სარიემ შეყვარებულის ბაქოში გასახლების ამბავი რომ შეიტყო, ვრცელი წერილი მისწერა, რომელშიც სთავაზობდა, — შენთან ჩამოვალ და დავქორწინდეთო, — მაგრამ ლავრენტისგან პასუხი არ მიუღია. მოგვიანებით გაირკვა, რომ ბერიას უკვე მოეყვანა ცოლი — ნინა გეგეჭკორი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ამბავი სარიეს სწორედ ნესტორ ლაკობამ ამცნო. გაგულისებულმა ქალმა თაყვანისმცემელს უარი აღარ უთხრა და 1921 წლის იანვარში ისინი შეუღლდნენ, ოფიციალურად კი „აფხაზეთის სსრ“-ის შექმნის შემდეგ მოაწერეს ხელი.


ნესტორ ლაკობას მძღოლი, გრიშა ამირჯანოვი და სარიე. 1936 წლის ფოტო

1922 წლის ნოემბრის ერთ საღამოს ნესტორ ლაკობას პირადმა მძღოლმა, გრიშა ამირჯანოვმა სარიეს საიდუმლოდ, პატარა ბარათი გადასცა: „წაკითხვისთანავე დაწვით, ხოლო პასუხი ზეპირად მითხარით!“ — უთხრა თან ქალს მკაცრად. სარიემ გაკვირვებით ახედა, მაგრამ ბარათი მაინც ჩაიკითხა და ჩაეღიმა: ძველი


НАРОДНЫЙ КОМИССАРИАТ ВНУТРЕННИХ ДЕЛ

Дорогой Нестор!

Посылаю тебе свой

**1929 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებული ბერიას ბარათი ნესტორ ლაკობასადმი**

შეყვარებული საჩქაროდ შეხვედრას სთხოვდა. ამ დროს ოთახში, სადაც სარიე და ამირჯანოვი იმყოფებოდნენ, ნესტორ ლაკობა შემოვიდა და ქალმაც ბარათი სასწრაფოდ მუშტში ჩამალა. ქმარმა ვერაფერი იეჭვა და მძღოლს ოჩამჩირეში წასასვლელად მანქანის გამზადება უბრძანა. გრიშა ამირჯანოვი ხმის ამოუღებლად ადგა და გარეთ გავიდა.

ბერია, რომელიც იმხანად საბჭოთა საქართველოს „ჩეკას" ხელმძღვანელობდა და მთელ ამიერკავკასიაში, ფაქტობრივად, პირველი კაცი იყო, სარიე ლაკობას სოხუმში რამდენჯერმე შეხვდა. იგი ქალს ძველი ურთიერთობის აღდგენას სთხოვდა, მაგრამ სარიე უარზე იდგა. ბოლოს, ლავრენტიმ საწადელს მაინც მიაღწია და „აფხაზი ლენინის" (ასე ეძახდნენ მაშინ სამშობლოში ლაკობას) ცოლი საწოლში ჩაიგორა. საყვარლებს შორის შუამავალი — ლაკობას მძღოლი, გრიშა ამირჯანოვი იყო, რომელიც „ჩეკას" საიდუმლო აგენტი გახლდათ და „აფხაზეთის სსრ"-ის უმაღლესი მეთაურის თვალთვალი ევალებოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ამირჯანოვი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა, მისმა ძმამ — ალექსანდრემ კი ამერიკაში გაქცევა შეძლო და იქ გამოსცა წიგნი, რომელშიც მკითხველს ლავრენტი ბერიას საიდუმლო სასიყვარულო კავშირებზე დაწერილებით მოუთხრობდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის პარალელურად, ლავრენტი ბერიასა და ნესტორ ლაკობას შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა: საქმე ის იყო, რომ „აფხაზეთის სსრ"-ის მეთაურს ისევ ქართველებისადმი დაქვემდებარება არ სურდა და მოითხოვდა, რომ ე.წ. „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში", რომელიც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანს აერთიანებდა, აფხაზეთი დამოუკიდებელი, სრულუფლებიანი სუბიექტის სახით შესულიყო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა: ჯერ კიდევ 1921 წლის 16 დეკემბერს იძულებული გახდა, ხელი მოეწერა საბჭოთა საქართველოსთან სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. ლაკობა ამაში სწორედ ლავრენტი ბერიასა და მის უახლოეს გარემოცვას ადანაშაულებდა და ამიტომაც, 1922 წელს საქართველოს „ჩეკას" უფროსად თავისი მტრის დანიშვნამ დიდად ააფორიაქა.

მეორე მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, ბერია აფხაზ სეპარატისტებთან იმთავითვე დაპირისპირებული იყო და ცდილობდა, მათთვის გასაქანი არ მიეცა: „ეგ ხალხი არაა სანდო... ხვალ თურქეთიდან მხარდაჭერა რომ აღუთქვან, აუცილებლად აჯანყდებიან და ამ ჩვენს ნალოლიავებ საბჭოთა ხელისუფლებას თვალის დახამხამებაში დაამხობენ", — ხშირადეუბნებოდა სტალინს, რომელსაც ლაკობა და ძმანი მისნი ქართული მენშევიკური ემიგრაციის მძლავრ წინაღობად მიაჩნდა და ცხადია, ამ უკანასკნელთა სრულ განადგურებამდე, არაფრის გაგონება არ სურდა. აქედან გამომდინარე, ლავრენტი ბერია სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ პარტიულ მოღვაწეთა წინააღმდეგ აშკარა გამოსვლებისგან თავს იკავებდა; ამავდროულად, რასაკვირველია, ცდილობდა, მათზე ყველაფერი სცოდნოდა. სწორედ ამის გამო აღადგინა მან სასიყვარულო კავშირი სარიე ლაკობასთანაც, მაგრამ ქალისთვის თავისი ჩანაფიქრის თაობაზე, ცხადია, არაფერი უთქვამს. ალექსანდრე ამირჯანოვი მოგვიანებით წერდა, რომ ბერიას სჩვეოდა ინტრიგების ხლართვისას საყვარელი ქალის გამოყენება: „ამგვარ შემთხვევებში ის შესანიშნავად თამაშობდა ვნებიანი მიჯნურის როლს და ქალები მზად იყვნენ, თავიც კი გაეწირათ მისთვის", — ნათქვამია ამირჯანოვის წიგნში.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ცოლისადმი პატივისცემის ნიშნად, ნესტორ ლაკობამ აფხაზეთში ე.წ. „ლაზთა საბჭოთა შრომითი კომუნა" ჩამოაყალიბა. ეს ერთგვარი კულტურულ-ავტონომიური წარმონაქმნი იყო და ოსმალეთიდან აფხაზეთში სხვადასხვა დროს ჩასულ ლაზებს აერთიანებდა. ლაზთა დიდი ნაწილი იმხანად, გამოკვეთილად პროქართული ორიენტაციის იყო და აფხაზ სეპარატისტებს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. ამდენად, „შრომითი კომუნის" შექმნა აფხაზთა მხრიდან ძალზე მზაკვრული ჩანაფიქრი იყო: მათ ლაზებისთვის ჯერ ქართველობა უნდა დაევიწყებინათ, მერე კი ნელ-ნელა გაეაფხაზებინათ. დავძენთ იმასაც, რომ ნესტორ ლაკობა ოფიციალურად აცხადებდა, თითქოს ყველაფერი ოსმალეთის ლაზეთის „გასაბჭოების" მიზნით კეთდებოდა. მართლაცდა, „ლაზთა საბჭოთა შრომითი კომუნის" აგენტები ლაზეთში ნაყოფიერად ირჯებოდნენ და საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ პროპაგანდას ეწეოდნენ, რადგან ეს მხარე იმთავითვე ქართული ეროვნული მოძრაობის მთავარ პლაცდარმად ითვლებოდა. ბუნებრივია, თუკი იქ საბჭოთა ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგია ფართოდ გავრცელდებოდა, ამით, უპირველეს ყოვლისა, ქართველ პატრიოტებს მიადგებოდათ ზიანი. აფხაზეთის „ლაზთა საბჭოთა შრომით კომუნას" თავად სარიე ჯიხ-ოღლი, მისი ძმა მევჯიდი და რძალი ადილე აბას-ოღლი ხელმძღვანელობდნენ.

რასაკვირველია, ნესტორ ლაკობასა და მისი ახლობლების ასეთი აქტიურობა ლავრენტი ბერიას თვალში არ მოსდიოდა — „დიდ ჩეკისტს" ეჭვი ჰქონდა, რომ აფხაზური სეპარატიზმის მამა უპირატესად, მის სკამს უმიზნებდა და კრემლში გავლენის მოპოვებასაც ცდილობდა. სხვათა შორის, ბერიას ეჭვები მალევე გამართლდა: 1923 წელს „აფხაზეთის სსრ"-ის დელეგაცია ნესტორ ლაკობას ხელმძღვანელობით, თბილისში ერთ-ერთ მნიშვნელოვან


**ლავრენტი ბერია**

პარტიულ სხდომაზე დასასწრებად ჩამოვიდა. სხდომა რომ დაიწყო და შემდეგ, აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელის გამოსვლის დროც დადგა, თავმჯდომარემ მოულოდნელად, ლაკობას ნაცვლად, ბასარიას გვარი გამოაცხადა. ნესტორი სიბრაზისგან გაფითრდა, მაუზერი იძრო და ჭალს ესროლა. სხდომის მონაწილეები წამოიშალნენ, ლაკობა კი ამასობაში ჩქარი ნაბიჯით ავიდა ტრიბუნაზე და ხმამაღლა წარმოთქვა: „ესეც ასე!.. ახლა კი მე ვილაპარაკებ!" სხდომას ლავრენტი ბერიაც ესწრებოდა, მაგრამ ამ გაუგონარ თავხედობაზე რეაქცია აშკარად არ გამოუხატავს — შეუმჩნევლად ტუჩი მოიკვნიტა და ლაკობას ავად გახედა.

მომდევნო წელს მოსკოვში სტალინს პარტიული მაღალჩინოსნები სტუმრობდნენ. მათ შორის, რასაკვირველია, ლავრენტი ბერია და ნესტორ ლაკობაც იყვნენ; ამ

უკანასკნელს თან სარიეც ახლდა. ულამაზესი ლაზი ქალის დანახვისთანავე სტალინმა ორაზროვნად გაიღიმა და ბერიას ასე მიმართა: „ხედავ, ლავრენტი?.. ჩვენს აფხაზ ამხანაგს საკმაოდ შორს ჩამოუ-



**ლავრენტი ბერია და იოსებ სტალინი მხლებლებთან ერთად ეშერის ნაკრძალში. 1935 წლის ფოტო**

ტოვებიხარ... მას ასეთი ლამაზი მანდილოსანი უმშვენებს გვერდს, შენ კი მარტო მოსულხარ...“ ამის გამგონე პენსნეიან კაცს სახეზე ფერმა კი გადაკრა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ცოტა ხნის შემდეგ, მშვიდად წამოდგა, იქვე მსხდარ დამკვრელებთან მივიდა და ბელადის საყვარელი „ლეკური“ შეუკვეთა. როგორც კი დარბაზში კავკასიური ჰანგები გაისმა, ლავრენტი ეშმაკური ღიმილით საყვარელს წარუდგა და ქმრის თვალწინ, საცეკვაოდ გაიწვია. სარიეს ლაწვები შეეფაკლა, მაგრამ უარი არ უთქვამს — ხელები ლაღად გაშალა და ჩამოუარა.

იმ წვეულებაზე ყველასთვის, მათ შორის — ნესტორ ლაკობასთვისაც უკვე ცხადი გახდა, რომ ლავრენტი ბერია მოწინააღმდეგეებს არაფერს და არავის დაუთმობდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სარიესა და ლავრენტის შემყურე სტალინი თურმე ღიმილით მიუბრუნდა ლაკობას, რომელიც თავს ძლივსღა იკავებდა, და ქართულად უთხრა: „ასეა, ჩემო ნესტორ, „ლეკურს“ ყველაზე კარგად ქართველები ცეკვავენ!“ აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს აღარაფერი უთქვამს. ცეკვა რომ დასრულდა, სარიე სტალინმა მიიხმო, ჯერ სადაურობა გამოჰკითხა, მერე კი ტაშისკვრით შეაქო და მისი სადღეგრძელოც შესვა. ნესტორ ლაკობამ ჭიქა პირთან მიიტანა, მაგრამ არ დაულევია. ლავრენტი ბერიამ ამას თვალი მოჰკრა და ცინიკურად ჩაეღიმა.

1925-1930 წლებში ლავრენტი ბერია და ნესტორ ლაკობა ფარულად, უწინდებურად გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გარეგნულად — სტალინის გულის მოსაგებად, ჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ. ლავრენტისა და სარიეს სიყვარულის შესახებ ნესტორმა ყველაფერი იცოდა. მართალია, ვერაფერს ამბობდა, მაგრამ ცოლს მარტო არსად უშვებდა და ყველგან თან დაჰყავდა. საერთოდ, ლაკობა ფიცხი კაცი იყო, მაგრამ სარიე ძალიან უყვარდა და ბევრ რამეზე თვალს ხუჭავდა. სარიეს რძალი, ადილე აბას-ოღლი შემდგომში იგონებდა, რომ ნესტორი ცოლს ბერიასთან ურთიერთობის გამო ხშირად კი საყვედურობდა, მაგრამ ხმისთვის არასოდეს აუწევია: „მას ძალიან უყვარდა სარიე“, — წერდა ადილე აბას-ოღლი თავის მოგონებებში, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში ჟურნალმა „ოგონიოკმა“ გამოაქვეყნა.

1929 წლის 29 ოქტომბერს ბერიამ ლაკობას თბილისიდან „საჩუქრად“ გაუგზავნა რევოლვერი, რომელსაც თურმე რაღაც დეტალი აკლდა: „ძვირფასო ნესტორ! გიგზავნი ჩემს რევოლვერს. ერთი შეხედვით, დიდი არაფერია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ თავის დანიშნულებას მაინც შეასრულებს!..“ — ასეთი წერილი ერთვოდა ძღვენს. ნესტორს იარაღი ძალიან უყვარდა და ბერიას საჩუქარი ჩვეულებრივად, სიხარულით მიიღო. უეცრად მძღოლმა, გრიშა ამირჯანოვმა შესთავაზა, გამოსაცდელად მიზანში ვისროლოთო. ლაკობას არც არაფერი უეჭვია, ისე დათანხმდა: რევოლვერი გრიშას გაუწოდა და უბრძანა, პირველად მას ესროლა. გრიშამ გადატენა, მაგრამ გასროლა ვერაფრით მოახერხა. ის ისე ზანტად ირჯებოდა, რომ ლაკობამ ვეღარ მოითმინა, რევოლვერი ხელიდან გამოსტაცა, ჩახმახს თავად გამოჰკრა და... აფეთქებული იარაღის ნამსხვრევმა სახე დაუსერა. მაშინ სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა.

1935 წლიდან კრემლში „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის“ დაშლაზე აშკარად ალაპარაკდნენ. ეს პოლემიკა ლავრენტი ბერიას მიერ გახლდათ ინსპირირებული და, სხვათა შორის, პირდაპირ ნესტორ ლაკობას წინააღმდეგ იყო მიმართული: აფხაზეთში იგი უკიდურესად ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდა და თანაც, ბერიას მოწინააღმდეგეებსაც ყოველნაირად უწყობდა ხელს. ლაკობა ფაქტობრივად, ქართველი ერის დაქუცმაცებისთვის პლაცდარმს ქმნიდა, რადგანაც იმხანად „აფხაზეთის სსრ“-ში მეგრელები, ლაზები და სვანები ცალკეულ ეროვნებებად იყვნენ მიჩნეულნი: ლაკობა ამგვარად, აფხაზეთში ჩრდილოკავკასიური წარმოშობის აფხაზთა ხვედრითი წონის გაზრდას ცდილობდა. ყველაზე მეტად კი ბერიას ის აღიზიანებდა, რომ სტალინის გარემოცვა სწორედ ნესტორ ლაკობას ენდობოდა.

ამგვარ ფონზე, მთელ აფხაზეთში ელვის სისწრაფით გავრცელდა ჭორი, თითქოს ნესტორ ლაკობას მეუღლე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობდა ქმარს. სხვათა შორის, სარიე საზოგადოებაში მართლაც, ყოველთვის თამამად იქცეოდა და ხალხმაც ყველაფერი სულ იოლად დაიჯერა. ამასთან, ისიც კარგად მოეხსენებოდათ, რომ ნესტორი ცოლს არცთუ დიდად საყვედურობდა სითამამისთვის... ამ ხმებმა კრემლში, სტალინამდეც მიაღწია და, როგორც შემდგომ აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს გადასცეს, დიდ დიქტატორს უკმაყოფილება ვერ დაუფარავს: როგორ შეიძლება, კომუნისტს ცოლად ასეთი ყოფაქცევის ქალი ჰყავდესო?!. ლაკობამ ისიც გაიგო, რომ სტალინისთვის ნივთმტკიცებად წარედგინათ სურათებიც, რომლებზეც სარიე მის პირად მძღოლთან — გრიშა ამირჯანოვთან ერთად იყო აღბეჭდილი. ნესტორი მიხვდა, რომ ლავრენტი ბერიამ სასტიკად დააშამათა. მან საჩქაროდ, კრემლში ვრცელი წერილი გაგზავნა და პენსნეიანი კაცი ძირგამომთხრელ საქმიანობაში დაადანაშაულა.

არადა, ლაკობას თავი როგორც უნდა ემართლებინა, მაინც ფაქტი ფაქტად რჩებოდა — სარიე ლაკობა მართლაც, ფეხსუსტი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა; რომ იტყვიან, ქმარს თავზე აჯდა და რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნაკლებად უწევდა ანგარიშს. 1936 წლის დეკემბერში, როცა ნესტორი სასწრაფოდ გამოიძახეს თბილისში, სარიე ქმარს უწინდებურად თან აღარ გაჰყოლია. ქალი უგუნებოდ იყო, რადგან ბერია აღარ სწყალობდა და ნესტორთანაც გართულებული ურთიერთობა ჰქონდა. ის-ის იყო, ლაკობა სახლიდან გავიდა, რომ ეზოდან გასროლის ხმა გაისმა. სარიე საჩქაროდ გამოვარდა გარეთ და მოღიმარი ნესტორი დაინახა, რომელსაც ხელში რევოლვერი ეჭირა: „ახლა დავრწმუნდი, რომ გიყვარვარ... მჯერა, რომ მოვკვდები, გულით დამიტირებ!“ — უთხრა მან ცოლს და მანქანაში ჩაჯდა.

ნესტორ ლაკობა თბილისიდან ცოცხალი აღარ დაბრუნებულა — იგი ბერიასთან შეხვედრის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა. რამდენიმე დღეში კი გაზეთებში გამოქვეყნდა სენსაციური ცნობა, რომლის თანახმადაც, 1929 წელს ცნობილ პარტიულ მოღვაწე ლევ ტროცკის საბჭოთა კავშირიდან გაქცევაში სწორედ ნესტორ ლაკობა და მისი მეუღლე დაეხმარნენ. ამ ცნობის გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე ლაკობას ოჯახის ყველა წევრი და უახლოესი ნათესავი აიყვანეს. რასაკვირველია, მათ შორის, სარიე და მისი მცირეწლოვანი შვილი — რაუფ ლაკობაც იყვნენ. გადმოცემის თანახმად, დაკავებულები თავად ბერიამ მოინახულა. პენსნეიანი კაცი ძველ შეყვარებულს ერთხანს მდუმარედ უცქერდა, მერე კი მრავალმნიშვნელოვნად უთხრა: „Ëþáîâü ê òîãèëå – âåñüìà ñòðàííàÿ øòóêà, õîòÿ è êàæåòñÿ, ÷òî ýòî îáû÷íîå äåëî!“

■

# Lamborghini Aventador LP700-4 Murcielago-ს შეცვლის

ერთ-ერთმა ინტერნეტსაიტმა სუპერავტოს — Lamborghini Aventador LP700-4 — ახალი ფოტოები გამოაქვეყნა. ეს ავტომობილი იტალიური მწარმოებლის ხაზში მოდელს Murcielago შეცვლის. ოფიციალურად, სიახლე ჟენევის მოტორშოუზე იქნება წარდგენილი. სუპერავტო 12-ცილინდრიანი, 6,5-ლიტრიანი, 700 ცხძ-იანი ატმოსფერული ძრავათი აღიჭურვება, რომელიც 7-საფეხურიანი რობოტიზებული „მექანიკით“ იმუშავებს. ადრე გავრცელებული ცნობით, ავტომობილის კონსტრუქციაში კარბონის ფართოდ გამოყენება იგეგმება. მაგალითად, ამ მასალისგან სულ რაღაც 147,5 კგ-ის წონის მონოკოკს დაამზადებენ. მანქანის ძარა 229,5 კგ წონის იქნება, ხოლო მთლიანად ავტომობილის მასა — 1575 კგ-ს მიაღწევს. 100 კმ/სთ სიჩქარეს ეს მანქანა 2,9 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 350 კმ/სთ იქნება. 100 კმ-ის დასაფარავად ავტომობილს დაახლოებით 17,2 ლიტრი საწვავი დასჭირდება. ატმოსფეროში $CO^2$-ის გამონაბოლქვი კილომეტრზე 398 გრამს



შეადგენს. სიახლე ასევე აღიჭურვება Haldex-ის მეოთხე თაობის სრულამძრავიანი სისტემითა და კარბონ-კერამიკული მექანიკური სამუხრუჭე დისკებით. წინ ავტომობილს 255/35 ზომის საბურავებიანი 19-დუიმიანი, ხოლო უკან — 335/30 ზომის საბურავებიანი 20-დუიმიანი საბორბლე დისკები დაუყენდება. ■



# „იაგუარის“ კონცეპტ-სედანი

ერთ-ერთმა ინტერნეტგამოცემამ „იაგუარის“ კონცეპტუალური სედანის პირველი ფოტოები გაავრცელა. ეს მოდელი ძარების შექმნაზე ორიენტირებულმა იტალიურმა ატელიე „ბერტონემ“ დაამზადა. მანქანის მსოფლიო პრემიერა მარტში ჟენევის მოტორშოუზე შედგება. სიახლეს B99 ეწოდება, სადაც პირველი ასოზგერა ატელიეს აღმნიშვნელია, ხოლო ციფრი — 1912 წელს დაარსებული „ბერტონის“ ასაკს შეგვახსენებს. პროტოტიპის გაბარიტული სიგრძე 4,5 მ-ია, სიგანე — 1,95 მ, ხოლო სიმაღლე — 1,35 მ. კლასიკური Jaguar XJ-ის სტილში შესრულებული ავტომობილს გაკეთებული აქვს კარები, რომლებიც ერთმანეთის შემხვედრად იღება, თანაც უკანა — წინაზე თითქმის ორჯერ მცირე ზომისაა. კონცეპტუალური „იაგუარის“ აგრეგატზე ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ „ბერტონის“ წარმომადგენელთა თქმით, იგი ჰიბრიდულია და ავტომობილს სვლის დიდი თადარიგით უზრუნველყოფს. ბოლო პერიოდში „ბერტონის“ მიერ შემუშავებული კონცეპტუალური „იაგუარები“ — Pirana და Ascot — 1967 და 1977 წლებში წარმოადგინეს. თავისი წინამორბედი ნამუშევარი ატელიემ შარშან ჟენევის ავტოსალონზე უჩვენა. Alfa Romeo Pandion-ის სახელით ცნობილი პროტოტიპი იტალიური ავტომწარმოებლის 100 წლისთავის აღსანიშნავად აიწყო. კონცეპტ-ავტოს ერთ-ერთი თავისებურება — 3,6 მ სიგრძის კარია, რომელიც ზემოთ, 90-გრადუსიანი კუთხით იღება და ფაქტობრივად, ძარას გვერდითა ნაწილებს წარმოადგენს. ■

# მინივენი „ზაფირა“

კომპანია „ოპელმა“ მინივენ „ზაფირას“ შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. ამ სიახლის მსოფლიო პრემიერაც ჟენევაში შედგება. მისი დიზაინი 90%-ით სერიული მოდელის გარეგნობას იმეორებს. ახალი „ზაფირას“ პროტოტიპი Delta II-ის პლატფორმაზეა აგებული, რომელსაც „ოპელ ასტრას“ საავტომობილო ოჯახის გარდა, Chevrolet Cruze-ზე გამოიყენებენ. კონცეპტ-ავტო 1,4-ლიტრიანი ტურბინირებული ბენზინის ძრავათი და მოტორის ჩართვა-გამორთვის ავტომატური მოწყობილობითაა აღჭურვილი. მინივენის გარეგნობა გერმან-



ული მარკის ახალ საფირმო სტილშია შესრულებული, რომელიც მოდელებზე — Insignia და Astra — უკვე იყო წარმოდგენილი. დიზაინის ზოგიერთი ელემენტი მითვისებულია ელექტროავტოსგან — Ampera, რომლის სერიული ვერსიის წარდგენა ჟენევის ავტოშოუზე იგეგმება. გარდა ამისა, კონცეპტ-ავტოს მინის სახურავი, შუქდიოდური ფარები და 20-დუიმიანი საბორბლე დისკები ექნება. წინასწარი ინფორმაციით, ახალი „ზაფირას“ სერიული ვერსია შემოდგომაზე ფრანკფურტში იქნება ნაჩვენები. ავტომობილის გაყიდვა ევროპის ბაზარზე წლის ბოლოს დაიწყება. ■

უყურეთ!
www.palitratv.ge
PALITRA
TV-RADIO
ლაპარაკობს და აჩვენებს პალიტრა!

# რამდენიმე მიზეზი, რის გამოც მამაკაცები ტოვებენ ქალებს



**თუკი ქალთან ურთიერთობა უინტერესო გახდა**

მამაკაცი იდეალურს თუ არა, ისეთ ქალს მაინც ეძებს, ვისთან კონტაქტიც საინტერესო იქნება — საუბრისას თუ ფიზიკური სიახლოვისას. მართალია, ზედმეტად ჭკვიან ქალთან ურთიერთობა მას აფრთხობს — ანუ არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს, მაგრამ არც მხოლოდ სერიალებისა და იაფფასიანი რომანების მოყვარული ქალი იზიდავს.

**დასკვნა:** თავი ისეთად მოაჩვენეთ, როგორიც მას სურს, იყოთ.

**როცა ადგილი აქვს ხასიათების შეუთავსებლობას**

თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ წყვილი რატომღაც წვრილმანებზე კამათობს, ვერ პოულობს კომპრომისებს, არანაირ დათმობაზე არ მიდის. ასეთ შემთხვევაში, ერთი გამოსავალი დაგრჩებათ — დაშორება.

**დასკვნა:** მამაკაცი ბუნებით ლიდერია, ამიტომაც სურს, რომ უმეტესწილად მას დაუთმოთ.

**თუკი ქალი თავშეუკავებელია**

არც ერთს მამაკაცს არ აქვს სურვილი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წითლდებოდეს თავისი პარტნიორის დაუფიქრებელი საქციელის გამო.

**დასკვნა:** ისწავლეთ საკუთარი თავის კონტროლი.

**როცა ქალს საეჭვო წარსული აქვს**

გაითვალისწინეთ, რომ პარტნიორების ხშირად ცვლას კარგი არაფერი მოაქვს. ნებისმიერ მამაკაცს აქვს სურვილი, იყოს ქალის ცხოვრებაში პირველი. ყოველ შემთხვევაში, 51-ე ადგილზე ყოფნა ნამდვილად არ მოხიბლავს!

**დასკვნა:** იფიქრეთ მომავალზე იმ წუთიდანვე, როგორც კი თქვენს ცხოვრებაში პირველი მამაკაცი გამოჩნდება და ნუ დაივიწყებთ, რომ ახალგაზრდობა მარადიული არ არის!

**როცა ქალი მამაკაცში მხოლოდ ფსიქოთერაპევტს ხედავს**

ბუნებრივია, მას უნდა მოუყვეთ თქვენს პრობლემებზე, საზრუნავზე, გაუზიაროთ თქვენი მოსაზრებები, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი ვარგა. წუწუნით თავს თუ მოაბეზრებთ, მალე თქვენზე მეტად გალიზიანებული და პრობლემებით დახუნძლული პარტნიორი შეგრჩებათ ხელთ.

**დასკვნა:** ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთვის დაქალები არსებობენ!

**როცა ქალი თავს აღარ უვლის**

თუკი ის სიმპათიური ქალბატონი — რომელმაც დანახვისთანავე ასე მოხიბლა, მოუვლელ, თმაგაწეწილ, ფორმადაკარგულ დედაკაცად გადაიქცევა, ცხადია, მამაკაცი მისგან გაქცევას შეეცდება.

**დასკვნა:** არასოდეს მოადუნოთ ყურადღება საკუთარი გარეგნობის მიმართ, პირიქით — დღითი დღე უკეთესობისკენ უნდა ისწრაფოდეთ!

**როცა ქალს მხოლოდ მამაკაცის ჯიბე აინტერესებს**

მართალია, მამაკაცს სიამოვნებს ქალზე ზრუნვა, მაგრამ სამაგიეროსაც ითხოვს. და ეს სამაგიერო — სიყვარულია.

**დასკვნა:** თუ გსურთ, რომ მისგან საჩუქრები კვლავინდებურად მიიღოთ, დაანახვეთ, რომ ძველებურად გიყვართ.

**როცა ქალი ქორწინებას ჩქარობს**

აცალეთ მამაკაცს, ჩამოყალიბდეს და თავად გამოთქვას მოსაზრება, თუ როგორი ურთიერთობა სურს თქვენთან. ნუ გაუსწრებთ მოვლენებს, ამით მხოლოდ დააფრთხობთ მას.

**თუკი მამაკაცმა ქალის ღალატის შესახებ შეიტყო**

მამაკაცს შეუძლია გაპატიოთ თითქმის ყველაფერი, გარდა ღალატისა. თუ ეს მოხდა, ის აუცილებლად წავა თქვენი ცხოვრებიდან.

**დასკვნა:** უმჯობესია, მანამ დაშორდეთ მას, ვიდრე სხვასთან გააბამდეთ ურთიერთობას. ამგვარად მოსალოდნელ სკანდალსაც აიცილებთ თავიდან.

**როცა ქალს მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე მამაკაცს**

თუკი, ნებსით თუ უნებლიეთ, ამას გამუდმებით აყვედრით, ის დაკომპლექსდება და სავარაუდოა, თქვენგან წასვლის სურვილიც გაუჩნდეს.

**დასკვნა:** თუ თქვენ მასზე უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახური გაქვთ, ნურასოდეს გაუსვამთ ხაზს ამ გარემოებას; პირიქით — მის მიმართ იყავით თბილი, უშუალო, ლოიალური... ურთიერთობაში მთავარი ხომ ფინანსური მხარე არ არის.

## ყველასთვის ხელმისაწვდომი რეცეპტები — ჯანსაღი თმისთვის

**თუ გგონიათ, რომ ჯანმრთელი და ლამაზი თმა ძვირად ღირებული სიამოვნებაა, ძალიან ცდებით. სასურველი შედეგის მისაღებად, ბალზამისა და კონდიციონერის ნაცვლად, შეგიძლიათ, საკუთარი ხელით მომზადებული ლოსიონები გამოიყენოთ.**

### კარტოფილის ნიღაბი

თმის ცვენის შესაჩერებლად კარგია კარტოფილის ნიღაბი. აიღეთ 1 ცალი, დიდი ზომის კარტოფილი, გახეხეთ, დაუმატეთ 2 ს/კ ალოეს წვენი და 20 გ თაფლი. მიღებული მასა შეიზილეთ თმის ძირებში. შემდეგ თავზე პოლიეთილენის პარკი ჩამოიცვით და პირსახოცი შემოიხვიეთ. ნიღაბი თავზე 2 საათით გაიჩერეთ, მერე ჩამოიბანეთ და თავი ჩვეულებრივი შამპუნით დაიბანეთ. პროცედურა ჩაიტარეთ კვირაში 2-ჯერ — მანამ, სანამ სასურველ შედეგს არ მიიღებთ.

### კომბოსტოს ლოსიონი

თმის ძირებს კარგად კვებავს ეგრეთ წოდებული კომბოსტოს ლოსიონი. მის მოსამზადებლად, თანაბარი პროპორციებით აიღეთ კომბოსტო და ოხრახუში და დაასხით 300 გ ადუღებული წყალი. მომზადებული ნაყენი 6 საათი გააჩერეთ. ნაყენი კარგად შეიზილეთ თმის ძირებში და 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

# ლამაზი სხეული მოითხოვს...

**გსურთ იყო ლამაზი, გქონდეთ მოხდენილი სხეული? თუ ასეა, მაშინ აუცილებელია, იცოდეთ, რამდენ კალორიას იღებთ ყოველდღიურად, რამდენს ხარჯავთ და რამდენია საჭირო, იდეალური წონა რომ შეინარჩუნოთ.**



**I დღე**

5 ც საშუალო ზომის მოხარშული კარტოფილი გაანაწილეთ მთელ დღეზე. საღამოს მიირთვით 0,5 ლ მაწონი;

**II დღე**

1 კგ კიტრი გაანაწილეთ მთელ დღეზე, საღამოს — ისევ 0,5 ლ მაწონი;

**III დღე**

1 ჭ მოხარშული ბრინჯი მიიღეთ მთელი დღის განმავლობაში; საღამოს — 0,5 ლ მაწონი;

**IV დღე**

უმი ბოსტნეულის სალათა — მთელი დღე (შეგიძლიათ ძმრით ან ლიმონის წვენით შეზავებული). საღამოს — 0,5 ლ მაწონი;

**V დღე**

200 გ ხაჭო — მთელი დღის განმავლობაში; საღამოს — 0,5 ლ მაწონი;

**VI დღე**

2 კგ ვაშლი — მთელი დღის განმავლობაში;

**VII დღე**

1 ლ მაწონი — მთელი დღის განმავლობაში;

**VIII დღე**

1 ლ „ბორჯომი“ ან რომელიმე მინერალური წყალი.

დიეტის დაცვისას გამორიცხეთ მარილი და ნებისმიერი ცხელი სითხე. დიეტის გამეორება შესაძლებელია ორკვირიანი შესვენების შემდეგ. შესვენების პერიოდში უნდა შევამციროთ ცხიმის, ცომეულის და კალორიული საკვების მიღება. გაძლევთ გარანტიას, რომ შედეგი სასურველი იქნება. მაშ ასე, იყავით ლამაზები და იამაყეთ მშვენიერი სხეულით. ■

## პროდუქციის დასახელება

**კალორიათა რაოდენობა 100 გ პროდუქტში**

| | |
|---|---|
| ხორბლის პური | 270 |
| ჭვავის პური | 210 |
| ბრინჯი | 336 |
| სიმინდი მაკარონი, | 310 |
| ვერმიშელი | 327 |
| კარტოფილი | 88-91 |
| ჭარხალი | 60 |
| სტაფილო | 46 |
| კომბოსტო | 52 |
| პომიდორი | 22 |
| გოგრა | 25 |
| ვაშლი და მსხალი | 56 |
| ყურძენი | 36 |
| თხილი | 400 |
| შაქარი | 321 |
| შოკოლადი | 510 |
| საქონლის ხორცი | 150 |
| ღორის ხორცი | 155 |
| ხიზილალა | 254 |
| ქათმის კვერცხი | 166 |
| რძე | 68 |
| არაჟანი | 269 |
| მოუხდელი ყველი | 425 |
| კარაქი | 812 |
| ერბო | 913 |
| მარგარინი | 810 |
| ზეთი | 911 |

როგორ უნდა განვსაზღვროთ, რამდენ კალორიას ვხარჯავთ ყოველდღიურად, სხვადასხვა სამუშაოს შესრულების დროს, თუკი სხვადასხვაგვარი შრომა სხვადასხვა რაოდენობის კალორიის ხარჯვას მოითხოვს? დაუკვირდით შემდეგ ცხრილს და განსაზღვრეთ თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით რამდენი კალორია გეკარგებათ 1 საათის განმავლობაში.

**შესრულებული სამუშაო და დახარჯული კალორიები 1 სთ-ის განმავლობაში**

| | |
|---|---|
| გონებრივი შრომა | 7-8 |
| კალმით წერა | 20 |
| ხელით კერვა | 25-30 |
| ხატვა ფეხზე დგომით | 40-50 |
| სარეცხის რეცხვა ხელით | 230 |
| სარეცხის რეცხვა მანქანით | 40-50 |
| საოჯახო საქმიანობა | 87-174 |
| სიარული | 130-200 |
| სირბილი | 500-930 |
| ცურვა | 200-700 |
| ერთ ადგილზე დგომა | 20-30 |

**გაითვალისწინეთ:**

ადამიანები, რომლებიც ძირითადად გონებრივად შრომობენ, დღეში 3000 კალორიას ხარჯავენ;

მათ, ვინც ფიზიკურად მუშაობენ, მაგრამ მუშაობა მექანიზებულია, დღეში 3500 კალორია სჭირდებათ;

ადამიანები, რომლებიც ფიზიკურად მუშაობენ, მაგრამ — მცირე დატვირთვით, დღეში 400 კალორიას ხარჯავენ;

მათი მოთხოვნილება, ვინც მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა, 4000-5000 კალორიას აღწევს.

ასე რომ, აკონტროლეთ მიღებული და გაცემული კალორიების რაოდენობა და თქვენს სხეულს უზადოდ ლამაზი ფორმა ექნება.

და თუ მაინც გაწუხებთ ზედმეტი წონა, გთავაზობთ „ექსპრეს-დიეტას“, რომლის სრული კურსის ჩატარების შემდეგ 4 კგ-ს დაიკლებთ.



*რუბრიკა მოამზადა* ***ეკა ბუნთაიშვილმა***

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# კისერმრუდობა

**კისერმრუდობა თანდაყოლილი პათოლოგიაა და კისრის ერთ-ერთი კუნთის (სალმის კუნთის) განვითარების დეფექტია. იგი ახალშობილთა 5%-ში გვხვდება. სპეციალისტთა ნაწილი თანდაყოლილი კისერმრუდობის მიზეზად მიიჩნევს მშობიარობის დროს მიღებულ ტრავმას. სხვათა აზრით, პათოლოგიის ჩამოყალიბებაში „ბრალი“ დედას მიუძღვის, რომელიც ფეხმძიმობის პერიოდში „არასასურველ“ მედიკამენტებს იღებდა, აღენიშნებოდა გრიპის ვირუსი, ან ხშირად ჰქონდა სტრესი.**

რაც უფრო ადრე შევამჩნევთ კისერმრუდობას, მით უფრო შედეგიანი იქნება მკურნალობა, ამიტომ მშობლებს დაკვირვება მართებთ! როგორც წესი, კისერმრუდობის დიაგნოზის დასმა დაბადებიდან მე-2, მე-3 კვირაზე ხდება. ამ პერიოდისთვის, პატარას კისერზე, სალმის კუნთის ქვეშ, თითისტარისებრი ფორმის შესივება შეინიშნება. შეშუპება საკმაოდ მტკივნეულია, რადგან აღინიშნება სისხლჩაქცევები, სისხლძარღვები გაგლეჯილია. ასეთი შესივება თანდათანობით, დროთა განმავლობაში, ზომაში მატულობს. პატარას თავი დაზიანებული კუნთის მხარეს გადაიხრება, ხოლო კისრის მოძრაობა იზღუდება.

თუკი მსგავსი დეფექტი მშობელს უყურადღებოდ დარჩება, პათოლოგია პროგრესირებს: ბავშვის ზრდასთან ერთად კისრის კუნთი მოკლდება, თავი ასიმეტრიულ მდებარეობას მიიღებს და „ზედმეტად“ გადაიხრება კუნთის მხარეს. ორგანიზმი ეჩვევა ასეთ ცვლილებებს და დეფექტის კორექცია შემდეგში, პრაქტიკულად, შეუძლებელი ხდება.

თუკი პათოლოგია დროულად იქნება აღმოჩენილი და ბავშვს ადეკვატური მკურნალობა ჩაუტარდება, 1 წლის ასაკში, როგორც წესი, კისერმრუდობა ქრება. იშვიათად, შეიძლება მკურნალობას არ დაემორჩილოს. ასეთ შემთხვევაში 3-4 წლის ასაკში ბავშვს სპეციალურ ოპერაციას უკეთებენ.



### ვარჯიშები

ვარჯიშის და მასაჟის დაწყება ორი კვირის ასაკიდან შეგიძლიათ. პირველი ვარჯიშები უნდა ჩატარდეს ექიმ-მასაჟისტის მეთვალყურეობის ქვეშ.

დააწვინეთ პატარა ზურგზე, ხელისგულებით თავი ფაქიზად დაუჭირეთ და ნელა გადახარეთ ჯანმრთელ მხარეს, თან შეეცადეთ, ბავშვმა ტრავმირებული მხარისკენ მიაბრუნოს სახე.

ბავშვი დააწვინეთ გვერდზე, გამრუდებული კისრის მხარეს. ხელი თავქვეშ ამოუდეთ და თანდათან გამოაცალეთ, რომ თავი თვითონვე დაიჭიროს.

თუ პატარამ ტირილი დაიწყო, ვარჯიში მცირე ხნით შეწყვიტეთ და ბავშვი დაამშვიდეთ.

ეს ვარჯიში გაიმეორეთ დღეში 3-4-ჯერ, 4-5 თვის განმავლობაში.

ვარჯიშის შემდეგ კეთდება მასაჟი, რომელიც უმჯობესია, თავდაპირველად სპეციალისტს მიანდოთ. მასაჟის მიზანია დაზიანებულ კუნთში ლიმფისა და სისხლის მოძრაობის გაუმჯობესება, მისი მოდუნება, ხოლო საპირისპირო მხარეს — კუნთის სტიმულაცია და ტონუსი. პროცედურა 10-15 წუთს გრძელდება. მკურნალობის კურსი 15-20 პროცედურას მოიცავს. უმჯობესია, მასაჟთან ერთად ფიზიოპროცედურებიც ჩატარდეს.

გარდა ამ კომპლექსისა, აუცილებელია, პატარას ძილისა და სიფხიზლის დროს შეუქმნათ სპეციალური პირობები. კერძოდ:

შეუკერეთ სპეციალური კისრის დამჭერი, თავი სწორად რომ ეჭიროს და არა გვერდულად. ამისთვის დაზიანებულ მხარეს კისრის დამჭერი უფრო მაღალი უნდა იყოს, ხოლო ჯანმრთელ მხარეს იკვრებოდეს.

შეუკერეთ ბალიში-რგოლი, რომელიც ჯანმრთელ მხარეს უფრო მაღალი იქნება.

საწოლი ისე დადგით, რომ მშობლების დანახვისთვის ბავშვმა თავი დაზიანებული კუნთის საპირისპირო მხარეს მოაბრუნოს. სინათლე და სათამაშოებიც ჯანმრთელ მხარეს უნდა იყოს.

პატარას ხელში აყვანისას შეეცადეთ, იგი ვერტიკალურად არ დაიჭიროთ — ამ შემთხვევაში კუნთზე ზეწოლა იზრდება.

ყოველივე ეს აიძულებს პატარას, არ დაზოგოს დაზიანებული კუნთი, რითაც მას თვითონვე ავარჯიშებს. ■

# ფიტოთერაპია — მცენარეები ქალებისთვის



**ჩვენ გარშემო მრავალი მცენარეა, რომლებიც ე.წ. „ქალურ დაავადებებს“ კურნავს. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ბალახი მშვენიერ სქესს ქალურობასა და ეშხს მატებს. გავეცნოთ მათ:**

### მცენარეები — ადნექსიტის წინააღმდეგ

ადნექსიტი საშვილოსნოს დანამატების (კვერცხსავალი მილებისა და საკვერცხეების) ანთებითი დაავადებაა. მისთვის დამახასიათებელია: თეთრად შლა, მენსტრუალური ციკლის დარღვევები, რომელსაც საბოლოოდ უნაყოფობამდეც კი მივყავართ. ადნექსიტისა და ქალის სხვა სასქესო ორგანოების ქრონიკული ანთების დროს გამოიყენება იმ მცენარეთა კრებული, რომელიც ანტიბაქტერიული და ანთების საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდება. ესენია: ჭინჭარი, ფარსმანდუკი და კულმუხო. ნაყენის მომზადებისას ისინი თანაბარი რაოდენობით აიღეთ. ეს ტრიადა, გარდა ზემო-

ალნიშნულისა, სხვა თვისებებითაც ხასიათდება: ასტიმულირებს იმუნიტეტს, აქრობს ალერგიას, ორგანიზმს ენერგიით ამარაგებს.

უმჯობესი იქნება, თუკი ამ ნარევს თავშავასა და წიწმატურას დავუმატებთ. მაშინ მისი სამკურნალო ღირებულება კიდევ უფრო გაიზრდება. ნარევი კი შემდეგნაირად მზადდება: აიღეთ 5 მცენარე თანაბარი რაოდენობით, მის 2,5 კოვზს დაუმატეთ 400 მლ წყალი (მდუღარე) და მთელი ღამე თერმოსში გააჩერეთ.

ნაყენის დალევა არაა რეკომენდებული თრომბოფლებიტის, გულის რევმატიული დაზიანების დროს.

## კლიმაქსის წინააღმდეგ

პერიმენოპაუზა ეს ის პერიოდია, როდესაც ქალის მენსტრუალური ფუნქცია უკვე დარღვეული აქვს, მაგრამ მენსტრუალური სისხლდენა არარეგულარულად მაინც შენარჩუნებულია. გარდა ამისა, პერიმენოპაუზის დროს ქალი გაღიზიანებულია, წამოახურებს (ე.წ. ალები), აღენიშნება დეპრესია და სხვა უსიამოვნო შეგრძნებანი. ჩვენ კი ამ სიმპტომოკომპლექსს კლიმაქსის სახელწოდებით ვიცნობთ. თუკი ამ პერიოდში ძლიერ „გაწუხებთ“ მენსტრუალური სისხლდენა, დაგეხმარებათ ჭინჭარი, ფარსმანდუკი, წიწმატურა და წალიკა. ამათგან ნაყენი მზადდება ზემოთ მოყვანილის ანალოგიურად. მიღებული ნაყენი დალიეთ მენსტრუაციის პერიოდში სისხლდენის შეწყვეტამდე.

ხოლო თუკი კლიმაქსი „წამოხურებითა“ და ფსიქოემოციური დარღვევებით მიდის, მაშინ გამოიყენეთ თავშავას, წიწმატურასა და სვიის გირჩები. ეს ნაყენი მიიღეთ 2-3 თვის განმავლობაში.

## ინფექციების წინააღმდეგ

ზოგიერთი ინფექციური აგენტი (უხშირესად ვირუსი) ახალშობილთა პათოლოგიების ჩამოყალიბების მიზეზი ხდება. ასე, მაგ: ციტომეგალოვირუსი, ნაყოფის ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაავადების განვითარების მიზეზია. მას არ ჩამოუვარდება ჰერპესის ვირუსი, ქლამიდიოზის და ტოქსოპლაზმოზის გამომწვევნიც.

თუკი ქალს ეჭვი აქვს, რომ იგი რომელიმე ამ „ვერაგი“ ვირუსის მსხვერპლია, შეუძლია, „საშველად“ მცენარეებს მიმართოს (ოღონდ არა ფეხმძიმობის პერიოდში): წყლის პერი დაგეხმარებათ. გამოაშრეთ იგი, მის 4-5 ს/კ-ს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე და მთელი ღამე თერმოსში დააყენეთ. მიღებული ნაყენი დღიური ნორმაა.

## მკერდის გასაზრდელად!!!

ფიტოესტროგენები — ეს ის მცენარეებია, რომლებიც ქალის სასქესო ჰორმონის, ესტროგენის, ანალოგიურ ნივთიერებას შეიცავს. ასეთ მცენარეებს მიეკუთვნება: სვიის გირჩები და მწვანე ლობიო. თუკი თვეების მანძილზე ჩაის მაგივრად სვიის გირჩების ნაყენს დალევთ, ხოლო საკვებად მწვანე ლობიოს გამოიყენებთ (დღეში 200-300 გრამი), მკერდი შესამჩნევად გაგეზრდებათ.

■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თემატური ბროშურები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად
24 თებერვლიდან - №1




სერიის მომდევნო თემები:
№2 ყველაფერი წნევის შესახებ
№3 ყველაფერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ
№4 ყველაფერი ალერგიის შესახებ

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია



## ვაქაური

მენაც გამკვეთა ვაჟკაცი
ჩარგალელ გოგოს ცქერამა.
ბიჭთან უნებურ წამკიდის
ყირმიზამ მაღალ ყელამა.
ხმალდახმალ მავკალ თორღვაი,
აღარ მიმიღოს კერამა.
გავიჭერ მინდორს ნადირი,
თხემნი გარდავვლე მთისანი.
ჩანჩქერს თავზედან გამოსჩან
ნაყარნი მაღალ რქისანი.
ირემი დავკოდ, საბრალო,
წვეთნი ისხმიან მზისანი.
რა ვიცოდ, თუ რო ჯონქაის
მფარველ ყოფილა გივარგი.
დახეთქილ რქების ტოტებზე
სანთელ ყოილად მივარგო.
რად მინდა, სოფლის ყიალი,
თუ კაცი აღარ ვივარგე.
შენ ჩემო მთაო ნისლოან,
ვამე, რო ვიქეც საშარო.
ქართველ მიქვიან სახელი,
ხახმატო, ცუდსა მაშორე!
დედავ, იგულვე ყოველჟამ
მფარველად ჩემთვის ლაშქარი.
მეცა მიწოვან ძუძუ,
ფშავის იტყვიან მწიფისა,
ხარ ვიყო ნაიალაღარ,
ბუღრაობს, რქენა იცისა.
ვზელვიდე რქებით ნახნავებს,
სამშობლოვ, შენი მიწისა!

*გრიგოლ რობაქიძე*

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი თემურ ივანიძე

## — კ —

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-8, 2011

**კოდალი** — პატარა, საბავშვო წვერწაუმახავი ისარი (იციან გურიაში).
**კოდილა** — დაკოდილი პირუტყვი.
**კოზმიდი** (არქიტ.) — სვეტის თავი — ბულაური.
**კოთხო** — ჩანახის მსგავსი ხის ჭურჭელი მარცვლეულის საწყაოდ (იციან გურიაში).
**კოინდარი** — მრავალწლოვანი საკვები ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა.
**კოკობი** — გაუშლელი ვარდი.
**კოკობზიკა** — უშნოდ მოკეკლუცე ადამიანი.
**კოკოზა** — თევზის საჭერი მოწყობილობა — ვიწრობოლოიანი წნული ტკეჩისა, რომელსაც დაპირქვავებით დგამენ.
**კოკოლა** — კონუსის მსგავსი თავწვეტიანი გროვა, ზვინი (ქვიშისა, ფქვილისა).
**კოკონა** — ერთგვარი პატარა იხვი.
**კოკორინა** — გარეული იხვი ერთგვარი.
**კოკოჩანა** — იგივეა, რაც წიწვი.
**კოკროჭინა** — პატარა და კოხტა.
**კოკურა** — პატარა კოკა.
**კოლბოხი** — გამხმარი და გამაგრებული კოშტი მიწისა, ხმელი გუნდგუნდა მიწა.
**კოლინჯი** — 1. (ანატ.) მსხვილი ნაწლავის შუა ნაწილი; 2. ამ ნაწლავის დაავადება.
**კოლორიტი** — 1. ხელოვნ. ფერების შეხამება, რომელიც სურათის საერთო იერს (ნათელს, ბნელს) ქმნის; 2. დამახასიათებელი იერი.
**კოლოტი** — ძროხის ტყავის ტიკი, რუმბზე მომცრო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მორიგანი

## აჩრდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-8, 2011

მარი ჯაფარიძე

ძებნილის დაკავებას დიდი რეზონანსი მოჰყვა. მადლობაც გამომიცხადეს და დამაწინაურეს კიდეც. 23 წლის გოგო პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილედ გადამიყვანეს და შესაბამისად, ჩინიც მომიმატეს.

გოგას ძებნა კვლავ გრძელდებოდა. მისი დაკარგვიდან მეშვიდე დღეს ოჯახმა წერილი მიიღო — გამტაცებლები ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვდნენ. საქმე კი წინ არ მიიწევდა. სასტუმროს ადმინისტრატორის დაკითხვამ შედეგი არ გამოიღო. როგორც გამომძიებელმა მითხრა, ადმინისტრატორს ვერაფერი ათქმევინა. უფლება არა მაქვს, დავაკავოო. იძულებული ვიყავი, ისევ მე წავსულიყავი და რაიმე მაინც გამეგო, თუნდაც ამისთვის უკიდურესი ზომების მიღება დამჭირვებოდა.

ერთ დილით ბორჯომისკენ გავემგზავრე. იმ დღეს სასტუმროში სხვა ადმინისტრატორი მუშაობდა და მისგან შევიტყვე, სად ცხოვრობდა ბატონი ვასო. თან გამაფრთხილა, მარტო ცხოვრობს და შესაძლოა, დღისით შინ არავინ დაგხვდესო.

მართლაც, კარი არავინ გამიღო. ეზოში ცოტა მოფარებულ ადგილზე დავჯექი და დაველოდე. საღამომდე არ გამოჩენილა. უკვე ბნელოდა, როდესაც სადარბაზოსკენ მიმავალს თვალი მოვკარი. წამიერად მასთან გავჩნდი და კიბეზე ფეხაკრეფით მივყევი. მეოთხე სართულზე კარს გასაღები მოარგო და ის იყო, მოხურვას აპირებდა, რომ ფეხი დავუხვედრე და დაკეტვის საშუალება არ მივეცი.

— უკაცრავად, თქვენთან საქმე მაქვს და თუ შეიძლება, ორიოდე წუთს წაგართმევთ, — ამასობაში კარს მიღმა ისე აღმოვჩნდი, გონს მოსვლა არ ვაცადე.

— მობრძანდი, — უკმაყოფილო სახით მიმიპატიჟა.

ოთახში საოცარი სისუფთავე სუფევდა. გამიკვირდა, მარტო მცხოვრები მამაკაცის ბინა ასეთი მოწესრიგებული რომ იყო. ყველა ნივთს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს იქაურობისთვის კარგ დიასახლისს დაეტყო ხელი.

ქურთუკი გაიხადა და ოთახში შემომყვა. უკვე დივანზე ვიყავი მოკალათებული.

— გისმენთ. ალბათ ისევ იმ საკითხზე ხართ მოსული, რის გამოც 2 კვირაა, მოსვენებას არ მაძლევენ.

— დიახ, სწორად მიხვდით. მიცანით? — თვალი გავუსწორე.

— ვერა, — თქვა და თავი გააქნია.

— თქვენი პროფესიის ადამიანებს კარგი მეხსიერება აქვთ, სტუმრის სახე არასოდეს ავიწყდებათ. ნუთუ გამონაკლისი ხართ?..

— არ მახსოვხართ... — ჯიუტად გაიმეორა.

— კარგი, მაშინ მე შეგახსენებთ: იმ ღამით, როდესაც ის ბიჭი გაუჩინარდა, მის ნომერში მე ვიყავი. მასთან ერთად მოვედი სასტუმროში, — ცოტა ხნით პაუზა გავაკეთე, რომ გავეხსენებინე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერი მშვენივრად ახსოვდა, — მიცანით? — ისევ ჩავეკითხე.

— ვერა, — თავი გააქნია და თვალი ამარიდა.

— მინდა გითხრა, რომ ყველაფერი ვიცი, — „შენობით“ მივმართე, გაბრაზებულმა, — ჯობია, თავად მიამბო, რა მოხდა იმ ღამით, — ვცდილობდი, გაღიზიანება და ბრაზი დამემალა, რომ არ დამეფრთხო.

ტკბილი სიტყვით მინდოდა მისი გამოტეხა. თუ ასე მიზანს ვერ მივაღწევდი, მერე ძალის გამოყენება მომიწევდა.

— ვერც შენ გიცანი და არც არაფერი ვიცი იმ ბიჭის გაუჩინარების შესახებ, — როგორც ჩანს, ისიც ცდილობდა, გაღიზიანება დაემალა. ხმა გაებზარა და მოუთმენლობა დაეტყო. მისი გამომეტყველება ჩემ მიმართ სიძულვილს გამოხატავდა.

— კარგი, მაშინ კიდევ მაქვს კითხვები: ვინ იყვნენ ის მამაკაცები, რომლებიც სასტუმროში ჩვენ შემდეგ მოვიდნენ ვერცხლისფერი მანქანით?

— თქვენ შემდეგ არავინ მოსულა.

— ფული რატომ გადაიხადეს? მათ ხომ ნომერი არ აუღიათ, — ისე გავაგრძელე ლაპარაკი, თითქოს არც გამიგონია მისი პასუხი.

— საიდან მოგაქვთ ასეთი სისულელეები?! — არ იცოდა, თვალები სად წაეღო. აშკარა იყო, თავის დაძვრენას ცდილობდა.

— ეს სისულელე კი არა, სიმართლეა. იქნებ არც კი იცით, რომ სასტუმროს ჰოლში კამერაა დამონტაჟებული, — უკვე აშკარა ტყუილზე წავედი, — რომლის ჩანაწერიც დირექტორის ნებართვით ვნახე. იმ კამერის არსებობის შესახებ კი თანამშრომლებმა იმიტომ არ იცით, რომ თქვენც ჩუმად გაკონტროლებენ.

— იქ თქვენს მერე არავინ მოსულა! — მაინც თავისას „აწვებოდა“.

სისხლმა თავში ამასხა. ადგილიდან წამოვვარდი, ორივე ხელით საყელოში ვწვდი და სავარძლიდან ისე წამოვწიე, ლამის ფეხები ჰაერში დარჩა. მერე ისევ ადგილზე დავაბრუნე, მაგრამ ხელი არ გამიშვია.

— თუ არ მეტყვი, რაც იცი, მაგრად განანებ, — კბილებში გამოვცერი, ქამრიდან იარაღი ამოვიღე და შუბლზე მივაბჯინე, — პოლიციელი ვარ, ისე გამოგასალმებ სიცოცხლეს, რომ პასუხსაც არავინ მომთხოვს. შენი დაპატიმრების ორდერი მაქვს, ვიტყვი, რომ წინააღმდეგობის გაწევა და გაქცევა სცადე და ამიტომ გესროლე. მიდი მერე და საიქიოდან ამტკიცე, რომ ასე არ იყო...

შარვლის უკანა ჯიბიდან წინასწარ შედგენილი დაპატიმრების ორდერი ამოვიღე, რომელიც, რა თქმა უნდა, ნაღდი არ იყო და თვალებთან მივუტანე, რათა კარგად წაეკითხა, რა ეწერა: — ხედავ? სასხლეტზე თითის გამოკვრა და მზეს სამუდამოდ დაგიბნელებ! ჯობია, ჩემს კითხვებს უპასუხო. თუ მომიყვები, რა მოხდა, გპირდები, რომ ამ ორდერს შენ თვალწინ დავხევ და შენს ხელშეუხებლობაზეც ვიზრუნებ. თუ არა და, ადამიანის გატაცების მუხლით დაგაპატიმრებ და მერე გვიანი იქნება — აღარაფერი გეშველება. მოსაფიქრებლად ზუსტად 2 წუთს გაძლევ, — ხელი გავუშვი, იარაღი შევინახე და წყლის დასალევად სამზარეულოში გავედი.

უკან დაბრუნებულს ხელებში თავჩარგული დამხვდა.

— 2 წუთი გავიდა!.. — დივანზე დავჯექი და ფეხი ფეხზე გადავიდე.

— იმ საღამოს, თქვენ ნომერში რომ ახვედით, — დაბალი ხმით დაიწყო მოყოლა, — ნახევარი საათის შემდეგ 3 კაცი მოვიდა. გამომელაპარაკნენ, ნომერი გვინდაო, მითხრეს. მერე ისიც მკითხეს, ახლა წყვილი რომ შემოვიდა, რომელ ნომერში დაბინავდაო? ვუპასუხე. ერთი თხოვნა გვაქვს, თუ შეგვისრულებ, ისეთ თანხას გადავიხდით, რომ გულდაწყვეტილი არ დარჩებიო. დავინტერესდი, რა თხოვნა ჰქონდათ. უკანა ოთახში გადი, კარი მოხურე და სანამ არ დაგიძახებთ, არ გამოხვიდეო. უცნაურად მომეჩვენა ეს თხოვნა და ჩავეკითხე, რას აპირებდნენ? კითხვებს ნუ დაგვისვამ, უბრალოდ, ან ჰო გვითხარი, ან — არაო. — თუ ისეთ რამეს გააფუჭებთ, რაც უფრო ძვირი დამიჯდება, ვიდრე თქვენ გადაიხდით, არ მაწყობს-მეთქი.

— მაინც, რა უნდა გაეფუჭებინათ ასეთი?

— იქნებ რაიმეს მოპარვას აპირებდნენ და მერე ჩემი ასანაზღაურებელი გამხდარიყო?..

— თუ იმდენი ფული ჰქონდათ, რომ გიხდიდნენ, სასტუმროდან წაღებული რაღაცები რად უნდოდათ, — ამაზე არ გიფიქრია?

— არა, არ მიფიქრია. მოკლედ, დავინტერესდი, რამდენს გადამიხდიდნენ. ათას დოლარზე შევთანხმდით. ფული გადამიხადეს და ცოტა ხანში მანიშნეს, რომ სხვა ოთახში გავსულიყავი.

— რამდენი ხანი იყავით იქ?

— სულ რაღაც 15 წუთი. შემდეგ ერთმა დამიძახა, თავისუფალი ხარო. უნდა ვაღიარო, რომ გასაღების ჭუჭრუტანიდან მაინც ვადევნებდი თვალს, რა ხდებოდა ჰოლში.

— რა დაინახეთ?

— ჯერ სადღაც გაუჩინარდნენ, მერე ფეხის ხმა მომესმა და დავინახე, რომ ოთხნი იყვნენ. მათ ის ბიჭი ახლდა, რომელიც თქვენთან ერთად მოვიდა. ერთს მისთვის ხელკავი ჰქონდა გამოდებული და ისე მოდიოდნენ, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ის საკუთარი ნებით არ მიჰყვებოდა. ვერ გავარჩიე, მაგრამ მგონია, რომ იარაღი ჰქონდათ მიბჯენილი. მერე თქვენც მოხვედით და მისი ამბავი იკითხეთ.

— გასაგებია. ახლა აღმიწერე ის ადამიანები, ვინც ფული გადაგიხადა. შეგიძლია?

— ერთი ტანდაბალი, შავგვრემანი, ასე — 30 წლის მამაკაცი იყო. თავი გადაპარსული ჰქონდა. მეორეც შავგვრემანი იყო, ოღონდ — მაღალი და ძალიან სიმპათიური. მესამე — ქერა და წვერიანი იყო. გაბურძგნილი თმა ჰქონდა.

— რაიმე ისეთი ხომ არ შეგინიშნავთ, რაც დამეხმარება, იოლად ამოვიცნო რომელიმე?

— წვერიანს ძალიან უცნაურად ეცვა. „კლოუნივით“ იყო გამოწყობილი, ჭრელაჭრულა ტანსაცმელში. მაღალს კი, როგორც მამაკაცების უმეტესობას, თმა მარცხნიდან მარჯვნივ კი არა, პირიქით ჰქონდა გადავარცხნილი და თანაც, შუბლზე „ალოკილს“ რომ უწოდებენ, თმა ისე ჰქონდა და სახეზე — ძალიან ლამაზად ჩამოყრილი.

ბოლოს რაც თქვა, მენიშნა.

მობილური ამოვიღე და სანდროს სურათი ვუჩვენე.

— ეს ხომ არ იყო, შემთხვევით?

— კი, ეს იყო, — დარწმუნებით თქვა.

— კარგად დააკვირდი, ნამდვილად ეს იყო? — ყურებს არ ვუჯერებდი.

— დანამდვილებით ვიცი, რომ — კი. ათას კაცში გამოვარჩევ, ეს იყო!

— კარგი, გასაგებია, — წამოვდექი.

— დაპატიმრების ორდერის საქმე როგორ იქნება? — რომ მიხვდა, წასვლას ვაპირებდი, პირობა შემახსენა.

მოვბრუნდი, ჯიბიდან ფურცელი ამოვიღე, რამდენჯერმე გადავხიე და ნაკუწები იქვე დავუყარე.

ბორჯომიდან გაოგნებული წამოვედი. რაში სჭირდებოდა სანდროს გოგას მოტაცება?! ნუთუ ნახევარი მილიონის გამო?! თვითონ იმდენი ფული ჰქონდა, სად წაეღო, არ იცოდა. დაუჯერებლად მეჩვენებოდა; ეს ვერსია გამოვრიცხე, მაგრამ რა მეფიქრა, არ ვიცოდი.

თბილისს რომ მივუახლოვდი, სანდროს დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე.

— რა ხდება, ხომ მშვიდობაა? როდის იყო, პაემანზე მეპატიჟებოდი?

— ახლა გეპატიჟები. გაიგებდი ახალ ამბავს — სამსახურში დამაწინაურეს, სამხრეებზე ერთი ვარსკვლავი დამიმატეს. ჰოდა, აღვნიშნოთ.

— შენი კაცი სადაა? არ გამოჩნდა?

— მე კაცი არ მყავს.

— გოგაზე გეკითხები — შენს გულის ვარდზე. ბოლო დროს არავის დანახვა არ გინდოდა, მის გარდა. ასე არ იყო? თვალები გიბრწყინავდა, მასზე რომ მელაპარაკებოდი...

— მოდი, ამ თემაზე შეხვედრისას ვილაპარაკოთ. ახლა მხოლოდ შენთან ერთად მინდა ყოფნა.

ერთი მხრივ, გულწრფელი ვიყავი, როცა ამას ვეუბნებოდი, რადგან ყველაფრის მიუხედავად, მისი სიყვარული გულიდან ვერ ამოვიგდე. უამრავი უარყოფითი თვისება ჰქონდა, რაც საშინლად მაღიზიანებდა, მაგრამ მაინც უზომოდ მიყვარდა. გოგა ნამდვილად სასურველი შეყვარებული, საქმრო, ქმარი თუ კავალერი იყო და მომწონდა კიდეც, მაგრამ მის მიმართ ისეთ ლტოლვას არ ვგრძნობდი, როგორსაც სანდროს მიმართ.

— ეს რაღაც ახალია... თხუთმეტ წუთში პეროვსკაიაზე ვიქნები, — ტელეფონი ისე გათიშა, ჩემს პასუხს არ დალოდებია.

ცოტა ხანში ბარში მის პირდაპირ ვიჯექი და თვალებში ვუყურებდი. თითქოს მინდოდა, იქ ამომეკითხა სიმართლე გოგას შესახებ. არაფრისმთქმელი მზერა ჰქონდა. განსაკუთრებული არაფერი შემინიშნავს.

— რა ხდება, რამ მოგიბრუნა ჩემკენ გული? — მკითხა, როცა მიმტანს ლუდი, ყავა და პიცა შეუკვეთა.

— ხანდახან შესაძლოა, რომელიმე ადამიანი უბრალოდ მოგენატროს და მასთან ყოფნა გინდოდეს. ახლა რატომღაც შენთან ყოფნა მინდოდა.

— ასე მაშინ ხდება, როცა ადამიანს რამე უჭირს. შემიძლია, რამით დაგეხმარო?

— არაფერი მიჭირს.

— გოგას ადგილსამყოფელი ხომ არ დაგიდგენია? — გამომცდელად ჩამაშტერდა თვალებში. როგორც ჩანს, იმის გარკვევას ცდილობდა, რაიმე ინფორმაცია მქონდა თუ არა.

— ვფიქრობ, გოგა უბრალოდ გამექცა, — ვცადე, მისი ეჭვი გამექარწყლებინა.

— ეგ როგორ?

— როგორ და, როგორც ჩანს, რაღაც არ მოეწონა, ვერ მითხრა და გადაწყვიტა, ასე მივეტოვებინე.

— იმის შემდეგ აღარ გინახავს?

— არა, არ გამოჩენილა.

— საინტერესო ვერსია გაქვს. იქნებ მართლა მიგატოვა?.. — რაღაცნაირად ჩაიცინა.

საუბარი მიმტანის მოსვლამ შეგვაწყვეტინა.

— მარგო, ჩვენს საქმეს რა ვუშველოთ? — როგორც კი მარტო დავრჩით, საუბრის თემა შეცვალა.

— რომელ საქმეზე მელაპარაკები?

— ჩვენს ურთიერთობაზე. მინდა, რომ სხვა, ახალ ეტაპზე გადავიდეთ.

— რას გულისხმობ? ხელს მთხოვ?

— კარგად იცი, რასაც ვგულისხმობ. თავს ნუ იშტერებ. შენს დანახვაზე მაკანკალებს, ისე მინდა ჩაგეხუტო, ჩაგიკრა და მოგეფერო... შენ კი ახლოს არ მიკარებ. არადა, ვიცი, შენც იმავეს გრძნობ... არ თქვა, რომ ვტყუი. მითხარი, რამდენჯერ გიოცნებია ჩემზე?

— ბევრჯერ, — უცებ გამოვუტყდი.

— მერე?

— რა — მერე? ხანდახან ხომ რჩება ოცნება ოცნებად?

— კი, მაგრამ, როცა ასრულება შეიძლება და ეს ჩვენ ხელთაა, რატომ უნდა ვთქვათ უარი?

— ტვინს ნუ მიბურღავ, მაინც ვერაფერს გახდები.

— მარგო, იცოდე, რომ შენ გვერდით რამდენი კაციც გამოჩნდება, იმდენი პრობლემა შეგექმნება... რა დროც უნდა გავიდეს, არ დაგთმობ. ჩემი უნდა გახდე...

— ნუ მემუქრები, — შუბლი შევკარი, მაგრამ გულის სიღრმეში მისი ნათქვამი მესიამოვნა.

— არ გემუქრები, ეს ასე იქნება!

— კარგი, ვნახოთ, — ჯიბრში ჩავუდექი.

ბარიდან ერთად გამოვედით. სანდრომ სახლამდე მიყვანა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. ტაქსი გავაჩერე. მცირე მანძილი რომ გავიარეთ, იმ მანქანიდან ჩამოვედი და სხვა ტაქსი ავიყვანე. სანდროს მანქანას უკან გავყევი. პირდაპირ სახლში მივიდა და რადგან მანქანა გარაჟში დააყენა, მივხვდი, იმ დღეს აღარსად წავიდოდა. მეც შინ წავედი. ლალისთან ლაპარაკის თავი არ მქონდა და პირდაპირ ბალიშში ვდურთე თავი.

ვცადე, რაღაც გეგმა შემემუშავებინა, რომ სანდროს მხილება მომეხერხებინა, მაგრამ თავში არაფერი მომდიოდა. აზრზე არ ვიყავი, რა უნდა გამეკეთებინა. საიმისოდ ვერ ვიმეტებდი, რომ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია პოლიციისთვის გამემხილა და ამის გამო სანდრო გისოსებს მიღმა მოხვედრილიყო. იძულებული ვიყავი, თვითონ მემოქმედა, გოგა გამეთავისუფლებინა და სანდრო უდანაშაულოდ გამომეყვანა. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავწირავდი, თუ გოგა ცოცხალი აღარ იქნებოდა. ამის წარმოდგენაც არ მინდოდა.

დილიდანვე შევუდექი სანდროს თვალთვალს. შინიდან გამოსულს ავედევნე. რამდენიმე ადგილზე მივიდა. კარგა ხანს იბორიალა ქალაქში. შემდეგ ისანში ერთ-ერთ კერძო სახლს მიადგა და ეზოში დაუბრკოლებლად შევიდა. კარგა ხანს ვუარე გარს იმ სახლს, მაგრამ ვერაფერი დავინახე. ღობეში ერთი ჭუჭრუტანაც არ იყო, რომ ეზოში შემეხედა. ხელცარიელი გამოვბრუნდი უკან.

საღამოს სანდროს ისევ დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე.

— ხომ ხედავ, უჩემოდ ვერ ძლებ, — სიცილით მითხრა, — ამ ბოლო დროს მოუხშირე ჩემთან შეხვედრას.

— ისევ იქ მოდი, კარგი? — მისი ირონიული ტონის მოსმენას დიდხანს არ ვაპირებდი.

ბარში კარგა ხანს ვისხედით და ფაქტობრივად, ისევ „არაფერზე" ვლაპარაკობდით.

იქიდან გამოსულს უარი აღარ მითქვამს მის შეთავაზებაზე და მანქანაში წინა სავარძელზე მოვთავსდი.

ლალის სახლიდან ცოტა მოშორებით გაჩერდა.

— რა ხდება? ბენზინი გაგითავდა?

— არა, სალაპარაკო მაქვს.

— მოდი, შინ შევიდეთ და იქ ვილაპარაკოთ. ლალის არ იცნობ და გერიდება თუ შინ არ შეგიშვებს?

— არა, მოწმეების გარეშე მინდა ლაპარაკი. უფრო სწორად, მინდა, რომ მარტონი ვიყოთ, — წელზე ხელი მომხვია და მიმიზიდა.

არ გავძალიანებივარ. თვალები დავხუჭე და მის კოცნას ვუპასუხე. ჯიბიდან შეუმჩნევლად ამოვიღე „ჟუჩოკი" და ამ ფერებ-ფერებაში მანქანაში ისე დავამაგრე, სანდროს არაფერი გაუგია. ახლა უკვე მიზანი მიღწეული იყო — მოსასმენი მოწყობილობა ადგილზე საიმედოდ დამემაგრებინა — და ჩემი წასვლის დროც იყო. სანდროს ხელი ვკარი.

— მარგო, ნუ იქცევი ველურივით, — ჩურჩულით მითხრა და ისევ მოხვევა დამიპირა, მაგრამ მანქანიდან გადმოვედი და სახლისკენ სირბილით წავედი.

აღარ გამომკიდებია. გავიგონე, რომ მანქანა დაქოქა და უკან გაბრუნდა. საკუთარი ქცევით კმაყოფილი ვიყავი და ახლა უკვე იმედი გამიჩნდა, რომ მეორე დღიდან რაღაცას მაინც გავიგებდი.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***






რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა" №51, 2010 – 1-8, 2011

იაშვილის შემდეგი წერილები უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდით თარიღდებოდა და, ძირითადად, ნოსტალგიით იყო აღსავსე. მათგან გოგლა მხოლოდ ერთმა დააინტერესა:

„გადის წლები, მაგრამ ჩემს წარმოსახვაში მაინც იმ მშვენიერ, ახალგაზრდა ქალად რჩები, ჩვენი განშორების დღეს რომ იყავი. მაშინ აბა, რას ვიფიქრებდი, რომ ამდენი ხნით ვშორდებოდით ერთმანეთს. ვბერდებით და ნელნელა უკვე იმ აზრსაც ვეგუებით, რომ შეიძლება, ერთმანეთი ვეღარც კი ვნახოთ. ამიტომაც გევედრები, საყვარელო, რომ ჩემი ნამუშევრები მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენო. ვფიქრობ, ამის დრო უკვე დადგა. ძალიან ჭკვიანი მყავხარ და ისიც კარგად იცი, რა როგორ უნდა გააკეთო. ჩემზე აღარ იდარდო. მთავარია, შენ და ჩემი მარიამი მყავდეთ კარგად და უზრუნველად. გკოცნი ბევრს. შენი ერეკლე".

ლალიძე სავარძელში გადაწვა და ჩაფიქრდა. იმაში, რომ მას სწორედ ის სურათი ჰქონდა, რომელზეც თავადი აბაშიძე იყო გამოსახული, უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა. მაგრამ ბევრად უფრო გვიანდელი წერილების შინაარსი ამ ადამიანის წარსულთან რაღაც კავშირზეც მიანიშნებდა, რომელიც სადღაც იყო გამწყდარი. გოგლა ხელახლა მიუბრუნდა წერილებს და მიხვდა, რომ მათ აშკარად რაღაც აკლდა. და ეს რაღაც ის წერილი იყო, სადაც იაშვილს ცოლისთვის უნდა აეხსნა, თუ რამ შეცვალა მათი ბედი — ანუ რა გზით შეძლო, მომაკვდავმა თავადმა მხატვრის მომავალზე ზემოქმედება და რა კავშირში იყო ამ ყველაფერთან იაშვილის ტილოები. საგონებელში ჩავარდნილ გოგლას ჯერ არც ერთ ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. ამიტომ, მეორე დილით ის უკვე ლელასთან ერთად შეუდგა წერილების ხელახლა კითხვას. მალე გოგონაც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათ შორის ყველაზე საინტერესო ის წერილი იყო, სადაც თავად აბაშიძის სიკვდილი იყო აღწერილი.

— ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სრული სურათის შესაქმნელად, კიდევ ერთი წერილი გვჭირდება, რომელიც აქ ნამდვილად არ არის, — მცირეოდენი ფიქრის შემდეგ, გოგლას კიდევ ერთ ვარაუდს დაეთანხმა ლელა.

— მეც ასე ვფიქრობ. ამიტომ, მოდი, კარგად გაიხსენე, ნამდვილად ყველა წერილის ასლი გადაიღე?

— რა თქმა უნდა, ყველა წერილი ერთ ფაილში იყო.

— მაშინ შეიძლება, ის ცრუგამომძიებელი რედაქციაში იმ ერთადერთი წერილის ხელში ჩასაგდებად იყო მისული და ეს როგორღაც მოახერხა კიდეც.

— გამორიცხულია. ხომ გითხარი, რომ მან ასლების შესახებ არაფერი იცოდა და, ამიტომაც, მხოლოდ ორიგინალები წაიღო.

— მაშ, სად უნდა გამქრალიყო ის წერილი?

— აბა, რა გითხრა? — მხრები აიჩეჩა ლელამ.

— არადა, ძალიან დასანანია, რადგან დარწმუნებული ვარ, ყველაზე საინტერესო და არსებითი იქ ეწერებოდა. აბა, ასე გაშმაგებით ტყუილად ხომ არ ნადირობენ იაშვილის ნამუშევრებზე?

— მართალი ხარ, მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, რომ... — ჩაფიქრდა ლელა.

— რა?

— არაფერი... მგონი, რაღაც სისულელე მომივიდა თავში.

— მაინც?

— რა ვიცი, ვიფიქრე, იქნებ ეს ტილოები იაშვილის არ არის-მეთქი.

— ვისია? — გაკვირვებით შეხედა გოგონას გოგლამ.

— არ ვიცი. იქნებ ვიღაც სახელგანთქმული მხატვრების უცნობი ტილოებია და მხოლოდ იაშვილმა იცოდა, თუ კონკრეტულად ვისი. სახელგანთქმული მხატვრების ნამუშევრებს კი მოგეხსენება, რა ფასიც აქვს.

— გამორიცხულია. ყოველ შემთხვევაში, მე რომ ტილო მაქვს, ის ნამდვილად იაშვილისაა. სპეციალისტს პირადად შევამოწმებინე. და ასეც რომ არ იყოს, იაშვილი ხომ თავის წერილშიც დაწვრილებით აღწერს იმ დაკრძალვის ცერემონიას, რომელიც მის ნამუშევარზეა გამოსახული.

— ვერაფერს ვხვდები, — შუბლი გამეტებით მოისრისა ლელამ, — სიმართლე გითხრა, მეც თითქმის შენს დღეში ვარ, — აღიარა გოგლამაც.

— მაინც არ მესმის, იაშვილი ცოლს რატომ ატყუებდა, ჩემი სურათები გაგამდიდრებსო?

— არ ატყუებდა. დარწმუნებული იყო, რომ ასეც მოხდებოდა. უბრალოდ, ან თვითკრიტიკულობა აკლდა და, ამიტომაც, საკუთარ ნიჭს ზედმეტად აზვიადებდა. ანდა, სულაც დიდი მეოცნებე იყო და იმისიც სჯეროდა, რომ ოდესმე მის ნამუშევრებს შედევრებად მიიჩნევდნენ.

— შეიძლება, ყველაფერი მართლაც ასეც იყო, — შეფიქრიანდა ლელა, — მაგრამ მეჩვენება, რომ აქ რაღაც საიდუმლო უნდა იმალებოდეს...

სოსო კურტანიძე ხუთიოდე წლის ძლივს იქნებოდა, როცა მისი ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადაბარგდა. საბჭოთა კავშირი არსებობის ბოლო დღეებს ითვლიდა და ამ უზარმაზარ ქვეყანაში, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა. სოსოს მამას — ლექსოს მოსკოვში ცოლისძმა ეგულებოდა, რომელიც საქართველოში უსაქმოდ დარჩენილ ნიჭიერ მეცნიერს ცოტა ხნის წინ გროშებად ნაყიდ საკუთარ ავტოსახელოსნოში სამუშაოს სთავაზობდა. ლექსო ავტომანქანებში კარგად ერკვეოდა და მალე სიძე-ცოლისძმამ საქმე ჩინებულადააწყო. ცოტა რომ წამოიზარდა, მამის ხელობით სოსოც დაინტერესდა და საშუალო სკოლის დამთავრებისთვის, ნებისმიერი უცხოური ავტომანქანის ნაწილებად დაშლა და აწყობაც კი თავისუფლად შეეძლო. თუმცა მშობლები ერთადერთ შვილს სულ სხვა მომავალს უმზადებდნენ. „აუცილებლად უნდა ისწავლო, მეცნიერი გახდე და მამის დაწყებული საქმე გააგრძელო", — ჩასჩიჩინებდა ბიჭს დედა, მაგრამ სოსო მთელ თავისუფალ დროს მაინც მამა-ბიძის გვერდით, სახელოსნოში ატარებდა. არავინ იცის, როგორ აეწყობოდა მისი ცხოვრება, მოულოდნელად მამა რომ არ გარდაცვლილიყო. მეუღლის გარეშე დარჩენილმა დედამ, შვილს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია და სკოლის დამთავრების შემდეგ, სოსომ სწავლის გაგრძელების ნაცვლად, ბიძის სახელოსნოში დაიწყო მუშაობა. იქ მას თავიდანვე უცხოური ავტომანქანებისთვის სიგნალიზაციისა და გატაცების

საწინააღმდეგო სხვა საშუალებების დაყენება მიანდვეს. ბიძა ხელმარჯვე ძმისშვილს კარგად უხდიდა და სოსოც ბედს ნამდვილად არ უჩიოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეშმაკს მაინც არ ეძინა და ერთხელაც, შესვენებისას, სახელოსნოს წინ უსაქმოდ მჯდარ სოსოს მისი კბილა ახალგაზრდა მიუახლოვდა და გამოელაპარაკა:

— აქ მუშაობ?

— კი. შენ?

— მე?.. მე ჯერ არსად.

— ჩვენთან ხომ არ გინდა მუშაობის დაწყება?

— არა, უბრალოდ რაღაცის საკითხავად შემოვიარე.

— შეკითხვებით — უფროსთან, მე აქ ჯერ პატარა კაცი ვარ.

— თავს ნუ ისაწყლებ. შენზე მითხრეს, ნებისმიერ სიგნალიზაციას წამებში აყენებს და ხსნისო.

— ჰო, ეგ მეხერხება.

— მართლა, რა გქვია?

— სოსო.

— ანუ იოსები, ხომ?.. როგორც სტალინს? — უშნოდ გაიკრიჭა ახალგაზრდა.

— არა, უბრალოდ სოსო... როგორც ჩვეულებრივ ადამიანს. შენ რა გქვია?

— მე — ვიტალი.

— რისი კითხვა გინდოდა? — ცნობისმოყვარეობამ მაინც სძლია სოსოს.

— აკი შეკითხვებს მხოლოდ უფროსი უპასუხებსო?

— ჰო, მაგრამ შეკითხვასაც გააჩნია.

— კარგი, მაშინ შენ გკითხავ: საიმედოა?

— რა?

— შენი დაყენებული სიგნალიზაცია.

— ფასს გააჩნია. რაც უფრო ძვირია, მით მეტად საიმედოცაა, — გამოცდილი ოსტატის ტონით უპასუხა ვიტალის სოსომ, რომელსაც უკვე ძალიან სიამოვნებდა, რომ ამ საქმის გასარკვევად სწორედ მას მიმართეს.

— ანუ ყველაზე უფრო ძვირის მოხსნა შეუძლებელია?

— შეუძლებელი ამქვეყნად არაფერია. მონდომების შემთხვევაში ავტომანქანისთვის სიგნალიზაციის მოხსნა კი არა, პენტაგონის ბაზის გატეხაც კია შესაძლებელი.

— შენ თუ შეძლებ ამის გაკეთებას?

— მე? — დაიბნა სოსო. — არა, მე პენტაგონის ბაზის გატეხას ნამდვილად ვერ შევძლებ.

— პენტაგონიც ჭირს წაუღია და მისი ბაზაც! — ხელი ისე აიქნია ვიტალიმ, თითქოს აბეზარ ბუზს იცილებსო. — მე უცხოური ავტომობილის სიგნალიზაციის გატეხაზე გეკითხები.

ამ კითხვამ სოსო ცოტა დააბნია. მართალია, გარკვეული გამოცდილება ჰქონდა და უკვე საკმაოდ რთულ გატაცების საწინააღმდეგო საშუალებებშიც კარგად ერკვეოდა, მაგრამ იმას კი ვერაფრით მიმხვდარიყო, ვიტალის მისგან კონკრეტულად რა უნდოდა.

— თუ მანქანის სიგნალიზაცია დაგებლოკა, ბოქსში შემოიყვანე და უცბად მოვხსნი. ჰო, მართლა, კონკრეტულად რა გაქვს დაყენებული?

— აზრზე არა ვარ, — მხრები აიჩეჩა ახალგაზრდამ.

— ეგ როგორ? — გაუკვირდა სოსოს.

— რა ხდება, იცი? — შუბლი ნერვიულად მოისრისა ვიტალიმ. — ავტომანქანა ჩემი არ არის, ბიძაშვილმა დამიტოვა. თვითონ ანტალიაშია დასასვენებლად წასული. მე კიდევ გუშინ ცოტა გავერთე. ხომ იცი, ასეთ დროს როგორც ხდება: გოგოები, სასმელი, მოწევა და ავტომობილის გასაღები სადღაც „მივათესე“. მოკლედ, მაგრად ვარ გაჭედილი და იქნებ დამეხმარო.

— რა პრობლემაა? დაგეხმარები, მაგრამ ავტომანქანა როგორმე ბოქსამდე უნდა მოიყვანო.

— ე, ბიჭო, რით ვერ გაგაგებინე, რა მინდა! — გაღიზიანდა ვიტალი.

— წესიერად ამიხსენი და გავიგებ, — ხმას აუწია სოსომაც.

— კარგი, რა უცბად ავარდი? — მაშინვე უკან დაიხია ახალგაზრდამ. — ბოქსამდე მანქანა როგორ მოვიყვანო, კარს თუ ვერ ვაღებ? საკეტის გატეხა კი არ მინდა, მაგარი ავტოა და შენც კარგად იცი, რამხელა ფული დამიჯდება.

— აბა, რა ვქნათ?

— იქნებ უბრალოდ სიგნალიზაცია მოგეხსნა, დანარჩენს კი უკვე თვითონ მივხედავდი. ჰა, რას იტყვი?

— არ ვიცი, არ ვიცი... — თავი უკმაყოფილოდ გაიქნია შეფიქრიანებულმა სოსომ.

— ისე კი არ მინდა, კარგად გადაგიხდი. 300 დოლარი გეყოფა? — ამოსუნთქვის საშუალებას აღარ აძლევდა მას ვიტალი.

სოსოს თვალები აენთო. რამდენიმეწუთიან სამუშაოში 300 დოლარის შოვნა ხუმრობა ნამდვილად არ იყო.

— დროზე, გადაწყვიტე! — მხარზე ხელი შინაურულად დაჰკრა ახალგაზრდამ. — თორემ თუ ავტომობილი ბოქსამდე როგორმე მაინც მოვაგორე, მთელ ფულს შენი უფროსი მიიღებს.

— აქ უფროსი ბიძაჩემია — იხტიბარი მაინც არ გაიტეხა სოსომ.

— მერე, რა? მამაშენიც რომ იყოს, ხომ იცი, რომ 300 დოლარი მაინც არ შეგხვდება.

— კარგი, — როგორც იქნა, დაეთანხმა ვიტალის სოსო, — ცოტა ხანს დამელოდე, ინსტრუმენტებს მოვიტან...

ავტომობილი, რომელსაც სიგნალიზაციის გათიშვა სჭირდებოდა, ახალი ჯიპი აღმოჩნდა.

— მაგარია, — აღფრთოვანება ვერ დამალა სოსომ, — ალბათ, ძვირი ღირს, ხომ?

— მერე როგორი... — კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე ახალგაზრდას.

სოსომ კი ჩანთიდან ინსტრუმენტები ამოიღო და საქმეს შეუდგა. რამდენიმე წუთში მანქანამ უცნაურად გაიხმაურა და კარის საკეტებიც მაშინვე გაიღო.

— ესეც ასე, — გაეღიმა კმაყოფილ სოსოს.

— მართლა მაგარი ყოფილხარ! — აღფრთოვანება ვერ დამალა ვიტალიმაც, შემდეგ წინა კარი ფრთხილად გამოაღო და მანქანაში ჩაჯდა: — დამელოდე, ახლავე მოვბრუნდები. უბრალოდ შევამოწმებ, მანქანა როგორ მუშაობს.

სოსომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გვერდზე გადგა.

ვიტალიმ კი ავტომობილი მაშინვე ადგილს მოსწყვიტა და წამში უკვალოდაც გაქრა.

როგორც კი გამონაბოლქვისგან დაყენებული კვამლი გაიფანტა, სოსომ ორ მამაკაცს მოჰკრა თვალი. ისინი მისკენ ხელების ქნევით მორბოდნენ და, თან, უშვერად იგინებოდნენ.

— უხ, მაგის დედა!.. — ღრიალებდა



ერთი. — ჩემი ავტომანქანა გაიტაცა!

ამის გამგონე სოსოს გაოგნებისგან კინაღამ ყბა ჩამოუვარდა. „როგორ გამაცურა, — გაიფიქრა, — რა ვუთხრა ახლა ბიძაჩემს?“ ბიძა ბიძად და ცოტა ხანში, რამდენიმე ისეთი მოწმეც გამოჩნდა, ვინც დაადასტურა, რომ ავტომანქანასთან, გამტაცებელთან ერთად, სოსოც რაღაცას ფაციფუცობდა. ამის შემდეგ ნახევარი საათიც არ იყო გასული და

ის უკვე მილიციის განყოფილებაში იჯდა და ჩვენებას აძლევდა.

მაშინ ციხეს გადარჩა, თუმცა ბიძამისს ეს გვარიანი თანხა დაუჯდა, რომელიც სოსოს მისთვის სახელოსნოში დღედალამ მუშაობით უნდა დაებრუნებინა. თუმცა ეს იმ შემთხვევიდან გამოტანი-



ლი მთავარი გაკვეთილი როდი იყო. ამის შემდეგ სოსო კიდევ ერთ და მისთვის მთავარ ჭეშმარიტებასაც ჩასწვდა: თურმე, სულ რამდენიმეწუთიანი რისკის ფასად, ისეთი ფულის შოვნაც სულ თავისუფლად შეეძლო, მანამდე რომ არც დასიზმრებია. ამხელა ფული კი ყველაფრის ქონასა და პრაქტიკულად, ყველა სურვილის ასრულებას ნიშნავდა. სურვილები კი იცოცხლე, ჰქონდა: ძვირფასი მანქანა, ბინა, ლამაზი ცხოვრება და ასე დაუსრულებლად... ამიტომაც, შემთხვევით დაწყებული საქმე სოსომ მალევე გააგრძელა. ოღონდ, პირველმა ხელის მოცარვამ ჭკუა ასწავლა და ფულს ავტომანქანის გამტაცებლებისგან ყოველთვის წინასწარ ითხოვდა. მერე და მერე კი ავტომანქანას სიგნალიზაციასაც თავად ხსნიდა და გატაცებითაც თავადვე იტაცებდა. კლიენტს კი მხოლოდ თანხის სრულად ჩათვლის შემდეგ გადასცემდა.

რამდენჯერმე კურტანიძის ბედი ბეწვზე დაეკიდა და კინაღამ ისევ ჩავარდა, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ამასობაში, არაერთი სანუკვარი სურვილიც აისრულა და ვინ იცის, კიდევ რამდენის ასრულებას მოასწრებდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უკიდურესად რომ არ გართულებულიყო. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ბედის ირონიით, სოსო მოსკოვიდან დეპორტირებული ქართველების პირველ რიგებში მოხვდა და მისთვის პრაქტიკულად, უცნობ სამშობლოში შეურაცხყოფილი და უფლებაყრილი დაბრუნდა. თუმცა ამას კიდევ როგორმე გადაიტანდა, სხვა უფრო სერიოზული პრობლემის წინაშეც რომ არ დამდგარიყო. საქართველოში იძულებით დაბრუნებული სოსო მიხვდა, რომ აქ ავტომანქანების გატაცება წარსულს საბოლოოდ ჩაჰბარდებოდა და ახლა ავტომანქანის გატაცება კი არა, სარკეების მოხსნაც ისე მკაცრად ისჯებოდა და რომ ამის გაკეთების სურვილი ყველა ქურდსა თუ ოხერს დაჰკარგვოდა.

მარტოხელა ნათესავთან, სამადლოდ შეკედლებულმა კურტანიძემ იხტიბარი არ გაიტეხა, ცოტა მიდგა-მოდგა და რადგანაც სხვა მაინც არაფერი ეხერხებოდა, ისევ ავტომანქანების სახელოსნოში დაიწყო მუშაობა. მისი ხელმარჯვეობა არც ამჯერად დარჩენილა შეუმჩნეველი და მალე სახელოსნოს მეპატრონემ საქმეც გვარიანად მოუმატა და ხელფასიც. თუმცა ლაპლაპა უცხოური მანქანებისკენ თვალი მაინც უწინდებურად გაურბოდა, ერთმა კი განსაკუთრებითაც დააინტერესა.

პატრონი, ამ მუქ ლურჯ „აუდის“, მათი სახელოსნოს პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს მდებარე ავტოსადგომზე უკვე კარგა ხანია, თითქმის ერთსა და იმავე დროს ტოვებდა და უკანაც თითქმის ასეთივე პუნქტუალობით მიჰყავდა. მოგვიანებით სოსომ ავტომანქანის პატრონის ერთი უცნაურობაც დააფიქსირა. კერძოდ, გაარკვია, რომ ის რომელიმე ახლომდებარე დაწესებულებაში კი არა, ლამის მთელი კვარტალის იქით მუშაობდა და იქამდე ყოველდღე ფეხით აგრძელებდა გზას. ერთი სიტყვით, კურტანიძეს მანქანამ და მისმა უცნაურმა პატრონმაც მოსვენება საბოლოოდ დაუკარგა. ერთ დღეს კი ბიჭებმა შესვენებაზე ცოტა დალიეს, შემდეგ მოსაწევად სახელოსნოს წინ ჩამოსხდნენ და საკუთარი ხელმარჯვეობის ქებას მოჰყვნენ. განსაკუთრებით ერთმა გამოიდო თავი: ნებისმიერი, თვით ყველაზე რთული მანქანის სიგნალიზაციის მოხსნაც კი ათ წუთში შემიძლიაო.

— აი, იმისიც? — „აუდისკენ“ გაიშვირა უცბად ხელი სოსომ.

— მაშინ მოდი, დავნაძლევდეთ. თუ იმ „აუდის“ მართლა ათ წუთში მოხსნი სიგნალიზაციას, ერთი კარგი რესტორანი ჩემზე იყოს თუ არა — და...

— მოიცა, მოიცა! — გააწყვეტინა მას ხელოსანმა. — გიჟი ხომ არ ვარ, საციხედ გავიხადო საქმე. ეგ კი არა, უბრალოდ, ეგეთი ავტომობილი ვიგულისხმე.

— მე კი სწორედ მაგას მოვხსნი ორივე სიგნალიზაციას, თანაც სულ ხუთ წუთში და რესტორანსაც იქით გაკისრებინებ.

— ე, ბიჭო, მართლა ნუ გაგიჟდი! — შეაჩერა სოსო შედარებით ფხიზელმა მესამე ხელოსანმა. — ვინმემ რომ დაგინახოს ან პატრონმა მოგისწროს, მაგარ შარში გაეხვევი, იცოდე.

— მაგის დარდი ნუ გაქვს, — რეზინის ხელთათმანები სასწრაფოდ წამოიცვა სოსომ; სანამ ვინმე კიდევ რამის თქმას მოასწრებდა, ქუჩა გადაირბინა და სანატრელ „აუდისთან“ გაჩნდა.

დღის ამ მონაკვეთში ქუჩა, როგორც წესი, თითქმის ცარიელი იყო და ავტოსადგომზეც სულ რამდენიმე ავტომობილი თუ იდგა. კურტანიძე „აუდის“ სიგნალიზაციას მართლაც სწრაფად გაუმკლავდა და საკეტებიც უკვე მისთვის კარგად ნაცნობი ხმაურით გაიღო. სოსომ ქუჩის იქით მდგარ თანამეინახეებს გამარჯვებული სახით გახედა და იმათაც ცერების მაღლა აწევით ანიშნეს, მაგარი ხარო, მათ შორის შედარებით ფხიზელმა კი ისევ სიფრთხილე გამოიჩინა და ხელი დაუქნია, სასწრაფოდ უკან მობრუნდიო, მაგრამ სოსომ ამის ნაცვლად ავტომანქანის წინა კარი გამოაღო და სავარძელში მოკალათდა. ვინ-ვინ და მან, მართლაც კარგად იცოდა, რომ ასეთ ავტომობილებს მათი პატრონები ხშირად მეორე, დუბლირებულ სიგნალიზაციასაც უყენებდნენ და ახლა მისი მოხსნა მოინდომა. კურტანიძემ ამ საქმესაც სწრაფად გაართვა თავი და ქუჩის იქით მდგართა სტვენა და აღფრთოვანებული შეძახილებიც დაიმსახურა. ამის შემდეგ კი ყველაფერი მართლაც სწრაფად მოხდა. სოსომ ჯიბიდან ავტომანქანის გასაღები ამოიღო და მოიმარჯვა. ეს ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი გასაღები სინამდვილეში სპეციალური ნადნობისგან იყო დამზადებული და ნებისმიერ საკეტს უმკლავდებოდა. კურტანიძემ „აუდის“ საკეტიც ადვილად დაიმორჩილა და სანამ გასაღებს გადაატრილებდა, გაოგნებულ თანამეინახეებს ლამის საზეიმოდ გასძახა:

— ბარემ ერთ წრესაც დავარტყამ და...

იმ დღეს ორდენიძე წინასწარი გამოძიების იზოლატორში იყო წასასვლელი. ამ მიზნით მას სამსახურის მანქანის გამოყენებაც შეეძლო, მაგრამ მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, არჩევანი მაინც მარი მდივნის „აუდიზე“ შეაჩერა: „კაცმა არ იცის, იზოლატორში რამდენ ხანს მომიწევს ყოფნა და თუ გვიანი იქნება, იქიდან პირდაპირ სახლში გავუხვევ“. ამის გაფიქრებაზე გამომძიებელს სევდიანად გაეღიმა. ის ხომ უკვე იმდენად შეეჩვია მარის სახლს, რომ თავისადაც კი მიიჩნევდა. თუმცა თავად სახლი სულაც არ იზიდავდა, რადგან იქ ყოველი ნივთი მის ადრინდელ პატრონს და იმასაც ახსენებდა, რომ ის ადამიანი ამ

სახლში მარტო უსულო საგნებს როდი ფლობდა.

სამმართველოდან გამოსული ორდენიძე კიბესთან მდგარმა დაცვის ძველმა თანამშრომელმა შეაჩერა:

— ოთარს გაუმარჯოს, სიგარეტს ხომ ვერ მომაწევინებ?

— გაგიმარჯოს, დათო, — სიგარეტის კოლოფი გაუწოდა მას გამომძიებელმა და შემდეგ სანთებელაც მიუმარჯვა.

დათომ ღრმა ნაფაზი დაარტყა, ბოლიც სიამოვნებით გამოუშვა და ორდენიძეს გაუღიმა:

— გაიხარე, რომ გადამარჩინე. იცი, როგორ მინდოდა, მოწევა, მაგრამ პოსტს ხომ ვერ დავტოვებდი.

— მიდი, მიდი, გაიბულე ფილტვები! — უპასუხა მას გამომძიებელმა და თან, ცას ახედა: — მგონი, წვიმას აპირებს.

— კარგია, ჰაერს გაწმენდს.

— ჰო, — დაეთანხმა დათოს ორდენიძეც, — თორემ ჰაერში უკვე იმხელა უარყოფითი მუხტია დაგროვილი, რომ ცოტაც და იბუთქებს.

ამის თქმა იყო და მოშორებით, მართლაც აფეთქების მსგავსი ხმა გაისმა.

— ხედავ! — გაეღიმა დათოს. — თქვი და დაიქუხა კიდეც, — ახლა წვიმაც დასცხებს, თან რას დასცხებს!

— ვითომ? — შეფიქრიანდა ორდენიძე. — ჭექა-ქუხილს რომ არ ჰგავდა ეს ხმა?..

დათომ პასუხად მხრები არხეინად აიჩეჩა და ის იყო, ბუნებრივი მოვლენების შესახებ უნდა დაეწყო მსჯელობა, რომ უცბად ჰაერი „სასწრაფო დახმარების" მანქანის სირენის ხმამ გააპო...

— მგონი, მართლაც რაღაც მოხდა, ხომ იცი, — შეშფოთდა იგი.

— ადგილზე დარჩი, მე თვითონ ვნახავ, — უთხრა მას გამომძიებელმა და მაშინვე იქით გასწია, საითაც წუთის წინ, „სასწრაფო დახმარების" მანქანამ წივილით გაიქროლა.

იმ მხარეს ადამიანებიც კისრისტეხით გარბოდნენ. ორდენიძეც მათ გაჰყვა და როცა ადამიანების ჯგუფმა სწორედ იქით გაუხვია, სადაც მას მანქანა ეყენა, გულმა რეჩხი უყო. მალე ბოლში გახვეული ავტოსადგომიც გამოჩნდა, იქ მოგროვილი მეხანძეები კი სწორედ იმ ადგილს დასტრიალებდნენ, სადაც დილით ავტომანქანა გააჩერა.

— საით? — შეაჩერა სწრაფი ნაბიჯით მიმავალი ორდენიძე პოლიციელმა. — იქით გასვლა არ შეიძლება.

— ჩემთვის შეიძლება, — საბუთი აჩვენა მას გამომძიებელმა.

— მიბრძანდით, — მაშინვე გვერდზე გადგა პოლიციელი.

ორდენიძემ კი კიდევ რამდენიმე მეტრი გაიარა და ტყვიანაკრავივით შედგა: იმ ადგილზე, სადაც მან დილით ავტომანქანა დატოვა, ლითონის უფორმო გროვა დახვდა...

— კარგი, საყვარელო, ნუღარ ტირი, — მარის დამშვიდებას უშედეგოდ ცდილობდა ორდენიძე. — მთავარია, რომ ყველაფერი მაინც შედარებით მშვიდობიანად დასრულდა.

— მშვიდობიანად? — ცრემლს მაინც ვერ იკავებდა მარი. — შენ ამას მშვიდობას ეძახი?

— ჰო, შენიც მესმის, მაგრამ ავტომანქანაზე არ იდარდო. დაზღვევის საქმესაც მოგიგვარებ და დანარჩენ თანხასაც უკლებლივ დაგიმატებ.

— გესმის, რას ამბობ? — საყვედურით სავსე თვალები შეანათა გამომძიებელს მარიმ. — ავტომანქანა და ფული რაში მაინტერესებს? იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ შეიძლებოდა, იმ დროს შიგ მჯდარიყავი და...

— მესმის, საყვარელო, — გულში ჩაიკრა ასლუკუნებული ქალი გამომძიებელმა, — მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და ახლა შენ გვერდით სრულიად საღ-სალამათი ვზივარ.

— მაინც რა მოხდა? შეგიძლია, ოდნავ უფრო გასაგებად ამიხსნა?

— სამწუხაროდ, ჯერ თვითონაც ვერაფერი გამიგია.

— ჰო, მაგრამ ის ხომ უკვე ფაქტია, რომ ვიღაცას შენი მოკვლა უნდოდა.

— ალბათ, მაგრამ არ მესმის, ვის და რატომ. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ავტომობილი შეცდომითაც იყოს აფეთქებული.

— შეცდომით როგორ?

— ალბათ, ვიღაცისაში შეეშალათ. დამიჯერე, ასეც ხდება ხოლმე, — ქალს თმაზე ნაზად ეფერებოდა ორდენიძე, თუმცა თავში სულ სხვა აზრი უტრიალებდა და მოსვენებას არ აძლევდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# ნაადრევი ენძელები



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ „გზა“ №2-8

იმ ღამეს ზურა შინ არ დაბრუნებულა... არც მეორე ღამეს მისულა. ნუკი, ცოტა არ იყოს, შეშფოთდა, თუმცა დარეკვა და ამბის გაგება არ უცდია. თუ მამაკაცი საჭიროდ მიიჩნევდა, თავად გააფრთხილებდა და ეტყოდა მოუსვლელობის მიზეზს. არადა, ინტერესი კლავდა — ვინ იყო ის ინკოგნიტო ქალბატონი, 2 ღამით ასე მოუბოდიშებლად რომ „ასწაპნა“ მისი ერთადერთი პატრონი (იქნებ იმედი)? ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ დათო კვლავ შეეხმიანა „ოდნოებში“ და ტელეფონის ნომერი გამოსტყუა, თუმცა არ დაურეკავს. ნუკიმ ითავხედა და თავად დაურეკა. უცნობმა გაუთიშა. ამან საშინლად გააღიზიანა. ამ დროს მესიჯი მოუვიდა: „შეხვედრაზე ვარ, თვითონ დაგირეკავ“. როგორი გაწბილებული დარჩა. რა ემართება ბოლო ხანებში? შეცდომას შეცდომაზე უშვებს. რამ გააგიჟა, ნუთუ ასე ძალიან უნდა სიყვარული (თუ სექსი)? ნუთუ ზურასგან უარყოფილი სხვაგან ეძებს თავშესაფარს? როგორ ეზიზღებოდა (არა, სძულდა) ამწუთას საკუთარი თავი... ეს ვიღაც დათო კიდევ როგორ ათამაშებს, რა ტრიუკებს უწყობს... რისი იმედი აქვს? თავს შეაყვარებს ნუკის? არ გამოვა ეგ საქმე. ასე ადვილად რომ შესძლებოდა ვინმეს შეყვარება, აქამდე 10 (შეიძლება — მეტიც) კაცი ეყოლებოდა გამოცვლილი... სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ადგა და „მიაბლოკა“ (თუმცა კი უნებურად) იდუმალი თაყვანისმცემელი. ამით პროტესტი გამოუცხადა (უფრო გაექცა) მოსალოდნელ საფრთხეს, რომელიც არც კი იცოდა, რომელი მხრიდან და რა ფორმით ემუქრებოდა.

დაბლოკვამ შედეგი მაშინვე გამოიღო. 5 წუთიც არ იყო გასული ამ „გმირობიდან“, რომ ნუკის მობილური აწკრიალდა. ის იყო, ჯეკბელურა.

— რატომ ჩაიდინე ეს? — თავის სავარაუდო ასაკთან შედარებით, მამაკაცს უფრო „ბებერი“ ხმა ჰქონდა.

— რა ჩავიდინე?

— რისთვის დამბლოკე?

— ასე იყო საჭირო.

— რატომ, შეგიძლია, ამიხსნა?

— იმიტომ, რომ სხვა ვინმედ ასაღებ თავს, სინამდვილეში კი სულ სხვა ხარ.

— შენ რა იცი, რომ სხვა ვარ?

— ვხვდები, სულელი არ ვარ. ხმაზეც გეტყობა, რომ ახალგაზრდა არ ბრძანდები.

— დავუშვათ, ასეა, მერე, რა?

— მერე ის, რომ ტყუილებს ვერ ვიტან! რატომ აკეთებ ამას? შეგიძლია ამიხსნა, კონკრეტულად რაშია საქმე? მონადირის ინსტინქტი? თუ ასეა, შენ იქ არ ეძებ, თუკი არის საჭირო საერთოდ სადმე ძებნა... აქ ვერაფერს იპოვი, მაშველ რგოლსაც კი. აღარასდროს დამირეკო! — ოფიციალურად განუცხადა და გაუთიშა.

ესეც ასე... კიდევ ერთი უნებლიე (ეს უკვე მეორედ) ნაბიჯი გადადგა. არა, არ უნდა მოქცეულიყო ასე. მორჩა, მეტჯერ აღარ შეეხმიანება. ყოველ შემთხვევაში, თავმოყვარე მამაკაცი (და არა „მონადირე“) ასე მოიქცეოდა. რა სულელია, ისე მაინც გაერთობოდა ცოტა ხნით. არა უშავს, სხვას იპოვის, კაცების მეტი რა ყრია, — უმისამართოდ გაიღიმა და ნელის მეგობრებში დაიწყო „ხელის ფათური“.

რამდენიმე სიმპათიური მამაკაცი ამოარჩია და ფოტოები ხუთიანებით შეუფასა. ერთი მოეწონა ძალიან, ზედმეტად სიმპათიური, სევდიანი თვალებით, რომელსაც ასევე ზედმეტად მგრძნობიარე (რა დასამალია და, სექსუალური) ტუჩები ჰქონდა. ფოტოზე ასე ჩანდა. რაც მთავარია, იგი თავის ვინაობას არ მალავდა, თანაც ნელის მეგობრებში „საპატიო“ ბოლო გვერდზე იყო გამოჭიმული. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი თავისი დაქალის საუკეთესო მეგობრად მიიჩნეოდა. აქ ხომ პირველ რიგში იმას უმეგობრდებიან, ვისთანაც ყველაზე ახლოს არიან. უცნობს გია ერქვა. ერთადერთი, რაშიც იტყუებოდა, ასაკი იყო, ახალგაზრდა მამაკაცს წლოვანებად 69 წელი ეწერა. ამაზე გაეღიმა. მერე მის მეგობრებში შევიდა. აუჰ! იქ რა ხდებოდა (სრული დომხალი)! ენით ვერ აღწერდა ადამიანი. სამასზე მეტი მეგობარი ჰყავდა, უმრავლესობა ქალები, განურჩევლად ეროვნებისა და ასაკისა! ესეც კარგი დონჟუანი ყოფილა! მერე ფოტოების კომენტარები დაათვალიერა. იყო ერთი გნიასი, გიას ქებადიდება და სიყვარულის „ახსნა-განმარტებანი“. არა, ნუკის ასეთი კაცი არაფერში გამოადგება. მექალთანე ტიპები არ უყვარს! მაგათი თავი (არც ნერვები) არა აქვს. ნეტავ, რამდენი წლისაა? ამ ფიქრებში იყო, რომ მოულოდნელად შეტყობინება მოუვიდა: „დიდი მადლობა, მზეთუნახავო, ჩემი ფოტოების შეფასებისთვის. რით დავიმსახურე ასეთი ლამაზმანის ყურადღება?“

ნუკის კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე და პასუხიც წამსვე აფრინა: „ასაკთან შედარებით ძალზე ახალგაზრდულად გამოიყურებით“, და ბევრი მოცინარი კაცუნა მიუწკაპუნა გასაგზავნ წერილს.

„სინამდვილეში 32 წლის ვარ. ეს ისე მიწერია, ზოგიერთის დასაბნევად“, — გამოეხმაურა გია.

ნუკიმ სიცილის სმაილები „დააყარა“.

„რატომ იცინი?“ — მოსწერა.

„არ მეგონა, კაცებიც თუ მალავდნენ ასაკს“, — და კიდევ „დასცინა“.

„ზოგი ისე მაბეზრებს თავს, სხვა გზა არ მრჩება. შენ რას მოღვაწეობ, ლამაზო?“ — დაინტერესდა ნუკის სიმპათიური (არა, ზესიმპათიური) ახალი ნაცნობი და წერილთან ერთად დამეგობრების მოთხოვნაც გამოუგზავნა.

— რა სულსწრაფი ყოფილა! — სიცილით წამოიძახა ნუკიმ და თანხმობა არ დააყოვნა.

„ნელის საიდან იცნობ?“ — არ ეშვებოდა გია.

„ჯგუფელები ვიყავით. თქვენ?“

„ბევრი საერთო ნაცნობი გვყავს. მაგარი ყაჩაღანაა, გიჟი გოგოა, დიდ პატივს ვცემ. უცნაურია, მის მეგობრებს ვიცნობ, ძალიან ბევრს, შენ როგორ გამომეპარე?“

„წლებია, ერთმანეთი არ გვინახავს“.

„აჰა, გასაგებია. გათხოვილი ხარ?“

„არა. ჯერ არა.“

„ჰოდა, რას საქმიანობ-მეთქი, არ მითხარი.“

„ვდიზაინერობ, ტანსაცმელს ვკერავ.“

„ოოო! კარგი საქმიანობაა. კაცის ტანსაცმელს თუ კერავ?“

„რა თქმა უნდა, კაცისაც და ქალისაც,“ — თავი მოიწონა ნუკიმ.

„მე კი პატარა ბიზნესი მაქვს... ისე, ჩემთვის.“

„სახელდობრ?“

„დაცვის სამსახური მაქვს... საკუთარი.“

„ესე იგი, პოლიციელი ხართ?“

„მთლად ასე ვერ ვიტყოდი, თუმცა დაახლოებით ასეა. არ გიყვარს პოლიციელები?“

„პოლიციელები ვინმეს უყვარს?“

„მაგაში გეთანხმები, მაგრამ შენთვის დაუშავებიათ რამე?“

„ჩემთვის არაფერი, ვაღიარებ, მაგრამ მაინც არ მიყვარს.“

„გამოდის, არც მე გეყვარები.“

„არ ვიცი, ამას დრო გვიჩვენებს,“ — და კვლავ სიცილი მიაყოლა.

„ბედნიერი ვიქნებოდი, შენნაირი მზეთუნახავი თუ შემიყვარებდა. თან, ისეთი სიყვარული ვიცი, რომ... ოოოოო!“

„როგორი?“

„როგორი და... სიგიჟეების ჩადენა შემიძლია. კარიდან თუ არ მიშვებენ, ფანჯრიდან გადავძვრები, თუ არც ფანჯრიდან მიშვებენ, საკვამლე მილიდან ჩავეშვები და რა ვიცი...“

„თბილისში ძნელია საკვამლე მილის პოვნა.“

„მართალი ხარ, მომიგე. სად ცხოვრობ?“

„თბილისში.“

„ეგ გასაგებია, მაგრამ ტერიტორიულად?“

ნუკის გააჟრჟოლა. ყველა ერთსა და იმავეს რატომ ეკითხება? რა მნიშვნელობა აქვს, ტერიტორიულად სად მდებარეობს მისი ბინა?

„წერეთლის პროსპექტზე,“ — მაინც არ დაუმალა.

„აჰა... ახლოს ვყოფილვართ. მე ცოტა მაღლა ვარ, ნახალოვკაში. ესე იგი, დავმეგობრდით, არა?“

„მგონი.“

„ძალიან კარგი. აუცილებლად შეგეხმიანები. არც შენ დამივიწყო, კარგი, ლამაზო?

„ვეცდები.“

„შეხვედრამდე,“ — გიამ ტუჩების სმაილები მოაყარა.

„შეხმიანებამდე,“ — ნუკიმ ღიმილში გაუცვალა.

„შენ არ მაკოცებ?“

„რა სულსწრაფი ყოფილხართ“, — სიცილად დაიღვარა ნუკი.

„ერთი მაინც გაგემეტებინა. ხომ ხედავ, მე როგორ მემეტება შენთვის.“

„მაგას დამსახურება უნდა.“

„მითხარი, როგორ დავიმსახურო და მზად ვარ.“

„ამას დრო გვიჩვენებს.“

„ეგრე იყოს. გაკოცე“, — და ახლა ერთი კოცნა გამოუგზავნა.

„ასე ცოტა?“ — აფლირტავდა ნუკი.

„სხვა გზა მომიჭერი და რა ჩემი ბრალია? ვიფიქრე, არ გავაბრაზომეთქი.“

„მე ეგრე ადვილად არ ვბრაზდები. კარგი, წავედი, ნახვამდის.“

„ნახვამდის, მზეთუნახავო.“

ნუკიმ კომპიუტერი გამორთო და სიამოვნებისაგან გაიზმორა. რა კარგია, მშვენივრად ერთობა. კაცების რიგი დაუდგა უკვე... ეს ზურა სად დაიკარგა? ამის გაფიქრება და კარის გაღების ხმა ერთი იყო. მსწრაფლ წამოხტა და შუა ოთახში გაიხიდა, თითქოს არც გაჰკარებია კომპიუტერს.

— საღამო მშვიდობისა, — დაღლილი ხმით მიესალმა მამაკაცი.

— საღამო მშვიდობისა.

— ხომ არ მოიწყინე? — ზურამ დაჟინებული მზერით შეათვალიერა. — რა იყო, მოხდა რამე?

— არა, არაფერი, რა უნდა მომხდარიყო?

— რა ვიცი, ისეთი დაბნეული სახე გაქვს...

— ეს იმიტომ, რომ არ გელოდებოდი.

— არ მელოდებოდი? რატომ? აბა, სულ ხომ არ გადავიკარგებოდი? — ზურა კაბინეტში შევიდა და კარი მიიხურა.

ნუკი კიდევ ერთხელ დარჩა გაწბილებული. რა შუა ლაპარაკში მიატოვა? ვითომც არაფერი მომხდარა, 2 დღეა, დაიკარგა და ბოდიშიც არ მოუხადა. არც კი აუხსნა, სად იყო, რატომ ალოდინა (და ანერვიულა). საძაგელი!

ზურა რამდენიმე წუთში გამოვიდა, ტანსაცმელი გამოეცვალა.



— მშია, მაჭმევ რამეს? — კვლავ დაჟინებით მიაშტერდა, თითქოს მის რეაქციას ამოწმებდა.

— კატლეტები გვაქვს, — ოჯახური დაიჭირა გოგონამ.

— ნამდვილი თუ მეტაფიზიკური? — თბილად გაუღიმა მამაკაცმა.

— ერთიც და მეორეც. მთავარია, რომელს მოისურვებ.

— ამწუთას ნამდვილი მირჩევნია, ძალიან დავიღალე.

„სად იყავი, რამ დაგღალა?“ — კინაღამ გაექცა ნუკის ორი კითხვა ერთად, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი.

— ახლავე გავაცხელებ.

— გავაგრძელოთ დაწყებული? — სამზარეულოში შესულ ნუკის ზურა უკან მიჰყვა.

— რა დაწყებული? — ვითომ ვერ მიუხვდა (არადა, რა კარგად მიუხვდა).

— ქეიფი.

— ა! რა ვიცი, როგორც გინდა, — გულგრილად უპასუხა და ტაფა ანთებულ გაზქურაზე შემოდო გასაცხელებლად.

— რატომ ხარ უხასიათოდ?

„იმიტომ, რომ შენ გამაბრაზე!“ — ფიქრებში გაეპასუხა გოგონა, ხმამაღლა კი თქვა.

— არ ვარ უხასიათოდ.

— უფრო მეტიც, ოფიციალურიც კი ხარ.

— ცდები. ოფიციალური სულაც არ ვარ.

— უჩემოდ ხომ არ დალიე?

— არა.

— კარგია. სამაგიეროდ, ახლა მოვულხინოთ. თან რაღაც მაქვს შენთვის სათქმელი.

ნუკის გული უცნაურად აუძგერდა. რა უნდა უთხრას? მომწონხარო? საინტერესოა...

ისე სწრაფად გააწყო სუფრა, თვითონაც გაუკვირდა. მიხვდა, რომ ჩქარობდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ინტერესი კლავდა, რა სათქმელი გაუჩნდა მამაკაცს.

— ვა, პიურეც გვაქვს?

— აბა? კატლეტი პიურეს გარეშე ვის გაუგონია?

— ეს თამარამ გასწავლა?

— თამარა რა შუაშია, ეს ჩვეულებრივი „წყვილია“ კერძებში — კატლეტი პიურეთი.

— კარგი, ჰო, ნუ მეჩხუბები.

— არ გეჩხუბები.

— ნუკი, ძალიან სხვანაირი მეჩვენები. რა მოხდა ამ ორ დღეში?

— არაფერი, ხომ გითხარი... — ცხვირი აიბზუა გოგონამ.

დასხდნენ. ზურამ მდუმარედ ჩამოასხა ნუკისთვის ღვინო,



თავისთვის — კონიაკი.

— მეც კონიაკი მინდა, — მოითხოვა გოგონამ.

— მერე? არ გეშინია, რომ დათვრე?

— იმდენს არ დავლევ, რომ დავთვრე.

— როგორც გინდა. აი, შენ, კონიაკი, — თქვა და მასაც ჩამოუსხა, — შენ გაგიმარჯოს, კარგი?

— რატომ მე? — ირიბად გახედა გოგონამ, აშკარად გამოხატავდა აგრესიას.

— იმიტომ, რომ ჩემი სტუმარი ხარ. მომიჭახუნე.

— გუშინწინ არ ვიყავი შენი სტუმარი? — მისდა უნებურად (ეს უკვე მესამედ) წამოსცდა.

ზურამ ჯერ გაკვირვებით შეხედა, მერე სიცილი აუტყდა.

— აი, თურმე, რატომ ხარ ცუდ ხასიათზე. გეწყინა, შუა გზაზე რომ მიგატოვე? მაპატიე, მეტაფიზიკურო გოგონავ, საქმემ მოითხოვა ასე, ჩემი ბრალი არ იყო.

— ვიცი, იმ ლამაზხმიანი ქალის ბრალი იყო, — ბოლმა გაურია ნათქვამს.

— ის ლამაზხმიანი ქალი დედაჩემი იყო. მამა გახდა ავად და უნდა წავსულიყავი.

— მართლა? უკაცრავად, არ ვიცოდი.. მე... მე...

— არა უშავს, ეგ არაფერია. დალიე!

— მამაშენს გაუმარჯოს, — დაბნეულმა გოგონამ ჭიქა მოიყუდა და ერთბაშად გადაკრა, მაგრამ ვერ მოზომა და კონიაკმა ისე დაცეცხლა, ხველა აუტყდა.

— ალალი, ალალიიი! — ზურა წინ გადაიხარა და ზურგზე ხელი დაუტყაპუნა. — კონიაკის დალევას ცოდნა უნდა.

— პირველად კი არ ვსვამ, უბრალოდ...

— ყველაფერზე თავს ნუ იმართლებ, ძალიან გთხოვ. ვიცი, რომ დაგილევია და ისიც ვიცი, რატომაც გადაგცდა. ბავშვი არ ვარ... შენსავით.

— არც მე ვარ ბავშვი!

— აი, კიდევ თავს იმართლებ.

— არ ვიმართლებ, გეჯიუტები, — კვლავ უნებურად (ეს უკვე მერამდენედ) გაექცა სიტყვა და გაწითლდა.

— მერედა, რატომ?

ნუკი არ დაიბნა.

— იმიტომ, რომ ასეთი ხასიათი მაქვს.

— ცუდი ხასიათი გქონია, — შეფიქრიანებული ტონით წარმოთქვა მამაკაცმა.

— ალბათ.

— იცი, რა გავაკეთე ამ დღეებში? — მის პასუხზე არ გაამახვილა ზურამ ყურადღება და კიდევ ჩამოასხა, — შენზე ბევრი ვიფიქრე.

ნუკის სახე აუფორაჯდა. „იწყება“, — შიშით გაიფიქრა და ერთიანად დაიძაბა.

— მართლა? — შეცვლილი ხმით უპასუხა.

— შენს სამსახურზე ვიზრუნე.

— ჩემს სამსახურზე? — იმდენად მოულოდნელი იყო მამაკაცის პასუხი, გაშრა.

— ჰო... და გადავწყვიტე, სამკერვალო სალონი გაგიხსნა.

— არ არსებობს! — გოგონა საკუთარ ყურებს არ უჯერებდა.

— ადგილიც მოვნახე უკვე, — იმავე ტონით გააგრძელა მამაკაცმა, — ერთ ქალსაც მოველაპარაკე, მკერავია, კარგი საკერავი მანქანა აქვს. ერთად იმუშავებთ. შენ მოდელებს დახატავ თუ ესკიზებს, რა ვიცი, როგორ ეძახით ამას მოდის სამყაროში, მერე გამოჭრი, ის კი შეკერავს. ჰა, როგორია?

— რა ვიცი... ცუდი არ უნდა იყოს, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— სიმართლე გითხრა, ცოტა მეშინია.

— რისი?

— არ ვიცი, საიდან უნდა დავიწყო. რა შევკერო, რა ზომის, როგორი... ან ვინ იყიდის?

— კლიენტები გამოჩნდებიან. შენ რამდენიმე შეკერე, რომ ვიტრინაში გამოფინო. დანარჩენს დრო გიჩვენებს. ინტერნეტი აგერ არის, შედი, დაათვალიერე საიტები, ნახე, რა არის მოდაში, რა უფრო გაგეყიდება და იმოქმედე! ახლა კი თქვი რამე, გაშრა ყელი.

— მე-ე?

— ჰო, შენ. არ მითხრა, რომ სადღეგრძელოები არ გეხერხება.

— ერთ დროს მეხერხებოდა, მაგრამ იმდენი ხანია, არ მიქეიფია, დამავიწყდა.

— სულ დაგავიწყდა? არც ერთი არ გახსოვს? — ჩაეძია ზურა და ისევ დაჟინებით მიაჩერდა.

— კარგი, მაშინ შენ გაგიმარჯოს.

— რატომ მე?

— იმიტომ, რატომაც მე, — პასუხი არ დააყოვნა და კეკლუცად გაუღიმა.

— როგორ გიხდება ღიმილი... — თავი ვერ შეიკავა მამაკაცმა ქათინაურისგან და უსიტყვოდ გადაკრა.

— როგორ? — ფლირტის ხასიათზე დადგა ნუკი.

— პირდაპირ შემომენათე.

— შემოგენათე?

— ჰო... და პირველად არ მიგრძნია ეს... ან ალბათ დეჟავიუ დამემართა, ვერ გეტყვი.. ერთხელ უკვე მოხდა ასე, — დახშული ხმით თქვა, მძიმედ წამოდგა, ნუკის მიუახლოვდა, დაიხარა და მოულოდნელად ტუჩებით მის ლოყაზე გაისრიალა.

როგორც კი მისი ტუჩები შეეხო, გოგონას თითქოს წამსვე დენმა დაარტყა და მერე მთელ სხეულში ელვასავით მოედო მისთვის უკვე კარგად ნაცნობი (ვნებით გაჯერებული) ჟრუანტელი.

ზურა კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა.

— რომელი ყვავილი გიყვარს? — ხმადაბლა ჰკითხა.

— ყველა, — ნუკი ჩურჩულზე გადავიდა სახეალეწილი, თვალებდახრილი.

— მაინც, მაინც?

— ენძელები.

— ენძელები? რა უცნაურია... მეც. ამიტომაც მინდა სწორედ, ენძელასთან დაკავშირებული ფრაზა გითხრა.

— რა ფრაზა?

— ენძელასავით გატარებდი ხელისგულში მოქცეულს.

ნუკის თვალები გაუფართოვდა. მისგან ასეთ სითამამეს არ ელოდა. ვერ მიხვდა, სასმელმა გახსნა მამაკაცი თუ უბრალოდ, მას ცდიდა.

— იები რომ მეთქვა, მაშინ რას მეტყოდი? — არჩია, არ დაეჯერებინა მისი ნათქვამი.

— მაშინ გეტყოდი... იის მოსვლას ვუდარაჯებდი, რომ შენთვის მომერთმია იგი-მეთქი... თუ გინდა, სხვა ყვავილიც დაასახელე, ყველაზე მაქვს პასუხი.

— ალბათ ბევრჯერ გამოგიყენებია ასეთი ფრაზები, — არ დაინდო ნუკიმ, ნიშნის მოგებით გადახედა მამაკაცს, წამოდგა და სამზარეულოდან გავიდა.

ზურამ ვერ მოითმინა და თვალი გააყოლა. რა საოცარი ფიგურა აქვს! ლამაზი მხრები, უზადოდ წახრილი კისერი და მაღალი ყელი, თუმცა... როცა თმა აწეული აქვს, საოცრად დაუცველი ჩანს მისი ყელ-კისერი. მას

ჯერ არ უნახავს, ქალის კისერი ასე ბავშვივით დაუცველი ყოფილიყო. უეცრად ჟინიანმა სურვილმა შეიპყრო — სწორედ მას დაეცვა იგი.

როცა ნუკი კვლავ გამოჩნდა კარის ზღურბლზე, ზურა გაქვავდა. ის გასაგიჟებელი იყო! ვნებამ დაუკითხავად დარია ხელი. მზად იყო, ველური მხეცივით სცემოდა გოგონას, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ უშლიდა ხელს... ნუკის წითელი სარაფანი გაეხადა და აბრეშუმის ხალათი მოეცვა. განსაკუთრებით მისი ფერი აკავებდა — თეთრი! უმანკოების ფერი! ქალწულებრივი ფერი... ნუთუ რომელიმე მამაკაცს შეუძლია, რომ მისგან შორს დაიჭიროს თავი? არა, რაღაც უნდა იღონოს, გულის ხმას არ უნდა აჰყვეს, გონს მოუხმოს. ამის მაგივრად, უარესი საშინელება წამოსცდა.

— ვიცი, რატომაც ჩაიცვი ეს ხალათი, — თქვა მან, — იმიტომ, რომ ამით ჩემს პროვოცირებას ახდენ!

— არ მესმის, რას გულისხმობ, — თქვა ნუკიმ და გარეცხილი ვაშლი ვაზით მაგიდაზე შემოდგა.

ზურა მოულოდნელად მიხვდა, რომ მისთვის მშვიდობიანი ცხოვრება დამთავრდა და განგაშის სიგნალმა შემოკრა.

ნუკიმ დაჯდომა დააპირა, მაგრამ მოულოდნელად ზურა წამოდგა და სკამისკენ გზა გადაუჭრა. გოგონამ შიშით შეხედა, სუნთქვა მყისიერად არათანაბარი გაუხდა, მაჯისცემა გაუხშირდა. მამაკაცი ტუჩებზე წაეტანა. ნუკიმ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, ისე დააცხრა ძლიერი და ვნებით გაცხელებული ტუჩები მის ათრთოლებულ (უფრო შიშით, ვიდრე ვნებით) ბაგეებს. კოცნა თავბრუდამხვევი აღმოჩნდა, ჟინიანიც, მომთხოვნიც. მამაკაცმა მჭიდროდ მიიხუტა გოგონა მკერდზე და ხელისგულები მის ზურგს ჩააყოლა. გიჟური სურვილი, ამწუთასვე დაუფლებოდა ამ საგანძურს, გონს აკარგვინებდა. ის მას ეკუთვნოდა, წესით და რიგით, ნუკი მხოლოდ მისი იყო, რადგან მან აღმოაჩინა იგი, ეს თვალისმომჭრელად ლამაზი, მეტაფიზიკური მირანდა.

ნუკი ათრთოლდა, მაგრამ კვნესა არ დასცდენია. ვერ მიხვდა, სიამოვნებას უფრო შეეპყრო, თუ შიშს.

მამაკაცი წამით შეჩერდა, თითებით შუბლზე ჩამოყრილი თმა გადაუწია გოგონას და გაუღიმა, თან ცახცახს ვერ იოკებდა. ნუკის მოეჩვენა, რომ საცაა, გული წაუვიდოდა, ისე დაებინდა გონება მოულოდნელობისგან (იქნებ ალერსისგან). თითქოს სადღაც შეცურა, თან სასიამოვნო, თან საშიშ ადგილას, თითქოს შეერწყა მის ვნებიან კოცნას, თითქოს გაიბნა მამაკაცის ტუჩებში, თან გაფართოებულ თვალებს არ აცილებდა. მაგრამ როგორც კი ზურას მარჯვენა ხელი მის მკერდს წაეტანა და ძლიერად მოუჭირა, ისეთი ტკივილი იგრძნო, გამწარებულმა მთელი ძალით ჰკრა მამაკაცს ხელი. იგი უკან გადაქანდა და უნებურად მოსწყდა მის სხეულს, მერე კი ცივად გაერიდა. ნუკი მოზღვავებული ემოციებისგან წაბარბაცდა.

— სიყვარული ილუზიაა, — თქვა მამაკაცმა, შემდეგ ხანგრძლივი პაუზა გააკეთა და გააგრძელა, — სასაცილო რამეა ეს ილუზიები. რაც უნდა ეცადო, სინამდვილედ ვერასდროს აქცევ. და თუ ჯიუტად ეცდები ამის გაკეთებას, სანაცვლოდ კოპებს მიიღებ.

გოგონამ გამანადგურებელი მზერა ესროლა და კბილებში გამოცრა.

— ის, რაც ახლა შენ ჩემთან სცადე, სრულიად საკმარისი იყო, ყველაფერს მივმხვდარიყავი. დაიმახსოვრე — ეს საკითხი მოხსნილია დღის წესრიგიდან.

ზურამ ხელი მაჯაში ჩაავლო.

— ჩემთან შედარებით, იცი, რა უპირატესობა გაქვს? — ნუკიმ მზერა მამაკაცზე გადაიტანა და ყურადღებით დააშტერდა ისე, რომ მისგან ხელი არ გაუთავისუფლებია.

— არა, და ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ მსგავსი რამ შეიძლებოდა, ყოფილიყო.

— ის, რომ ჩემზე არაფერი იცი.

— გასაგებია, — თავი დააქნია მამაკაცმა, — შენ თუ იცი, შენი უპირატესობა რაში მდგომარეობს?

— რაში?

— იმაში, რომ არც შენ იცი არაფერი ჩემ შესახებ.

— ბარი ბარში ვყოფილვართ... ეს საღამო ფრედ დაგვიმთავრებია, — ნიშნის მოგებით გაუღიმა გოგონამ და გავიდა.

„უფრო ჯიუტი უნდა ვყოფილიყავი, უფრო დაჟინებით უნდა მომეთხოვა და ის აუცილებლად გაიმეტებდა რამეს“, — გაიფიქრა ზურამ და ამოიხვნეშა.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი




მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

# დანაშაული, რომელიც მოსვენებას მიკარგავს

მარი ჯაფარიძე

**გამარჯობა, ყველას მოგესალმებით. განსაკუთრებით — ქალბატონებს. გილოცავთ დედის დღეს და 8 მარტს. იხარეთ და იბედნიერეთ. დღეს პირველი მარტია (როცა „გზავნილებს“ ვწერ) და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს უკვე დადგა გაზაფხული. არა, კალენდარზე კი დადგა, მაგრამ ისე ჯერ კიდევ ზამთრის სუსხია. თუმცა, ბავშვობიდან ასე ვარ, ამ დღეს ყველაზე მაგრად რომ ყინავდეს და რაც მსოფლიოში სიცივეა, ყველა აქ რომ „მოგროვდეს“, მე მაინც მიხარია. ილიკოსი არ იყოს, ქვეყანა თუ იქცევა, ქარი და წვიმა თუ ანგრევს ყოლფერს, შენ რა გიხარია, შე აბდალაო, შეგიძლიათ მითხრათ, მაგრამ ამ დღეს არც ეგ მეწყინება, რადგან გაზაფხულია, გა-ზაფ-ხუ-ლი! ასე რომ, ჩააქრეთ ღუმელი, გამოაღეთ ფანჯრები და ჰაერი ღრმად შეისუნთქეთ... თან რა თქმა უნდა, თქვენ მიერ გამოგზავნილი ამბები წაიკითხეთ.**

## თამაზა და თენგო

„ერთი ძველებური ამბავი მინდა მოგიყვეთ, რომლის გახსენებაც პაპას არასოდეს ეზარება. ერთ პატარა სოფელში მოხდა ეს ამბავი. ორ ოჯახს ერთი საერთო ღობე ჰქონდა. ამ ოჯახის „მამასახლისები“ კი ერთმანეთს ჭირის დღესავით ვერ იტანდნენ. მიზეზი კი მათი მამა-პაპისგან მოდიოდა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთის პაპას მეორე ოჯახის ეზოში ბალახი მოუშენებია. ამიტომაც სარგებლობდა თამაზი და თავის საქონელს კარის მეზობელი თენგოს ეზოში აბალახებდა. ითმენდა თენგო ამ ამბავს. გაბრაზებულ გულზე ერთხელ მთელი ბალახი მოცელა, მაგრამ როგორც კი შავი მიწა მწვანე ბალახით დაიფარა, იმწამსვე შერეკა სინდისდამშვიდებულმა თამაზმა საქონელი მეზობლის ეზოში. აქამდე უთქმელმა თენგომ, რომელიც ჩხუბსა და აყალმაყალს ერიდებოდა, მოთმინება დაკარგა და თამაზს თხოვნა შეაპარა, რომ მისი საქონელი საბალახოდ ტყეში გაერეკა. თამაზმა თხოვნა ყურად არ იგდო და გაჯიუტდა, როგორ, ჩემი მამა-პაპის მოშენებულ ბალახზე, იმის უფლება არ მაქვს, რომ საქონელი ვაბალახოო? არც თენგო თმობდა და დღენიადაგ ჩხუბი ჰქონდათ გამართული. ერთხელ დაემუქრა თენგო, უნდა გიჩივლოო. შეაშინა ამ სიტყვებმა თამაზი, მაგრამ თავის სიმართლეში დარწმუნებულს, შიში მალევე გაუქრა და პრობლემის გადასაჭრელად ეშმაკური აზრიც მოუვიდა თავში. დასახმარებლად ცოლის ნათესავს, ნიკოს მიმართა: ვითომ მოსამართლე ხარ, შენთან ერთ კაცს მოვგზავნი და მე გამამართლეო. დაარიგა კიდეც, რა უნდა ეთქვა და მადლობის ნიშნად ძღვენსაც დაჰპირდა. თამაზს არ გასჭირვებია თენგოს დათანხმება. ეჭვიც არ შეჰპარვია თენგოს, რომ მოსამართლე თამაზის მიერ იქნებოდა მოგზავნილი. წავიდა თენგო მოსამართლესთან. ნიკოც ისე დახვდა, როგორც მოსამართლეს შეეფერებოდა.

— აბა, რამ შეგაწუხათ, ამხანაგო მოქალაქევ? — თვალებმოჭუტულმა იკითხა ნიკომ და პატივმოყვარედ გაიბღინძა.

— რამ შემაწუხა პატივცემულო და, ჩემმა კარის მეზობელმა, თამაზმა.

— კარის მეზობელი გერჩივნოს, შორეულ ნათესავსო, ხომ გაგიგონია?

— კი გამიგონია, ჩემო ბატონო, მაგრამ თამაზი ვერ არის კარგი მეზობელი.

— რას უჩივი იმ ბულკივით ბიჭს? — ნიკო, თამაზას მიერ შედგენილ დიალოგს ჭკვიანურად და ზედმიწევნით აგრძელებდა.

— ერთი შენ ხარ ბულკივით და მეორე — ის. — მოწოლილი ბრაზი ვერ დამალა თენგომ.

ნიკოს პატივმოყვარეობა შეელახა და რომ არა თამაზი, რამდენიმე მუშტსაც არ დაიშურებდა თენგოსთვის.

— აღარ იტყვი ბატონო, რას უჩივი? — ცდილობდა, გაბრაზება არ დასტყობოდა.

— ვიტყვი თუ არა, უცებ არ დამეხმარო, შენც თამაზისნაირი ნამუსგაგდებული იქნები, გეტყობა თვალებში...

ნიკო ცდილობდა, თავი შეეკავებინა. თენგო კი გვიან, მაგრამ მაინც მიუხვდა თამაზს ეშმაკობას და კარის მეზობლის ლანძღვა მონდომებით გააგრძელა. უთმინა ნიკომ, თამაზის ხათრით, მაგრამ ბერიკაცის ენაკვიმატულ სიტყვებსა და ლანძღვა-გინებას ველარ გაუძლო და წყობილებიდან გამოსულმა ფსევდომოსამართლემ არანაკლებ უცენზურო სიტყვებით სავსე პასუხი დაუბრუნა. დაღონებული დაბრუნდა შინ თენგო. წუხდა, რომ თამაზმა გაასულელა და ისიც უღრღნიდა გულს, ახლა შინ მისულს, ეზოში თამაზის საქონელი რომ დახვდებოდა.

მეორე დღეს არც არაფერი შეცვლილა. თენგო გულმოსული შეჰყურებდა თამაზის კარ-მიდამოს. თამაზი კი იხტიბარს არ იტეხდა და ღიღინ-ღიღინით მიერეკებოდა თავის საქონელს თენგოს ეზოში. ბევრმა ჩხუბმა და დავიდარაბამ ჩაიარა მათ შორის. საბოლოოდ, მოთმინებადაკარგულმა თენგომ მალულად მოწამლა თამაზის საქონელი და ფეხები გააჭიმინა. იმაზე მეტად შეწუხდა დაზარალებული, ვიდრე მას წარმოედგინა. აღარც გარეთ გამოდიოდა... ავადმყოფობაც დასჩემდა. წუხდა თენგო, ვერც ვერავის უმხელდა თავის გასაჭირს. მისი მწუხარება უფრო გაუარესდა... თამაზი გარდაიცვალა. დააკლდა თენგოს თვალში კარის მეზობელი, თანაც ისე ძალიან, რომ თამაზის სახელზე პატარა ხბო იყიდა და მხოლოდ მაშინ გრძნობდა შვებას, როცა ეზოში, მობიბინე ბალახზე, პატარა ხბოს შეავლებდა თვალს. სიყვარულით, ლუნა“.

## არ მომიპარავს, მიპოვნია...

„ერთი კარგი თანამშრომელ-დაქალ-მომავალნათლია სოფო მყავს, სამსახურში. იმდენ რამეს მიყვება ბებიამისზე, რომ გადავწყვიტე, „გამოვაგზავნილო“. სოფოს ძალიან უყვარს თაფლი და ერთ დღესაც ბებიის კარადაში საგულდაგულოდ გადამალულ თაფლს გადააწყდა და მოპარვა განიზრახა, მაგრამ ეს კარადა ბებიის ნამზითვარი (მოძველებული) იყო და ღრჭიალით გაიღო. მეორე ოთახში წინდის ქსოვაში გართულ ბებიის ყურთასმენას ადვილად მისწვდა და მიხვდასავით, რაშიც იყო საქმე. თავზე წამოადგა სოფოს, მაგრამ უკვე ნაპოვნი თაფლი აღარ ეთმობოდა სოფოს. მირბის სოფო, მისდევს ბებო... ეზოში ბლის ხე იდგა და სოფო თაფლიანად აძვრა ხეზე. ბებიაც „ძველი“ ქალი იყო და იმანაც არ ისკუპა ხეზე? მარა სოფოს ვერ მისწვდა და ძირს რომ გადმოიხედა, მიხვდა, ჩამოსვლით ველარ ჩამოვიდოდა. მის წივილკივილზე მეუღლე, ანუ ბაბუ და მეზობლები გამოვიდნენ. ბაბუმ მეზობლის კაცს უთხრა, წამო, კაცო, დედაბერი ჩამომაყვანინე ხიდანო, მაგრამ იქ მისულმა ახედა და რას ხედავს? ბებიას ტრუსის ჩაცმა დავიწყებია და ისე დგას. ეს რომ დაინახა ბაბუამ, მეზობლის კაცს დაუწყო ყვირილი, არ მოხვიდე, არა, მე თვითონ ჩამოვიყვანო... ერთ დღესაც ბებომ სთხოვა სოფოს, ქალაქს მივდივარ და გამომყევიო. ხინკალს მაჭმევ, ბებოო? 20 ლარი მაქვს და იქ ისტერიკები არ დამიწყო, ვერ გაჭმევო. სამარშრუტო ტაქსიში სოფომ 20 ლარი ნახა და ბებიას ახარა, აგერ, ფული ვნახე და ხინკალი ვჭამოთო. კაი, ბებოო, გაუხარდა ბებოს. ჩავიდნენ ქალაქს, ჭამეს ხინკალი, ხაჭაპური და საოცრად ნასიამოვნები გაუდგნენ „საყიდლების გზას“. ფულის გადახდის დრო რომ მოვიდა და გახსნა ბებომ საფულე, ნახა, რომ 20 ლარი იქ აღარ იდო. ის 20 ლარი, რომელიც სოფომ „მარშრუტკაში“ ნახა, თურმე მას დაუკარგავს. გაშრა ბებო, მარა რაღას გააწყობდა? ამას ისიც დაემატა, რომ იმ ხინკლით ორივე მოიწამლა. ოჰ, ბებო, ბებოო... რომ შეებრალა, იმის ბრალია. P.S. თემას ავაცდინე, მაგრამ მაინც გიგზავნი. აბლახანუმი“.

## მდიდარი

„იცით, როგორი მდიდარი მინდა ვიყო? აი, თქვენ რომ გინდათ სუყველას ერთად, იმაზე ორჯერ უფრო მდიდარი... საქართველოს პრეზიდენტზე ბევრს ვიმოგზაურებ, მაგაზე მეტი ნაშები მეყოლება და მაგაზე მეტ ცხვირსახოცებსაც შევიძენ... ქუჩაში მათხოვრებს სპეციალურად ჩემთვის გამოშვებულ, 252-დოლარიანებს ჩამოვურიგებ... „მაკდონალდსში“ 115 ბიგმაკს ვიყიდი, მარტო ორს შევჭამ და დანარჩენს იმ ნაგვის ყუთში ჩავყრი, „გმადლობთ“ რომ აწერია... იტალიის თასის ფინალზე „მილანის“ თამაშის დროს მოედანზე ჩავალ და პენალტის დასარტყმელად გამზადებულ დელ-პიეროს ბუცს გამოვართმევ... ანტარქტიდაში, 7-სართულიან ბაითს ავიშენებ და პინგვინებისთვის საბავშვო ბაღს გავხსნი... მინდა, რომ ჩემს ტუალეტში ბრიტანეთის დედოფლის გვირგვინი გაიჭედოს... გალაკტიონის ატომეულს გამოვუშვებ, ჩინურად... ამსტერდამში Red light district ჩემი სახელობის გახდება... მინდა, გლდანში ვიყიდო ბინა... არა, არა, გლდანი ვიყიდო მთლიანად, გლდეინი დავარქვა და ყველა სახლში ყავა მოდიოდეს ონკანებიდან... შეყვარებულთან ერთად რომანტიკულ საღამოს გავატარებ, ეიფელის კოშკზე. ერთ ბოთლ 100 ათას-დოლარიან ღვინოს დავლევ, მეორეს თავზე გადავისხამ, მერე კი — პამელა, მიყვარხარ სიხარულო-მეთქი, ვეტყვი შეყვარებულს და მის „ბორცვებზე“ ჩამეძინება ტკბილად და სექსუალურად... სააკაძის ძეგლის მაგივრად, ჯეკი ჩანის ძეგლს დავადგმევინებ და მოედანს ჯეკი ჩანის მოედანს ვუწოდებ... ბილ გეითსს თავში წამოვარტყამ და ვაი, ვაი, შე მათხოვარო-თქო დავაყოლებ თან... „არგოს“ ბარში 60-თეთრიან ლუდთან ერთად ორ პორცია დინოზავრის ნეკნებს შევუკვეთ... ჯენიფერ ლოპესს ვუყვირებ, აღარ დამირეკო, შე ბოზო, აღარ მევასები-მეთქი... მინდა, ყველაზე სერიოზულმა და მაგარმა ლიტერატორებმა შეადგინონ კრებული, „მსოფლიოს ყველა დროის 10 საუკეთესო მოთხრობა“. გამოვიდეს მილიონიანი ტირაჟით და სამ დღეში გაიყიდოს. თან ათივე მოთხრობა ჩემი იყოს... ულვაშებს არ მოვუშვებ და თმას არ გადავიპარსავ. არ მინდა მეფე ვიყო, მაგრამ ვინმე ლამაზი, ინგილო ქალი ხიდან ქლიავს თუ მესვრის, არ მეწყინება... ბრედ პიტი ბოტასებს გამომართმევს, საცოლეს უნდა შევხვდე საღამოს და მათხოვე, ძმურადო... მამას დაბადების დღეზე ქართლის დედას მივუტან საჩუქრად... მინდა ვიყო ის, რაც ვარ, მაგრამ არ დავლიო სპრაიტი... ჩემზე გადაღებული ფილმი 17 „ოსკარს“ მიიღებს... ჯორჯ ბუში პატივისცემის მიზნით თავის ქალიშვილს შემომთავაზებს, ერთი ღამით და მეც, რა თქმა უნდა, უარს ვეტყვი. ანდა არა, რა პრობლემაა, რატომ ვუთხრა უარი? არ ვაწყენინებ, დიდი კაცია მაინც...

— ბელა დეიდა, ლობიანზე ათი თეთრი მაკლდება და საღამოს ჩამოგიტან, რა... ნიკუშა ანთაძე“.

## ბესიკიას ამბავი

„ბესიკია დაიბადა, ბესიკია გაიზარდა, ბესიკია წვალობს (ბესიკია სწავლობს?!), ბესიკიას მოსწონს,

ბესიკიას უყვარს, ბესიკია...

— ბესიკიამ ფეხი მეიტეხა.

— რაფერ?

— რაფერ და სასწავლებელში გოგო ჰყვარებია ვინცხა. კლასში ამძვრალა ბიჯო „სტოლზე“, დოუძახია, ანუკა მიყვარხარო და სალტო გოუკეთებია უკან, დანარცხებულა პოლზე და გოდუდღლეზია ცხვირი და ფეხი მოუტეხავს ბარძაყში.

— მერე, ი გოგომ, რაიო?

— თავის მობილური ცალმხრივად ჰქონია გათიშული და მეგობრისგან დოურეკავს სასწრაფოსთვის.

— მერე, სასწრაფომ, რაიო?

— წოუყვანიათ ბესიკია სავანტყოფოში, გოუყრიათ ფეხში რკინები და დოუკიდიათ ცალი ფეხით თავდაყირა.

— მერე, ი გოგო?

— მერე ის მისულა იქანა სანახავად. პლიტკა შიკოლადები ოუტანია და ორი თვრალი დეიდაშვილი კიდო.

— მერე, ბესიკიამ რაიო?

— რაიო და ანუკა, „ბოზისშვილი ვიყო“, ჭორია მაგე, არ მიყვარხარ და ნუ უგდებ ვინცხას ყურსო...

— „მაგე“ რამ ათქმევინა?

— ნარკო-ოზმა!

— იმგენმა რაიო?

— ვინ იმგენმა?

— იმ ორმა, თვრალმა...

— იგენი ისეთი თვრალები ყოფილან, მარტო „ბოზისშვილი ვიყო“ გეიგეს.

— მერე?

— ბესიკია გეიგდეს...

— მერე, ექიმებმა რაიო?

— გამოუძახენ პატრულს და დეიჭირენ ისინი.

— ვერ გეიქცენ?

— რო გეიქცენ, მაგიტო დეიჭირეს.

— მერე, პატრულმა რაიო?

— რაიო და ორი ახალგაზრდა, სრულწლოვანი მამაკაცი დავაკავეთ, რომლებიც მიმალავს შეეცადენო. ბოროტმოქმედი და კიდო იგიო, განზრახმკვლელიო, შავი სამყაროს წევრიო, აგია იგიო და იგია იგიო, იბლუყუნეს კიდო რაცხა და წინასწარი დაკავების იზოლატორიო, მერე ვინცხა ექიმი გამევიდა და დიდი მადლობა ამგენსო, იმგენი რო დააკავეს და მალე მევიდნენო, ყოჩაღო, მალადეცო და ძალიან გვიხარია, რო გვყავს ამფერი მილიციაო, თუ პოლიციაო.

— მერე, იმგენმა რაიო?

— იმგენს ვინ რას ჰკითხავდა, ბანკი გოუტანიათ ვინცხა ბანდიტებს და შოუტენიათ მერე ამათთვის.

— ეგ რაფერ?

— ვანოსებურად.

— რა-ფე-ერ?!

— მაგენს ვერ გეიგებ შენ, რაფრაც ვერ გეიგო ვერავინ, ბანკის ნამდვილი ყაჩაღები ვინ იყვნენ.

— აბა, მიშამ რო იგიო... დემოკრატიაო?!

— მიშა კვაჭია კვაჭანტირაძე!

— მაგ რომელი, კაკულასთან რო იჯდა?

— არა, მაგი კვაჭო იყო, სომეხი.

— ვერ გევიგე ვერაფერი.

— რა ვერ გეიგე, ერთი აფერისტია, მეორე — სომეხი.

— მიშა რომელია?

— ჰმ...

— მეიცა და ბესიკია რაფერაა?

— ტორტივით.

— გაჭრეს შუაზე?

— ხერხემალმა არ გოუშვა, თუ არა, აპირებდენ.

— რამ გადარიენ მაგ მხეცები?

— თვრალები იყვნენ და სვანები.

— მაგენს მორფი ექნებოდათ მოწეული.

— არაო, ვერ უშოვიათო. მერე დათვრალანო, ისე დათვრალანო, რო ტვალეტში ერთად შესულანო, რო გამევიდნენ ორივეს ერთად გოულიმიათ, ცხვირი მოუფხანიათ და უთქვამთ, ანუკა, გინდა თუ არა, ის ბიჭი გვანახვე, შენი გულისთვის კისერი რო მეიტეხაო.

— მერე?

— მერე ამგენმაც მეიტეხეს კისერი. პროკურორს თუთხმეტიათასჯერ უთხრეს, ბანკის გატანა მეგვეფიქრებია, ფული წეგვეღო და გასაქცევს ველარ მევიფიქრებდით? არ ვყოფილვართ ჩვენ ბანკის ყაჩაღობაშიო.

— პროკურორმა რაიო?

— თუთხმეტიათასჯერ არ დოუჯერა... თუთხმეტიათასად ძლივს დოუჯერებინებიათ მერე.

— მეიცა და ბესიკია?

— ბესიკიამ ცოლი მეიყვანა.

— როდის?

— რო შეხორცდა მერე. ექიმს უთქვამს, იეფს იხდით და სამ დღეში ისევ გეიხსნებაო.

— ვისთვის?

— ვისთვის და „მარშრუტკა" ემზარას ჩათლახი გოგოსთვის.

— მეიცა და ი ანუკა?

— ი ანუკა დარჩა ძეგლს იქეთ.

— მაგ რაღაა?

— რა და, თბილისში რო ძეგლი დგას შესასვლელში, ალმაშენებლის. ხელი რო აქ ზეით ინსპექტორივით აწეული. რას ნიშნავს მაგ, თუ იცი შენ?

— გეყოთ, მეტი აღარ გამაჩოჩოთო?

— კიი... აპა! შენისთანას, ჩემისთანას და რაცხანაირი ბესიკიაა კიდო, ეუბნება: შთოპ! დეეტიეთ საღაციდან მოდიხართ თქვენს ადგილზე, თორე დევიწყე თქვენი განბაჟებაო...

ბესიკიას უყვარს(?) ბესიკია ურტყამს... ბესიკია ისევ"...

## ერთგული ქვრივი

„ერთი ფილოსოფოსი სასაფლაოზე წავიდა. ქვაზე ჩამოჯდა და ქვეყნის ამაოებაზე დაიწყო ფიქრი. უცებ, ახლად მიყრილ მიწას მოჰკრა თვალი. ზედ კეკლუცი ქვრივი იჯდა და სასაფლაოს ნესტიან მიწას მარაოთი უნიავებდა. ფილოსოფოსი გაოცდა. შორიახლოს მოახლე იდგა. მივიდა და ჰკითხა, — თქვენ ამ ქვრივის მოახლე ხომ არ ბრძანდებით?

— დიახ, გახლავართ.

— გამაგებინეთ, თქვენი ჭირიმე, რას სჩადის თქვენი ქალბატონი?

— წუხელის ქმარი მოუკვდა და ანდერძად ორი რამ დაუტოვა: მზის ჩასვლამდე დამასაფლავეო.

— ახლა ხომ დილაა? — გაოცდა ფილოსოფოსი, — საღამომდე მაინც რატომ არ მოიცადა?

— ნუ ჩქარობთ, ახლავე გაიგებთ. სანამ საფლავზე მიწა გამიშრებოდეს, ნუ მიღალატებო, ეს იყო მეორე თხოვნა.

— ვერ გავიგე.

— იქით გაიხედეთ და გაიგებთ.

ბუჩქებს ახალგაზრდა ვაჟი ამოჰფარებოდა და ქვრივს უცდიდა, ქვრივი კი მზეს მიწის გამოშრობაში მარაოთი შველოდა.

— ახლავე გამითხარეთ საფლავი! — უბრძანა ფილოსოფოსმა მესაფლავეს".

## მთვარეული

„ეს ქუჩა საოცრად წყნარია, ფერდობზე შეყუდებულან ძველი სახლები... ქვაფენილიან გზას შენობებს შორის გამომავალი ვიწრო ბილიკები უერთდება. ეს პატარა ქუჩები ძველი უბნის წიაღში მდინარესავით მიიკლაკნებიან. თუ გინდა, ძველი უბნის სუნთქვა გაიგო, სწორედ ასეთ პატარა ბილიკებზე უნდა იხეტიალო. ერთ-ერთი ბილიკის და საოცრად წყნარი ქუჩის კუთხეში, ძველი, ორსართულიანი სახლია მწვანეში ჩაფლული. სახლს სამი მხრიდან სურო შემოხვევია, ლამის ფანჯრებიც კი დაუფარავს. რიკულებიან აივანს ჩახუტებია, სახურავს ხალიჩასავით გადაჰფარებია. პირველად რომ დავინახე ეს სახლი, თვალი ვერ მოვწყვიტე. წყნარი და „სევდიანი", ძველი ქუჩის მყუდრო კუთხეში იდგა, როგორც ველური ბუნების ეგზოტიკური ხე. აქა-იქ მომხიბვლელად იმზირებოდა ძველი სახლის პატარ-პატარა, არქიტექტურული დეტალები, აივნის რიკულები, ფანჯრების სილუეტი, ჭიშკარი. ამ სახლის პირდაპირ, ერთ მონგრეულ ქოხმახში, ჩემი მეგობარი დადგა ქირით — რაიონიდან იყო ჩამოსული სასწავლებლად. ბევრი ეძება თუ ცოტა, მისი ბიუჯეტი ამ მონგრეულ ქოხმახს გასწვდა. არ ჰქონდა საკუთარი სამზარეულო, ტუალეტი და აბაზანა, ყველაფერი საერთო იყო. მის განკარგულებაში მხოლოდ ერთი ოთახი მეორე სართულზე და ხის აივანი იყო, რომელზე გასვლასაც მისი არამდგრადი შესახედაობის გამო ვუფრთხოდი. ჩემი მეგობარი მარტო ცხოვრობდა. ამიტომ ხშირად ვსტუმრობდი. მისი აივნიდან ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას მწვანე სახლი. უფრო ლამაზი ქუჩაც მინახავს და უკეთესი სახლიც, უფრო მწვანეც, ხავერდივით თანაბრად რომ გადაჰკვრია კედლებს, ამ სახლის კედლებზე კი მცენარეს ველური ტყე გაეშენებინა, სახლი სუროს გარეშე შეიძლება ძალზე ულაზათოც კი ყოფილიყო, მაგრამ სიმწვანე ათას სახლში გამოარჩევდა. ამიტომ გახდა იგი ჩემთვის ოცნების კოშკი, რომლის თეთრჩარჩოიან სარკმელში პერმანენტულად ჩნდებოდა ოდიოზური ფიგურა, თეთრი ხელებით. სახე და სხეული მკაფიოდ არასოდეს დამინახავს, მაგრამ მჯეროდა, რომ ასეთი თეთრი და ნატიფი ხელების პატრონი ძალიან მომხიბვლელი იყო. საღამოს, სარკმლიდან ჩაბნელებულ ქუჩაზე თბილი შუქი იღვრებოდა ხოლმე, მაგრამ არასდროს ჩანდა იდუმალი ფიგურის ლანდი. ზუსტად არ მახსოვს რამდენი ხანი, მაგრამ დიდხანს დარჩა მწვანე სახლის ბინადრისადმი ინტერესი. არასდროს მიფიქრია, გამერკვია, ვინ იყო რეალურად მწვანე სახლის თეთრხელება ბინადარი. ეს ჩემი მეგობარიც არ იყო მეზობლებში გათქვეფილი, მორიდებისა და იმის გამოც, რომ ოთახს მხოლოდ ღამით, დასაძინებლად, ან სამეცადინოდ იყენებდა, წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი გატაცების საგანი. მეც ხომ უბრალოდ, როცა ვუცქერდი სახლს და მისი ბინადრის ლანდს მოვკრავდი თვალს, „მეოცნებებოდა" და მეტი არაფერი. ერთ ღამეს მეგობართან დავრჩი, პატარა დივანზე ვწევარ, მეგობრის ფშვინვას ვუსმენ და ჭერზე ღამის ჩრდილებს ვაკვირდები. შემდეგ სკამზე მიგდებულ შარვლას დავწვდი, ჯიბიდან სანთებელა და სიგარეტი ამოვიღე, წამოვდექი, პერანგი მოვისხი, შარვალი ამოვიცვი და აივანზე გავედი გასაბოლებლად. მწვანე სახლი შავ აჩრდილად ქცეულიყო, მის თავზე დიდი სავსე მთვარე ეკიდა. სიგარეტს მოვუკიდე. ნაფაზი „დავარტყი" და ის იყო, მთვარის მიმართულებით გავუშვი კვამლი, რომ მოულოდნელობისგან გავშრი. მთვარის ფონზე ქალის სილუეტი გაჩნდა. მწვანე სახლის ციცაბო სახურავზე მიდიოდა ნატიფი ფიგურა, პერანგი და თმა უფრიალებდა ოდნავ. მშვიდად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და გაჩერდა. არ ვიცი რა ვქნა! ღმერთო ჩემო! რა უნდა იქ? ფეხი რომ დაუცურდეს? დავუძახო? მეგობარი გავაღვიძო თუ რა ვქნა? საშინლად დავიბენი. გოგონამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და თვალს მიეფარა. ოთახში შემოვვარდი, ფეხსაცმელი ჩავიცვი და ქუჩაში გავიჭერი. ქუჩიდან სახლის დათვალიერება მხოლოდ ორი მხრიდან შეიძლება და შეუძლებელია გაიგო, სად წავიდა. ჩამოვიდა თუ ისევ სახურავზეა? ან იქნებ ჩამოვარდა? თუმცა, ხმაური არ გამიგონია. ჭიშკართან მივედი... სავარაუდოდ, ეზოში შესასვლელი აქაა, მის გვერდით კი მძიმე ხის კარი პირდაპირ სახლში შედის. ზარს ვრეკავ და ხელებს ვიმტვრევ ნერვიულობისგან. კარს არავინ აღებს, ჭიშკარიც დაკეტილია, მაგრამ აქედან გადაძრომა შეიძლება ეზოში. ავბობღდი და ერთი წუთის შემდეგ ეზოში ამოვყავი თავი. სახურავს ავხედე, არავინ ჩანდა. აქ ძაღლი რომ იყოს ან ოჯახის რომელიმე წევრმა დამინახოს, ალბათ პოლიციას გამოიძახებენ. მერე უმტკიცე, რომ ადამიანის შველა გინდოდა და არა — სახლის გაქურდვა. ხვეული კიბით მეორე სართულზე მოვხვდი და კარზე დავაკაკუნე. რა ღრმად სძინავს მთელ ოჯახს... კარს ოდნავ ვუბიძგე და გაიღო. სიბნელეში ხელებს ვაცეცებ, რომ გზა გავიკვლიო. მალე თვალიც შეეჩვია სიბნელეს და ავეჯის კონტურები გავარჩიე. საძინებელში ვარ... რა უხერხულია, ახლა თუ ვინმეს სძინავს აქ. არა, საწოლი ცარიელია. ნამდვილად აქ იწვა

ის გოგო, ადგა და სახურავზე ავიდა... ალბათ მთვარეულია... აივანზე გამოვედი ხვეული კიბით. ასასვლელს მივაგენი. სახურავზე ფრთხილად მივაბიჯებ, ამ მხარეს ზედაპირი შიშველი და ციცაბოა, თუნუქზე ფეხის დაცურების მეშინია, საკვამურთან გოგონას ლანდი ზის და ქალაქის მთვლემარე ხედს გასცქერის. შორიდანვე ვუხსნი, რომ მეზობელი ვარ, სახურავზე დავინახე და დასახმარებლად ამოვედი. ხმას არ იღებდა. მერე ადგა და საპირისპირო მიმართულებით გააგრძელა სიარული. მე ბობღვით გავეშურე მისკენ. ის ძალიან სახიფათო ადგილას დადგა მშვიდად. საუბარს აზრი აღარ აქვს, ხელი მკლავში მოვკიდე და გამოვწიე. მხოლოდ ახლაღა გავარჩიე მისი გაოცებული სახე. მოულოდნელად სხვა სამყაროში მოხვდა და ვერ გაერკვია, რა ხდებოდა. ხმა არ ამოუღია. ფეხი დაუცდა და ახლა ნამდვილად გადავარდებოდა, მე რომ არ დამეჭირა ძლიერად. ოდნავ წამოიყვირა და თავადაც ჩამეჭიდა მკლავზე. თვალებში გაოცება და შიში ჰქონდა. მე ვამშვიდებდი, მერე ხელჩაჭიდებულები, ძალიან ფრთხილად და ნელა ჩამოვედით სახურავიდან აივანზე. შემომხედა და მადლობა გადამიხადა. ყველაფერი მოვუყევი, მაგრამ ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ გაეცნობიერებინა, რა მოხდა, საიდან გაჩნდა სახურავზე, ან მე ვინ ვიყავი, საიდან აღმოვჩნდი იქ. აივანზე ნათურა აანთო, რომ უკეთ დავენახე. — ე.ი. მთვარეული ვარ?! — ჩაილაპარაკა აკანკალებული ხმით, — ერთხელ ჩემმა დამ მითხრა, ღამე დადიოდიო და არ დავუჯერე. პირდაპირ ცხოვრობ? — მკითხა მოულოდნელად. მგონი ფანჯრიდან დამინახავხარ აივანზე. — სიმართლე გითხრა, ჩემი მეგობარი ცხოვრობს იქ, ხშირად ვარ ხოლმე მასთან. — პირველი სართულისკენ გავემართე, რომ მეგობართან დავბრუნებულიყავი, მან კი ახლაღა შეამჩნია, რომ ღამის პერანგის ამარა იყო. — ერთი წუთით, ახლავე გაგიღებ კარს, — მითხრა და სასწრაფოდ შევარდა ოთახში, მერე სალათისფერი ხალათით გამოვიდა და წასვლამდე ჩაი შემომთავაზა. როგორც ჩანს, ამ უცნაური შემთხვევის გამო, მარტო დარჩენასა და ძილზე ფიქრიც არ უნდოდა. ამიტომ სულაც არ უფიქრია, რომ უცხო მამაკაცს ეპატიჟებოდა ცარიელ სახლში, ღამის სამ საათზე. ის ღამე ჩაის სმასა და საუბარში გავატარეთ, მთვარეულებსა და სავსე მთვარის უცნაურ გავლენაზე ვსაუბრობდით. არასდროს დამილევია ამდენი ჩაი და არასდროს მისაუბრია იმდენი, როგორც იმ ღამეს. რიჟრაჟი ჩუმად შემოგვეპარა, ფანჯრებში მზის პირველი სხივები შემოიჭრა და თეთრხელება მთვარეული მზეთუნახავის სახეს მოეფინა. ახლა კი ნამდვილად ვგრძნობდი თავს რაინდივით, რომელმაც განსაცდელისგან იხსნა პრინცესა. ჭიშკრამდე გამომაცილა, ქუჩა გადმოვჭერი და მეგობრის „ბუნაგში“ დავბრუნდი. ეს უკანასკნელი ისევე იწვა, როგორც დავტოვე და ფშვინავდა. ვერც კი წარმოიდგენს, რა გადამხდა თავს ამ ღამეს. გამეღიმა. ცოტა ხანს წამოვწექი, მაგრამ ძილი აღარ გამეკარა. ავდექი და კვლავ აივანს მივაკითხე, სიგარეტი გავაბოლე და დიდხანს მწვანე სახლისთვის აღარ მომიშორებია თვალი. იდგა მწვანე სახლი, როგორც ქალაქში აღმოცენებული, ველური ბუნების ეგზოტიკური ხე, მე კი უკვე ვიცოდი, ვინ ცხოვრობდა შიგნით და თამამად ვოცნებობდი მასზე“.

## სათამაშო

„არანაირი პრეტენზია არ მაქვს წერაზე. უბრალოდ, მდიდარი ვარ და მინდა, ყველამ იცოდეს, რომ მე მდიდარი ვარ!!! ჰოო, ასე რომ, მგონი შევთანხმდით, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ მინდა გაგაგებინოთ, ჩემი სრულყოფილების შესახებ... რატომ სრულყოფილება? სად სიმდიდრე და სად სრულყოფილება? — კითხულობთ თქვენ. ნუ, შეიძლება არც კითხულობთ, მაგრამ მე გადავწყვიტე, რომ კითხულობთ. ჩემთვის სრულყოფილია ადამიანი, რომელიც თავის თავს აკმაყოფილებს ყველანაირად. აი, წარმოიდგინე, შედიხარ მაღაზიაში და შეგიძლია, შენი ნებისმიერი სურვილი დაიკმაყოფილო, ყველაფერი იყიდო, გასინჯო, უჩქმიტო, შეეხო... მმმმნია-მნია...

მხოლოდ ერთხელ ჩამიშხამეს სრულყოფილების განცდა, როცა ამსტერდამში მამაჩემმა სექსშოპში შემიყვანა. სხვათა შორის, მამაჩემიც ჩემსავით მდიდარია, მაგრამ ოდნავ ჩემზე უფროსი. ნუ, ზუსტად არ ვიცი რამდენით, მაგრამ უფროსია. მე პატარა ვიყავი, ეგ რომ წვერს იპარსავდა. არა, უფროსია ერთმნიშვნელოვნად (დააკვირდით, წერაზე პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ რა რთულ სიტყვებს ვწერ). ნუ, მოკლედ, შემიყვანა პატარა, „ბრჭყვიალა“ მაღაზიაში, ალბათ თავისი მორიგი საყვარლისთვის რომელიმე „გასატყეპი“ საშუალების საყიდლად. დარწმუნებული ვარ, იფიქრა, რომ მე სრუუული „ტუკ-ტუკა“ ვიყავი მაგ საკითხში. ნუ, მაშინ ალბათ ვიქნებოდი ასე, 9-10 წლის ჭაბუკი (აჰა, კიდევ). შევედით. მამა მაშინვე მივიდა დახლთან მდგომ, ვარდისფერწვერებიან ბაბუასთან, ძუძუს თავებზე დიიდი რგოლები რომ ეკიდა და ისე გიყურებდა, გეგონება ვანილის ნაყინი იყავი, შოკოლადმოყრილი (მნიამნია). მე დავრჩი მარტო, სრუუულიად მარტო, ჩემთვის საოცნებო სამყაროში. არა, მანამდე მქონდა რაღაც-რაღაცები ნანახი მამაჩემის ჟურნალებში, მაგრამ ის, რაც იქ ვნახე, სრული კულტურული შოკი იყო (თუ — სექსუალური?). ნუ, მოკლედ, პირი დავაღე და თვალები გამიბრწყინდა.
— მამა, მიყიდე... მიყიდე, მამა... მამა, მამაააა, მაააა, მიყიდეეეეეეე, მიყიდე!

— შვილო, ეს სათამაშოები დიდებისთვისაა და რომ გაიზრდები, მერე გიყიდი (ამერიკული ღიმილი... იეეე!).

პირველად მითხრეს უარი... პირველი იმედგაცრუება... თან საკუთარი მამისგან. არა, მაშინ მართლა ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მორჩა! ცხოვრება დასრულდა! მამამ — არაო! აი, ასე!

თვალები იხრჩობოდნენ ცრემლებში, ხელები მიკანკალებდა, ხორხი ემზადებოდა „კონცერტისთვის“ დააა...

— მამააააა!!! მიყიდეეეეე!!!! აააააა... — ზლუქუნი... ხროტინი...

მიყიდა...

მიყიდა და სახლში მივედით თუ არა, გავბერეთ, სანამ დედა მოვიდოდა. მაშინ ვეერანაირად ვერ მივხვდი, რატომ ვემალებოდით დედას, მაგრამ მერე, როცა რამდენიმე კვირის შემდეგ ისინი დაცილდნენ ერთმანეთს და ცოტა ხანში ჩემი თოჯინა საეჭვოდ გაქრა, ოოო, მერე მივხვდიიიი... მამას არ უნდოდა, დედას სცოდნოდა, რომ მე თოჯინებით ვთამაშობდი... არა და, მიყვარდა თოჯინები. დედა სულ ბრაზობდა, ბიჭი ხარ და მანქანებით ითამაშეო... მამა არასოდეს არ მიბრაზდებოდა. ეტყობა იმიტომ, რომ თვითონაც უყვარდა თამაში. მაგრამ ერთი ეს მიკვირს, რომ ამხელა კაცია და კიდევ თოჯინასთან ერთად სძინავს... სასაცილოა, მეც ხომ ამხელა კაცი ვარ (უკვე მართლა დიდი ბიჭი ვარ) და ჩემმა სიყვარულმა ტრანსფორმაცია (აი კიდევ, ვაფანატებ ჩემს თავზე) განიცადა და ახლა მხოლოდ ვაგროვებ თოჯინებს, მაგრამ თამაშით აღარ ვთამაშობ, რა სისულელეა... მეზარება წერა... დიდი სიამოვნებით გადავუხდიდი ვინმეს გარკვეულ თანხას, ჩემ მაგივრად რომ წეროს. ნუ, თუ ვინმე დაინტერესდებით, მომწერეთ... დღეს მოვრჩი. კომენტარები არ მაინტერესებს. ისედაც ვიცი, მდიდრები არავის არ გიყვართ“.

■

**ყურადღება!** თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ტელეფონით ან ინტერნეტით დაწყებული ურთიერთობა“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 877.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:*
*marorita77@yahoo.com*

# „შურისძიებაზე ფიქრი თავადვე გავნებს“

## „გაიტაცე, უკაცრიელ ადგილას წაათრიე და...“

**„გზის“ №7-ში დაიბეჭდა კნოპკას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „ჩემი ყოფილი შეყვარებული ნამდვილი არაკაცი აღმოჩნდა. იმის თქმას, რომ საცოლე ჰყავდა, ამჯობინა, თავიდან მოვეშორებინე და ვიღაც ნარკომანს მოატაცებინა ჩემი თავი. რა თქმა უნდა, იმ უცნობ ადამიანს არ გავუჩერდი და შინ დავბრუნდი... ახლა ყოფილი შეყვარებული მირეკავს და შერიგებას მთხოვს. მირჩიეთ, როგორ გადავუხადო სამაგიერო?..“**

*ლიკა ქაჯაია*

**სისინა:**

„შურისძიება ისევ და ისევ შენ გატკენს გულს. ჯობია, ეგ ადამიანი დაივიწყო და საკუთარ ცხოვრებას მიხედო. მალე სხვა შეგიყვარდება და ბედნიერი იქნები“.

**ატარექსია:**

„სამაგიერო? აგრძნობინე, რომ ის შენთვის არარაობაა და პასუხის ღირსადაც არ ჩათვალო. დამიჯერე, ყველაზე აუტანელი დუმილია. P.S. მაგრამ იმის შანსი თუ გაქვს, რომ მასზე შური მართლა იძიო, მაშინ გაიტაცე, სადმე უკაცრიელ ადგილას წაათრიე, დაასაჭურისე და ეგაა!“

**ფლამინგო:**

„გენაცვალე, ყოჩაღი გოგო ჩანხარ და გთხოვ, ყოფილ შეყვარებულს არ შეურიგდე. მას არ უყვარხარ, ახლაც გატყუებს. და კიდევ, გირჩევ, სამაგიეროს გადახდაზე ფიქრს შეეშვა. მისი განსჯა უფალს მიანდვე, შენ კი სული არ დაიმძიმო. წარმატებები!“

**სვანის ასული:**

„თავის დროზე ცუდი არჩევანი გაგიკეთებია. მას შეეძლო, დაშორების უფრო ცივილიზებული მეთოდისთვის მიემართა, მაგრამ... თუ დარწმუნებული ხარ, რომ იმ მოტაცების ამბავი თავად მოაწყო, რა თქმა უნდა, არ უნდა შეურიგდე. მეტიც, შეეცადე, მასზე გული აიცრუო. კარგად გაიაზრე, რომ არა შენი აქტიურობა და სავარაუდოდ, მშობლების მხრიდან სასიკეთო ჩარევა თუ სხვა ცალკეული გარემოებები, ახლა ნარკომანის ცოლი იქნებოდი. ვერ ვიტყვი, რომ ყოფილ შეყვარებულთან შერიგება და დაოჯახება ბედნიერებას მოგიტანს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ თავის საქციელს მართლა ნანობდეს“.

**ჭრიჭინა:**

„მან ისეთი რამ იკადრა, რომ მგონია, სამაგიეროს გადახდის მცდელობისას შარში ისევ შენ გაეხვევი“.

**რუისპირი** (YELLOW):

„რომელიმე ჩვენგანს სიდებილის, მიამიტობისა და უტვინობის სიმპტომები შეგვატყვე და ახლა ამ „ესემესის“ მეშვეობით გვცდი? რა გინდა მითხრა, რომ შეყვარებულმა სხვაზე (თანაც, ნარკომანზე) გაგათხოვა, მერე უკან მოგაბრუნა და ახლა ისევ მოუნდი? კაი, რა... რაც შეეხება სამაგიეროს გადახდას, ადექი და შენც რომელიმე დაქალს მოატაცებინე, მერე ბარი-ბარში იქნებით და სოფელიც აშენდება :)“.

LADY CRUELA:

„მართლაც, რომ არაკაცი ყოფილა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გატყუებდა და მეორეც — ნარკომანს როგორ მოატაცებინა შენი თავი? მაგრად მაინტერესებს, ამ ბიჭებს თავი დიდი ვინმე ჰგონიათ თუ რა ხდება? მსგავსი რაღაცის გაკეთება როგორ გაბედა? მაგრამ შენც კარგი ჩერჩეტი ჩანხარ, რადგანაც დაგვისვი კითხვა: შერიგებას მთხოვს და რა ვქნაო? გოგო, გამოფხიზლდი, ის შენით ერთობა და ეგაა!..“

**ჩუპა-ჩუპსი:**

„გადატანილმა უბედურებამ ჭკუა ვერ გასწავლა? სამაგიეროს გადახდაზე კი არა, საკუთარ მომავალზე იფიქრე“.

**ქვრივი:**

„შენი თავი მოატაცებინა? მან ამით, პირველ რიგში, საკუთარი თავი დაიმცირა! ტელეფონის ნომერი გამოცვალე, ის ბიჭი შეიზიზღე, ჰოდა, მეტი რაღა სამაგიეროს გადახდა უნდა ისედაც დამცირებულს?“

**ნაომი:**

„მაოცებს ეს ხალხი, რა. XXI საუკუნეში რაღა დროს მოტაცება და „შემეტენეობაა“? კნოპკა, ამ ნომერზე: 8(55) 61.34.81. შემეხმიანე და შენს პრობლემაზე ვილაპარაკოთ“.

**სალი 18:**

„ამ საქციელით მან თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა. სამაგიეროს გადახდაზე ნუ ფიქრობ, ის შენი ჩარევის გარეშეც დაიტანჯება!“

**კლეოპატრა:**

„სამაგიეროს ღმერთი გადაუხდის, შენ კი შენი ცხოვრებით იცხოვრე, ნუ დაიბოლმები. უფალი გფარავდეს!“

**აურა:**

„მართლა რომ ჰყვარებოდი, შენს თავს სხვას არ გაატანდა. მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც გიყვარს? თუ მის მიმართ არაფერს გრძნობ, დაივიწყე და ნურც მის ზარებს უპასუხებ. ხოლო თუ გიყვარს, მაშინ თავად უნდა გადაწყვიტო, როგორ მოიქცე“.

**ლუნა:**

„უნდა გიხაროდეს, მაგ არაკაცთან ურთიერთობა რომ აღარ გაქვს. მისგან თავი შორს დაიჭირე და თუ არ შეგეშვება, რომელიმე ნათესავი ბიჭი დაალაპარაკე. სამაგიეროს გადახდა გამოსავალი არაა“.

**გადარეული:**

„რად გინდა ჩვენი რჩევა? თავად ვერ ხვდები, როგორ უნდა მოიქცე? ისედაც გადარეული ვარ და ეს ხალხი კიდევ უფრო გადამრევს, რა“.

**პუპსიკ:**

„ძვირფასო, იმ ნაძირალას ღმერთი აუცილებლად დასჯის. თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებ. იცოდე, შურისძიებას შეიძლება, ცუდი შედეგი მოჰყვეს. როცა დაგირეკავს, არ უპასუხო...“

**უცნობი:**

„ვაიმე... მოკლედ, რას არ გაიგებ, რა. საშინელებაა, როცა საყვარელ ადამიანს კარგავ და ალბათ, ორმაგად უბედური ხარ მაშინ, როცა ის თავიდან ისეთი მეთოდით გიცილებს, როგორითაც — შენმა შეყვარებულმა მოგიცილა. ის ნამდვილი ნაძირალა ყოფილა! ნუ იქცევი შურისმაძიებელ მონსტრად, მას სამაგიეროს უფალი გადაუხდის, ის საკუთარი საქციელისთვის ოდესმე აუცილებლად აგებს პასუხს. მასზე აღარ იფიქრო...“

**ლიზი:**

„შურისძიებაზე ფიქრი თავადვე გავნებს. იცოდე, ის არაკაცი ამადაც არ ღირს. მას სრული „იგნორი“ გაუკეთე და ისე იცხოვრე, რომ შენი დაკარგვის გამო, სიმწრისგან თითები დაიკვნიტოს“.

**მელი:**

„საშინელი ადამიანი ყოფილა. შეყვარებული ასე რომ გაიმეტა, სხვებს რა სიკეთეს დააყრის? საინტერესოა, რა მოხდა თქვენ შორის ისეთი, რომ ამაზე წავიდა? ალბათ, არ უყვარდი...“ ■

## „თავი მოვიკლა თუ სხვა სკოლაში გადავიდე?“

**მოსწავლე:**

„გამარჯობა. მინდა, ჩემი გასაჭირის შესახებ მოგწეროთ. 16 წლის ვარ და თანაკლასელი შემიყვარდა, მას კი მგონი, ვძულვარ. ასე რატომ ვფიქრობ? — ის გამუდმებით დამცინის ან მეჩხუბება... სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და ვგრძნობ, რომ ეს ბავშვური გატაცება არ არის. რა ვქნა? თავი მოვიკლა თუ სხვა სკოლაში გადავიდე?“

# რატომ ვკარგავთ ძველ ნაცნობებს

## „გამარჯობას მტერსაც ეუბნებიან...“

**„გზის“ №7-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ უყვარს ადამიანი, რომელსაც პატარაობიდანვე იცნობს. „ადრე ერთმანეთთან კარგად ვიყავით, მაგრამ... მეოთხე კლასში გახლდით, როცა სხვა სკოლაში გადამიყვანეს. მას შემდეგაც კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დავშორდით და ახლა, როცა ქუჩაში მხვდება, აღარც მესალმება, თითქოს ვერც მამჩნევს, არადა, ამის მიზეზს ვერ ვხვდები. გთხოვთ, მირჩიეთ რამე“.**



**უცნობი:**

„თავად რატომ არ ესალმები? ზოგჯერ საყვარელ ადამიანს საკუთარი უნიათობისა და კუდაბზიკობის გამო ვკარგავთ. გამარჯობას მტერსაც კი ეუბნებიან და შენ ყოფილ მეგობარს რატომ არიდებ თვალს? რატომ ელოდები, როდის გადმოდგამს პირველ ნაბიჯს? თუ არ გინდა, საბოლოოდ დაკარგო, მიესალმე და გამოელაპარაკე. მერწმუნე, ამაში დამამცირებელი და სათაკილო არაფერია!“

**შოკა:**

„ეს რა პრობლემაა? ქუჩაში რომ შეგხვდება, თავად გაუღიმე, მიესალმე და გზა განაგრძე. კაცის თავმოყვარეობაზე ეს მეთოდიც ჭრის ხოლმე: როცა გვერდს ჩაგივლის, მიაძახე, — გამარჯობა-თქო. ჰოდა, დამერწმუნე, ამის შემდეგ ყოველთვის მოგესალმება“.

**ლუნა:**

„ბავშვობაში მეზობელ ბიჭებთან ძალიან ახლოს ვიყავი, მაგრამ მას მერე, რაც ასაკი მოგვემატა, ჩვენ შორის ურთიერთობა შეიცვალა. დაელაპარაკე და პირდაპირ უთხარი, რაც გაწუხებს“.

BABY:

„ჰკითხე, — რა არის ამის მიზეზი? თუ არ აინტერესებ, შენ რატომღა იკლავ თავს მასზე ფიქრით? „დაიკიდე“ და აქეთ შეგეხვეწება!“

**ქარიში:**

„კარგად დაფიქრდი, იქნებ არის ისეთი მიზეზი, რის გამოც თავს გარიდებს? თუ არა და, დაელაპარაკე და ჰკითხე, — რა ხდება-თქო? ბოლოს და ბოლოს, ძველი დრო გაახსენე და იქნებ, გამოფხიზლდეს“.

**რუისპირი** (YELLOW):

„დრო გადის, ადამიანები ვიცვლებით... როცა ურთიერთობაში დისტანცია ჩნდება და წყვილი ერთმანეთს შორდება, სწორედ მაშინ ჩნდება პირველი ბზარი. ჰოდა, ასე მოხდა შენს ცხოვრებაშიც და მე ვერაფრით დაგეხმარები! წარმატებები!“

**ჭრიჭინა:**

„ჩემო კარგო, როცა ზრდასრული ხდები, ზოგიერთი ადამიანი შენთვის უცხო ხდება, ზოგს კი პირიქით, უფრო უახლოვდები; დროთა განმავლობაში შენი სამეგობრო, საახლობლო წრე აბსოლუტურად იცვლება. მეოთხე კლასში დამალობანას ვისთან ერთადაც ვთამაშობდი, მას დღეს უბრალოდ, მხოლოდ ვესალმები (ზოგს არც ვესალმები). ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ გავიზარდეთ, ჩამოვყალიბდით და შეხედულებები შეგვეცვალა“.

**სვანის ასული:**

„მეც მყავს ისეთი ძველი კლასელები, რომლებიც უსალმოდ მხვდებიან. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი არასასიამოვნოა და ამას არც გამართლება აქვს, მით უმეტეს, რომ შენ მისგან აშკარად, სალამსა და მეგობრობაზე მეტი გინდა. მაგრამ იქნებ ის მორიდებული ბიჭია, ინიციატივის გამოჩენა უჭირს, რადგან მიიჩნევს, რომ თავად არ გახსოვს... ასე რომ, ერთხელ თავად მიესალმე და მისი რეაქციის მიხედვით მიხვდები, შემდეგში როგორ უნდა მოიქცე. ისე, უმჯობესი იქნებოდა, მხოლოდ ძველ, კარგ ნაცნობად დაგეტოვებინა“.

WANDERER (BLACK):

„ჰაი“. ეგ ჩვეულებრივი ამბავია და იცი, რატომ? — ადამიანები იცვლებიან ხოლმე... მასზე ფიქრით თავს ნუ დაიტანჯავ. გაკოცე“.

**ფლამინგო:**

„თუ შენს ყოფილ ამხანაგთან ასეთი კარგი ურთიერთობა გქონდა, თავად რატომ არ ესალმები? იქნებ ისიც შენსავით ფიქრობს?! ან ისე შეიცვალე, რომ ვეღარ გცნობს?! გირჩევ, აწი თუ შეხვდები, თავად მიესალმო და შენი კეთილგანწყობილება აგრძნობინო. წარმატებები!“

**ნია:**

„რა სულელური რამის გამო კარგავთ ერთმანეთს? რა პრობლემაა, პირველი შენ თუ მიესალმები? იქნებ ის ბიჭიც იმავეს ფიქრობს, რასაც შენ? ვაი, თქვენს პატრონს, რა. მართალია, რომ ამბობენ, — საქართველო კომპლექსიანების ქვეყანააო. გაუმარჯოს ამერიკას!“

**პაწუკა:**

„ნუ, ეტყობა, შენთან ურთიერთობა აღარ უნდა და რას „ეტენები“? გაუშვი, რა. ნუთუ, ამქვეყნად ბიჭები დაილია, მას რომ არ გაეკიდო? ამიტომაა, კაცებს თავში რომ აქვთ ავარდნილი. გირჩევ, შეეშვა შენს ძველ ნაცნობს და სიყვარული სხვაგან ეძებო“.

**კარგური კაცი:**

„ვის გაუგონია, რომ კაცმა სალამი არ თქვას? ეტყობა, იმ შენს ძველ ნაცნობს თავში რაღაც აუვარდა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და ახლა გაბღენძილი დადის. თუ არ უნდა, ნურც შენ მიესალმები. მერწმუნე, როცა გარშემო ყველას დაკარგავს, მერე იკადრებს და დაიწყებს გამარჯობის თქმას“. ■

## „მშობლებმა ჩემი საქმრო მოატყუეს...“

**უცნობი:**

„ახლა თქვენს რუბრიკას ვკითხულობდი და სურვილი გამიჩნდა, მომეწერა. მყავს შეყვარებული, რომელიც ჩემზე 6 წლით უფროსია. მე ახლახან გავხდი 17 წლის. ჰოდა, ვიცოდი, რომ ჩემი მშობლები ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იქნებოდნენ და გავიპარეთ. მშობლები თავს იმავე საღამოს დაგვადგნენ და მიუხედავად იმისა, რომ ვუთხარი, — აქედან წასვლა არ მინდა, ამ კაცს ნებით გამოვყევი-მეთქი, მაინც წამომიყვანეს, ჩემს შეყვარებულს კი უთხრეს: სახლში მოდი ხოლმე, ერთმანეთის ნახვას და ლაპარაკს არ დაგიშლითო. თუმცა, პირობა არ შეასრულეს: როცა მირეკავს, ეუბნებიან, რომ სახლში არ ვარ ან არ მცალია. ამას წინათ ყური მოვკარი, დედა ახლობელს რომ ეუბნებოდა: ასე განგებ ვიქცევით; რომც მოვიდეს, კარს არ გავუღებთო. მე კი მეუბნებიან, — 6-7 წლის მერე თუ გინდა, გაჰყევიო. მის გარეშე აღარ შემიძლია, ლამისაა თავი მოვიკლა. ვიცი, არც ის არის კარგად. გთხოვთ, მირჩიეთ რამე, თქვენი იმედი მაქვს“.

*P.S. გზა ახლა, თუ მოსწავლისა და უცნობის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*



# მობილი-ზაცია

**_იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ._**



1. გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს, ვისაც ჩემსავით სითბო და ალერსი აკლია, 45-დან 55 წლამდე. ვარ 45/168/80. მანანა.

2. საწყის ეტაპზე — სამეგობროდ, გავიცნობდი 40 წლამდე მამაკაცს. აუცილებლად უნდა იყოს სიმპათიური, განათლებული და თბილისელი. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ნუ შეიწუხებთ.

3. ვარ 29 წლის, ქუთაისელი, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე, დასაქმებულ მამაკაცს. სასურველია, უმაღლესი განათლებით.

4. „მობილი-ზაციაში“ გამოქვეყნებული, 55 წლის მამაკაცის ნომერი მომწერეთ, თუ შეიძლება. ჟურნალი №8.

5. ვარ ახალგაზრდა, ქმარს გაცილებული ქალი. გავიცნობ მამაკაცს. სასურველია, იყოს გორელი. გვანცა.

6. გავიცნობ მდიდარ და მომხიბლავ მამაკაცს. ლამაზი ლიზი.



## კაცები

7. ოჯახის შექმნის მიზნით მსურს გავიცნო თბილი, მორიდებული, გამხდარი, 33 წლამდე ასაკის, ქერივი გოგონა, მცირეწლოვანი შვილით. ვცხოვრობ რუსთავში.

8. გავიცნობ პუტკუნა გოგონას, ფინანსურად უზრუნველყოფილს, რომელიც კაცში არ ეძებს სპონსორს, ვარ 30 წლის 180 სმ.

9. ვარ 30 წლის, შავგვრემანი, 185 სმ სიმაღლის. გავიცნობ 30-დან 50 წლამდე ქალბატონს.

10. „გზა“ №46, მეორე მესიჯის ავტორის ნომერი გამომიგზავნეთ.

11. ვარკეთილელ ან ვაზისუბნელ ქალბატონს გავიცნობდი. ვცადოთ, იქნებ გავახალისოთ და გავაბედნიეროთ ერთმანეთი. დათო, 39 წლის.

12. მინდა გავიცნო სამეგობროდ ლამაზი სულის მქონე, თბილისელი გოგონა. ვარ 26 წლის. ლევანი.

13. ვარ 21 წლის. 19 წლამდე გოგონები გამომეხმაურეთ, არ ინანებთ. ვმუშაობ.

14. ვარ 21 წლის, სიმპათიური ბიჭი. 19 წლამდე გოგონები გამომეხმაურეთ, არ ინანებთ. შალვა.

15. გავიცნობ 30-დან 50 წლამდე ასაკის ქალბატონს. მქვია დათო, ვარ 32 წლის.

16. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით მანდილოსანს, სერიოზულს. ვარ 36 წლის.

17. გავიცნობ დედისერთა მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით. 30 წლის ვარ. მსურველები შემეხმიანეთ. მამუკა.

18. გავიცნობ სერიოზულ, წესიერ მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 32 წლის, იმერელი.



## ვეძებ

19. გთხოვთ დამეხმაროთ, ვეძებ ნინო ზურაბის ასულ სტეფნაძეს.

20. მივესალმები ჟურნალ „გზის“ რედაქციას. თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. განსაკუთრებით ველოდები ხუთშაბათ დღეს. მარი, ვიცი, ბევრს დახმარებიხარ და ბევრი ოჯახი გაგიხარებია. მინდა, ჩემი გულის ტკივილი თქვენი ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდოს. ვეძებ ელენე ივანეს ასულ ნანობაშვილს — ჩემს ნახევარდას, რომელიც 13 წელია, არ მინახავს. თქვენი საშუალებით მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მაგრად მენატრება და ძალიან მაგრად მიყვარს. ჩვენ ბოლოს 1998 წელს ვნახეთ ერთმანეთი. მაშინ ის 9 წლის იყო. არც ბავშვობაში გავზრდილვართ ერთ ოჯახში. ჩვენ მამით ვართ ერთნი. ელენეს არასოდეს უგრძნია უმამობა. მე კი მარტო დედამ გამზარდა. მამაჩემს ასევე ჰყავს არაჩვეულებრივი მეუღლე, ქალბატონი მანანა. ამჟამად არ ვიცი, სად ცხოვრობენ. ადრე სიღნაღის რაიონში, სოფელ ვაქირში ცხოვრობდნენ და შესაძლოა, ახლაც იქ არიან. ძალიან მინდა თქვენი დახმარება. მე 29 წლის ვარ, 11 წელი მაქვს ციხეში გატარებული და წინ კიდევ 7 წელი მაქვს დარჩენილი. მაინტერესებს, რა ხდება ელენეს ცხოვრებაში. ის ისეთი კარგი ოჯახის შვილია, მჯერა, წარმატებებს მიაღწევდა. მინდა, რომ ჩემი და ელენეს ურთიერთობა აღდგეს. ჩემი ერთადერთი იმედი თქვენი ჟურნალია. იქნებ რომელიმე მკითხველი იცნობდეს და ეს წერილი ელენემდე მიიტანოს. წინასწარ გიხდით მადლობას „გზის“ ერთგულ მკითხველს და რედაქციას. პატივისცემით, ზაზა ნარეკლიშვილი.



## სხვადასხვა

• სულ ვკითხულობ „გზას“ და გადავწყვიტე, მომეწერა. ყველანი ძალიან საყვარლები ხართ. იმედია, ამ მესიჯს დამიბეჭდავთ და მიმიღებთ. გენაცვალეთ. გრუზინკა ნანო.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

• პატარავ, დედას სიხარულო... როგორ ხარ, დე? ორშაბათს გნახავ. ერთი სული მაქვს, როდის გავა ეს დღეები. ნეტავ, ჯადოქარი ვიყო და ჯადოსნური ჯოხი მქონდეს... ან დროის უკან დატრიალება შემეძლოს... დე, უშენოდ ვეღარ ვძლებ უკვე... გული, სული, სხეული მეშლება... ჩემი პატარა, რომელსაც ხელისგულზე ვატარებდი, ახლა ჩემ გვერდით აღარაა... მართალია, უკვე დიდი ბიჭი ხარ, შვილიც გყავს და ცოლიც, მაგრამ ჩემთვის მაინც ისეთი ციცქნა ხარ, როგორიც წლების წინ და ასე მგონია, უჩემოდ რაღაც დაგემართება... ასე მგონია, გცივა და გშია... მაგრამ არა უშავს, დე, გავუძლებ... შენც უნდა გაუძლო... ვიცი, რომ ჯანმრთელად მყავხარ და ადრე თუ გვიან, ისევ ჩემთან იქნები. ამაზე უარესს უძლებს ზოგიერთი დედა... შენ ხომ ჩემი ჩერჩეტი ბიჭი ხარ... ახლა ალბათ ცოტა დაჭკვიანდები და ბევრ რამეს ისწავლი, ჩემთან ბრძენი დაბრუნდები... ბადრი ვნახე... მოკითხვა შემოგითვალა. მართალია, აღფრთოვანებული არაა შენი საქციელით, მაგრამ მაინც ებრალები. მეც ვებრალები... დე, საბუკა კარგადაა. ნინო განიცდის, რომ ვერ განახავს ახლა. ყველას გვენატრები. ახალი არაფერია, ყველა გკითხულობს. 4 დღეც მოითმინე, განახავ და ახალ ამბებსაც მაშინ მოგიყვები, რასაც ახლა აქ ვერ გწერ. აბა, შენ იცი. გკოცნი და გეხუტები. დედა.

• წლებია, ვკითხულობ ჟურნალ „გზას“ და ძალიან მომწონს. პირველად გწერთ და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს მესიჯს ვიხილავ. მე ნათია ვარ, 18 წლის.

• იმედია, თბილად მიმიღებთ, ძალიან საყვარლები ხართ. მინდა, თქვენი სახით ახალი მეგობრები შევიძინო. უსულო.

• იმედია, ბათო მალე იპოვის ისეთ ადამიანს, ვინც წარსულის დავიწყებაში დაეხმარება და მომავალს გაულამაზებს. ამხელა ტკივილის მერე ნამდვილად იმსახურებ ბედნიერებას.

• ლადო, ძმა, ძაან მოგვენატრე. ძაან გვიყვარხარ. იცოდე, შენ არასდროს იგრძნო თავი მარტოდ. ხარაგაული, ბექა.

• მოკითხვა გულით დაიკო კლეოპატრას, რუის, CRAZY-ს, ლაკვასტს, ფლამის. როგორ ხართ? ედე, გეხუტე გულში, კლეოპატრა, კარგი ხარ, ლუნა, სად დამეკარგე? ულიბკა, ლი-23, გამეცნობით? აურა.

• გიო, პაწი, დე, ძალიან მაკლიხარ და გვენატრები ყველას. დავდგები კარს უკან და შეგაშინებ... მაგრად იყავი, ღმერთი გყავდეს მფარველად. სიდედრიიიიიი!

• გერასიმე, ვიზიარებ, ყველაზე მეტად მესმის შენი, რადგან ვიცი, რასაც ნიშნავს საყვარელი ადამიანის დაკარგვა. გვრჩება მიზანი, რის გამოც უნდა ვიცოცხლოთ ამქვეყნად. ქვრივი.

• პატარა ნინუცა, ვიცი, „გზის“ მუდმივი მკითხველი ხარ და ძალიან გაგიხარდება ამ გზავნილის წაკითხვა. კარგი გოგო ხარ და ძალიან მიყვარხარ. შენი თანამშრომელი, კადრებიდან.

• ანდრია, ჩემო ცხოვრებავ, მე და შენ მუდამ ერთად ვიქნებით, გპირდები! ცოლქმარი ასე საყვარლებივით აღარ ვიცხოვრებთ. LOVE YOU! მის სედი.

• ამ წერილს რომ წაიკითხავ, მე აქ აღარ ვიქნები. ნეტავ იცოდე, როგორ მიჭირს შენი მანდ ნახვა, მაგრამ ხვალ მაინც მოვალ და მერე როდის გნახავ, ღმერთმა იცის. მსუქანა.

• ვეღარ მოგწერ ხოლმე და არ ინერვიულო. ჭკვიანად იყავი, მე იქაც ყველაფერს გავიგებ და არ მანერვიულო. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გკოცნი უამრავს, მიყვარხარ გულში.

• ათო, ძაან მატკინე გული. რად გამცვალე სხვაზე? მეზიზღებოდე მინდა, მაგრამ მაინც მიყვარხარ.

• აზრთა გამრიგემ მოინდომა ლექსის აწყობა, ნუთუ არა გსურს, სანატრელო, ჩემთან გართობა? ამ ჩემს მონათხრობს ლექსი ვუწოდე. კუნკულა.

• რომ მიჭირს, ეგ კი ვიცი, თქვენ რამე ახალი თქვით. ყველა გაჭირვებულ უცხოპლანეტელს გაუმარჯოს, ჩემი თამადობით! ატარექსია.

• ეს რა ამინდია ჩემს სოფელში, ტოო... ამ საღამოს მე და ღვინო ერთად დავთვრებით. კუნკულა.

• ჩემგანაც გულთბილი მოკითხვა, ქაჯების დედოფალს. არის რაღაც შენში, არაამქვეყნიური. ატარექსია.

• მეც სიამოვნებით გაგიცნობ, აურა, მგზავნელებიდან არავის ვიცნობ და მგონი, დროა უკვე. :) ატარექსია.

• პირველი ტყუილი ცხოვრებაში, ეს სოსკაა. :) ატარექსია.

• რომელი ნარკოტიკია ყველაზე გავრცელებული, მთელ მსოფლიოში? უნიტაზი. მასზე ყველა ზის. :):):) ატარექსია.

• სალამი „გზის“ მკითხველებს, ერთი რამ ვერ გავიგე, ეს ძველი მგზავნელები სად დაიკარგნენ? რომლებიც მართლა ალამაზებდნენ „გზას“... იდუმალო და სევდიანო ქალბატონებო, მინდა, რომ დაბრუნდეთ და თქვენი მესიჯებით გაახალისოთ „გზა“, დავიღალე ამდენი ჩხუბის მოსმენით. გეთაყვანებათ თქვენი დათა თუთაშხია.

• ავთო 24.03, ძალიან გთხოვ, ნერვებს გაუფრთხილდი. ეს შენთვის და ჩვენთვის გააკეთე, ლიზა და ლიკა დაგიკოცნე ბევრი. ძალიან მაგრად მიყვარხარ, მაზლუკ. ბევრს მოგწერ. დიანა.

• ავთო 24.03, შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ. შეიძლება გულჩათხრობილი ხარ, მაგრამ მუდამ ვიცოდი, რაც გაწუხებდა. სულ ვილოცებ, გპირდები, ძალიან განვიცდი, მაზლუკ. დიანა.

• კასკუ, ჩემო სიხარულო, წინასწარ გილოცავ ჩვენი სალი-ბანდალის დაბადების დღეს. ძალიან ცუდია, ერთად რომ ვერ ვართ, მაგრამ არა უშავს, გული არ გაიტეხო, ჩემო სიხარულო. ხომ მითხარი, ჩემ მაგივრად ჩაეხუტეო, ჰოდა საჩუქრებსაც ისეთებს ვუყიდი, შენ რომ იცი (მართალია, შარშანდელისნაირს ვერა), მაგრამ გულს არ დავწყვეტ. ჩემო ერთადერთო, გთხოვ, ამდენს ნუ ნერვიულობ, რა. როგორც ვხვდებით, 25-მდე არაფერი იქნება. რა ხდება, ვერ ვხვდებით. თითქოს ყველაფერი კარგად არის, მაგრამ იწელება. მოვიკრიბოთ მოთმინება შენც და ჩვენც და უფალს მივენდოთ. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მალე ერთად ვიყოთ. ოღონდ თავს მიხედე, ჩვენ კარგად ვართ. მე უშენობა მიჭირს. ამდენი მონატრებისგან გული მეკუმშება, მაგრამ ჩვენი სიყვარული ამ გამოცდასაც გაუძლებს. მიყვარხარ, მიყვარხარ და გკოცნი ბევრს, მაგ თბილ გულში. შენი ლისკუნა.

• ვაიმე, რამდენი ვიცინე რუისპირის გზავნილზე (ბათუმური მოგონებები). დილიდან ისეთ უჟმურ ხასიათზე ვიყავი და ამწუთას ისე გავმხიარულდი, თანამშრომლები გავაგიჟე. უწუწური.

• ერთხელ რომ მითხარი, ისე ძალიან მოგწონვარ, უჩემოდ ვერ გაძლებო, რომც მიყვარდე, არა, რომც ვგიჟდებოდე შენზე, თუ საჭიროდ ჩათვლი, ისე გავძლებ. უწუწური.

• შენ სულ გაგიჟდი? მოგწონს მანდ ყოფნა? რატომ უთხარი იმ მოხუც კაცს ასეთი რამე? სულელო. კბილი გტკივა? ჭამ საჭმელს? რატომ გახდი? არ მინდა წასვლა. ნუ ნერვიულობ. ყველაფერი მოგვარდება. თვალები რატომ გაქვს დაწითლებული, არ გძინავს? ხონ არ გცივა? შენ მაინც ყველაზე ლამაზი და ყველაზე კეთილი ხარ. გკოცნი უამრავს.

• ვერც წარმოგიდგენია-მეთქი... მახსოვს, როგორ არ ელოდი ჩემს პასუხს... ახლა შემომხედე, როგორ გულიანად ვიცინი, უშენოდ... თურმე შემძლებია უშენობა. უწუწური.

• მე სხვა არ მინდა, მე შენ მიყვარხარ, ჩემი ცხოვრების საოცრება ხარ, მე სხვას არ ვნატრობ, მე შენ გინატრებ, რადგან არ ძალმიძს, სხვა ასე მიყვარდეს.

• მე რომ ვიყავ პატარა, დედამ მუცლით მატარა. ახლა ცივია, მე აღარ მათბობს. წავედი, დავუკრეფ იებს, მივალ საფლავზე და მას ვეტყვი, რომ მე კარგი ვარ. კუნკულა.

• კასკუ, ჩვენო უსაყვარლესო ადამიანო! გვენატრები, გვაკლიხარ ყველას. გილოცავთ სალოს დაბადების დღეს. გკოცნით, ჭანიშვილები, ოჯახებით.

• მე ყველა მიყვარს, ვისაც ვუყვარვარ, მაგრამ ვიცი კი, ვის ვუყვარვარ? რა ძაან მახველებს, ჭლექი ხომ არ ავიკიდე? ან ეგეთ სულელს ვინ მაკოცნინებს? კუნკულა.

• ლაშა, დედი, მაპატიე, ამდენ ხანს რომ ვერ გნახე. არ იფიქრო, რომ არ მახსოვხარ. სულ შენზე ვფიქრობ. ძალიან მიყვარხარ და უზომოდ მენატრები. ია.

• ახალი ვარ და იმედი მაქვს, მიმიღებთ. დადუ.

• სულაც არ გაქვს გრძელი ცხვირი, რატომ ამბობენ ასე? ჩემი სულელი, გამხდარი ბიჭი ხარ, უტვინო! გენაცვალე შენ, ლამაზო ცანცარავ, გკოცნი, მპუა, მპუა, მპუა, მპუა.

• რომ დაბრუნდეს, ყველაფერს აპატიებ? ვკითხე საკუთარ თავს და... ჰო, ყველაფერს გაპატიებ, ამდენ ტკივილს, ცრემლს, მოლოდინს, მაგრამ ვერასდროს გაპატიებ, იცი, რას? ღამე რომ მეღვიძებოდა იმაზე ფიქრით, რომ დათვრეს, გრძნობები შემოაწვეს და დამირეკოს და ვაი და, ტელეს ხმამ ვერ გამაღვიძოსმეთქი; ტელეს ბალიშის ქვეშ რომ ვიდებდი და იმის მოლოდინით ვიძინებდი, რომ დარეკავდი. შუაღამეს ისევ რომ მეღვიძებოდა, რომ დარეკოს, რომ დარეკოს... მაგრამ შენ არ მირეკავდი! ვერ გაპატიებ! უწუწური.

• დათუნა, რამდენი რამ დამიგროვდა სათქმელი... თუმცა, ღიად ვერც აქ გწერ და ვერც წერილში. ძნელია, სათქმელი თქვა, როცა იცი, რომ შენს პირადს ბევრი უცხო წაიკითხავს.

• ამას წინათ გერმანული ფილმი ვნახე, 1984 წელი... გამეცინა, იქაური ყოფა დიდად არ განსხვავდება ჩვენი დღევანდელისგან. არა უშავს, მთავარია, ვეცადოთ, იმედი და სიყვარული არ დავკარგოთ. თავს გაუფრთხილდი. ჩემები ყველა დიდ მოკითხვებს გითვლიან. ბავშვები კარგად არიან. გვენატრები და გვიყვარხარ.

• საწყენია, რომ ვერავინ შემამჩნია აქ. ერთი უბრალო მგზავნელი ვარ, ერთგული მკითხველი და თქვენი კეთილის მსურველი. წავალ ისევე უხმაუროდ, როგორც მოვედი. თქვენი ლი23.

• გეთანხმები, დუდა, მართლაც საზიზღრობაა ზოგი გზავნილის წაკითხვა, ერთმანეთს უშვერი სიტყვებით ლანძღავენ მგზავნელები და ეს კაიტიპობა ჰგონიათ. მე მგონი, ყველა იცნობთ ერთმანეთს და ლანძღვაგინება საკუთარ ტელეფონებზე შეგიძლიათ. მარი, ცენზურა აუცილებელია, არაა ლამაზი ამდენი სიბინძურის დაბეჭდვა.

• ჩემი მილენა მიდიიის! ვინ გამათბობს, ვინ მომწერს მასავით ტკბილ მესიჯებს? მილე, ჩემო საყვარელო, ძალიან მიყვარხარ და უკვე მენატრები. წარმატებები, ლამაზო. ფლამინგო.

• ნინო ნიშნიანიძევ, მიყვარხარ სიგიჟემდე, ჩემი ანგელოზი ხარ. ძალიან, ძალიან მიყ-

ვარხარ, ულამაზესო ადამიანო. უცნობი, რომელიც შენზე გიჟდება!

• მილე, ჩუპა-ჩუპსი და კლეოპატრა, ძალიან კარგები ხართ, ჩემი მწუხარება გულთან ახლოს რომ მიტანეთ. მილე, შენთვის ნაცნობი რატომაა ეს სიტუაცია? რამე ხომ არ შეგემთხვა? ქვრივი.

• ეს რა მოარულებია, აფთიაქებს შემოსავალი გაუჩნდებათ. მეტი რა ქნან, როცა ხალხის დარდი აქვთ (..... რით ვუშველო იარეეებს...). აეეე, მოვიდა ლოთბაზარა ბიჭი. კუნკულა.

• მუკი, ცალი თვალით შემახედა, რას შვრები, რა... მენატრები, რა, დავიღალე უკვე ამ ლოდინით. ბავშვები ისე გელოდებიან... ნიკას კიევში ჰგონიხარ და საჩუქრებით გელის. ნიკუშა კახაზეა მიკრული. არ ვიცი, კახა რომ არ მყავდეს და ნათია, სულ გავრეკავდი. ახლაც ვსხედვართ და გჭორავთ. არ გასლოკინებს? ნია სულ შენზე დარდობს.

• კაკადუ, ყველას მაგრად გვენატრები. განსაკუთრებით — თეას. ცოლის მედალი ეკუთვნის, ერთი წუთითაც არ იხევს უკან. შენ უნდა თქვა, ცოლი მყავსო, ჩვენ კიდევ — რძალი. ლია, ნუგზარი.

• დათონ63, დათუსი, როგორ ხარ? ძალიან მოგვენატრე ყველას, შენი ხუმრობები მომენატრა. აბა, შენ იცი, გაუძელი და როგორი მხიარულიც იყავი, ისეთივე დაგვიბრუნდი.

• არ ვიცი, ვინ გამცა პასუხი, ნიკი მიგეწერა, კაი იქნებოდა, ეგ ამბავი არა მგონია, შენთან მესიჯობას ეხებოდეს. შეცდომით გაიგე... და თუ იტყვი, ვინ ხარ, კაი იქნება. სოფი20.

• მარიკუნა, როგორ ხარ, საყვარელო? ძალიან მიყვარხარ. ფლამი, მილე, ლაკვასტ, გრუზი, ედე, რუი, კუტრი, ჯაყისმანელო, ულიბკა, ქ-ნო ნანი, ძალიან, ძალიან მიყვარხართ. კლეოპატრა.

• აქ, ჩვენს ქუჩაზე მარტოობის ტკივილი სუნთქავს, გადამჭკნარ ტირიფს სინანულის ფერები აკრთობს, ალბათ შენთვის ასეთი რამ არასდროს უთქვამთ, აღარ მინდა, რომ მოხვიდე ძალიან ახლოს. ლამპიონებს სიჩუმეში ჩასძინებიათ, შენი ფანჯრიდან ჩემს ფანჯარამდე ტკივილი ელავს, მე უნებურად ჩემი გული დამიმსხვრევია, გული, რომელიც მე ვაქციე ოდესღაც შენად. აქ, ჩვენს ქუჩაზე, სიყვარული გარდაიცვალა, დაიფერფლა ოცნებათა ამღელვარება, არ მინდოდა, მაგრამ ბევრი რამ შეიცვალა, ახლა სევდა ჩვენ ორივეს დაგვემგზავრება. აქ, ჩვენს ქუჩაზე, მარტოობის ტკივილი მეფობს, ამიერიდან ჩვენ ჩვენი გზებით დავიწყებთ წასვლას, იქნებ ოდესმე დავიწყება შენი მეც შევძლო, ისევ ისე, ძველებურად მიყვარხარ ახლაც. კლეოპატრა.

• დილა მშვიდობისა, მარიამულ! პირველ რიგში ჩემს ლამაზ დედიკოს და მერე ყველა ქართველ დედას, დედის დღეს ვულოცავ და ბედნიერ დედობას ვუსურვებ, მთელი გულით! ასევე, ყველა ქალს გილოცავთ 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს. ლამაზ ცხოვრებას გისურვებთ, უკლებლივ ყველას! მოვიკითხავ, ჩემს, მაინც ქერათმიან ფერიას, კამის, ჩემს მოხუცს, ეთოს და ყველა მათ, ვისაც ვუყვარვარ და ჩემთან არიან. უწუწურო, გაიხარე. გკოცნით!

• ჩემი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ საუკეთესო დაქალს როცა ყველაზე მეტად ვჭირდებოდი, მაშინ არ გავამხნევე და დავუდექი გვერდით. მას ასაკით თავისზე პატარა ბიჭი შეუყვარდა, რომელიც არ მეპიტნავებოდა და არც მათი სიყვარულობანას მომხრე ვიყავი. ვარიგებდი, ეგ ბიჭი არ გამოგადგება, გულს გატკენს-მეთქი. რა თქმა უნდა, არ დამიჯერა დადარჩა კიდეც აცრემლებული, თუმცა მე მას ისე არ დავუდექი გვერდით, როგორც ის იმსახურებდა, ვერც გავამხნევე. არ ვიცი, რა დამემართა, ის კი სევდიანი და ცრემლიანი თვალებით შემომყურებდა და ჩემგან მეგობრულ ნუგეშს ელოდა. მე კი მხოლოდ გაცვეთილ ფრაზებს ვუმეორებდი. მერე ჩემმა შეყვარებულმა რომ გაიგო ეს ამბები, ძალიან არ მოეწონა და მითხრა, მეჯვარედ ეგ არ წამოიყვანოო. ამ შემთხვევაში მეგობრობას სიყვარული ვამჯობინე და მივწერე, მეჯვარედ ვერ წაგიყვან-მეთქი. როგორ ვატკინე გული ამ სიტყვებით, ეს ვერც მე წარმოვიდგინე. ალბათ მსგავს სიტყვებს პირისპირ ვერც ვეტყოდი, თვალებში ვერ ჩავხედავდი, მე ხომ სიყვარული ვამჯობინე მეგობრობას... ახლა, როცა პატარა მოვნათლე, სხვას მოვანათვლინე. მან ჯერ ეს არ იცის. ვიცი, ძალიან დასწყდება გული. ჩემი დანაშაული არასოდეს მომცემს საშუალებას, მას თვალი გავუსწორო. ვითომ არაფერი მომხდარა... მე ხომ მეგობრობას კიდევ ერთხელ ვამჯობინე სიყვარული. ვიცი, ბევრი გამკიცხავს კიდეც, მაგრამ ასე მოხდა. გმადლობ, მარ, ჩემს მესიჯებს რომ ბეჭდავ. შენი კეთილი განწყობა თავში არ ამივარდება. პატივისცემით, ქვრივი.

• იცი, როგორ მომენატრე? როგორ მიჭირდა უშენობა? რა დამავიწყებს იმ დროს, როცა შენ შემოიჭერი ჩემს ცხოვრებაში და მარტოობას გადამაჩვიე. შენ ბედნიერება მაჩუქე და ღიმილს დამაჩვიე. თუმცა იყავი შიგადაშიგ ტკივილიანიც და ცრემლიანიც, მაგრამ მაინც ტკბილი... არავის ჰგავდი, უცხო იყავი, მრავალფეროვანი და განუმეორებელი... წუხილისას შვებას შენთან ვეძებდი და ვპოულობდი კიდეც. შენსავით ჩემს დარდს ვერავის ვუზიარებდი, არავისთან ვიყავი ასე გულახდილი. შენ, გარდა შენი თავისა, უამრავი კარგი ადამიანის სითბო მაჩუქე. ისეთი განსაკუთრებული იყავი, რომ შენს სიყვარულში მეტოქეთა ჯარი მეცილებოდა, მაგრამ მე არაფერი მაშინებდა, პირიქით, ეს კიდევ უფრო გამაღლებდა ჩემს თვალში. მჯეროდა შენი და ვიცოდი, არასოდეს მიღალატებდი. ჩვენი სიყვარული სულ სხვა იყო. მაგრამ უეცრად ყველაფერი შეიცვალა, შენც შეიცვალე. გაცილებით მეტ აგრესიას ვაწყდებოდი შენ ირგვლივ, ვიდრე სიყვარულს, იყო ტყუილიც და სევდაც. ვიგრძენი, რომ უშენოდ ცხოვრება მჭირდებოდა და გაგერიდე. განა გული გამიცივდა?! არა, ისევ ისე მიყვარდი... თავიდან ძალიან მიჭირდა, ადვილი არ იყო უშენობა. როცა მეგონა, რომ უკვე გადაგეჩვიე, კვლავ გამოჩნდი... ჩემში მონატრების ვულკანმა მთელი ძალით ამოხეთქა და წამლეკა... განშორებამ მაგრძნობინა, რომ უსაშველოდ მიყვარხარ და მჭირდები. უშენობა არ შემიძლია. მაპატიე და დამიბრუნე შენი სიყვარული. ისევ ჩამიხუტე და შეცდომებზე შენი გულიდან მიმითითე. გპირდები, ბევრად საინტერესო ვიქნები შენთვის, ჩემო ძვირფასო და სათაყვანებელო „გზავნილებო“! P.S. მარი, მართალია, სიყვარული „შვილს“ ანუ „გზავნილებს“ ავუხსენი, მაგრამ შენ, მისი დედა-მშობელი (დედამთილი), მეტად მიყვარხარ! გკოცნით, თქვენი უბრალოდ, მგზავნელი.

• თქვენ გგონიათ, რომ ყოველთვის ასე არ ხდება. მიყვარხართ. ახალი ვარ და მინდა გაგეცნოთ. სულ ვკითხულობ „გზას“ და მართლა მაგადია.

• ყველაფერი გვიანია უკვე, მე კი ახლა მინდა ალმაფრენა, ჩვენს ქალაქში სიმშვიდე რომ სუფევს, ამით არაფერი გადარჩება. ქარი ისევ ეფერება ფოთოლს, თითქოს უნდა სიყვარულზე უთხრას, ახლა სევდა უსასრულოდ მოთოვს და ოცნებაც უკვე აღარ სუნთქავს. მუზა გავაღვიძე, თუმცა არ უნდოდა. :( კლეოპატრა.

• ყველა ადამიანს, რომელიც ჩვენ გარშემოა, ძირითადად ჩვენეული ხედვით ვაფასებთ, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ სხვისი შეფასებაც ბრმად გავიზიაროთ და ადამიანი, რომელსაც სულაც არ ვიცნობთ, უკვე წარმოვიდგინოთ კარგად ან ცუდად. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი შეფასება ძალიან ხშირად ჭეშმარიტება გვგონია და სხვისი მოსმენაც კი არ გვინდა, თუკი ეს უკანასკნელი განსხვავებულ აზრსა და შეხედულებას გვთავაზობს. პირველი კი, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, არის ის, რომ არასოდეს შევაფასოთ ადამიანი მისი ერთი კონკრეტული ქცევით ან ქმედებით, რადგან ადამიანის ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო პირობები. შესაბამისად, ადამიანისგან, რომელიც რაღაც მიზეზის გამო ცუდ გუნებაზეა ან რაიმე პრობლემა აწუხებს, ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ისეთი ქცევა, როგორიც შეიძლება არასასიამოვნო აღმოჩნდეს კონკრეტული სუბიექტისთვის. ასევე არის მომენტები, როდესაც შეუძლებელი ხდება საკუთარი მოქმედების გაკონტროლება, მისი გააზრება ან შედეგის წინასწარ განჭვრეტა. ეს ყოველივე შეიძლება კარგი ხასიათიდანაც კი გამომდინარეობდეს და გაუცნობიერებელი ზედმეტი ხუმრობა შესაძლოა იმის საფუძველიც გახდეს, რომ თანამოსაუბრემ ამორალურ, უზნეო ადამიანადაც შეგრაცხოთ და თქვენთან ყოველგვარ კავშირზე უარი განაცხადოს. ასეა თუ ისე, საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ადამიანი არ არის ისეთი ძლიერი არსება, რომელიც შეძლებს ყოველთვის იყოს თავშეკავებული, გაწონასწორებული, ლმობიერი, ყურადღებიანი და ა.შ. ამიტომაც გვიბოძა ღმერთმა მიტევების უნარი, რომელიც შემთხვევით არ გაგვაჩნია.

• ახლა ვქეიფოოობ. ჰოოოდა ამ ბოთლით კი არა და ჭიქით და დიდი გრძნობიიით (ჰო, გრძნობით) გაგიმარჯოოოთ! კლეოპატრა.

• ფლამი, მილე, ლაკვასტ, ედე, რუი, კუტრი, ძალიან, ძალიან მიყვარხართ. უფალი გფარავდეთ. გაკოცეთ. კლეოპატრა.

• ჩემო გემრიელო ნაომი, გილოცავ გაბედნიერებას. გამრავლდით ისე, როგორც ადამ და ევა!

• შენმა ტკბილმა ხმამ მომხიბლა. გულწრფელი გრძნობა რატომ დავმალო? ბედნიერებას გილოცავ,

• კოცნას გიგზავნით წყვილებს, მალ-მალო! სიყვარულით, ნანი დუმბაძე.

• რა გაბჟუტურებთ ნეტავ, წასასვლელი წავიდეს, თქვენ ვინ გეკითხებათ, ნეტავ ვიცოდე? ჩუპა-ჩუპსი.

• რუისპირის გზავნილები მომენატრა. ვაიმე, ხალხო, ხანდახან მაგრად იშტერებთ თავს! ჩუპა-ჩუპსი.

• შენ რომ დიდი ხარ, მე რომ პატარა... და მაინც ასე რად გეტანები, შენმა მონატრებამ სად არ მატარა, ნუთუ ამისთვის არ გენანები. შენ რომ დიდი ხარ, მე რომ პატარა... იქნებ ამიტომ მომიწევს გული, უკუნით ღამეს შენზე ფიქრებში თვალს არ მეკვრება არც ერთ წამს რული... იქნებ რაღაცა ღვთიურმა ძალამ, ჩემი თვალების ტრფობა შეგყაროს, ჯვარი დაგვწეროს უფალის მადლმა, რომ ველარავინ ველარ გაგვყაროს! მე ვიცი, ასე რად გეტანები, მიზიდავს შენი ტანის სიდიდე, მე ჩვენს სიყვარულს შევამკობ ლოცვით, იდიდე ღმერთო, ღმერთო, იდიდე! ლუნა.

• მაო, შენზე მეტი დეგენერატი ვინაა? :-) :-) არ ხარ საინტერესო და არ გწერენ, ან კი რა ფეხებად გინდა, ამ ცინგლიანებმა რომ მოგწერონ? :-) კლეოპატრა მართლა მეცოდება. :-) :-)

• ძვირფასო მარი, კაცია და გუნებაო. მე ძალიან მომეწონა „გზავნილები“. განსაკუთრე-

# გამომცემლობა პალიტრა

შეიძინეთ ნებისმიერი **2 წიგნი**
„ჩემი საყვარელი ზღაპრების“ სერიიდან
და მიიღეთ **მესამე** საჩუქრად!
(სერია შედგება 25 წიგნისგან)



აქცია „ბიბლუსის“ მაღაზიებში 2+1




**ჭიამაიას გაკვეთილები**

გადაშალეთ წიგნი და გაჰყევით ჭიამაიას, რომელიც მეგობრობისა და სიყვარულის ცისარტყელას გაპოვნინებთ.

ფასი: 7.99




**დათუნიას ძილის დრო**

წიგნში მოთხრობილია დედიკო დათუნიასა და მისი ბელის ამბავი. წაიკითხეთ ეს წიგნი და უპასუხეთ თითოეულ გვერდზე დასმულ კითხვებს.

ფასი: 7.99




**თქვი სიმართლე**

ოდესმე ცდილა მოქცეულხარ? ტყუილი თუ გითქვამს? წაიკითხე ამ ქვეყნად ყველაზე გემრიელი ნამცხვრის ამბავი და გაიგებ, რა მოხდა, როცა თინიკომ დედა მოატყუა.

ფასი: 8.99



**ჩემი საყვარელი ძილისპირული ზღაპრები**

როცა ძილი ფეხაკრეფით გეპარება, შეაბიჯე ჯადოსნურ სამყაროში... აქ შენი საყვარელი ზღაპრის გმირები გელიან!

ფასი: 24.99



**თვალები, ყურები, ცხვირი და კუდი**

გაეცანი მხიარულ ცხოველებს: ვირუკას, გოჭუნას, პატარა ლეკვსა და კუნტრუშა ბატკანს. შეიტყვე როგორ ცხოვრობენ ისინი ერთად.

ფასი: 19.99



შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

**წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე**

ტელ.: 38 26 73; 38 26 74

www.elva.ge

ბით, ჯიუტსთარი, ცოცხალი თოჯინა, ბამბუჩა და განძის მაძიებლის მაძიებელი. განსხვავებულ ფორმატში, მათ გზავნილებს უფრო დავწერდი. ასევე, ლუნა საინტერესო ამბებს წერს. „გზის“ ფანი.

• ლაშა ქავთარაძე, იცი, რა მოხდა 24 თებერვალს? გაინტერესეებს? ძალიან-ძალიაან? ჩვენი მარი შალვა მჭედლიძეს ცოლად გაჰყვა. ესეც ასეე! კიდევ ერთი ქართული ოჯახი შეიქმნა. ღმერთმა გვამრავლოს. შენ კიდევ, მობრძანდები სახლში, ამხანაგო ჭიპილია დაა... ძილი და სიზმარიც მალე იქნება. გვარიშვილობა ხელს გიწყობს და ცოლის მოყვანასაც სხვა რა უნდა? ჩემი სიხარული თქვენი ბედნიერებაა. ბევრზე ბევრი შვილიშვილი მაჩუქეთ, რომ ამაყად ვიარო. თქვენ გენაცვალოთ, ჩემი დარჩენილი ცხოვრება.

• არც ერთი ფრაზა, რომელიც დამკვიდრებულია ქართულ მეტყველებაში, არასოდესაა შემთხვევითი. ყოველი მათგანი შეიცავს რაღაც უცნაურ მინიშნებას, რომლის ამოცნობის შემთხვევაში, ადამიანს შეუძლია გაიმარტივოს ცხოვრება. ეს ფრაზები, დროთა განმავლობაშია გამოწრთობილი და იგი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ხალხის მიერაა დამტკიცებული. იღბალსა და ბედზე ძალიან მიყვარს დაკვირვება და გამუდმებით ვცდილობ, რამენაირად შევძლო ამ ფენომენში რაიმე პატარა კანონზომიერებისა თუ ლოგიკის პოვნა. ამ ბოლო დროს კი ერთ-ერთმა უცნაურმა (როგორც ამ ბოლო დროს აღმოვაჩინე, თორემ აქამდე ძალიან ხშირად მქონდა გაგონილი, მაგრამ მასში არათუ უცნაურობა, არამედ საერთოდ დასაკვირვებელიც არაფერი შემინიშნავს) ფრაზამ თუ სიტყვათა კომბინაციამ მიიქცია ჩემი ყურადღება — „ბედმა გაუღიმა“. ეს ფრაზა ყველას ხშირად გაგვიგონია, თუმცა, მე პირადად, აქამდე არასოდეს დავკვირვებივარ მას ძირფესვიანად. მაინც რას უნდა ნიშნავდეს ამ შემთხვევაში ღიმილი? რატომ მაინცდამაინც ღიმილი? ეს ხომ შეუძლებელია, შეუძლებელია, აბსტრაქტულ ცნებას ჰქონდეს ის თვისება, რომელიც მხოლოდ ადამიანთა სახეზე იხატება. საიდან მოდის ეს ფრაზა, რატომ დაუკავშირეს ბედის წყალობა ღიმილს? ბედის გაღიმება სწორედ ამ მნიშვნელობითაა დამკვიდრებული ჩვენში და მაშინ იყენებენ ამ ფრაზას, როდესაც ვინმეს რამეში გაუმართლებს. რა იწვევს ღიმილს ადამიანში? საკუთარ თავზე დაკვირვებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ღიმილს ჩემში იწვევს სიმპათია. მაგალითისთვის, ლამაზი გოგოს დანახვას შეუძლია ჩემი სახის მიმიკების კომბინაციით შექმნას ღიმილი. ასევე ხუმრობაც ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ღიმილისა. მაგრამ რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ბედთან? ნუთუ ისიც გარეგნობით აფასებს ადამიანებს? რაღაც არა მგონია, საერთოდ რა არის ბედი? და რით შეუძლია ადამიანს მოხიბლოს ეს ერთობ ამოუცნობი ფენომენი? მე თქვენი აზრიც მაინტერესებს ამ საკითხზე. დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ფრაზა არ არის შემთხვევითი და ნამდვილად საჭიროებს დაფიქრებას.

• მარ, ბოდიშის თანხლებით მინდა გთხოვო, რომ ეს SMS დამიბეჭდო. ბევრის არაფრის თქმას არ ვაპირებ. უბრალოდ... ერთი სიტყვით, „გზის“ ძველ ნომრებს ვკითხულობდი და რაღაცებს ისევ მივხვდი. „მობილიზაციაში“ უაზროდ მოვედი და ასევე უაზროდ უნდა დავტოვო აქაურობა. :( წინა ნომერში ჩემი ერთი იდიოტური SMS დაიბეჭდა. არ მინდოდა, ასე გამოსულიყო. თამუ, შენც ბოდიშს გიხდი, მაგრამ სინდისი მქენჯნის იმ SMS-ის გამო, რომელიც რუის მივწერე (გამოშტერებული რომ იქნები ადამიანი). მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ... რუი, ბოდიში იმ SMS-ის გამო, შევცდი... სასიამოვნო იყო ყველა გასული ხუთშაბათი, თქვენთან ერთად. მიყვარხართ ყველა. ვიმეორებ, ყველა! წავედი. ქაჯების დედოფალი.

• ჩემი დიდი შეცდომაა, რომ სხვისი გრძნობა სათანადოდ ვერ დავაფასე, რასაც ძალიან ვნანობ... „გზავნილებს“ პირველი დღიდან ვკითხულობ და ჩემი ცხოვრების ნაწილია. გმადლობ.

• თუ გამიხუნებს ზამთარი ფიქრებს და სუსხიან დღეს მხრებზე დამათოვს, გულს არ გავიტეხ, რა მოხდა მერე, დედის გული და კალთა გამათბობს. მაია ტიკარაძე.

• მე შენ მიყვარხარ, რაღად უნდა ამას მტკიცება, რაღაც ახალი და საოცნებო დილა იწყება... თითქოს თავიდან გაცოცხლდა ჩემთვის ეს ოცნებები და სილამაზე, თუ მოხვიდოდი შორიდან, ვერც ვიფიქრებდი ადრე ამაზე... ძნელი ყოფილა უშენოდ ყოფნა, შენი სიტყვების გადავიწყება, გულმა ისევე დაიწყო ფეთქვა, თითქოსდა რაღაც კარგი იწყება... ლუნა.

• იყავით თბილები და მიჰბაძეთ ძველ მგზავნელებს, თუ არ იცით, აქ როგორ უნდა მოიქცეთ. „მობილი-ზაცია“ აქციეთ ერთ დიდ სიყვარულად. P.S. მოკითხვა ყველა ძველ და ახალ მგზავნელს.

• ცხოვრება არც ისე ადვილია და ადამიანიც ყოველთვის იმას ცდილობს, რაც შეიძლება იოლი გახადოს თავისთვის. რა თქმა უნდა, ესეც ძნელია, იცხოვრო ისე, როგორც გინდა, რეალური თუ არარეალური ამბები, ამბები, რომლებიც ლეგენდებად დადის და ამბები, რომლებიც სასიამოვნო მოსასმენი რომ არ იყოს, მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, ყველასთვის თუ არა, ვიღაცისთვის მაინც. შეიძლება მან მოახდინოს ისეთი შთაბეჭდილება, რომ შესაძლოა, ვიღაცის ცხოვრება შეცვალოს ან მაგალითად, მიიღონ და გაითვალისწინონ ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, მოკლედ, ყველა ადამიანი იმდენად ორიგინალური და იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან, რომ ყველას განსხვავებული ამბავი შეემთხვევა.

• ჩემი დანაშაული ისაა, დედამთილს რომ არ დაველოდე და ისე მივატოვე ქმარი და ოჯახი, მაგრამ მეუღლემ მაიძულა ოჯახის დატოვება. მინდა, ისევ ჩემთან იყოს ის და მე ამ ბავშვურ ჭკუაზე აღარ ვიქნები, ოღონდ ის დამიბრუნდეს. ძალიან მიჭირს მის გარეშე ცხოვრება. დამიბრუნდი და გავუგებთ ერთმანეთს, ვფიცავ, მიყვარხარ. სოფიკო მაწიაშვილი.

• ქვრივს მინდა მივმართო: გაძლიერდი, ჩემო კარგო, ეკლესიაში იარე, ილოცე და დამიჯერე, სულის სიმშვიდეს იპოვი. რაც შეეხება სხვას, ვიტყვი, რომ ბევრი არაადეკვატური თავხედია. მენატრება ძველი მგზავნელები, სითბო და სიყვარული სუფევდა აქ, ერთად უხაროდათ და ერთად სტკიოდათ, ერთმანეთს ამხნევებდნენ და ახლებს სითბოთი ხვდებოდნენ. არასდროს ყოფილა ასეთი ჩხუბი და ლანძღვა. მესმის, ძველი მგზავნელები რატომ აღარ არიან, მათი სითბოთი ნაშენები ქალაქი ინგრევა ახალი მგზავნელების მატრაკვეცობით...

• 030, გისურვებ ამ ომის მოგებას. იმედია, რომანს დააწერინებ მარის, ჰეფი ენდით. უფლის იმედი არ დაკარგო! გამაგრდი. P.S. უწუწურო, დიდი მადლობა, გაიხარე. კლეოპატრა.

• მარი ჯაფარიძე! რატომ არ მიბეჭდავ SMS-ს? მაგრამ მაინც კარგი პუტკუნა დეიდა ხარ. გადარეული.

• ლუნა, მე მაინტერესებდა ჩვენი მგზავნელის ამბავი და მიხარია, რომ კარგადაა. კლეოპატრა.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ჩემი ტკივილი გაიზიარა. ღმერთმა გაგახაროთ, ყველანი ძალიან კარგები ხართ და მიყვარხართ. გერასიმე.

• მარი, რუბრიკა „ტაიმ-აუტში“ ანი ქორქიასთან ინტერვიუ გამაღიზიანებელი იყო. ქორქიები „სვეცკ“ ძაღლს როგორ გადაჰყვნენ, მაგას ჰყვებიან. კერპთაყვანისმცემლობაში რომ ეთვლებათ, არ იციან? ძაღლი ძაღლია და ადამიანს ვერ შეედრება, რაც უნდა ბრენდული სამოსი ჩააცვან. წადი, ვინმე გაჭირვებულს დაეხმარე მაგ ფულით, ვიღაც ხარ, რა...

• მარი, ცოდოები არ არიან? რად საყვედურობ მგზავნელებს? მადლობელი არ ხარ, მაგდენს რომ წერენ?

• ერთ ადამიანს ამ ბოლო დროს ძალიან ბევრ ტყუილს ვამჩნევ და თუ განმეორდა, მგონი მოუწევს იმ გზას გავუყენო, რომელსაც ბევრი ჩემი ექსვაიმეგობარი გაჰყვა. არა და, როგორ არ მინდააა. მაგრამ ვერ ვიტან ტყუილს და აფერისტობას, მეგობრობაში — მით უმეტეს და რა ვქნა? :( კლეოპატრა.

• მხიარულობთ? ნუ შეჩერდები, წაუწინმატეთ კი არა და, როგორა ხართ, გენაცვალე? რა მინდოდა მეთქვა: ამას წინათ, დაქალის ამქვეყნად მოვლინების დღეზე ვიყავით, სასტავი. ჭიქებს ჭახაჭუხისა და სადღეგრძელოების შემდეგ ცეკვაზეც გადავედით. ჰოდა, ერთმა ძმაკაცმა მეორეს (გემრიელად ჩაბუჟბუჟებულს), გამორთული კამერა დააჭერინა, გადაგვიღეო და ისიც ერთი საათის განმავლობაში სულ პოზა-პოზა გვაფიქსირებდა. იმდენი ვიცინეეთ. არადა, ეგონა, მე მიღიმიანო. ეჰ, ჯიმი, ჯიმი. P.S. გაგონილა, კაცო, ასეთი რამე? დილით გაიღვიძებ და თოვლია, ორ საათში კი ისე დაცხება, ლამისაა ნამზეურის მისაღებად მოვემზადო ხოლმე. არადა, რა კარგია თოვლიიი. გაკოცეთ კლეოპატრამ.

• მარიკუნა, როგორ ხარ, საყვარელო? ძალიან მიყვარხარ. ფლამი, მილე, ლაკვასტ, გრუზი, ედე, რუი, კუტრი, ჯაყისმანელო, ულიბკა, ქ-ნ. ნანი, ძალიან, ძალიან მიყვარხართ. კლეოპატრა.

• ლუნა, მე მაინტერესებდა ჩვენი მგზავნელის ამბავი და მიხარია, რომ კარგადაა. კლეოპატრა.

• დიდი პატივისცემით მოვიკითხავ ლაკვასტს და ჯაყისმანელს. რუისპირ, SWEET, კუტრინ, SCARLET, მაესტრო, კოზა, ილინ, სუპერსთარ, ლუნა, ლიმონა, ჩუპი, დუჩი, ნონ სტოპ, აურა, ათენი-23, გადარეული, 9717, მიყვარხართ და მენატრებით. ცრაზყ გირლ.

• ნეტავი ვიყო პოეტი, შენთვის დავწერდი ლექსს, ვიტყოდი, როგორ გიშლიდა ანცი ნიავი თმებს, ნეტავ მაქცია წვიმადა, ყელს გეღვრებოდე ალერსით, ანდა მაქცია არწივად, ჩამოგიქროლდი თარეშით. ანაზდად აგიტაცებდი, გაგხვევდი ღრუბელთ ჯარშია, გადაგაფრენდი მთა-ველებს, დაგსვამი ჭიუხთ თავშია, ვაგლახ, არ მქვია პოეტი, არც არწივი ვარ, არც წვიმა, მარტოდენ ტრფობად დაცლილი, გრძნობად დაცლილი ყანწი ვარ. აი, ასე მიყვარს მე. წამიერად, მააშ! 9717.

• ერთი ამბავი გამახსენდა. ეს 38 წლის წინ მოხდა. თბილისიდან უსაყვარლესი მამიდაშვილი მეწვია, თავისი არაჩვეულებრივი ოჯახით. იმ წელს ქუთაისში ბათუმიდან რაღაც ჯანდაბად მკითხავი იყო ჩამოსული და ახალგაზრდებს მეტი რა გვინდოდა? წავედით. ეს სინანული დღემდე მაწუხებს. ჩემს მანანას როცა ჩაუხედა ჭიქაში, მივხვდი, ლაპარაკი უჭირდა. წამოსვლა რომ დავაპირეთ, მკითხავმა ცოტა ხნით დამტოვა. ეს გოგო რა არის შენიო? მკითხა. მის ბავშვებს მანქანა დაეჯახება სახლის წინ, ბიჭი ადგილზე მოკვდება, გოგო კი გადარჩებაო. ეს ამბავი მაშინ არ დავიჯერე, მაგრამ ზუსტად 2 თვეში ახდა და დღემდე დამნაშავედ ვგრძნობ თავს. ვერ შევძელი, მამიდაშვილისთვის მეთქვა ეს საშინელება. იქნებ

დამეცვა ულამაზესი გოგის სიცოცხლე. ალბათ განგებას ასე სურდა, მაგრამ დღემდე ძალიან ვნანობ. მადონა ახლა საბერძნეთშია.

• მარი, მეგობარო, ძალიან მჭირდები, ძალიან... ისევ ცუდად ვარ, მორალურად განადგურებული ვარ. მარ, მომისმინე, გემუდარები. ამ მესიჯს ტირილით გწერ. რა დავაშავე ასეთი, რომ ამდენი იმდგაცრუება ვიგემე? დავიღალე და სიკვდილი მინდა. მეტის ატანა აღარ შემიძლია. ცხოვრების გაგრძელების სურვილი არ მაქვს. ვისაც მეგონა, რომ გულწრფელად ვუყვარდი, იმ ადამიანმა მწვერვალზე ამიყვანა, ხელი მკრა და უფსკრულში გადამჩეხა. ისეთი ღრმაა, რომ ჩემმა სხეულმა ფსკერამდე ვერც კი ჩააღწია. მორალურად მკვდარი ვარ. ყველაფერი დასრულდა, არაფერი მინდა, სიკვდილის გარდა. მარი, მაპატიე, თავი თუ მოგაბეზრე, რომ არ მომეწერა, არ შემეძლო. გმადლობ, რომ არსებობ, მარი, და ჩემო საყვარელო ჟურნალო. ჩემი ნიკის მოწერას აზრი არ აქვს. კარგი, წავედი.

• აუჰ, როგორ მინდა ახლა გამოძინება... არც ყავამ მიშველა, არც ცივმა წყალმა. არადა ეს სამსახური... სამსახური... მუშაობა და კიდევ მუშაობა... ხელფასი? 200 ლარი! სასაცილოა, არა? ჰმ...

• როგორ გამიცრუა იმედები დათვიმ. როგორ მეგონა, რომ ვიპოვე ჩემი უფლისწული... ვიფიქრე, არ გადაშენებულან, დინოზავრებივით-მეთქი, მაგრამ მერამდენედ გამიცრუვდა იმედი... ჩემი ცხოვრება ერთი დიდი იმედგაცრუებაა. რა სულელი ვარ, როგორ მჯერა ზღაპრების... ცხოვრება ზღაპარი არ არის და არც მასავით კეთილი დასასრული აქვს, მაგრამ მე მაინც გამოუსწორებელ მელიკოდ დავრჩები, სიკვდილის ბოლომდე. იცი, რატომ, დათვი? იმიტომ, რომ მე მელიკო ვარ.

• მარი, ახლაც უარყოფ, რომ მიკერძოებას აქვს ადგილი შენი მხრიდან? არასდროს არავისთვის მიხვეწნია იმდენი, რაც შენ გეხვეწე, დამიბეჭდე მესიჯი-მეთქი. ასეთი საწყენი და გასატეხია ჩემი და ნაომის მეგობრობა? ასეთი იმედგაცრუებული არასოდეს ვყოფილვარ! ქაჯების დედოფალი.

• მარტოობაში რამდენ სისაძაგლეს წარმოიდგენს ადამიანი, რა საშინელებად ეჩვენება ყველაფერი მარტოსულს, რომელიც სრულიად თავისუფალია, ოღონდ გისოსებს შიგნით, ჩარჩოებში მოქცეული, ფეხით ჩატენილი, შემორაგულ-შემოკავებული, დამპალი და ჩამოძონძილი ღობით, რომლის სიმყრალეს იმდენად მიეჩვია ცხვირი, რომ მწვანე ფოთლების, გრილი ნიავის, მიწისა და წვიმის ჰორიზონტის სუნსაც კი ვერ გაიხსენებს! ანდა, როგორ უნდა გაიხსენოს, მას ხომ არ ძალუძს დამპალი ღობის იქით გახედვა, წარმოდგენაც არ აქვს, რა ხდება მის მიღმა... მას ხომ წინასწარ დაუწერეს მთელი ცხოვრება და ისიც ვალდებულია, იყოს პერსონაჟი, შეიბას თოკები და ვიღაც უცხოს, ვითომდა ყველაფრის მცოდნეს გადასცეს მისი ბოლოები. რატომ?! რატომ ვცხოვრობთ სხვისი სცენარით, როცა ჩვენც შეგვიძლია წერა! რატომ ვუსმენთ ვიღაცის ზედმეტად თავდაჯერებულ ლაყბობას, როცა თავად ვართ საუკეთესო მოსაუბრენი! რატომ გვასწავლიან უსწავლელნი? განა რა გახდა ის ერთი ჩამომპალი ღობე? განა ერთი ფეხის კვრით არ შეგვიძლია მივლეწოთ, მივამტვრიოთ, გადავაშენოთ? შეგვიძლია! პრობლემა ისაა, რომ დაგვავიწყდა, რა არის ერთობა, სიყვარული მარტო ალერსი და ვნება როდია. სიყვარული ყველაფერია. ძალა, რომელიც აცოცხლებს მოხუცს და ზრდის ბავშვს. სადღაა? ან იყო ოდესმე? ახსოვს ვინმეს? რითი ვცხოვრობთ დღეს? გაინტერესებთ? მე გეტყვით: საკუთარი სიდამპლის დასამალავად სხვისი აღსარებისთვის დაგვიგდია ყური; საკუთარი სიცრუის გასამარჯვებლად, სხვისი სიმართლე დაგვიმარხავს ღრმად მიწაში; საკუთარი უგუნურების დასაფარავად ყველაზე გონიერისთვის გვისვრია ტალახი. რაც დამპალია გარედან, ნელ-ნელა ლპება შიგნიდანაც. დამპალ ღობეში მოქცეულნი ვიწურებით ოფლში, ცივ ოფლში და თავი გვისკდება იმაზე ფიქრით, თუ როგორ შეიძლება ჩავძიროთ ჩვენზე უკეთესი.

• სიმყრალე, შური, ხმაური, ქაოსი.. აღარ გვიკვირს ამის შემდეგ ჯოჯოხეთი. გვეუბნებიან და ვაკეთებთ, დაგვიდგინეს და არ გადავდივართ ზღვარს, გვესვრიან და ვიჭერთ, გვაწვდიან და ვართმევთ. მხოლოდ მყვირალა ლოზუნგი და მშვიდი ძილი გვგონია თავისუფლება. განა შეიძლება ადამიანმა ეძებოს იდეალები, რომელთა წარმოდგენაც კი არ შეუძლია? განა შესაძლებელია დახუჭული თვალებით სწორ ხაზზე გავლა? რატომ არ შეგვიძლია ტყუილის გარეშე გავატაროთ თუნდაც ერთი დღე? განა ჩვენ იმის ხატად არ შევიქმენით, ვინც 33 წელი იცხოვრა ტყუილის გარეშე? რატომ ვებრძვით ასე თავგამოდებით სამართალს? რატომ გვინდა ყოველთვის პირველობა... რატომ გვაქვს ხელები ასეთი ბინძური, რატომ ვმალავთ თვალებს? ვამარტივებთ ყველაზე რთულს და ვართულებთ ყველაზე მარტივს. ვათბობთ ისედაც თბილს და არ გვახსენდება, რომ ვიღაცას სცივა.

• სიტყვის მაგივრად გეტყვი რითმებით, თუკი გავბედავ ბოლომდე სათქმელს, ქარებს მაგონებს ეგ ხშირი თმები, შენი თვალები ჰგავს უცხო სასმელს. თითქოს ილვრება შენგან სინაზე, და მეც ფიქრებმა ფიქრი წამართვა. ალბათ შენს სახელს წერენ სილაზე, მე კი ვერ შევძელ რითმის გამართვა. სხვები შენ ალბათ ბევრს გიმღერიან ან გალმერთებენ, ან ირევიან. როცა გხედავენ, არ გიბღვერიან, ალბათ ისინი არც ილევიან. ძნელია, როცა მოგწონს ლამაზი და როცა იცი, რომ მართლა მოგწონს, ის შენთვის არის ძვირი ალმასი და შენი ფიქრი მასზე ფიქრს მოგთხოვს. რა კარგი იყო შენი ყურება, არ ვიცი რატომ, მართლა არ ვიცი, ფიქრთან მომინდა შეპასუხება და უშენობას უკვე განვიცდი. იმას არ ვამბობ, რომ შემიყვარდი, არც იმას ვითხოვ, შენც შეგიყვარდე. მე არასოდეს მომირწყავს ვარდი, ან მე საერთოდ ვინ მანდობს ვარდებს? სულ ცოტა ხნის წინ აღმოვაჩინე ამ ცხოვრებაში ჩემი მისია: თურმე ვინც არის ქვეყნად ლამაზი, ჩემი ლექსებიც მხოლოდ მისია.

• გვესმის მუსიკა, შექმნილი კაცის, გვიყვარს წიგნები გმირთა შესახებ. დალევაც გვიყვარს გრეხილი ყანწის, სანამ სიკვდილის კარებს შევაღებთ. ნაცნობ ადგილებს ვცვლით უცნობებით, რათა შევიცნოთ მთელი სამყარო. ნაპოვნ ყვავილებს ვთვლით უცხო ვნებით, მერე კი ვცდილობთ შორს გადავყაროთ. თქვენ ყველას გიყვართ გმირების ცქერა, მათი დაკრული სიმების ჟღერა. ზოგს გაიტაცებს წიგნების წერა, ღამით ჩაესმის უცნობი ბგერა. მე აღარ მესმის თქვენი სიმღერა, მწვერვალზე ასულთ, გიჭირთ დაშვება. თითქოს მიმწვდარხართ მათ გულის ძგერას, იქ გიპოვიათ ლხინი და შვება. აღარ გიზიდავთ უბრალოება, უბრალო სიტყვას აღარ თვლით არად. შორს გისროლიათ უმანკოება, ვარდის სურნელით გამხდარხართ ავად. მე ეს არ მიკვირს, რა გამიკვირდეს? ცხოვრებას ფუჭი ოცნება მართავს. ჩუმად ვარ, გული რომც ამიყვირდეს, შევეგუები ტყუილ სამართალს. ისევ გავყვები ბნელ ქუჩებს მარტო, ისევ ოცნებით შევლებავ აზრებს. ისევ შემხვდები შენ ცივო მარტო, და შეყვარებას ისევ დამასწრებ. ლოდინის ქვაზე ჩამომსხდარ ფიფქებს, ისევ შეცვლიან ნუშის ყვავილნი, ზამთრის სიცივით გათოშილ ფიქრებს გამოაფხიზლებს კვირტთა კნავილი. ხან თოვლი მოდის, ხანაც წვიმა წვიმს, ქუჩაში მაინც ჩანან წყვილები, მიუყვებიან ზოგჯერ ზღვის ნაპირს, ჭკნობას ებრძვიან ვით ყვავილები. არ მესმის თქვენი, მე სხვა ფიქრი მაქვს, არ მინდა თქვენი ოქროს გალია. მე ჩემი ტვირთი სადღაც, იქ მიმაქვს, რომ ვერ გაგიგეთ, ჩემი ბრალია. იქნებ ეს ბრალი თქვენც მიგიძღოდეთ, ჩაკლული სული გეწვეთ კისერზე; იქნებ ეგ თვალი თქვენც მიგირბოდეთ ჩაფლული შუქის მერყევ კიბეზე.

• როგორც გამოჩენილი უცხოელი მესენჯერი და საზოგადო მოღვაწე, სკაიპი იტყოდა, TAKE A DEEP BREATHE და ყურადღება მივაქციოთ წუხელ მომხდარ ფაქტს, რომელიც ერთგვარ აღმოჩენად, დაკვირვებად, ახალ გატაცებად ან უბრალოდ, ახალ გატ.....ებად შეიძლება ჩაითვალოს. სიზმრები ბავშვობიდან მაინტერესებდა, მიკვირდა, მაოცებდა, მაშინებდა, მაბოლებდა და მენამიოკებოდა ხოლმე. მიყვარდა სიზმრების ნახვა იმ მიზეზითაც, რომ სიტუაციის ცხადში წარმოდგენაზე საჭირო ფიქრსა და გათვლებს ავტომატურად თავის თავზე იღებდა და ისლა დამრჩენოდა, რომ მისი შერჩეული სცენარისთვის სამგანზომილებიანი მფშვინავი სათვალე მომერგო და რაღაც განმეცადა. შემდეგ, თითქოსდა მიმავიწყდა სიზმრების არსებობა, იშვიათად ვხედავდი და აღარც ვფიქრობდი მათზე. არც წუხელ მიფიქრია დაძინებამდე, თუმცა მაინც გადაწყვიტეს, ჩემთვის თავი შეეხსენებინათ და ახალი სცენარის პრემიერის 1 ბილეთი ჩამიკუჭეს ტვინის ხვეულებში. საერთოდ არ მახსოვს წუხანდელი სიზმრის სიუჟეტები და გმირები, მაგრამ მასში იყო რაღაც, რაც აქამდე არასოდეს ყოფილა. მასში იყო სარგებელი. რაც შეეხება კონკრეტულ გამოყენებითობის მაგალითს, რაც ზუსტად დამამახსოვრდა ამ სიზმრიდან... თუმცა, დამამახსოვრდა მაგალითის ფორმა და არა — უშუალოდ მაგალითი. ეს იყო სიზმარში გამოგონილი ორი ანეკდოტი. დიახ, სრული სერიოზულობით ვაცხადებ, რომ მე წუხანდელ სიზმარში ორი ანეკდოტი გამოვიგონე, თუმცა სამწუხაროა, რომ მათგან არც ერთი არ დამამახსოვრდა. მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. მთავარია, რომ რაღაც ახალ პრინციპს მივაგენი და შემიძლია, მისი კარგად დამუშავება ვცადო.



## გილოცავ!

• ჩემო საყვარელო დედიკო! გილოცავ 3 მარტს, დედების დღეს. მინდა გისურვო ყოველივე საუკეთესო. ძალიან მიყვარხარ. შენი მარი.

• თქვენი ჟურნალის დახმარებით ჩემს დიდ სიყვარულს, მთიუსი კაკონაშვილს შილდაში, ცოტა მოგვიანებით ვულოცავ დაბადების დღეს. იმედია, მაპატიებს დაგვიანებას. ვერ გივიწყებ. ჯულიეტა თელავიდან.

• ქალბატონ ნანულის ვულოცავ დედის დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს და სიყვარულს, საუკეთესო სურვილებით, ინტელიგენტი ხევსური.

• ჩვენს საყვარელ დედიკოს ვულოცავთ დედის დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. ნათია და შალვა.

• მამუკა მოლაშხიას დაბადების დღეს, 11 მარტს ულოცავს ირაკლი კომახიანი და რაინდი შეროზია ფოთიდან. უსურვებენ ულევ სიხარულს და ჯანმრთელობას.

•კაკადუ, მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. არ იდარდო, ყველაფერი კარგად იქნება და მალე ყველა ერთად ვიზეიმებთ. მთავარია, თავს მიხედო. კახა.

•მეზობლები და ირაკლი კომახიანი დაბადების დღეს ულოცავენ მამუკა მოლაშხიას. უსურვებენ ულევ სიხარულს და ჯანმრთელობას, თავის ოჯახთან ერთად.

•ნანული მელქაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერებას, ლამაზ ოჯახთან ერთად. მარი, ლალი და ვაჟა.

•ნინო სალირიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერებას. მარი, დიტო, გოჩა, ლალი და ვაჟა.

•ძმა, ირაკლი კომახიანი დაბადების დღეს ულოცავს ნინო კომახიანს, 26 თებერვალს. უსურვებს ულევ სიხარულს და სიყვარულს, თავის ქმარშვილთან ერთად. იყავი ჯანმრთელად.

•მოგვიანებით ვულოცავ დაბადების დღეს ჩემს მონატრებულ დედას, ტატიანა ცინცაძეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. მზევინარ გოგუაძე, საბერძნეთიდან.

•მამიდას დაბადების დღე აქვს 6 მარტს და მინდა, მივულოცო. მიყვარხარ, მამიდა, მთელი გულით გილოცავ იუბილეს. ლამაზ ცხოვრებას გისურვებ! შენი ლუნა.

•დათო წიწიკაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. საჩუქრად ჩემი შენდამი სიყვარულით სავსე გულს გიძღვნი. მიყვარხარ, დათიკო. შენი თავნება.

•მინდა, 3 მარტს დედაჩემს მივულოცო დედათა დღე, 3 მარტს ვულოცავ მარი დარჩიაშვილს დაბადების დღეს, 8 მარტს ვულოცავ კობა ხუციშვილს დაბადების დღეს. კოლოთო.

•11 მარტს ჩემს საყვარელ და მონატრებულ ASHLEY-ს ვულოცავ იუბილეს! ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და წარმატებებს ვუსურვებ! გკოცნით ყველას. CRAZY GIRL.

•დედა, ვარდო ტიკარაძე, გილოცავ 3 მარტს, დედათა დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას. სიხარულს და ბევრ კარგ წელს. შვილები და შვილიშვილები.

•გოდერძი ქიმუცაძე, 23 თებერვალს გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ყოველივე კარგს, სრულიად ჯანმრთელობას. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა





■ ■ ■

„ქალის გარეგნობა და მისი სულიერი სამყარო“.

■ ■ ■

„შეაცდინა და გაიჯეჯილა“.

■ ■ ■

„ეს რა ჩავიდინეეეეე!“

■ ■ ■

„მაინც ხომ დაგიჭირე?“

■ ■ ■

„ვერ მიცანი, საყვარელო? მე ვარ“.

■ ■ ■

„მაგასაც ბედი უნდა, რაააა“.

■ ■ ■

„მეგონა, ანგელოზი მომყავდა ცოლად, თურმე ტარტაროზი ყოფილა“.

■ ■ ■

„ბედი რომ არ გაქვს, ამ ქვეყანაზე რაღა გინდა, შე საცოდავო?“

■ ■ ■

„ყველა ანგელოზივით ქალში არის დემონი. ამიტომ საშუალოებს მიეძალეთ“.

■ ■ ■

„ქალის ფიქრები: ქორწილში ანგელოზი ვიქნები, მერე სამზე მეტს დავლევ და ეშმაკად გადავიქცევი“. დედოფლისწყაროელი.

■ ■ ■

„ქალი მარტო, ქალი ქმრის ხელში“. დედოფლისწყაროელი.

■ ■ ■

„იმედია, არ მაწვალებ! ხომ გითხარი, არ მაწვალო-მეთქი?!“ RAINBOW-იასამანი.

■ ■ ■

„ჯერ ფრთიანი, მერე რქიანი“

■ ■ ■

„ანგელოზი მეგონე და ეშმაკი ყოფილხარ“.

■ ■ ■

„— ამას ადვილად გამხდის? — გახადა და შედეგიც ასეთია“ სეთ.

■ ■ ■

„აი, რა მოაქვს დაქორწინებას“.

■ ■ ■

„ანგელოზიდან ეშმაკამდე ერთი ნაბიჯია“. ჰოკერა.

■ ■ ■

„ქალმა ჯერ ადამი შეაცდინა, მერე კი თვით ეშმაკი“. კიბორჩხალა.

■ ■ ■

„არა, აშკარად ანგელოზი ჯობს! თუ სიკვდილია, ბარემ ქერა ანგელოზმა მოგკლას, ვიდრე შავმა დემონმა“. პრანჭია.

■ ■ ■

„ანგელოზის ფრთებმა არ მოგატყუოთ, ქალში ყოველთვის ეშმაკის ეშმაკობები იმალება და არ შეცდეთ“. კიბორჩხალა.

■ ■ ■

„მივლინებიდან დაბრუნებული ქმარი ცოლის საყვარელს ესხმის თავს“... 2107.

■ ■ ■

„ნუგზარი და მეფისტოფელი“.

■ ■ ■

„ანგელოოოზოოო... თავზე რქები ამოგსვლია“.

■ ■ ■

„ცოლი რა ლამაზი მყავს და სიდედრი კი რა ძროხაა“.

■ ■ ■

„ქალი არასდროს მორჯულდება“.

■ ■ ■

„ნაომი ვირტუალური ნაცნობებისთვის და ლაივში“.

■ ■ ■

„ანგელოზის ნიღაბს ამოფარებული ეშმაკი ყოფილა“. ვამპირა.

■ ■ ■

„როცა გიყვარს და როცა ვერ იტან“.

■ ■ ■

„ჯერ ფრთიანი, მერე — კუდიანი ანგელოზი!“ ლუნა.

■ ■ ■

„ქალი ყოველთვის ეშმაკად დარჩება“.

დასაწყისი იხ. გვ. 32

მან შეიძლება, საკუთარი დედა, ცოლი, შვილები ერთსაათიან კაიფში გაცვალოს. ისინი საშიშები არიან და საზოგადოების გვერდით ცხოვრებას არ იმსახურებენ.

**ელენე,** *17 წლის:*

— ჩემს დაქალს ჰყავს შეყვარებული, რომელიც „წამალზე“ „ზის“. ნია მის გამო რას არ აკეთებს, ცდილობს, წამლის შეძენაში დაეხმაროს და ჰგონია, ამით კარგ საქმეს უკეთებს. სულ ვეუბნები, რომ სისულელეს სჩადის, მაგრამ ჩემი არ სჯერა. არ ვიცი, ეს გოგო სიყვარულმა ასე როგორ დააბრმავა, მაგრამ ფაქტია, დათოს გამო ყველაფრის გაღება შეუძლია.

**— მას საიდან მოაქვს საამისო თანხა, რომ შეყვარებულს „წამალი“ უყიდოს?**

— მის მშობლებს ნამდვილად რა უჭირთ — მამაც კარგ ადგილას მუშაობს და დედაც, ჰოდა, შვილს ნებისმიერ ახირებას უსრულებენ, ის კი არ იციან, თუ რაში ფლანგავს გოგონა ფულს. თურმე, დათომ ერთხელ „წამლის“ გაკეთებაც შესთავაზა. კიდევ კარგი, ნიას შეეშინდა, — კაიფში არ ჩავრჩეო და უარი უთხრა. დათო დიდხანს ეხვეწებოდა: პატარა დოზას გაგიკეთებ, არაფერი მოგივაო, მაგრამ ჩემი დაქალი ვირიდან ვერ ჩამოუსვამს. ვერ ვხვდები, შეყვარებულმა ასეთი რამ როგორ უნდა შემოგთავაზოს? ვფიქრობ, დათოს ნია კი არ უყვარს, არამედ იყენებს, მაგრამ დაქალისთვის ამის თქმას ვერ ვბედავ — ხომ გითხარით, დათოზე ბრმადაა შეყვარებული და მასზე ცუდი რაღაც რომ ვუთხრა, შეიძლება, მეგობარი სამუდამოდ დავკარგო.

**ლია,** *17 წლის:*

— მეც მყავდა ნარკომანი შეყვარებული, მაგრამ დავშორდი. ის ცდილობდა, გამოვეყენებინე, ხშირად მთხოვდა ფულს და თუ ვერ ვუშოვიდი, შეურაცხყოფას მაყენებდა, უსარგებლოს მეძახდა, დაშორებით მემუქრებოდა და მე სულელიც ვცდილობდი, ყველაფერი გამეკეთებინა, ოღონდ კი მისთვის ფული „გამეჩითა“; ამის გამო ერთხელ მეგობარს ოქროს სამაჯურიც კი მოვპარე, რასაც ახლა ძალიან ვნანობ. მაშინ სიყვარულისგან დაბრმავებული ვიყავი და არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, მაგრამ მეგობრების წყალობით გონს მოვეგე და მივხვდი, რომ სისულელეს ჩავდიოდი. ჰოდა, 2-წლიანი ურთიერთობა დავანგრიე. ახლა ბედნიერი ვარ და მინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით ჩემს მეგობრებს დიდი მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ გონს მომიყვანეს, ჭაობში ჩასაძირად არ გამიმეტეს.

**გელა,** *19 წლის:*

— მე თავად ვარ ნარკომანი და მერწმუნეთ, არასდროს ვიკადრებ გოგოს მოტაცებას, არც შეყვარებულს ვთავაზობ „წამალს“ და არც ფულის საშოვნელად ვუშვებ, მაგრამ ჩემს საძმაკაცოში ბევრია ისეთი, ვინც მსგავსი რაღაცებისგანაც არ იხევენ უკან და გოგონებს აუბედურებენ. რა შემიძლია მათ დასაცავად გავაკეთო? — არაფერი! სინდისს იმით ვიმშვიდებ, რომ თავად არ ვავნებ ადამიანებს, მაგრამ ვიცი, ასეთ რაღაცებზე თვალის დახუჭვაც ცოდვად მეთვლება. ისე, რა ჩვენი, ნარკომანების ბრალია, თუ ზოგიერთი ქარაფშუტა გოგო ცდილობს, კაცის გულის მოსანადირებლად მას „წამალი“ უყიდოს? ნორმალურმა გოგომ იმისკენ უნდა გიბიძგოს, რომ ასეთ ცხოვრებას შეეშვა, ისინი კი ოღონდაც, თავი შეგაყვარონ, გათხოვდნენ და სხვა არაფერზე ფიქრობენ, წინ არ იყურებიან. ვფიქრობ, ასეთები უნდა გამოიყენო.

**— არა მგონია, სულელი გოგონების მოტყუება შენს ძმაკაცებს ვაჟკაცობაში ჩაეთვალოს...**

— ეს თავადაც მშვენივრად იციან, მაგრამ როცა სხვა გზა არა აქვთ, „წამლის“ საყიდლად ფულს ვერ შოულობენ, მერე ყველაფერზე მიდიან.

**— არ მჯერა, რომ შენ არავინ მოგიტყუებია...**

— გეფიცები, მსგავსი რამ არასდროს მიკადრებია საყვარელი თუ ჩემზე შეყვარებული ადამიანებისთვის, სხვების გულუბრყვილობით ბოროტად არასდროს მისარგებლია. მხოლოდ ერთხელ ჩავიდინე დიდი სისულელე და დეიდაჩემს, რომელიც ბრმად მენდობოდა, ბინის შესაძენად გადანახული ფული მოვპარე და მერე იმ ფულით მთელი ვაკე „ვაგრიალე“. სამაგიეროდ, თვეების განმავლობაში ვისმენდი დეიდას საცოდავ კვნესას და გული მტკიოდა, მაგრამ სიმართლე მაინც არ ვაღიარე... ქალი ქუჩაში დავტოვე და ამას ძალიან ვნანობ, განვიცდი, მაგრამ ფულის დაბრუნება არ შემიძლია.

**— „წამლის“ გაკეთების სურვილი რატომ ან როდის გაგიჩნდა?**

— ერთ ზაფხულს, ქობულეთში ყოფნისას, მეგობარმა თავისი ნარკომანი ბიძაშვილი „გაჩითა“ და მასთან ერთად „ვდვიუენიობდით“. მერე ისე მოხდა, რომ იმ ბიჭის ბინაში სწორედ იმ დროს ავედით, როცა ის და მისი ბანდა „წამალს“ „იჩხერდნენ“. ცხადია, ჩვენც შემოგვთავაზეს. უარი ვთქვი, — არ მინდა-მეთქი, მაგრამ ძმაკაცმა მითხრა: რამდენჯერმე გავსინჯე და მაგარია; გაიკეთე, ნუ გეშინია, ერთი გაკეთება არაფერს გიზამსო და მეც გავრისკე — ჯერ ერთი იმიტომ, რომ მაინტერესებდა, რა იყო და მეორეც, არ მინდოდა, იმ ნარკომანების დასაცინი გავმხდარიყავი და ეთქვათ, — მშიშარააო. ჰოდა, მას შემდეგ მეც „შევჯექი“ „წამალზე“.

**— საინტერესოა, ფული საიდან მოგაქვს ან „წამალს“ სად შოულობ?**

— ახლა რომ გითხრა, — ნაღდ ნარკოტიკს ვიკეთებ-მეთქი, მოგატყუებ. არის რაღაც-რაღაც პრეპარატები, რომლის შეზავებითაც საკაიფო „წამალს“ იღებ. მართალია, ასე დამზადებული ნარკოტიკი ჯანმრთელობას სერიოზულად აზიანებს, მაგრამ როცა „ლომკაში“ ხარ, ამაზე არ ფიქრობ.

**— „წამლის“ გადაგდებაზე არასდროს გიფიქრია?**

— როგორ არა, ამაზე ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ ჯერჯერობით, ეს ვერ მოვახერხე. მომავალში ვნახოთ, იქნებ მეც შევძლო ამ ჭაობიდან ამოსვლა.

**— საინტერესოა, ჩემთვის მესიჯის მოწერის, გულახდილობის სურვილი რატომ გაგიჩნდა?**

— საზოგადოების დიდი ნაწილი ნარკომანებს ისე გვიყურებს, თითქოს ავსულები, კეთროვანები ვიყოთ და ჩვენთან ურთიერთობას გაურბიან. მერწმუნეთ, ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, ოღონდ, თქვენგან განსხვავებით, ცხოვრებას სულ სხვა ფერებში აღვიქვამთ, ვცდილობთ, ერთფეროვანი ყოფა გავილამაზოთ და ამას საკუთარი ჯანმრთელობის შერყევის ხარჯზე ვახერხებთ. მოკლედ, თუ შეგიძლიათ, უნდა დაგვეხმაროთ, თუ არა და, ხელიც არ უნდა გვკრათ.

**— ძნელია გაუგო ადამიანს, რომელიც თავადაა ჭაობში ჩაფლული და ცდილობს, შენც ჩაგითრიოს...**

— ჰო, ეს საშინელებაა, მაგრამ ყველა ასე ხომ არ იქცევა? ყველას ერთ ქვაბში რატომ ყრით? თქვენ, ჯანმრთელი ანუ არაწამალდამოკიდებული ადამიანები რატომ არ ცდილობთ, დაავადებულებს გაუგოთ? რატომ არ ცდილობთ, მათ ამ ჭაობიდან ამოსვლაში დაეხმაროთ? რატომ გვკრავთ ხელს მიუხედავად იმისა, დაგიშავეთ თუ არა რამე? ჰოდა, სწორედ ამ გულგრილობის გამო, ზოგიერთი ჩვენგანი ბოროტდება და ცდილობს, შვილი, ძმა ან რომელიმე სხვა ახლო ნათესავი „წაგართვას“, ისიც თავისნაირი გახადოს და იცი, რატომ? — იმიტომ, რომ მას შეეშვა, მის ცხოვრებაში აღარ ჩაერიო. აი, ესაა სიმართლე და კარგი იქნება, თუ ამას გაითვალისწინებთ. ■

# ტაიმ-აუტი

## ვიქირავებ–ვაქირავებ

■ ერთმა ჩინელმა ქალბატონმა — ქსუ ლიშამ პატარძლის მეგობრების (ჩვენებურად მეჯვარე) გაქირავების ცენტრი გახსნა. კანდიდატი ლამაზი, გასათხოვარი და რაც მთავარია, ნაკითხი უნდა იყოს. ლიშას ცენტრს მსურველები არ აკლია, ყველას სურს, ქორწილში გამორჩეული მეჯვარეები ჰყავდეს. თანაც, მეჯვარეებსაც ეძლევათ შანსი, ქორწილში სასურველი მამაკაცები გაიცნონ.

■ კარლოს გილა მომლოცველის ფუნქციას ასრულებს. დამქირავებლის სურვილით, წელიწადში ორჯერ ლისაბონიდან ქალწულ მარიამის ტაძრამდე ფეხით მიდის, დამკვეთის ნაცვლად ლოცულობს და უკან ბრუნდება. გილას ფეხით 160 კმ-ის გავლა უწევს. 14-დღიან „ტურში“ 2.500 ევროს იღებს.

■ ოსტინში (ტეხასის შტატი, აშშ) ყოფილმა ფოტოგრაფმა — ტენია კოუხერმა პაპარაცების ბიურო გახსნა. ვისაც პოპულარობა სურს, დაიქირავებს პაპარაცებს, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში თან სდევენ და ფოტოებს გადაუღებენ. მეორე დღეს კი საჩუქრად ფოტოების ალბომსა და ვიდეოდისკს გადასცემენ.

■ ვისაც სახლში ძაღლის ყოლის საშუალება არა აქვს, შეუძლია, „ოთხფეხა მეგობარი“ იქირაოს. გაწვრთნილი, პოპულარული ჯიშის ძაღლის ერთი თვით ქირაობა 100 დოლარი ღირს.

■ ყველა მანდილოსანს არა აქვს იმის საშუალება, რომ მოდურ წვეულებაზე ცნობილი დიზაინერის ექსკლუზიური ჩანთით გამოცხადდეს. 2008 წლიდან ფირმა „ნინტენდო“ ასეთ აქსესუარებს აქირავებს. მომხმარებელს სურვილის მიხედვით, ჩანთაში საუკეთესო ხარისხის პარფიუმერიასა და ძვირად ღირებულ მობილურს ჩაუდებენ.

■ მარტოხელებს კომპანია RENT-AFRIEND მსურველებს მეგობრების დაქირავებას სთავაზობს. დაქირავებული ვალდებულია, კლიენტს წაჰყვეს დისკო-













თეკაზე, უყუროს ტელევიზორს ან მისი წუწუნი მოისმინოს. მეგობრის დაქირავება დღეში 20-დან 50 დოლარამდე ღირს. სურვილისამებრ, მეგობარი შეუძლიათ, დასასვენებლადაც წაიყვანონ. ამ შემთხვევაში, მომსახურების საფასურის გადახდის გარდა, მისი ხარჯების ანაზღაურებაც დამქირავებელს მოუწევს.

■ თავგადასავლების მოყვარულებს დედამიწის ნებისმიერ წერტილში შეუძლიათ, რამდენიმე დღით კუნძული იქირაონ. ერთი დღის ფასი 20.000 დოლარიდან იწყება.

■ ახალ წელს, უამრავმა ამერიკელმა საახალწლო ნაძვის ხე იქირავა. კომპანია RentXmasTree-ს ნაძვების სათბური აქვს. მსურველს საშობაოდ ნამდვილ ნაძვის ხეს ქოთნით მიართმევენ, საახალწლო დღესასწაულების შემდეგ კი მას ისევ ნიადაგში აბრუნებენ. ეკოლოგიურად სუფთა ნაძვის ხეს სათამაშოები არ მოჰყვება.

■ ერთმა შვეიცარიელმა ფერმერმა 3 ძროხა — მაქსიმი, ვანდა და ლინი — შეიძინა და თითოს 3 თვით აქირავებს. 3 თვის შემდეგ, ფერმერისგან ძროხის სამახსოვრო ფოტოსა და მის პროდუქტზე ფასდაკლების კუპონს მიიღებენ.

■ საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავები სხვადასხვა წვეულებისა და დაჯილდოებისთვის ცნობილი საიუველირო სახლებისგან სამკაულებს ქირაობენ. ■











მოამზადა რუსუდან ბელაშვილმა

# „წიგნს უნდა ვეხებოდე, ფურცლის სუნს უნდა ვგრძნობდე“

**მას 2 სუსტი წერტილი აქვს — წიგნი და კინოფილმი. როცა საჩუქრად წიგნებს უძღვნიან, უხარია. უყვარს გურამ დოჩანაშვილის ფრაზა: „არსებობენ მკითხველები და გადამკითხველები“. ამბობს, რომ თვითონ გადამკითხველი არასდროს ყოფილა. მადლობას უხდის ბებიას — ნათელა დადიანს, რომ წიგნის სიყვარული ადრეული ასაკიდან ჩაუნერგა. სკოლაში ყველაზე კარგად მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, გეოგრაფიას, ისტორიას სწავლობდა. „ერუდიტის“ სტუმარი ჟურნალისტი — ბექა ელბაქიძე გახლავთ.**

*თამუნა კვინიკაძე*

## პრეამბულის მაგიერ

— **ინტელექტუალური თამაშები გიზიდავს?**

— არც ერთ ინტელექტუალურ შოუში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ როცა რადიოში დავიწყე მუშაობა, ასეთი გადაცემა თავად მიმყავდა. ვიქტორინაში მსმენელი აქტიურად ერთვებოდა.

— **წიგნების კითხვა ადრეული ასაკიდან დაიწყე?**

— ადრეულ ასაკში ბევრი ისეთი კინოფილმი ვნახე და წიგნი წავიკითხე, რომლებიც მოგვიანებით უნდა წამეკითხა და მენახა. ამას ინტერესის გამო ვაკეთებდი, რამაც ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. ხშირად ეს ინტერესი ფილმის ნახვის შემდეგაც მიჩნდებოდა, ვიღებდი წიგნს, რომლის მიხედვითაც ეს ფილმი იყო გადაღებული და ვკითხულობდი. ვწუხვარ, რომ ბოლო წელიწად-ნახევრის მანძილზე, დატვირთული სამუშაო დღის გამო, ისეთი ინტენსივობით ვეღარ ვკითხულობ, როგორითაც ადრე. „ჟურნალისტის დღიურში“ მოვამზადე თემა — ცოცხალი კლასიკოსები. ერთ-ერთი რესპონდენტი გურამ დოჩანაშვილი იყო. მისი „სამოსელი პირველი“ ადრეულ ასაკში მქონდა წაკითხული. როცა ბატონ გურამთან ვიყავი ინტერვიუზე და ახლოს გავიცანი, ამ ნაწარმოების ხელახლა წაკითხვის სურვილი გამიჩნდა. ისე, წიგნთან თავისებური დამოკიდებულება მაქვს, მას უნდა ვეხებოდე, ფურცლების სუნს უნდა ვგრძნობდე, ეს სხვა ინტიმია. ბავშვობაში, როცა რაჭაში ჩავდიოდი, წიგნები თან მიმქონდა. ფურცელზე წაკითხული სხვაგვარად აღიქმება. ელექტრონულ წიგნებს ვერ ვეგუები ანუ კომპიუტერში ვერ ვკითხულობ.

— **პოეზიაზე რას მეტყვი?**

— პოეზია ძალიან მიყვარს. იყო დრო, როცა ლექსებს თავადაც ვწერდი, მაგრამ იმ პერიოდმა გადამიარა. დიდი ნაწილი აღარც მაქვს და არც მახსოვს. ახლა რეალისტი გავხდი, რომანტიკული იმიჯი თეატრალური ინსტიტუტიდან გამომყვა. შლაპით დავდიოდი და ლექსებს ვკითხულობდი.

— **რომანი მართლა დაწერე?**

— დიახ, „ნაპოლეონი ანუ სიურრეალისტური ნამცხვარი“ — ასე ჰქვია მას, რომელიც მალე დაიბეჭდება და კინოსცენარად გადაკეთდება. ეს წიგნი ჩვენს მეგობრებს ეძღვნება, მწერლობაზე არ მაქვს პრეტენზია, უბრალოდ, ჩემი თაობის ტკივილის ფურცელზე გადატანა ვცადე. დღეს ადამიანური ურთიერთობების კრიზისია. პროტესტი მაქვს სიყალბისა და აგრესიის მიმართ, რომელიც ასე მოდებულია ჩვენს საზოგადოებაში.

— **როგორც ვიცი, ახალ გადაცემაზეც მუშაობ.**

— დიახ, მარტის ბოლოს ვიწყებ 2 ახალ პროექტს.

— **წამყვანი იქნები?**

— დიახ, ოღონდ ტელევიზიის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ ვერაფერს გეტყვი. „მზესუმზირებში“ სხვა შემენაცვლება, მის ვინაობასაც ვერ გაგიმხელ.



— **ეს საზოგადო მოღვაწე გურიაში — სოფელ ლიხაურში დაიბადა, მამა სულ პატარას გარდაეცვალა, 5 წლის ასაკში დედითაც დაობლდა, 3 წლის რომ იყო, ხიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა, კარგი ექიმი ვერ გამოუძებნეს და სამუდამოდ დაკოჭლდა. ერის წინაშე გაწეული სამსახურისთვის, ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. დაასახელე იგი.**

— წმინდანად როდის შერაცხეს?

— **დაახლოებით 10 წლის წინ და ღვთისკაცი უწოდეს.**

— ე.ი. ექვთიმე თაყაიშვილზეა ლაპარაკი.

— **რა თქმა უნდა. სპარტაში მოქმედი ლიკურგეს კანონების შესახებ ალბათ გსმენია.**

— დიახ, რა უნდა მკითხო?

— **ლიკურგეს კანონების თანახმად, მამაკაცის რომელი ქმედება მიიჩნეოდა დანაშაულად?**

— ვიცი, რომ ისინი დიდ დროს უთმობდნენ ფიზიკურ მომზადებას, მაგრამ დანაშაულად რომელი ქმედება მიიჩნეოდა? იქნებ მინიშნება მითხრა.

— **სავარაუდო პასუხებს გეტყვი: წვერის ტარება, უცოლობა თუ დიდხანს ძილი?**

— ინტუიციით ვხვდები, უცოლობა იქნებოდა.

— **კარგი ინტუიცია გქონია. სტატისტიკამ დაამტკიცა, რომ ისინი დღეში 920 შეკითხვას სვამენ. ვინ არიან ისინი?**

— რომელიმე პროფესიის წარმომადგენლებზეა საუბარი?

— **არა.**

— აბა, ბავშვები?

— **დიახ. „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს**

**გავცემთ შთამომავლობას"...**

— (*მაწყვეტინებს*) ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

— **სხვა რამ უნდა გკითხო, ილიას რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?**

— ო! ეს მართლა არ მახსოვს.

— **„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კაზლოვიდან „შეშლილის" თარგმანზედა". ამ სითხეს ბერძენი ჰიპოკრატე მედიკამენტის სახით არაერთი დაავადების სამკურნალოდ იყენებდა. რომელ სითხეზეა ლაპარაკი?**

— მას ახლა ჩვენც გამოვიყენებთ?

— **გამოვიყენებთ, ოღონდ, სხვა დანიშნულებით, სამკურნალოდ — იშვიათად. ამ სითხის შესახებ არაერთი გამოთქმა არსებობს, იმასაც ამბობენ, მისი ხარისხისა და ხანის გასაგებად ხელადა ბოლომდე არ უნდა დაცალოო.**

— ღვინო ხომ არა?

— **გამოიცანი. უნგრეთის ერთ-ერთი ქალაქის არქივში 200 წლის წინანდელი დოკუმენტი იპოვეს, რომლის მიხედვითაც, ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებს უნდა გადაეხადა ე.წ. ბოლის გადასახადი. ეს თანხა სახანძრო სამსახურის შესანახად გამოიყენებოდა. ვის ახდევინებდნენ ამ გადასახადს?**

— რა საინტერესო კითხვები გაქვს. უნდა დავფიქრდე და გიპასუხებ. (*პაუზის შემდეგ*) ბოლი ახსენე, ამ გადასახადს ქალებიც იხდიდნენ და მამაკაცებიც?

— **დიახ. იმ ქალაქში რომ გეცხოვრა, აუცილებლად გადაგახდევინებდნენ, მე — არა.**

— მგონი, მივხვდი, რამე მავნე ჩვევაზეა ლაპარაკი?

— **სწორად მსჯელობ.**

— მწეველებს ახდევინებდნენ.

— **„როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა". ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?**

— რაფიელ ერისთავი.

— **რა უწოდა გაზეთმა — „დროებამ" ამ სიტყვებს?**

— არ ვიცი.

— XI **მცნება. რამდენი წლის იყო თამარი, როცა მამამ მეფედ აკურთხა?**

— მგონი, 10 წლის იყო, არა?

— **12 წლის იყო. ეს ინგლისელი პოეტი 1824 წელს ნაადრევად გარდაიცვალა, იგი სიცოცხლის ბოლო წლებში საბერძნეთის დამოუკიდებლობისთვის ომში აქტიურად მონაწილეობდა. „საბრალო საბერძნეთი" — სიკვდილის წინ ბოდვისას, ეს სიტყვები წარმოთქვა. დაასახელე ეს პოეტი.**

— ჯორჯ ბაირონი.

— **„მომეცით ცარიელი გალერეა და მე გავავსებ მას". რომელ მხატვარს ეკუთვნის ეს გამონათქვამი?**

— ზუსტად არ ვიცი.

— **სავარაუდო პასუხი მითხარი.**

— ვფიქრობ, რომ პაბლო პიკასოს.

— **ინტუიცია არც ამჯერად გღალატობს. დაასახელე ცხოველი, რომელსაც ხტომა არ შეუძლია.**

— ასეთიც არსებობს? ჩვენთანაც ბინადრობს?

— **არა, მაგრამ არის ადგილი, სადაც შეგიძლია, ნახო.**

— ზოოპარკს გულისხმობ? დათვი იქნება.

— **სწორი პასუხია — სპილო.**

— მართლა (*იცინის*)? დღეს რამდენი საინტერესო რამ გავიგე, ამ რუბრიკაში ყოველკვირა თუ ჩამწერ, უარს არ ვიტყვი.

— **შეგიძლია, „ერუდიტი" „გზის" ყველა ნომერში წაიკითხო, შემდეგი კითხვა კი ასეთია: გახსოვს ალბათ ფრთიანი გამონათქვამი: „რელიგია — ეს ხალხისთვის ოპიუმია". რომელი სიტყვით შეცვალა სიტყვა რელიგია ნიქსონმა?**

— ვერ ვიხსენებ.

— **არადა, ეს სიტყვა შენს საქმიანობასთანაა დაკავშირებული.**

— ჟურნალისტიკა.

— **ტელევიზია — ეს ხალხისთვის ოპიუმია. შენთვის რა არის ოპიუმი?**

— ინტერნეტი, რომელიც მჭირდება და ძალიან მაღიზიანებს. მასზე დამოკიდებული ვარ, ნარკოტიკივით არის.

— **კლასიკური ნიუ-იორკული საუზმე გულისხმობს სამ ელემენტს. ერთი არის ცხელი, მეორე — თბილი და მესამე — ახალი. ცხელი ეს არის ყავა, თბილი — ფუნთუშა, რა არის ახალი?**

— გაზეთი — „ნიუ-იორკ ტაიმსი".

— **„საერთო სენია კაცთა, მიცვალებულებს იმადაც აქებენ ხშირად, რომ ცოცხალთ მიაყენონ ჩრდილი", „ამქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რისამე წინაშე შიში არ ეგრძნოს, არც ბრძენია სადმე, ერთხელ მაინც სისულელე არ ეთქვას". რომელი ქართველი კლასიკოსია ამ სიტყვების ავტორი?**

— კონსტანტინე გამსახურდია.

— **ეს სრუტე საკმაოდ გრძელია და განიერიც, მაგრამ მას ხშირად ინგლისის არხს უწოდებენ. რომელია ეს სრუტე?**

— გიბრალტარი.

— **ცდები.**

— ბოსფორი, დარდანელი (*იცინის*).

— **ლა-მანში არ გაგიგია? ვინ არის ფილმის — „გიორგი სააკაძის" რეჟისორი?**

— მიხეილ ჭიაურელი.

— **ვინ ასრულებს პაატა სააკაძის როლს ბავშვობაში?**

— მერაბ კოკოჩაშვილი.

— **„დამისხი, დამალევინე,/ ე ღვინო ოხერ-ტიალი/ ეგება წალმა ვიფიქრო/ სოფლის უკუღმა ტრიალი!/ ეგება გულის ვარამი/ ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია,/ თვალ-წინ დამიდგეს ლამაზი,/ ჟრჟოლა მამკიდოს ტანშია". ამ ლექსს „ქეიფი" ჰქვია, ვინ არის მისი ავტორი?**

— ვაჟა-ფშაველა.

— **ქეიფი გიყვარს?**

— მიყვარს, თრობის პროცესიც მომწონს, მაგრამ ღრეობას ვერ ვიტან.

— **„ჟურნალისტი მენაგვეა, რომელიც ცოცხის ნაცვლად კალამს ხმარობს". ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?**

— არ ვიცი, მაგრამ ვეთანხმები.

— **ნაპოლეონ ბონაპარტი. მზის სისტემის რომელი პლანეტა ანდომებს დედამიწის გარშემო შემობრუნებას ყველაზე მეტ დროს?**

— არ ვიცი.

— **ვენერა. რიგში დგას 25 ბავშვი, მერამდენე ბავშვი დგას შუაში?**

— ეს კითხვა ადვილად გამოსაცნობი გგონია? უნდა დავფიქრდე. (*პაუზის შემდეგ*) მგონი, მე-13.

— **რა გვარია მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟი მარგო?**

— ყაფლანიშვილი.

— **დაასრულე მაქს პლანკის ცნობილი გამონათქვამი: „ჭეშმარიტება არასდროს იმარჯვებს, უბრალოდ მისი...**

— ვერ დავასრულებ.

— **„...მისი მოწინააღმდეგენი იხოცებიან".**

■

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. რა არის ბილი?

2. ვის ეკუთვნის სიტყვები: „მარტოობა თუ გაშინებთ, ნურასდროს დაქორწინდებით"?

3. რა არის „ნატისუსალი"?

4. დაასახელეთ ფილოსოფოსი, რომელსაც საკუთარი და უყვარდა.

5. ამ მომღერლის მამა სამხედრო საზღვაო ფლოტში მსახურობდა. II მსოფლიო ომში, ბრძოლის დროს შიში ვერ დაძლია, გემბანიდან წყალში გადაეშვა და გაცურა. ამ საქციელს სამხედრო ტრიბუნალმა დეზერტირობის კვალიფიკაცია მისცა, რის გამოც მის ოჯახს ფულად დახმარებას აღარ აძლევდნენ. დაასახელეთ იგი.

6. რა არის „ნუღლი"?

7. რა არის „ბუსოლი"?

8. რა არის „ტიპიკონი"?

9. სად არის დაკრძალული ნიკოლაი კოპერნიკი?

10. რა ჰქვია მჭადს, რომელშიც ყველია გარეული და ისეა გამომცხვარი?

11. საპროტესტო მიტინგების დროს ლონდონელები მოედნებზე ბურთულასაკისრებს, ეგრეთ წოდებულ „შარიკოპოდშიპნიკებს" ყრიდნენ. რატომ?

12. მონღოლები არასდროს რეცხავდნენ ტანსაცმელს. რატომ?

13. ბენჯამინ ფრანკლინის აზრით, რით გამოირჩევიან კრედიტორები მევალეებისაგან?

# ანეკდოტები



* * *

სკოლის წინ „ნოვი რუსკის" თავისი შვილი ჰყავს ჩაბღუჯული და ანჯღრევს:

— ქამრით აგიჭრელებ გვერდებს, მასწავლებლის ჩემით შეშინებას თუ არ მოეშვები!

* * *

ქმარმა სულ გადააქოთა საწოლი ოთახი:

— ზოგიერთი საკუთარ მოწოდებას ვერ პოულობს, ზოგიერთი — სამუშაოს, ზოგიც — სიყვარულსა და ცხოვრების თანამგზავრს. მე კიდე 2 ერთნაირი „ნასკი" ვერ მიპოვია, ამის დედა რო ვატირე, ამისი!..

* * *

მუსიკის მასწავლებელი შოთიკოს ემუქრება:

— წესიერად თუ არ მოიქცევი, შენს მშობლებს ვეტყვი, თქვენს შვილს ტალანტი აქვს-მეთქი.

* * *

სამუშაოდან დაბრუნებულ ქმარს დანა პირს არ უხსნის.

— რა მოხდა? — ეკითხება ცოლი.

— დღეს ჩვენმა უფროსმა თანამშრომლები თავის კაბინეტში შეგვკრიბა და თავისი ტელეფონიდან ყველას მობილურზე თითო ზარი გაუშვა, თან ყურადღებით უსმენდა, მისი ზარის დაფიქსირებისას ვის როგორი მელოდია ჰქონდა დაყენებული.

— მერე?

— პრემიები აღარ იქნება...

* * *

— გინახავს ასეთი უმსგავსობა? მთელი 5 წლის მანძილზე ვწერდი სასიყვარულო წერილებს ჩემს შეყვარებულს!..

— მერე?

— ბოლოს, აიღო და ცოლად გაჰყვა ფოსტალიონს!..

* * *

ბუღალტერი თავის 5 წლის ქალიშვილს კონკიას ზღაპარს უყვება. ბავშვი გაფაციცებული უსმენს. განსაკუთრებით ის ადგილი მოეწონა, კეთილი ფერიას მეშვეობით კვახი რომ კარეტად გადაიქცა და მამამისს ეკითხება:

— მამა, კვახის ოქროს კარეტად გადაქცევა ქონების ღირებულების ზრდად კვალიფიცირდება თუ როგორც შემოსავალი?

* * *

— მას შემდეგ, რაც შოტლანდიური ნაგაზი ვიყიდე, ჩემი მეზობლები გულგახეთქილები დადიან.

— ხმამაღლა ყეფს?

— ყეფით, საერთოდ არ ყეფს, მაგრამ კილტს რომ ჩაიცვამს და გუდასტვირს რომ ჩაბერავს, მაშინ უნდა ნახო, რა ხდება...

* * *

— დილა მშვიდობისა, მადამ. რას შვრება თქვენი თავის ტკივილი...

— პოკერის სათამაშოდ წაბრძანდა...

* * *

ქმარი ცოლს:

— ნახე, ძვირფასო, რამდენი თევზი დავიჭირე!

— მორჩი მაიმუნობას. დაგინახე, თევზის მაღაზიაში როგორ შეხვედი.

— ნუუ... რას იზამ, ნადავლის გარკვეული ნაწილის გაყიდვა მომიხდა...



* * *

განცხადება: „ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მამაკაცს, რომელიც კრიზისის პერიოდს გადამატანინებს. ვლაპარაკობ ხმადაბლა, ვამზადებ გემრიელ კერძებს და თავი არ მტკივა“.

* * *

გერასიმე ტიტანიკთან მივიდა:
— ზღვაში გადიხართ?
— გავდივართ.
— ძაღლს ხომ ვერ გაიყოლებდით?..

* * *

მასწავლებელი:
— შოთიკო, ახლა შენი ჯერია, მოგვიყევი, რა კეთილი საქმე გააკეთე არდადეგებზე?
— რამდენიმე დღის წინ მამიკოს ვაცილებდით სადგურზე. იქ ერთი ბიძია დავინახე — მატარებელზე აგვიანდებოდა. მეც ავიღე და საყელური შევხსენი ჩემს ბულტერიერს.
— მერე?
— მერე იმ ბიძიამ მიუსწრო თავის მატარებელს.

* * *

ქალმა ფსიქოლოგიური დახმარების ყველა სამსახური აიკლო. აკრიბა მორიგი ნომერი:
— იცით, მე პატარა მკერდი მაქვს...
— და ამის გამო სმა დაიწყეთ?
— არა, უბრალოდ მამაკაცები...
— თქვენს მკერდს რომ ნახულობენ, სმას იწყებენ?
— თქვენ რა, დამცინით?
— არა, ქალბატონო, ეს თქვენ დაგვცინით, ალკოჰოლიკთათვის განკუთვნილ ცხელ ხაზს რომ აკავებთ!..

* * *

ბერლინში ადგილობრივმა მოქალაქემ სახლის გასარემონტებლად რუსები დაიქირავა. რუსებმა საღებავი „გაასუხარეს“ და საღამოს ლუდის ბარში მოკალათდნენ.
— საღებავი რომ აღარ არის, პატრონს რა ვუთხრათ? — იკითხა ერთმა.
— რა და მაგის ეზოში ცხენი რომ იყო დაბმული, იმას ცხვირ-პირი მოვუთხუპნოთ საღებავით და ვუთხრათ, საღებავი ცხენმა შეჭამა-თქო.
მეორე დღეს ასეც მოიქცნენ. გადაირია გერმანელი, გამოიტანა თოფი და ცხენი მოკლა. რუსებმა პირი დააღეს.
— ასე იოლად ცხენი როგორ გაიმეტე?
— ღირსია! შარშან, უკრაინელებს ბეტონს რომ ვასხმევინებდი, მაგ საქონელმა 500 კილო ცემენტი შეჭამა!..

* * *

ერთ ბინაში ჭერზე დიდი შავი ლაქა გაჩნდა. მეორე დღეს ბინის პატრონი ინფარქტით გარდაიცვალა. მეორე ბინის ჭერზეც გაჩნდა დიდი შავი ლაქა და იქაც ინფარქტით გარდაიცვალა პატრონი. მესამე ბინაშიც გაჩნდა ასეთი ლაქა და იქაც იგივე განმეორდა. ერთ დღეს რაჟდენას ბინაშიც გაჩნდა ასეთი ლაქა. რაჟდენამ სახლმმართველობაში დარეკა:
— ჩემი სახლის ჭერზე დიდი შავი ლაქაა. რა ბრძანეთ? პრობლემა არ არის და გამირემონტებთ?.. ძალიან კარგი!.. და რამდენი დამიჯდება?... რამდენიიი?!. — შეყვირა რაჟდენამ და გული გაუჩერდა.



# გონების სავარჯიშო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. განზე გაბზეკილი, მსხვილი ულვაში.

2. ანტონ ჩეხოვს.

3. ასე ეძახიან მატყლის ან ბამბის ნამწვის სუნს.

4. ფრიდრიხ ნიცშე.

5. ჯონ ლენონი.

6. დაშაქრული ნუშის გული.

7. საზღვაო კომპასი.

8. საეკლესიო წესების კრებული.

9. კოპერნიკის საფლავი დაკარგულია.

10. ჭვიშტარი.

11. რათა ცხენებს, რომელზეც პოლიცია იყო ამხედრებული ქვაფენილზე ფეხი დასცურებოდათ.

12. რათა არ შეერყვნათ წყლისა და ჰაერის სტიქიები. პირველი — ტანსაცმლის გარეცხვისას, ხოლო მეორე — ტანსაცმლის გაშრობისას.

13. კარგი მეხსიერებით.

# ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 3-9 მარტი

**ვერძი**

გადატვირთული დღეები გელით. უამრავი საქმე უნდა მოასწროთ. პროექტებს წარმატებით გაართმევთ თავს თუ გამოცდილ კოლეგებს დაიხმარებთ.

**კურო**

გრანდიოზულ საქმეებს ნუ წამოიწყებთ. ისეთს შეეჭიდეთ, რომელსაც თავს კარგად გაართმევთ. რომანტიკული შეხვედრები განწყობილებას გამოგისწორებთ.

**ტყუპი**

მეტი ყურადღებით მოეკიდეთ საქმეს. მატერიალურად დაეხმარეთ ოჯახს. შესაძლოა, საინტერესო ადამიანები გაიცნოთ.

**კირჩხიბი**

ყველას ნუ ენდობით. უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად, ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმეთ. დასვენების დღეებში საოჯახო საქმეებს მიხედეთ.

**ლომი**

გულახდილი იყავით საყვარელ ადამიანთან, ეს უკეთესია შემდგომი ურთიერთობისთვის. თუ კოლეგებისა და მეგობრების დაკარგვა არ გსურთ, აგრესიას ნუ გამოავლენთ.

**ქალწული**

ახალი იდეების განხორციელება თქვენგან ბევრ ენერგიას მოითხოვს. ნუ გარისკავთ, ყველა ნაბიჯი კარგად აწონ-დაწონეთ. საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი სითბო გამოავლინეთ.

**სასწორი**

შესაძლოა, უფრო აქტიური გახდეთ, რაც უამრავი იდეისა და საქმის შესრულებაში დაგეხმარებათ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

**მორიელი**

სამსახურში ახალი იდეების განხორციელებით იქნებით დაკავებული. ახლობლებისგან დიდი ხნის ვალს დაიბრუნებთ, მაგრამ თანხის დახარჯვას ნუ იჩქარებთ.

**მშვილდოსანი**

დატვირთული იქნებით საქმიანი შეხვედრებითა და ახალი იდეების განხორციელებით. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ.

**თხის რქა**

მუშაობაში ინოვაციების დაგეგმვას არ გირჩევთ, ძველი მეთოდებით გააგრძელეთ მუშაობა. უფრო მობილიზებული იყავით, ნუ შეგეშინდებათ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების.

**მერწყული**

კარგი პერიოდია ძველი საქმეების დასასრულებლად. შეყვარებულთან ურთიერთობას ნუ გაამწვავებთ. მეტი დრო დაუთმეთ სწავლას, ცოდნის გაღრმავებას.

**თევზები**

ახალ მეგობრებს გაიჩენთ, რაც განწყობილებას გამოგისწორებთ. კარგი პერიოდია ვარჯიშისა და დიეტის დასაწყებად.

# ზოდიაქოს ნიშნების სუსტი წერტილები

**დასასრული.**

**დასაწყისი იხ. „გზის“ №8**

⌘ **სასწორის** პირველი მტერი სიცივე და სინესტეა. ხშირად ემართება შარდის ბუშტის ანთება. უბრალო გაციებაც კი შეიძლება ბრონქიტში, ჰაიმორიტსა და პნევმონიაში გადაეზარდოს. ცხოვრების წესად უნდა გაიხადოს სუფთა ჰაერზე ვარჯიში და ცურვა.

**პროდუქტებიდან უნდა მიიღოს:** თევზი, ღვიძლი, ხილი და ბოსტნეული.

⌘ ზოდიაქოს ყველაზე ჯანმრთელი ნიშანია **მორიელი**, მაგრამ მასაც აწუხებს ხერხემალი, სახსრები. ხშირად უნდა მიიღოს C და E ვიტამინი.

**პროდუქტებიდან უნდა მიიღოს:** მცენარეული ზეთი, ციტრუსები, თევზი, ხაჭო, ღვიძლი.

⌘ **მშვილდოსანი** მიდრეკილია ტრავმებისა და მოტეხილობებისადმი. თანაც, აგრესიული ნიშანია და შესაძლოა, ნერვული სისტემაც დააზიანოს. მისი საკვები მდიდარი უნდა იყოს ვიტამინებითა და მიკროელემენტებით.

**პროდუქტებიდან უნდა მიიღოს:** თევზი და ზღვის პროდუქტები, ფრინველის ხორცი, კომბოსტო, ბრინჯი.

⌘ **თხის რქა** ბავშვობაში საკმაოდ სუსტია, მაგრამ ვარჯიშისა და ვიტამინების წყალობით მოძლიერდება. ამ ნიშნის სუსტი წერტილი სასქესო ორგანოებია. არ უნდა გაცივდეს და ხშირად გაესინჯოს ექიმს.

**პროდუქტებიდან უნდა მიიღოს:** თალგამი, ზეითუნის ზეთი, ისპანახი.

⌘ **მერწყულს** ხშირად აწუხებს ენდოკრინული სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. უნდა დაიცვას კვების რაციონი, მაგრამ შიმშილი მისთვის აკრძალულია. აგრეთვე უარი უნდა თქვას ცხიმიან და ცხარე საკვებზე.



**პროდუქტებიდან უნდა მიიღოს:** რძის ნაწარმი, მწვანილი, ზღვის პროდუქტი.

⌘ **თევზებს** ხშირად აწუხებს თვალები. პერიოდულად უნდა მიმართოს ოკულისტს.

**პროდუქტებიდან უნდა მიიღოს:** კალციუმით (რძის პროდუქტები, თევზი), პროტეინითა (უცხიმო ხორცი, კვერცხი) და რკინით (ვაშლი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა) მდიდარი პროდუქტები. ■



1. ხელოვნური ბოჭკო
2. მუზეუმი მადრიდში
3. ესპანური ცეკვა
4. ირმის ნაშიერი
5. ცხენოსანი ჯარი
6. კაკლის გულის ნახევარი
7. გოგოლის მოთხრობა
8. ფულის ერთეული მაროკოში
9. ფეხსახსრიანი მწერი
10. ერთ-ერთი შეგრძნება
11. სტუდენტთა ჩათვლის მოწმობა
12. პრემიერ-მინისტრი გერმანიაში
13. დარდი, სევდა
14. მოსკოვის აეროპორტი
15. ღვინის საცავი
16. მემამულე თურქეთში
17. ლონდონის საქმიანი ნაწილი
18. ცალკე ოთახი სასტუმროში
19. ქვეყანა აფრიკაში
20. სამშენებლო მასალა
21. იჯარა
22. ძვ. რომაელთა სამოსი
23. ქანდაკების სახეობა
24. ფრანგი ფერმწერი
25. პატარა ტყე მინდორში
26. ინსტიტუტის ხელმძღვანელი
27. მეტყველების ორგანო
28. პერუს დედაქალაქი
29. ფეხბურთელი ... ყენია
30. ამერიკის შტატი
31. ორსახა ღმერთი რომ. მით.
32. ქვეყანა აზიაში
33. კიმონოს დეკორატიული ქამარი
34. იგივეა, რაც ჩალის ზვინი
36. იგივეა, რაც უზანგი
36. რინიტი
37. მიმართვა კაცისადმი ესპანეთში
38. ნორვეგიის დედაქალაქი
39. ნამუსი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. პაკისტანი; 2. კანიონი; 3. სასა; 4. ატლანტიდა; 5. საუნა; 6. ნასა; 7. რენესანსი; 8. რიგი; 9. არი; 10. ლონდონი; 11. მაფია; 12. შლაპა; 13. იშტა; 14. ოჰაიო; 15. როიალი; 16. ალაგე; 17. ფლორა; 18. ფილტვი; 19. საინი; 20. ნიუ; 21. შოუ; 22. ტანგო; 23. პილიგრიმი; 24. რევოლვერი; 25. ლეპრა; 26. ვიტო; 27. ბოტანიკა; 28. მინიმალური; 29. ანცი; 30. ავტოპორტრეტი; 31. დალალი; 32. ატამი; 33. ბეისბოლი; 34. სპა; 35. აისი; 36. პროპოლისი; 37. აფონია.

**სურათებზე:** 1. პერის ჰილტონი; 2. ადამ ლამბერტი.

# საფირმო კროსვორდი

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**გ**. გველის შხამი; **ა**. მთა, სადაც წარღვნის შემდეგ გაჩერდა ნოეს კიდობანი; **ე**. რა ერქვა ჩე გევარას; **რ**. ლექსის სხვადასხვა სტრიქონში ბოლო ბგერათა გამეორება; **თ**. თავის ქალის ზედა ნაწილი; **ე**. ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **დ**. წელზე შემოწყობილი ხელები ისე, რომ იდაყვები განზეა გაწეული; **ა**. დაავადება, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს; **დ**. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა**. ხის სარწევი საწოლი ჩვილი ბავშვისთვის; **ი**. დოსტოევსკის ნაწარმოები; **ს**. სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **ვ**. რა ჰქვია ადვოკატს ქართულად; **ე**. ლითონის საყღარუნებელი, რომლის შებმასაც კატას უპირებდნენ თაგვები; **ნ**. ბიბლიური პერსონაჟი; **ე**. რუსი მწერალი, ცნობილი ზღაპრის „კუზიანი კვიცის“ ავტორი; **ჩ**. ლეგენდარული რუსი მფრინავი; **ვ**. ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **ე**. მდინარე დასავლეთ საქართველოში; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ**. ირანის დედაქალაქი; **ა**. პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **ნ**. თანამედროვე ქალაქი იტალიაში ვულკან ვეზუვის მახლობლად; **ე**. რა ერქვა მიზანა ბრეგვაძის ვაჟს მხატვრულ ფილმში „შერეკილები“? **რ**. რა ერქვა აივენჰოს სატრფოს? **თ**. ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ა**. ყაჩაღი, რომელსაც მცხეთაში დაუდგეს ძეგლი; **დ**. ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც დღისით ანთებული ფარნით ხელში დადიოდა ქუჩაში და როცა ეკითხებოდნენ, ფარანი რად გინდაო, პასუხობდა: ადამიანს ვეძებო.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**დ**. დასაევი; **ა**. ათაბაგი; **ი**. ისხარი; **ს**. სტიმული; **ვ**. ვითა; **ე**. ერმაკი; **ნ**. ნაღველი; **ე**. ეშვი; **ჩ**. ჩადრი; **ვ**. ვოევოდა; **ე**. ეკლერი; **ნ**. ნაიკი; **ს**. სკოტი; **ჟ**. ჟუსაკი; **უ**. ურანოსი; **რ**. რიქშა; **ნ**. ნამაზი; **ა**. არიადნე; **ლ**. ლუთერი; **თ**. თიკუნი; **ა**. აკიდო; **ნ**. ნამქერი; **ე**. ენგური; **რ**. რვეული; **თ**. თილისმა; **ა**. ათინათი; **დ**. დიონისე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

**სახით მღვდელიო, საქმით კი მგელიო**

# იაპონური სენსაცია
# სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 4 | 1 | 2 | 7 | 3 | 5 | 6 |
| 2 | 6 | 1 | 9 | 3 | 5 | 7 | 4 | 8 |
| 5 | 3 | 7 | 4 | 6 | 8 | 9 | 1 | 2 |
| 7 | 4 | 8 | 3 | 9 | 6 | 5 | 2 | 1 |
| 6 | 1 | 9 | 8 | 5 | 2 | 4 | 7 | 3 |
| 3 | 2 | 5 | 7 | 1 | 4 | 6 | 8 | 9 |
| 1 | 9 | 2 | 5 | 7 | 3 | 8 | 6 | 4 |
| 8 | 5 | 6 | 2 | 4 | 9 | 1 | 3 | 7 |
| 4 | 7 | 3 | 6 | 8 | 1 | 2 | 9 | 5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 4 | 3 | 6 | 7 | 8 | 2 | 9 |
| 3 | 9 | 7 | 2 | 8 | 4 | 5 | 1 | 6 |
| 6 | 8 | 2 | 5 | 1 | 9 | 7 | 3 | 4 |
| 8 | 5 | 3 | 9 | 7 | 1 | 6 | 4 | 2 |
| 9 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 5 | 8 |
| 4 | 2 | 1 | 8 | 5 | 6 | 3 | 9 | 7 |
| 1 | 6 | 9 | 7 | 4 | 5 | 2 | 8 | 3 |
| 2 | 3 | 5 | 6 | 9 | 8 | 4 | 7 | 1 |
| 7 | 4 | 8 | 1 | 2 | 3 | 9 | 6 | 5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 8 | 9 | 2 | 7 | 1 | 6 | 4 |
| 1 | 9 | 7 | 6 | 8 | 4 | 2 | 5 | 3 |
| 2 | 6 | 4 | 5 | 1 | 3 | 8 | 9 | 7 |
| 4 | 7 | 2 | 1 | 5 | 8 | 6 | 3 | 9 |
| 6 | 3 | 5 | 7 | 9 | 2 | 4 | 1 | 8 |
| 8 | 1 | 9 | 3 | 4 | 6 | 5 | 7 | 2 |
| 7 | 8 | 6 | 2 | 3 | 5 | 9 | 4 | 1 |
| 5 | 2 | 1 | 4 | 7 | 9 | 3 | 8 | 6 |
| 9 | 4 | 3 | 8 | 6 | 1 | 7 | 2 | 5 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | 4 | | | 7 |
| | | 7 | 5 | | | 2 | | 3 |
| | 1 | | 3 | | | | | 5 |
| | 6 | | | 8 | 2 | | 9 | |
| | | 2 | | | 3 | 1 | | |
| | 8 | | 1 | | | | 3 | |
| 3 | | | | | 6 | | 4 | |
| 9 | | 8 | | | 5 | 3 | | |
| 6 | | | 9 | | | 7 | | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | 8 | 7 | | |
| | 3 | | 2 | | | 6 | | 9 |
| 1 | | | 6 | | | | | 2 |
| 7 | | | 4 | | 3 | | | 6 |
| 6 | | | | 7 | | | | 1 |
| 2 | | | | | 5 | | | 7 |
| 3 | | | | | 2 | | | 4 |
| 8 | | 2 | | | 1 | | 6 | |
| | | 7 | 9 | | | 1 | | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | 4 | | | 6 | |
| | 3 | | | 7 | | 9 | 2 | |
| | 8 | | | | 6 | 7 | | |
| | | 8 | | 5 | 9 | | | 1 |
| | 2 | | | | 1 | | 8 | |
| 3 | | | | | 2 | 6 | | |
| | | 9 | 2 | | | | 3 | |
| | 5 | 7 | | 3 | | | 9 | |
| | 4 | | | 9 | | | 1 | |




თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ სპეციალიზებული ცენტრების მისამართები, სადაც იციან ტკივილის ყველა თანამედროვე მეთოდით მკურნალობა

## დარეკეთ ცხელ ხაზზე: +995 (32) 25 22 33

**ნეიროპათიული ტკივილი** ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში და მოსახლეობის თითქმის 8%-ზე მეტს აღენიშნება. იგი გვხვდება ნერვული სისტემის დაზიანებით მიმდინარე სხვადასხვა მდგომარეობის და ავადმყოფობის დროს. ნეიროპათიულ ტკივილს იწვევს **ჰერპესის ვირუსი**, **აივ ინფექცია**, **ტრავმული დაზიანება** და სხვადასხვა დაავადებები. ნეიროპათიული ტკივილი აღინიშნება **ხელებში, ფეხებში, სხეულის სხვა ნაწილებში.**

*„ ... საშინელ სიმძიმეს ვგრძნობ ორივე ფეხზე და თითქოს ჩემი აღარ არის. მიჭირს ძველებურად სიარული“*

ნეიროპათიით გამოწვეული ტკივილი, სისუსტე და მგრძნობელობის დარღვევა იწვევს ფუნქციების მნიშვნელოვან შეზღუდვას და ადამიანის უუნარობას.

*„ ... ტკივილმა გამაწამა, არაფრის ხალისი აღარა მაქვს, ყველაფერი ნერვებს მიშლის“*

პაციენტები ტკივილს აღწერენ როგორც “მტანჯველ”, “გამომფიტავ”, “დამქანცველ” და “დამაუძლურებელ” შეგრძნებას.

*„ ... მუშაობას გულს ვერ ვუდებ, თავს ვერაფერს ვაბამ, თითქოს ტკივილის ტყვე გავხდი“*

აღნიშნული შეგრძნებები ხშირად იმდენად შემაწუხებელია, რომ ასახვას პოვებს ავადმყოფების როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ, სოციალურ სფეროებზე და ამცირებს ყოველდღიური ცხოვრების ხარისხს.

*„ ...მეჩვენება, თითქოს ხელებზე ცეცხლი მიკიდია“*

ტკივილმა მეორადად შეიძლება გამოიწვიოს ძილის დარღვევა, უმადობა, წონაში კლება, ქრონიკული დაღლილობა, შფოთვა და დეპრესია.

*„ ... პრაქტიკულად ძილს ვერ ვართმევ თავს, არაქათი აღარა მაქვს. თავი შემაძულა ტკივილმაც და ჩემმა წამლებმაც“*

ქრონიკული ნეიროპათიული ტკივილით და სამკურნალო საშუალებებით დაძაბუნებულ ავადმყოფებს თანდათან მკურნალობის მიმართ უნდობლობა და უარყოფითი განწყობა ეუფლებათ.

**თანამედროვე მკურნალობა უნდა ეხმარებოდეს პაციენტს გაუმკლავდეს ნეიროპათიულ ტკივილს ისე, რომ არ დაერღვას ცხოვრების ჩვეული წესი**


„კვირის პალიტრის“ კოლექცია
„დიდი მხატვრები“
წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები
წიგნი XVII
რაფაელი
7- დან - 14 მარტამდე
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!
ყურადღება:
I. II. III. IV. V. VI. VII. VIII. IX. X. XI. XII. XIII. XIV. XV და XVI ტომი, წიგნის მაღაზიებში გაიყიდება!
„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები
დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ


გილოცავთ ქალბატონებო!
ავერსი გილოცავთ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს და 15 მარტის ჩათვლით გთავაზობთ ავერსის აფთიაქებში 20 დან 50%_მდე ფასდაკლებით ენვიტას, გერმანულ დოლივას, აჰავას მკვდარი ზღვისა და იტალიურ საუგელას სამკურნალო პროდუქციას.
AHAVA time line
AHAVA
ენვიტა ENVITA
SAUGELLA pH 3.5 attiva
САУГЕЛЛА poligyn
Doliva
ავერსი AVERSI
ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და მარადიულ სილამაზეს!
საინფორმაციო სამსახური: 967 227
www.aversi.ge

ბ.30/10

მარტი 5-13 March, 2011
სამუშაო საათები / 11:00 - 19:00

www.expogeorgia.ge

# საქართველოს განათლების კვირეული
# Georgian Education Week 2011

უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლების
და სტუდენტური სერვისების პირველი გამოფენა



ORGANIZED BY:
ორგანიზატორი: Expo Georgia ს.ს. გამოფენების ცენტრი "ექსპო-ჯორჯია"

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

თბილისის მერია

თბილისი 0119, ა. წერეთლის გამზ. 118 ტელ: 341100, ფაქსი: 351100 ელ-ფოსტა: expo@expogeorgia.ge ,

# ფოტოკურიოზები













-90

ფრთები
ბარკალი
კუჭი
ღვიძლი
კვერცხი
ქათმის ფილე
ნედლი ქათამი
გაყინული ქათამი
საბულიონე ნაკრები

კოდა




დღევანდელი პროდუქტი
ჩვენთვის და ჩვენი ბავშვებისთვის